114
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11

ნოემბერი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

135896
45-73

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

11

ნოემბერი

★

19 სახელგამი 49
თბილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	33-
ოთარ ჭელიძე — სამი ლექსი	3
ჰოუარდ ფასტი — თავისუფლების გზა, რომანი, თარგმანი ინგლისურიდან ბ. ბ. ყვანიასი	5
ვერა ბუაჩიძე — ახალი სახლი, მოთხრობა	42
რევაზ ჯაფარიძე — ძვირფასი ნივთი, მოთხრობა	49
გიორგი კაჭახიძე — ორი ლექსი	53
კლიმენტი გოგიავა — ფერმა ივრის პირას, მოთხრობა, დასასრული	56
გრიგოლ ჩიქოვანი — გმირის გზა, ნარკვევი	73
ადამ მიცკევიჩი — კონრად ვალენროდი, გაგრძელება	85
ვ. ატრიანი — მწყემსი თედორე, მოთხრობა, თარგმანი არტ. დავითიანისა	91
გრ. ბრეგაძე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები, წერილი	98
გ. ბუხნიკაშვილი — მოსკოვის მცირე თეატრი, წერილი	115
პავლე ინგოროყვა — გიორგი მერჩულე, წერილი, გაგრძელება	122
დოც. აკ. ურუშაძე — „სიმონ ყაუხჩიშვილი — „ბერძნული ლიტერატურის ისტორია". ტ. 1-2, ბიბლიოგრაფია	154
გ. მებუკე — „მიხეილ ქორელი — „ფილიმონ ქორიძე", ბიბლიოგრაფია	158
ლევან ასათიანი — „ნიკოლოზ ჩაჩავა — „გოგიას წიგნი", ბიბლიოგრაფია	160
გ. ფირცხალავა — ნარკვევი გმირ ქალიშვილზე. ბიბლიოგრაფია	162

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10¼ ფ. უე 05189. შეკვ. № 1294. ტირაჟი 5.700.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

სამი ლექსი

★

ქარხნის ჭიშკრამდე

გზაზე გვტუქსავდნენ მეურმეები,
მეტივეები წყალში გვიტევდნენ;
ბოლოს ბალღები ბეღურებივით
ავფრინდებოდით ბაღის კიდემდე.
რიყეს არყევდა ჩვენი ყიჟინა,
ტანში რიონი დატალღაობდა,
მეტალურგიულ ქარხნის ინჟინერს
გაგახსენდება ალბათ ბალღობა.
გავიშლებოდით შებინდებისას,
ჩავუხტებოდით ახლა სამჭედლოს,
როგორც საფასურს შეგირდობისას
არ ვღებულობდით სხვა გასამრჯელოს...
მხოლოდ ბებერი მჭედლის შექება
გვფენდა სიხარულს და აღტაცებას,
ის ბერიკაცი გულშიც ეგება
გვთვლიდა ნამდვილად ნასწავლ კაცებად.
ალბათ, მომავლის დღეებს გვათვლიდა
თმებშებოლილი კაცი ალალი,
ჩვენი ბალღობაც ისე გაფრინდა,
როგორც სამჭედლოს კვამლი ფრთამალი.
ყური დამიგდე ახლა ძმობილო:
მეც ხომ რიონის ნანა მივლიდა...
ახლა შენს გუგუნს ისმენს მსოფლიო
დაძრულს რუსთავის მაღალ მილიდან,
როგორ იფრინე ასეთ სიჩქარით,
ხომ ხარ ჩემნაირ ნაჭედობისა?
ალბათ, დიადი ქარხნის ჭიშკარი
კარმა გაგიღო სამჭედლოისამ.

—.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლადის დაბადება

★

აბრიალდება სავსე ქვაბები,
აელვარდება ლავა გამდნარი,
და მეფოლადეს შავი წარბები
მერცხლის ფრთებივით გადაეშლება,
როგორც ხვანჭკარა—ცხელი მადანი
ღარში დგაფუნით გადაეშვება.

საწნახელია თითქოს ღუმელი,
შიგ რომ ლითონი აჩუხჩუხდება,
ეს ყალიბებიც ყბებგაღებული
ჩარიგებულან რაჭულ ჭურებად.

რუსთავ-ქალაქში ჩამკვიდრებული
განზე გადასწევს რაზას რაჭველი,
ღუმელებიდან—გაწითლებული
ჩამოვარდება ცხელი ჩანჩქერი.

მდნობელს მიეცა ფოლადის გული,
თვალებს დაუთრობს ლავის კამკაში,
ხმა შემოესმა თითქოს მაყრულის,
თითქოს სიმღერა ჰქუხდა მარანში,
ასე ყოველდღე, რაღაც ზღაპრული
დგას შემოდგომა რუსთავ-ქალაქში.

—.—

ბერიკაცებო!

★

ბერიკაცებო! ჭრელი კურტნებით
მთელი მსოფლიო შემოგივლიათ,
დაკორძებულა თქვენი კუნთები,
თქვენი ფილტვები შებოლილია.
ყავის, კაკაოს პლანტაციები,
ზღვები, ჯუნგლები, რა არ გინახავთ,
ძმები უცხოეთს გარდაცვლილები
უჭირისუფლოდ არ დაგიმარხავთ.
გარდა ჭლექისა, გარდა ციების
გარდა ცეცხლისა გულს რომ ეკიდა,
გარდა ცემისა და დამცირების
რა წამოიღეთ უცხოეთიდან.
—სანამ ჩონჩხები აქ დაგვრჩებაო,
მჭადი გვერჩიოს კვლავ ჩვენებური...
სთქვით და წამოდით. დაგხვდათ
ჭრებალო
თქვენი დანახვით აცრემლებული.

სანამდე პირჯვარს გადისახადით,
სთქვით,—მთავრობასთან ვერ
შევრიგდებით!..
მილიარდიან გადასახადით
შემოგეგებენ მენშევიკები.
ბერიკაცებო! ჭრელი კურტნებით
ნთელი მსოფლიო შემოგივლიათ,
დაკორძებულა თქვენი კუნთები,
თქვენი ფილტვები შებოლილია.
ვინ გადიხადა მეტი ვაება
წაუჩოქებლად, შეუჩერებლად;
დახვალთ რაჭაში მეტივეებად,
მესტვირეებად, მეჭურჭლეებად.
რაჭულ ჭურების ნახოს სისავსე
ვისაც მოუნდეს თქვენი გაცნობა,
რომ მეგულებით დედამიწაზე,
თქვენ დაგელოცოთ ბერიკაცობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოუარდ ფასტი

თავისუფლების გზა*

თავი მეოთხე

★

როგორ შეიმოგდა გიდიონ ჯეკსონი ხელებითა და გონებით

ჩარლსტონში გიდიონ ჯეკსონი ისეთმა შიშის ზარმა აიტანა, რომელსაც იგი ვერავითარი შთაგონებით ვერ დააღწევდა თავს. ეს იყო საშინელების გრძნობა ყველაზე უფრო ღრმა და მუქარით აღსავსე იდუმალების—თეთრი ადამიანის წინაშე.

გიდიონმა ქალაქში გაიარ-გამოიარა. მას არც ფული ჰქონდა, არც საშველი და გამბედაობაც არ ჰყოფნიდა, რომ კონვენტის მოხელესთან გამოცხადებულიყო. იგი მშიერი იყო, დაღლილი და კარგად ხვდებოდა, თუ როგორ საშაცილოდ გამოიყურებოდა მისი ეცვეთილი ტანსაცმელი ახლა; გულის ჯიბიდან გადმოკიდებული ჭრელი ცხვირსახოცი კი ვეღარ ამხნევებდა მას.

სულაც რატომ წამოვედიო? —ეკითხებოდა იგი თავის თავს. რატომ გავაბმევინე თავი ძმა პიტერს ამ მახეშიო? რა თქმა უნდა, იგი კონვენტზე ვერ გამოცხადდება. მაშ რა ჰქნას? შინ წავიდეს? ვთქვათ, შინ წავიდა და იქ კონვენტის შესახებ ჰკითხეს რამე—რას იტყვის იგი მაშინ? რისი თქმა შეუძლია? იცრუოს? თავისი ხალხი, ძმა პიტერი, რეიჩელი მოატყუილოს? და საიდან იცის, იქნებ მკაცრი სასჯელი მოელის იმ დელეგატებს, რომლებიც კონვენტს არ დაესწრებიან? ვთქვათ, იგი სამუდამოდ გადაიკარგება სადმე. მაგრამ რა ბრიყვული აზრია ეს? დასტოვოს რეიჩელი, ბავშვები, თავისი ხალხი, თითქოს ქვემო მდინარეზე გაეყიდოთ იგი, როგორც ძველად ხდებოდა? ჭკუა ხომ არ დაუკარგავს?

ფეხები თითქოს თავისთავად მიაბიჯებდნენ. მან დიდხანს იხეტიალა ვიწრო, ტალახიან შუკებში, სადაც ზანგები ცხოვრობდნენ.

საღამო ახლოვდებოდა, როცა გიდიონმა ანაზდად ერთ შნოიან შენობას აჰხედა და იქ, შესავალის თავზე კონვენტი დაინახა, დიდრონი ამობურცული ასოებით დაწერილი. შენობის წინ თორმეტიოდე იანკი იდგა მცველებად; ისინი ზარმაცად დაყრდნობოდნენ შაშხანებს და თამბაქოს ღეჭდნენ. იქვე ახლოს ზანგები და თეთრები პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრებილიყვნენ და ხელების ქნევით ლაპარაკობდნენ. გიდიონს სირცხვილის ალმური მოედო, როცა შენიშნა, რომ მრავალი მათგანი კარგად იყო ჩაცმული: ზოგს ნაცრისფერი შარვალი და კუბოკრული პიჯაკი ეცვა, ზედაც საუცხოო მწვანე ყელსახვევი, ზოგს—მაღალყელიანი ჩექმები და თეთრი შარვალი, სხვები კიდევ თავიდან ფე-

* გაგრძელება „ნათობი", № 10.

ხებამდე შოტლანდურ ჭრელ სამოსებში იყვნენ გამოწყობილი. გიდიონი ოცნებასაც ვერ გაბედავდა ასეთ ტანსაცმელზე, მაგრამ არც ის გაჰხარებია გიდიონს, რომ ბევრს არ ეცვა მასზე უკეთესად და ზოგი ხომ მასზე უარესადაც კი იყო ჩაცმული ულაზათო, უბრალო სამუშაო ტანსაცმელში, უყელსახვევოდ და უქუდოდ.

გზა განაგრძო. ომის განმავლობაში სასტიკად დაზიანებული ჩარლსტონი ამ დროს უკვე მნიშვნელოვანი ნავსადგური ხდებოდა ისევ. ნავსადგურში ხომალდები იდგნენ, დოკებში ისტ ბეი სტრიტის გასწვრივ ანძები ძველი სავარცხლის უსწორმასწორო კბილებივით გამწკრივებულიყვნენ. მზე ჩადიოდა უკვე და ბატარეის სანაპიროზე მიმავალი გიდიონი ხედავდა, როგორ ტორტმანობდა და ლივლივებდა წყალი წითლად და ოქროსფრად; ძველ სამტერის ფორტს ნავსადგურის ბურუსში ზღაპრული ვარდისფერი ჯავშანი ჩაეცვა, და ბატარეის მთელ სიგრძეზე ჭაროები დაჰქროდნენ შემზარავი ყივილით.

ყველაფერმა ამან მხოლოდ გააღრმავა გიდიონის სასოწარკვეთილება; მას ჰშიოდა და სცივოდა, არც ფული გააჩნდა და არც ღამის გასათევი ადგილი. ისტ ბეი სტრიტზე ერთ ეზოში ბამბის ნაკრაულები იყო დახვავებული; გიდიონმა სამ მათგანისაგან მღვიმის მაგვარი რაღაც მოაწყო და შიგ შეძვრა. ახლა მას თავის გასამხნევებლად სიმღერა კი არა, ღიღინიც არ შეეძლო. იგი დიდხანს, დიდხანს იწვა ფხიზელი და დარდიანი, სანამ ჩაეძინებოდა.

მეორე დღეს დილაადრიან გიდიონი ნავსადგურის ზანგი მტვირთავების ჯგუფს წააწყდა, როცა გიდიონმა დოკს გვერდით ჩაუარა, მათ გიდიონს სერთუკში წაავლეს ხელი:

„აბა აქეთ გამოიხედე, ბიჭო, ქადაგი ხარ?“

„დიაკონი იქნება, ეჭვი არაა.“

„ერთი, სერთუკს შეხედეთ, ბამბაში უგორავნია!“

მათმა როხროხა, გამქირდავმა შენიშვნებმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს გიდიონზე; იგი იდგა დაღვრემილი და ჩუმად შესცქეროდა მტვირთავებს, რომლებიც ხმაურით შეექცეოდნენ საუზმეს; ეს იყო ჭადი, შინამოყვანილი ყველი და ხახვი. გიდიონის სასოწარკვეთილება ისე აშკარა იყო და ისეთი ღრმა, რომ მათ ახლა დამცინავ სიტყვებს თავი გაანებეს და ერთმა მათგანმა სთქვა:

„დიაკონო, ჭადი აიღე!“

გიდიონმა თავი გააქნია.

„მუშაობ?“

გიდიონმა კვლავ თავი გააქნია.

„ოთხი უფროსი სამუშაოზე ყველას იღებს ორმოცდაათ ცენტად დღეში“

გიდიონმა თავი დაიქნია; კაცი ან მუშაობს, ან შიმშილით კვდება; თავათ ბევრ რამეში ვერ ივარგებს. მაგრამ მას ორი ღონიერი მკლავი აქვს და ხარივით გამძლე ზურგი, რაც სხვად თუ არა, ტვირთის სათრევად მაინც გამოდგება. კაცმა რომ სთქვას, დღეში ორმოცდაათი ცენტი კარგი ფულია. რატომაც არა?

და მთელი დღის განმავლობაში გიდიონს აღარ გახსენებია თავისი ვარამი; სახეს ოფლის ნაკადული ჩამოსდიოდა, კუნთები მეტისმეტი დაძაბულობისაგან მძლავრად იბურცებოდნენ; ბოლოს მომუშავე ზანგებში აქაიქ პატივისცემის გამომხატველი წამოძახილები გაისმა:

„ნახე, რა ბუღასავით კაცი მოსულა ქვემოური ჭალებიდან!“ „ბამბის ტვირთვაც ასეთი უნდა!“ დღის ბოლოს იგი არაქათგაცლილი იყო და მხეცივით დამშეული, მაგრამ მას უკვე ორმოცდაათი ცენტი ჰქონდა.

ამავე საღამოს გიდიონმა როგორღაც თავი გაართვა შიშის გრძნობას და მიხვდა, რომ მისი გამოცხადება მაიორ ალენ ჯეიმსთან და მანდატის წარდგენა სავსებით უბრალო და ბუნებრივი იქნებოდა. შემდეგში გიდიონი ბევრს ეცადა მოეგონებია, როგორ იყო, რომ ეს გარდატეხა მოხდა მასში, რომელ მიზეზს მოჰყვა ეს ამბავი შედეგად: მოხდა ეს იმის გამო, რომ მან ხუთ ცენტად გაზეთი იყიდა და ამაყად ამოიჩარა იგი იღლიაში, თუ იმის გამო, რომ, მან მისტერ ჯეკობ კარტერის სახლში ღამის გასათევი ადგილი იპოვა, ანდა იქნებ სხვა ამბების გამო, რაც მას იმ საღამოს შეემთხვა.

ჯეკობ კარტერი ხარაზი იყო, თავისუფალი ზანგი ომამდეც და ომის დროსაც, მუყაითი და პატივსაცემი; დიდი და ხანგრძლივი მომჭირნეობით მას თავი მონობიდან გამოესყიდა; ახლა ჩარლსტონის განაპირას პატარა, ოთხთვალიანი სახლი ჰქონდა, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო მიკრული: „ვიყვანთ მდგმურად მხოლოდ კონვენტის დელეგატებს“. გაზეთის გამყიდველმა მიასწავლა ეს ადგილი გიდიონს; მან გიდიონს „ბატონობით“ ნიჭართა, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ გიდიონმა გაზეთი იყიდა მისგან, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, გიდიონის უგუნებობაზე ამან კარგად იმოქმედა.

უკვე ბნელოდა, როცა გიდიონი კარტერის სახლს მოადგა. კარტერებმა მას პატარა, მაგრამ სუფთა ოთახი ნიუჩინეს, საწოლი, ზედ ბამბის ლეიბით, როგორზედაც გიდიონი აქამდე არ წოლილიყო, და ნამდვილი ნავთის ლამპა.

კარტერებს შვილი არ ჰყავდათ; ისინი შუა ხანს გადაცილებულნი იყვნენ. ომის წლებისა და ომის შემდგომი ორი წლის საშინელებათა დროს, როცა ზანგების წინააღმდეგ ულმობელი „შავი კოდექსები“ იყვნენ ძალაში, ისინი თავგანწირულებით და თავისებური გამბედაობით იბრძოდნენ, რათა თავისუფალი ზანგის და სახლის მესაკუთრის მცირეოდენი ღირსება შეენარჩუნებიათ. მაგრამ მაშინ, როცა სხვა თავისუფალი ზანგები ნამდვილი ზიზღით უყურებდნენ კონვენტის დელეგატ უმეცარ სოფლელ შავებს, კარტერები თავიანთი უბრალოებით ისევე ეპყრობოდნენ გიდიონის მსგავსთ, როგორც საკუთარ მეგობრებს.

იმ ღამეს თავის ოთახში, რომელსაც ლამპის ყვითელი შუქი კარგად ანათებდა, გიდიონი გაზეთს შეება. მას ადრეც ენახა გაზეთი, მაგრამ ახლა პირველად გადასწყვიტა მისი წაკითხვა. შრიფტი წვრილი იყო და კითხვას აძნელებდა; წაკითხულიდან მას მეტწილად მთლიანი აზრი ვერ გამოჰქონდა: ძალიან ბევრი იყო ისეთი სიტყვა, რომელიც მას არ გაეგებოდა. მაგრამ გიდიონმა დიდის გაჭირვებით მაინც ჩაიკითხა ბოლომდე სარედაქციო წერილი კონვენტის შესახებ. ეს წერილი გესლიანად ზანგებს მაიმუნებს ადარებდა, მომავალ ყრილობას ცირკს, სამხეცეს და მაიმუნების საკრებულოს უწოდებდა. მერე გიდიონი გემის დაღუპვის ამბავმა გაიტაცა; ნაწყვეტ-ნაწყვეტი კითხვით მან ის ამბავიც შეიტყო, რომ მთელ შტატში, ყველგან, ზანგები კანონებს უხეშად არღვევდნენ თურმე, ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ; გიდიონი გაკვირვებული იყო, რომ მას თვითონ ამის მაგვარი რამ არაფერი ენახა და არც არაფერი სმენოდა .

დაბოლოს, როცა დაღლილობისგან თვალებს ვეღარ ახელდა უკვე, გიდიონმა ტანსაცმელი გაიხადა და რბილ, კომფორტულ ლოგინში დაწვა. მან ღმერთს მადლობა შესწირა ასეთი იღბლისათვის და ისეთ ქვეყანაზე ოცნებაში, სადაც იგი ღა რეიჩელი ყო-

ველ ღამეს ასეთ სარეცელზე გაატარებდნენ, გიდიონს მალე ჩაეძინა.

მეორე დღეს გიდიონი მაიორ ჯეიმსთან გამოცხადდა; მას ამის გამო წინასწარ ბევრი არ უფიქრია და არც თუ შიში უგრძვნია მაინცა და მაინც. მისის კარტერმა სერთუკი გაუწმინდა, დახეული ადგილები ამოუკერა და გაუუთოა კიდეც. ჯეკობ კარტერმა გიდიონის მარცხენა ჩექმას, სადაც ფეხის თითი იყო უკვე გამოყოფილი, საკერებელი დაადო და მერე ორივე ჩექმა შავი საცხით გასწმინდა. კარტერმა რაც შეიძლება მორიდებულად ურჩია გიდიონს, უმჯობესი იქნება ჭრელი ცხვირსახოცი გულის ჯიბის ნაცვლად შარვლის ჯიბეში ჩაიდოო და ბოლოს დიდის გაჭირვებით გიდიონი იმაზედაც დაიყაბულა, რომ მას კარტერის ერთერთი საკვირაო თეთრი პერანგი ჩაეცვა.

მასპინძლებმა გიდიონს ოთახში ცხელი წყლით სავსე დიდი ბადია შემოუტანეს. ჯეკობი იჯდა და უსმენდა გიდიონს, რომელიც ახლა ერთი კვირის ჭუჭყს იფხეკდა და თანაც თავის ცხოვრებიდან ნაწყვეტებს მოუთხრობდა მას იმისათვის, რომ ჯეკობს შინაურულად ეგრძნო თავი გიდიონთან. პასუხად კარტერმა მას უამბო ჩარლსტონის, ზანგებისა და თეთრების ურთიერთობის და იმ ავის მომასწავებელ დაძაბულობის შესახებ, რომელიც კონვენტის მოწვევის გამოცხადებიდანვე არ ასვენებდა ქალაქს.

„სჩანს, რომ თითო თეთრ დელეგატზე ორი ზანგი [1] დელეგატი მოდის," სთქვა კარტერმა, „თეთრები, მეტ წილად სკელაუეგებს რომ უწოდებენ, ისინი არიან, ჩრდილოეთის ხალხი, შავი დროებისათვის თვალთმაქცობენ. ისე ჰგავს, კარგი ხანს ძალი დროება, იქნება, მეტი არაფერი. იქნებ მეხიმნე კიდეც იანკის ჯარისკაცები რომაა ყველგან!"

„შევნიშნე."

„მე სულაც არ მიჯდება ჭკუაში ეს იანკის ჯარისკაცები," თქვა კარტერმა.

„რატომ?"

„ერთი მითხარ, გიდიონ, რა ესაქმებათ მათ აქა? მითქვამს და ვიტყვი, საიდანაც მოსულან, იქით წავიდნენ!"

„იანკის ჯარისკაცები რომ არა, არც თავისუფალი კაცი იქნებოდა. არც კონვენტი ჩვენში," წყნარად მიუგო გიდიონმა.

კარტერი ამაზე აღარ შეჰკამათებია გიდიონს.

მაიორი ჯეიმსი შეშფოთებული იყო. თანდათან ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ კონსტიტუციური კონვენტი უთავბოლო, ცუდად ორგანიზებული საქმე იქნებოდა, და არა მარტო ეს: ჩარლსტონი დღითიდღე უფრო ემსგავსებოდა თოფის წამლის კასრს, რომელსაც ანთებული პატრუქი ჰქონდა შეერთებული.

მაიორი ჯეიმსი საეჭვო ნიშნებს უმალ ამჩნევდა, და ეს გასაგებიც იყო, რადგან ხანგრძლივი და სასტიკი ომის მანძილზე მას სამხრეთის ექვსიოდე ქალაქი მაინც ჰქონდა ნახული იანკის რაზმებს რომ ეპირათ. მან იცოდა, რომ ქალაქი ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს საკუთარი გულით და ჩვევებით, ხან ავი და პირქუში განწყობილებით, ხან კიდევ კარგი, მხიარული გუნებით. იმის მიხედვით, თუ როგორი იყო რეაქცია, ქალაქი საშიშად ჩაითვლებოდა ან პირიქით და, როგორც ზოგიერთი ადამიანი, გარეგნულად ფიცხი რომაა, მყვირალა და ხშირად რომ მოსდის გული, ისევე ქალაქი. რომელიც გაშმაგებით ბობოქრობდა

[1] Sca lawag — სამხრეთის თეთრი. რომელიც „რეკონსტრუქციის" პერიოდში ჩრდილოეთის პოლიტიკას უჭერდა მხარს, რესპუბლიკელობდა. პირდაპირი მნიშვნელობით უსაქმურ არამზადას ნიშნავს.

და დუღდა, მაიორ ალენ ჯეიმს ისე არ შეაშფოთებდა, როგორც ეს წყნარი, მაგრამ თვალბედითი ჩარლსტონი. რაღაც ძალიან ბევრი დარაბა იყო მიხურული ქალაქში, ძალიან ბევრი ცნობილი პიროვნება მთელი დღეობით და ზოგჯერ კვირაობითაც კი არ გამოდიოდა სახლიდან.

ყველაფერი ეს მაიორ ჯეიმსის თვალში სასიკეთოდ არ გამოიყურებოდა. ბევრი რამ ხდებოდა უთუოდ ამ მიხურული დარაბების მიღმა. რამდენი თოფი იყო ჩარლსტონში? რამდენი დატენილი დამბაჩა? მისმა უფროსმა, პოლკოვნიკმა ფენტონ გრეისმა, რომელსაც წარმოსახვის უნარი ღალატობდა, მას უთხრა: „რაც მოსასვლელია, მოვიდეს! როცა მოვა დავაჩოქებთ და მაშინ გვეცოდინება, ვინ რა პოზიციაზეა. ასეა თუ ისე, თქვენ ძალიან ბევრს სვამთ და ძალიან ბევრს ფიქრობთ.“ ასე იტყოდა სწორედ ყოველი ნამდვილი სამხედრო კაცი, ვისაც მაიორ ჯეიმსივით არ სწყუროდა მშვიდობიანი კონვენტი და სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქოზე გადასვლა, და ალბათ დაწინაურება და ექვსი თვის შვებულებაც. მაიორ ჯეიმსს არ მოსწონდა სამხრეთი — ეს მტრის ტერიტორია იყო. იგი აქ არც თეთრებს ენდობოდა, არც შავებს, არც ერთის ესმოდა კარგად, არც მეორესი. იგი არ გრძნობდა სიყვარულს „ნიგერთა“ [1] მიმართ, რომელთაც ომის დამნაშავედ სთვლიდა; არც თეთრი არისტოკრატებისათვის უცემდა მას გული სიყვარულით, ისინი ინსტიქტურად სძულდა ოჰაიოს საშუალო კლასის შვილს; რაც შეეხებოდა სამხრეთის მდაბიო გაღატაკებულ თეთრებს — ისინი ხომ მის ამხანაგებს ეტლეტდნენ—წყეული მეამბოხენი!

მაგრამ, როდესაც კონვენტის წევრებმა მოგროვება დაიწყეს, როცა ისინი მასთან მოდიოდნენ და მანდატები მოჰქონდათ, კონვენტის წარმატების იმედი თანდათან უქრებოდა მაიორ ჯეიმსს. ეს რა ბრბო იყო! საძაგელი, უვიცი, ბინძური და ტლანქი ადამიანების ბრბო! ეს რა იდიოტური, გიჟური ცირკი მოახვიეს თავზე სამხრეთს იანკმა რადიკალებმა, სამნერებმა [2] სტივენსებმა [3] და მათმა მსგავსებმა! მინდვრის მუშები, ასი, ორასი მილი რომ გამოიარეს ფეხით, რადგან ბრიყვებმა არ იცოდნენ, რომ არსებობდა რკინისგზა და, როგორც დელეგატებს, მათ უფლება ჰქონდათ მატარებელით ემგზავრნათ: დემობილიზებული ზანგი ჯარისკაცები, რომლებიც მას, მაიორ ჯეიმსს, უტოლდებოდნენ, აქაო და ჩვენც გვცემია ლურჯი ფორმა და თოფი ხელში ჩვენც გვჭერიაო; კაცები, რომლებსაც არც წერა შეეძლოთ, არც კითხვა; ახმახი, უმეცარი თეთრი მთიელები, რომლებიც მონათმფლობელების სიძულვილით კავშირს უჭერდნენ მხარს; სკოლის შავი მასწავლებლები, რომლებთაც თავი სწავლულებად მოჰქონდათ, რადგან კითხვა და ანგარიში შეეძლოთ — მართლაც, საკვირველი იყო განა, რომ ჩარლსტონი დაგუბებული რისხვით დრტვინავდა?

მაიორი ჯეიმსი უკვე რაღაც სიმარილეს ხედავდა მეამბოხეთა მტკიცებაში, რომ ზანგი სხვა არაფერი იყო, თუ არა ველური ბავშვური ჭკუით. ამ შეხედულებას კარგად ადასტურებდა ახლა უზარმაზარი ზანგი, რომელიც კარუელ-სინკერტონის ოლქის დელეგატად წარსდგა მის წინაშე და რომელსაც ძველისძველი დაკერებული შარვალი, შავი სარტუკი და თეთრი პერანგი ეცვა, სივიწროვისაგან უკვე რღვევა

[1] nigger დამცინავი, ზოგჯერ პროვინციული სიტყვაა ზანგის (Negro) აღსანიშნავად.

[2] ჩარლზ სამნერი (1811—1874): ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი.

[3] თედეუს სტივენსი (1792—1868): ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე. აბოლიციონისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაეწყო ნაკერავებში. ზანგის სახელი იყო გიდიონ ჯეკსონი, იგი ფეხით მოსულიყო ჩარლსტონს, მან თავისი სახელის და გვარის მოწერა იცოდა, სხვა არაფერი. კითხვა იცის? — ცოტა — ამაყი მწიგნობარი უთუოდ ასიოდე სიტყვისა! ესმის მას თავისი, როგორც დელეგატის მოვალეობანი? მოვალეობანი? კარგი, ცოტა სხვანაირად ვთქვათ: წარმოდგენილი აქვს მას კონვენტის მაღალმნიშვნელოვანება?

მაღალმნიშვნელოვანება? არა, — რა თქმა უნდა მას ამ სიტყვის არაფერი გაეგება. კაცი კიბის საფეხურებით უნდა ჩამოჰყოლოდა დაბლა ლექსიკონს და ერთმარცვლოვანი სიტყვებით განემარტა, რომ ეს იყო შტატის რეკონსტრუქციის საქმე, რომელიც ახალი კონსტიტუციის შედგენით უნდა დაწყებულიყო. ვის შეეძლო ეს? არა, ეს შეუძლებელი იყო. სასოწარკვეთილი ჯეიმსი პოლკოვნიკ გრეისსთან მივიდა და განმარტება მოითხოვა:

„ბატონო, ასეთები უნდა დავუშვათ?“

„დიაღ, თუ კანონიერად იყო არჩეული.“

„მას ქაღალდები აქვს. ისინი ყველანი კანონიერად არიან არჩეულნი, თუ ამას კანონიერი არჩევნები ჰქვია.“

„მე არჩევნებს არ ვიძიებ. გთხოვთ, ზანგები ლოიალური იყვნენ ჩვენს მიმართ, როცა ჩვენ დიდი გასაჭირში ვიყავით;“ ცივად მიუგო პოლკოვნიკმა. სიყვარული არ ეთესა ამ ორთა შორის; აბოლიციონისტების ოჯახიდან გამოსული გრეისი თავისი ნებით იყო წასული სამხედრო სამსახურში.

„მე გაფრთხილებთ, ბატონო. ეს ქალაქი არ დაუშვებს რომ მინდვრის მუშაკთა კონვენტი მართავდეს მას.“

„მე კი, ბატონო, გეუბნებით,“ წყნარად წარმოსთქვა პოლკოვნიკმა გრეისმა, რომ ეს ქალაქი სწორედ ისე მოიქცევა, როგორც ჩვენი მფავრობა უბრძანებს.“

„აქაურები ამაყი ხალხია.“

„ეს ისეთი სიამაყეა, რომელმაც ნახევარი მილიონი კაცი საფლავში ჩააწვინა,“ მიუგო პოლკოვნიკმა.

მაიორი ჯეიმსი თავის ადგილზე დაბრუნდა და გიდიონის უფლება სამხრეთ კეროლაინის შტატის კონსტიტუციურ კონვენტში მონაწილეობის მიღებისა ხელისმოწერით დაადასტურა.

გიდიონი სამხედრო სამმართველოს კანტორიდან გამოდიოდა, როცა იგი კარგად ჩაცმულმა მოყვითალო სახის ზანგმა გააჩერა; მან გიდიონს თავი ფრენსის ლ. კარდოზოდ გააცნო და მერმე ჰკითხა:

„თქვენ კონვენტის წევრი ხართ?“

„აჰა.“

„საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, თქვენთან ერთად რომ გამოვიარო?!“

„რა ვიცი, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო,“ ყოყმანით მიუგო გიდიონმა; იგი ცოტა არ იყოს ჩაეფიქრა კარგი ქცევისა და კარგად ჩაცმული უცნობის ასეთმა მოტმასნებამ. ისინი ქუჩას დაბლა ჩაჰყვნენ; გიდიონი დროდადრო ირიბად თვალს ავლებდა უცნობს, ბოლოს კარდოზომ თავი ოდნავ დაჰხარა და იკითხა: „ნება მიბოძეთ, სახელი გკითხოთ, ბატონო!“

„გიდიონ ჯეკსონი.“

კარდოზომ სთქვა, რომ ისიც კონვენტის წევრი იყო, ჩარლსტონის ოლქიდან, და მერე გიდიონს ჰკითხა, კონვენტის ზოგიერთ სხვა წევრს თუ შეხვდებოდითო. ისინი კარდოზოს სახლში შეიკრიბებოდნენ დღეს დაახლოებით ნაშუადღევის სამ საათზე და კონვენტის საკითხებზე იმსჯელებდნენ. ხომ არ შეხვედრია გიდიონი ჯერ რომელიმე დელეგატს?

„არა მგონია“. უპასუხა გიდიონმა.

„როცა კონვენტი შეიკრიბება, რა თქმა უნდა, შეხვდებით და გაიცნობთ, მაგრამ დღევანდელმა შეხვედრამ, შესაძლებელია, ზოგიერთი რამ გაარკვიოს. ვინც დღეს ჩემთან იქნება, დამერწმუნეთ, მისტერ ჯეკსონ, კარგი ხალხია.“

„დიდი სიამოვნებით მოვიდოდი,“ სთქვა გიდიონმა.

„მაშ მოდით, მე მისამართს დაგიწერთ.“

მან ბარათზე მისამართი დასწერა და გიდიონს გადასცა. მერე მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გიდიონმა თავისი გზა განაგრძო; კარდოზოს მიმართა — „მისტერ ჯეკსონ“—შეხმატკბილებული ბგერებით სასწაულებრივად ჟღერდა მის ყურებში. ხვალ კონვენტის დაწყების დღეა. გიდიონის გულს ახლა განუწყვეტლივ ბაგა-ბუგი გაჰქონდა. იგი მარდი ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში და თავის თავს ეუბნებოდა: „მზის ნათელი ეფინება ქვეყანას. იესო ქრისტე მოგვევლინა. მონად დავიბადე და ალბათ გუშინდელ დღემდე მონა ვიყავი. ჩემი ბალღები, ისინიც ხომ მონებად დაიბადნენ. აბა ახლა შეხედე, აბა ერთი ახლა შეხედე!“

ქუჩაში თეთრი კაცი მოდიოდა სწორედ გიდიონის მოპირდაპირე მიმართულებით; იგი ჯიქურ მოუახლოვდა გიდიონს, ღრმად დარწმუნებული, რომ ზანგი გზას დაუთმობდა. გიდიონი კი ფიქრებში იყო წასული. ისინი თავებით შეეხლებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უკანასკნელ წუთში თეთრმა გვერდზე გადასდგა ნაბიჯი და ხელში დაჭერილი ჯოხი მთელი სიგრძით გადაჰკრა გიდიონს ზურგზე. ამ დარტყმამ გიდიონი უმალვე სინამდვილეში გადმოისროლა; იგი იდგა გაოგნებული, კუნთებდაჭიმული, შერცხვენილი, ზურგზე დანაკრავი ეწვოდა, გულში იზრდებოდა რისხვა, რისხვა და სირცხვილის გრძნობა, და სურვილი თეთრ კაცს სცემოდა მყისვე, მაგრამ იგი რაღაც ახალმა გრძნობამ შეაჩერა, გულმა რაღაც უთხრა მას; ამასობაში თეთრმა კაცმა კუთხესთან მოუხვია და თვალს მიეფარა.

გიდიონმა გზა განაგრძო; ქვეყანა ძველ ადგილს დაუბრუნდა, მას აქა-იქ შეკეთება სჭირდებოდა კიდევ, იგი სრულყოფილი არ იყო ჯერაც და გიდიონი თავის თავს ეკითხებოდა: „რატომ უნდა მოქცეულიყო ის თეთრი კაცი ასე?“.

გიდიონს ოცდახუთი ცენტი ჰქონდა ჯიბეში დარჩენილი. გრილმა სასიამოვნო ამინდმა ჭამის მადა გაუღვიძა. ზემოდან გადახურულ ბაზარში იგი ერთ დახლთან შეჩერდა, სადაც ხახვიანი ბრინჯის მთელ თეფშს, ორთქლი რომ ასდიოდა, ხუთ ცენტად ჰყიდდნენ. მერმე გიდიონმა გაზეთი იყიდა და დოკებისკენ გაემართა. იქ იგი ბამბის ნაკრაულზე ჩამოჯდა და გაზეთი გაშალა; ზურგში მწარე ტკივილმა თითქმის სავსებით გაუარა. გიდიონი კითხვას შეუდგა, იგი კვლავ განიცდიდა დაბეჭდილი სიტყვის საკვირველებას, რაც თავისებურ აღტყინებას იწვევდა მასში და კანს მღელვარების ჟრუანტელით უსუსხავდა.

„ჯორჯიადან მოსული ცნობებით მოსალოდნელია უფრო მეტად სტაბილიზებული“—სიტყვა, რომელსაც გიდიონმა გონებაში ხაზი გაუსვა მომავლისათვის, იდუმალი რამ, რის გამოსათქმელადაც იგი ახლა ტუჩებს ამოძრავებდა: „სტაბ-სტალაბლ-არა, სტეი-ბილი“ და შემდეგი თვალი მომდევნო სიტყვას მოხვდა: „მყობადი ბამბისა ნიუ-იორკის ბაზარზე“ — რასნიშნავდა „მყობადი?“ სიტყვა „ბაზარი“ მას ესმოდა — ადგილი, სადაც ყიდიან და ყიდულობენ, შინაურული სიტყვა, მაგრამ ეს რა ბაზარი იყო ისეთი ნიუიორკში, სადაც ბამბა „ბამბის მყობადად“ იქცეოდა? გიდიონს თვალები აეწვა და რული მოერია; მან ჩასთვლიმა კიდეც შუადღის სითბოში,

მაგრამ დროდადრო თვალებს ახელდა და კვლავ გაზეთს აცქერდებოდა. მისი მზერა ახლა შემთხვევით ასეთ სიტყვებს წააწყდა: „შავი ველურები კონგოდან". — კონგო კეროლაინაში იყო ნეტავი, თუ ჯორჯიაში? „ველურები" ნაცნობი სიტყვა იყო მისთვის, ზანგს წითელკანიან ინდოელად რომ ხატავდა. გიდიონმა მზეს აჰხედა და დაასკვნა, რომ დაახლოებით სამი საათი უნდა ყოფილიყო უკვე.

იღლიაში ამოჩრილი სათუთად დაკეცილი გაზეთით გიდიონი კარდოზოს ბინაზე მოვიდა. მან თავაზიანად დაჰხარა თავი, როცა იგი მისტერ ნეშს, მისტერ რაიტს და მისტერ დელანის გააცნეს. ყველანი შუახნის ზანგები იყვნენ, ჩარლსტონის მცხოვრებლები. გიდიონის ტანსაცმელის დანახვაზე მათ წარბი შეჰხარეს და მაშინაც, როცა გიდიონმა სოფლელი მონის დუნეკილოზე ერთმანეთზე გადაბმულად ორიოდე სიტყვა წარმოსთქვა. მისტერ ნეშმა განაცხადა:

„მისტერ ჯეკსონ, თქვენ უთუოდ მიღებული გექნებათ ზოგიერთი ინსტრუქცია თქვენს ამომრჩევლებისაგან."

„ჩვენ ვაღიარებთ ფორმულირებულ პროგრამის საჭიროებას," დაურთო მისტერ დელანიმ.

„არ ვიცი," ჩაილუღლუღა გიდიონმა.

მათ შორის კარდოზოს უფრო აღმოაჩნდა გულისხმიერ მიხვედრის უნარი. „ეს მაღალფარდოვანი ლაპარაკია, მისტერ ჯეკსონ," გაუღიმა მან გიდიონს. „როცა კაცი კანონმდებლობას იწყებს, ნახევარ ჭკუას შარვლის ჯიბეში იდებს და ცდილობს მეორე, აქამდე გამოუყენებელი ნახევარი მოიმარჯვოს, რომლის არსებობა თავადაც არ იცოდა".

გიდიონმა კვერი დაუკრა და თანაც გუნებაში გადასწყვიტა, რომ სიტყვა არ დასცდენოდა და მათთვის ყური ეგდო მარტოოდენ. მისტერ რაიტმა სრული უიმედობა გამოსთქვა მომავლის გამო. იგი კარდოზოს ეუბნებოდა:

„კი მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, ფრენსის, ოცდაათი დელეგატი მაინცაა ისეთი წერა-კითხვა რომ არ იცის."

გიდიონმა სიხარულით გაიფიქრა, რომ მას იღლიაში დაკეცილი გაზეთი ეჭირა. რას ფიქრობენ მასზე, რატომ სთხოვეს მოსვლა?

„მით უკეთესი." თავის დაქნევით მიუგო კარდოზომ.

„თუ შეიძლება, გამაგებინე, რას ამბობ!"

„ფრენსისს უნდა დავეთანხმო". სთქვა ნეშმა. „წერა-კითხვის მცოდნედ ამ ქვეყნად სასწაული არ მოუხდენიათ ჯერ."

„რა თქმა უნდა, ეს სოფისტიკაა. ჩვენს წინაშეა პრობლემა: კონსტიტუციის გამომუშავებაში მიწის მუშები მიიღებენ მონაწილეობას; რომ არაფერი ვთქვათ იმ მრისხანებაზე, რომელსაც ეს ამბავი იწვევს თეთრ მოსახლეობაში; ჩვენს წინაშე დგას მეტად რეალური საკითხი სწორედ მიწის მუშების შესახებ. როგორ მოიქცევიან ისინი?"

„მათთვის თავის გართმევა არაა ძნელი."

კარდოზომ ხუმრობის კილოზე წარმოსთქვა:

„როგორ გგონიათ, მისტერ ჯეკსონ, იოლია თქვენთვის თავის გართმევა?"

„ბატონო?..." გიდიონს ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იგი მიზანში ამოეღოთ; დარცხვენილობას გულის წყრომა სცვლიდა.

„ნუ ჯავრობთ, მისტერ ჯეკსონ," სთქვა კარდოზომ. „თქვენ მონა იყავით."

„ვიყავი."

„მიწის მუშა?"

„მართალია."

„როგორ უყურებთ ამ კონსტიტუ-

ციის საქმეს? სერიოზულად გეკითხებით რა გინდათ, რომ იყოს კონსტიტუციაში, რომლის გამომუშავებაში თქვენ წილი გექნებათ?"

გიდიონმა მათ თვალი შეავლო: ზორბა ტანის ნეში, ტანწერწეტა, თითქმის ნატიფი კარდოზო, კარგად ნასუქი მსახურივით ჩამრგვალებული და შემპარავი რაიტი; ოთახი, რომელშიაც ისინი ისხდნენ, ოთახი, რომელიც თავისი სიკოხტავით გიდიონის წარმოდგენას აღემატებოდა: ქსოვილით გადაკრული რბილი სკამები, ციყვის ფიტული, იატაკზე დაგებული ნოხი, კედლებზე ფერადი ფანქრით ნახატი სამი სურათი. როგორ მიაღწია შავმა კაცმა ყოველივე ამას? სადაა მისი ადგილი ამ ნივთებს შორის?

„ნუ იწყენთ, მისტერ ჯეკსონ," არ ეშვებოდა მას კარდოზო.

გიდიონმა თავი ჩაიქნია.

„მე არ ვდიდგულობ. ვიცი, თქვენ რომ კაცზე ლაპარაკობთ, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, ზანგი, ფეხით რომ ჩამოსულა ბამბის მინდვრებიდან — ეს მე ვარ სწორედ. რა მინდა კონსტიტუციისაგან? შეიძლება ის არა, თქვენ რომ გინდათ, — მე მინდა სწავლა, ყველასთვის შავებისთვისაც და თეთრებისთვისაც. მინდა თავისუფლება რკინის ბურჯივით საიმედო. მინდა, რომ ქუჩაში არავინ მკრავდეს ხელს გვერდზე გადასაგდებად. მინდა პატარა ფერმა, სადაც ზანგს მთელი თავისი სიცოცხლე შეეძლება სთესოს და მოსავალი მოიწიოს. ესაა, რაც მე მინდა."

სიჩუმე ჩამოვარდა. გიდიონი შეკრთა და თანაც უმიზეზოდ რაღაც გამომწვევი და ამაყი სიძლიერე იგრძნო თავის თავში — კაცი, რომელმაც ბევრი სიტყვა სთქვა, მაგრამ აზრიანი არცერთი! ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებმა გამომშვიდობება დაიწყეს, მაგრამ როცა გიდიონი წამოდგა, კარდოზომ მას სახელოში ხელი წააავლო და სთხოვა ერთი წუთით დარჩენილიყო, და როდესაც სხვებმა წავიდნენ, იგი გიდიონს მიუბრუნდა.

„გთხოვთ, ჩაიზე დარჩეთ, ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ, უჭკუობა იყო ხომ ჩემის მხრით, ამ ხალხს რომ შეგახვედრეთ?"

„არა უშავს," თავი ჩაიქნია გიდიონმა; მას უნდოდა წასვლა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ეს.

კარდოზომ თხოვნა გაიმეორა. „არ დარჩებით? რამდენი რამ გვაქვს სალაპარაკო!"

გიდიონმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

„მაშ ამ ამბავს ასე შევხედოთ," დაიწყო კარდოზომ. ჩვენ, თავისუფალი ზანგები, ცოტანი ვართ; შესაძლებელია ისე ახლოს არ ვდგავართ ჩვენს ხალხთან, როგორც უნდა ვყოფილიყავით. ოთხ მილიონ მონასთან შედარებით ჩვენ სულ ცოტა ვიყავით; ჩვენ წიგნისთვის ხელი მიგვიწვდებოდა და ამიტომაც ცოტა სწავლა მივიღეთ: მაგრამ დამიჯერეთ, ერთის მხრით თქვენზე უფრო ჩვენ წარმოვადგენდით მონებს. კავშირის მთავრობა, რომელსაც ომში შექმნილი სამხედრო მანქანა უმაგრებს ზურგს, სამხრეთის ხალხს, თეთრსა და შავს ეუბნება, ახალი ცხოვრება ააშენეთ, თავიდან დაიწყეთო: ახალი კონსტიტუცია, ახალი კანონები, ახალი საზოგადოება შეჰქმენითო. ამას თეთრი პლანტატორები ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ისინი დამარცხებული არიან; დამარცხებული მაინც გაექცნენ ხმის მიცემას და ამის შედეგად ჩვენს შტატში შავებმა, გუშინდელმა მონებმა თავისი საკუთარი ხალხი ამოირჩიეს და კონვენტში გამოგზავნეს. გიდიონ, იცით, რომ ჩვენ, შავები, უმრავლესობას შევადგენთ, რომ ასოცდაოთხ დელეგატიდან სამოცდათექვსმეტი ზანგია? იცით, რომ მათგან ორმოცდაათზე მეტი ყოფილი მონაა? ახლა 1868 წელია; რა ხანია, რაც მონო-

ბიდან გამოვედით? ისრაელის შვილებმა ორმოცი წელი იარეს უდაბნოში.“

ცოტა ხნის შემდეგ გიდიონმა წაილუღლუღა: „როცა შიში მიპყრობს, საღვთო წერილს არ ვიხსენებ. მე ღვთის მოშიშარი კაცი ვარ, მაგრამ თოფი ავიღე ხელში და ჩემი თავისუფლებისთვის ვიბრძოლე მაშინ, როცა ყველაზე დიდი შიში მქონდა გულში.“

„რაღას იზამენ ეს მიწის მუშები საკანონმდებლო საკრებულოში?“

„რას იზამენ? ისინი შავი ველურები კი არ არიან, გაზეთი რომ ამბობს. მათ ცოლი ჰყავთ და შვილი და გულში სიყვარული აქვთ. ისინი იტყვიან რაა კარგი ჩემთვის, ჩემი ქალისთვის, ჩემი ბავშვისთვის და ამას მისცემენ ხმას. ისინი სწავლას არიან მოწყურებული, და ამისთვისაც ხმას მისცემენ. მათ იციან რაა მონობა, და თავისუფლებას მისცემენ ხმას. ისინი მედიდურობას არ დაიწყებენ. ხელი მოჰკიდე და ღვთით წინ გაუძეღ — ისინიც გამოგყვებიან. მაგრამ ზურგზე მათრახს ნულარ გადაუჭირებ; მათ უკვე იციან თავისუფლების გემო.“

„ეს დიდ გამბედაობას მოითხოვს ჩემგან, გიდიონ.“ დაფიქრებით წარმოსთქვა კარდოზომ.

„მეც გამბედაობა დამჭირდა, რომ ამ კონვენტზე მოვსულიყავი.“

„განა არ ვიცი! მიამბეთ რამე თქვენს შესახებ, გიდიონ!“

გიდიონმა მოუთხრო ნელა, ბორძიკით. როცა მან დაამთავრა, დაბინდებული იყო უკვე. მას ყელი გამშრალი ჰქონდა, ისე იყო გასავათებული. წასვლის წინ კარდოზომ ორი წიგნი მისცა, ერთი ჯელდონის „მართლწერის საფუძვლები“ და მეორე—ფიტცროისა და ჯეიმსის „ინგლისური სახელმძღვანელო“. ახლა პირველად თავის სიცოცხლეში გიდიონს ნამდვილი წიგნები ეჭირა ხელთ; ისე სათუთად ეჭირა ისინი თავის დიდ ხელებში, თითქოს კვერცხის ნაჭუჭისაგან ყოფილიყვნენ გაკეთებული. გიდიონმა მეხსიერებიდან ერთი სახელი ამოჰქექა და მერე კარდოზოს ჰკითხა:

„შექსპირის წიგნი გაქვთ?“

კარდოზო ერთი წუთით შეყოყმანდა, მერე არც კი გაჰღიმებია, ისე მივიდა წიგნების პატარა თაროსთან, „ოტელო“ გადმოიღო და გიდიონს გადასცა.

„გმადლობთ,“ სთქვა გიდიონმა.

კარდოზომ თავი დაუქნია მას და სტუმრის წასვლის შემდეგ ცოლს უთხრა:

„რომ გამცინებოდა, რომ გამცინებოდა! ღმერთო მიშველე, ძლივს შევიკავე თავი! რა ცხოველები ვართ ყველა!“

გიდიონმა კარტერს სთხოვა, კარდოზოს შესახებ მიამბეო რამე.

„იგი ნაწილობრივ ებრაელია,“ სთქვა კარტერმა, „ამიტომაა, ასეთი გვარი რომ აქვს. ამპარტავანი ზანგია.“

გიდიონმა, რომელსაც მანამდე ებრაელი არ ენახა, სთქვა: „ისეთივე შესახედაობა აქვს, როგორც ყოველ შავს.“ „მაგრამ მედიდურია,“ დაურთო კარტერმა.

ნახევარი ღამე გიდიონმა მართლწერის წიგნზე გაატარა; იგი გაზეთის კიდეზე იწერდა სიტყვებს, ხმამაღლა წარმოსთქვამდა მათ და ცდილობდა სმენით დაეჭირა, რამდენად უცნაურად ჟღერდნენ ისინი. მისმა შეუჩერებელმა ბურდღუნმა კარტერი ფეხზე წამოაგდო.

„ავად ხარ?“ იკითხა კარზე მომდგარმა მასპინძელმა.

„ვსწავლობ,“ ბოდიშის კილოზე უპასუხა გიდიონმა.

მართლწერის წიგნი გასაოცარი რამ იყო, მაგრამ სიტყვების მნიშვნელობას არ ხსნიდა, და გიდიონი ფიქრობდა, ნეტავ თუ არისო ისეთი წიგნი, რომელიც კაცს ეტყვის, ეს სიტყვა ამასა

და ამას ნიშნავსო. მან ენის ხმარების წიგნიც გადაფურცლა; დაბოლოს „ოტელოს“ მიუბრუნდა, მაგრამ პირველივე სტრიქონების წაკითხვამ იმედის ნაპერწკალი მყისვე ჩაუქრო.

ი ა გ ო: ამაზე ვფიქრობ; მაგრამ ახლა უნდა გამოვტყდე
რომ ფანტაზია ამ ჩემს გოგრას ვეღარ სცილ-
დება,
ვით ბობოწვერა ფრაიზის შალს ჩაწებებული».

და გიდიონს ჩაეძინა თავის ტკივილით და ისეთი სასოწარკვეთილებით მოცულს, როგორიც მას აქამდე არ გამოეცადა.

კარდოზო გიდიონზე უფრო დიდხანს იწვა მღვიძარე. სამი წიგნისაგან დატოვებული სიცალიერე თაროზე თითქოს ხარვეზი იყო მის ცხოვრებაში, ხარვეზი კაცობრიობის ისტორიაში — ადამიანის ცხოვრების მტკივნეულ და მდორე ნაკადში. როგორ მოხდა, რომ იგი გიდიონ ჯეკსონს შეხვდა? ვინ იყო ეს უზარმაზარი, ნელი მოლაპარაკე შავი კაცი, რომელიც კეროლაინის სოფლიდან, მონობიდან, სიბნელიდან მოსულა, და რატომ გრძნობდა კარდოზო თავს ასე პატარად მის წინაშე? რა იყო ადამიანის საზომი? იგი კარდოზო, თავისუფალ ადამიანად დაიბადა; მისი მეხსიერება ინახავდა გლაზგოუს უნივერსიტეტის განათლებას, ქალაქგარეთ გამართულ წვეულებებს მდიდარ ლონდონელებთან, დიდ კრებას, როცა იგი სამი ათასი ინგლისელის წინ სიტყვით გამოვიდა და ღირსეულად, დიდი პატივით იქნა მიღებული. მას მრავალი ოკეანე გადაუცურავს, დიდ, ცნობილ ადამიანებთან სტუმრად ყოფილა.

იგი მღვდლად იყო ნიუ ჰევენში და აბოლიციონისტები არაერთხელ შეკრებილან მის სახლში შეთქმულებათა მოსაწყობად. მის ვენებში ოეთრისა და შავის სისხლი დიოდა; ზანგი და ინდოელი, ებრაელი და ქრისტიანი ერთმანეთში გადაქსოვილიყვნენ. ჩარლსტონის თეთრი მცხოვრებლებიც კი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას.

და მაინც იგი გიდიონ ჯეკსონში ხსნას ჰხედავდა, თუ საერთოდ, ხსნა შესაძლებელი იყო ასეთი არევ-დარევის წყვდიადში. ვეებერთელა, უსწავლელი შავი კაცი იმ მზეს შესცქეროდა, რომელსაც კარდოზო ვერ ხედავდა. იგი იწვა ფხიზელი და შორით ფიქრობდა განთავისუფლებულ მონაზე.

რაც უნდა ნელი სჩანდეს დროის მსვლელობა, დაბოლოს, რაც მოსასვლელია, მაინც მოდის. — კონვენტიც მოვიდა და გიდიონ ჯეკსონი ახლა დელეგატებს შორის იჯდა. მას მოეჩვენა, თითქოს ამ წუთში დრომ მსვლელობა შესწყვიტაო. იგი იჯდა წყნარად, გაუნძრევლად, ხმაგაკმენდილი, მთელი ქვეყანა განაბული იყო. იგი სუნთქვასაც ძლივს ბედავდა. სუნთქვა მართლაც არ იყო ადვილი ამგვარად გაჭედილ დარბაზში; სკამების რიგები საფეხურებად იყვნენ განლაგებული ერთმანეთზე მიყოლებით, შავი და თეთრი სახეები მჭიდროდ გამწკრივებულნი, სოფლურ ტანსაცმელში და ქალაქურ ტანსაცმელში, კოპწია ტანსაცმელში და უფერულ ტანსაცმელში ჩაცმულნი, შავ გაჯგიმულ სერთუკებში და ძველ სამხედრო ხალათებში ჩაცმულნი, მოხუცებულნი და ახალგაზრდები, მონებად დაბადებულნი და თავისუფალ ადამიანებად დაბადებულნი, სკელაუეგები, კარპიტბეგერები[1] და მზისაგან გარუჯული იუნიონისტები;[2] მთებიდან მოსული მეამბოხეებთან ერთად ნაბრძოლი კაცები გვერდით უსხდნენ იანკებთან ერთად ნაბრძოლთ;

[1] ჩრდილოეთის შტატების მკვიდრნი, რომლებიც სამოქალაქო ომის შემდეგ ზანგების ხმათა წყალობით პოლიტიკურ როლს თამაშობდნენ სამხრეთში.

[2] კავშირის (ფედერაციის) მომხრენი, ომში ჩრდილოეთის მხარეზე იბრძოდნენ.

არა, მართლაც რომ ძნელი იყო სულის მოთქმა.

და თითქოს ეს საკმარისი არ იყოო, ჩარლსტონელებს სახლები მიეტოვებინათ და გაჭედილ დარბაზში შემოსვლას ლამობდნენ ცირკი რომ ენახათ, „კუდაბზეკილი მაიმუნები“ და „შავი ბაბუინები.[1]“ პრესაც აქ იყო: არა მარტო ადგილობრივი რეპორტიორები, არამედ ჯორჯიადან, ლუიზიანადან, ალაბამიდან და სამხრეთის სხვა შტატებიდან მოსული ზიზღითა და ბრაზით აღსავსე ჟურნალისტები, გამზადებულნი, რომ ეს სიგიჟე ერთხელ და სამუდამოდ დაესამარებიათ, გამოჯაგული ნიუიორკელი რეპორტიორები, რომლებიც ცდილობდნენ ამ ორომტრიალში ადგილობრივი კოლორიტის ისეთი თავისებურებანი დაეჭირათ, დიდი ქალაქის მკითხველები სათანადოდ რომ დააფასებდნენ; აქ იყვნენ აგრეთვე ბოსტონელი რეპორტიორები — აბოლიციონისტურ სარედაქციო სტატიების ავტორები ახალ ინგლისიდან, და, რა თქმა უნდა, უაშინგტონის ხალხი, რომელიც განსაკუთრებით ყურმახვილი იყო ყველაფრის მიმართ, რაც დედაქალაქში მითქმამოთქმას გამოიწვევდა. დაუმატეთ ამას იანკის ჯარისკაცები, რომლებიც დარბაზს რკალად შემოჭკროდნენ, და თქვენ სათვალავში არ დაგაკლდებოდათ არც ერთი სულიერი, რომელსაც კი დარბაზი დაიტევდა.

მაგრამ საშიშროებისა და მღელვარების მოლოდინთან შედარებით სესიის პირველმა დღემ მშვიდად და წესიერად ჩაიარა.

სიის ამოკითხვის შედეგ სამხრეთ კეროლაინის ყოფილი გუბერნატორი ორრი წამოდგა მისასალმებელ სიტყვის სათქმელად. იგი სპეციალურად იყო მოწვეული, რაც დელეგატების მხრით ჟესტს წარმოადგენდა ნიშნად იმისა, რომ კონვენტი მთელ საზოგადოებასთან აპირებდა თანამშრომლობას და არა განკერძოებით. ფუშარგს. დარბაზი გაიტრუნა; გიდიონი ფიქრგადაიხარა, რომ არცერთი სიტყვა არ გამოჭპაროდა. დასაწყისი კარგი იყო. ორრი ლაპარაკობდა განათლების უაღრეს საჭიროებაზე ყოფილ მონებისთვის. მაგრამ მერე მან სავსებით, გარკვეულად განაცხადა, რომ დელეგატები შტატის არც განათლებულ ხალხს, არც სიმდიდრეს და პოტენციალსაც კი არ წარმოადგენდნენ. ყალბი წარმოდგენის შედეგიაო მათი ლაყბობა — და ისინი მართლაც ლაყბობენო—საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ.

გიდიონმა ბევრი რამ ვერ გაიგო ამ სიტყვებიდან. მას თავის თავზე გული მოსდიოდა იმის გამო, რომ იგი ვერ წვდებოდა სანახევროდ გამოთქმულ და სანახევროდ ნაგულისხმებ აზრებს, რომ ყოველი მესამე თუ მეოთხე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარი რჩებოდა მისთვის. ნუთუ ორრი დასცინოდა მათ? ზიზღით უცქეროდა, თავს ესხმოდა მათ?

როდესაც ორრმა სიტყვა დაასრულა, აქა-იქ კანტი-კუნტად ტაში გაისმა. ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. მერმე მომდევნო სხდომის დღის წესრიგი გამოიმუშავეს, რის შემდეგ გამოაცხადეს, რომ კონვენტის მუშაობა მეორე დღემდე შეწყვეტილიყო.

გიდიონმა ყური მიუგდო ქუჩაზე შეგროვილ დელეგატების ერთ ჯგუფს; ისინი გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ყველანი სოფლელები იყვნენ, ძვალმსხვილი, ჩასკვნილი მიწის მუშები, რომელთა მხრები გუთანთან გატარებულ წლებზე მეტყველებდნენ. ერთი მათგანი—კუპრივით შავი მოგრძო სახის და მკვეთრთვალებიანი ხანშიშესული კაცი ამბობდა:

„განათლება ჩვენ ვინ მოგვცა; აბავის აქვს განათლება ამ ჩვენს შტატში?

[1] მაიმუნის ჯიშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ოლქია ისეთი, ერთი სკოლაც რომ არა აქვს! მდიდარს რა ენაღვლება, სახლში მასწავლებელს მოიყვანს, შვილებს ევროპაში გააგზავნის. მაგრამ განა ესაა, ორრი რომ განათლებას ეძახის, ასეთი სწავლა? რამდენი ხანია ჩვენ რომ ასე ვართ? — თავისუფლების ორი წელიწადი და ერთი დღე კონვენტისა. მე გეკითხებით, რატომ უნდა ამ კაცს ჩვენი დაჩაგვრა?."

ერთმა მაღალმა ძვალმსხვილმა თეთრმა ჯგუფის შუაგულისაკენ იდაყვებით გზა გაიკვლია და ენის ბორძიკით სთქვა ნელა, მთიულურ კილოზე:

„მიზეზი ბევრია, ძია კაცო".

„მაინც რა?"

„ძიაკაცო, რატომ თვალებს არ გაახელთ ზანგები? თუ ამ თანასწორობის საქმეს მხრებით არ შევუდგებით, იგი წყალს ვერ დაიჭერს. თქმა არ უნდა, რომ ისინი ლაპარაკით ხმას ჩაგიწყვეტენ თქვენცა და მეც. შენ ზანგი ხარ, მე-თეთრი ნაძირალა.[1] თეთრმა ნაძირალებმა მე ამომირჩია, ზანგებმა შენ; შესაძლოა, რამდენიმე შენისთანამ მეც მომცა ხმა და რამდენიმე ჩემისთანამ — შენ. მე ზანგის მოტრფიალე არა ვარ, მაგრამ ფიქრი ისეთი მიყვარს, რომ ორჯერ ორი ოთხი გამოვიდეს, ასეთი ფიქრი მეუბნება, რომ, თუ ჭკუით მივყვებით, ყველაფერს გავაკეთებთ; მაგრამ იმას კი აღარ მეუბნება, რომ ისინი ამიერიდან პირუტყვს არ დაგვიძახებენ."

„შენ რაღას აპირებ, თეთრო?" ჰკითხა მას ვიღაცამ.

„ჭკუა მოვიხმარო. ამ კონვენტიდან სკოლები გამოვიტანო და ხმის უფლება. კარგად ვიცი, რას იტყვიან ჩემი მტრები."

„მერე და სთქვან?"

„სთქვან. მე კი ჩემსას ვიტყვი."

„მიწის შესახებ როგორღა იქნება? სკოლებში და ხმის მიცემაში რა ხეირია, თუ სარჩოს მოყვანის საშუალება არ გვექნა?"

„მიწა", თითქოს ღეჭვით წარმოსთქვა თეთრმა.

„აბა ერთი მიწა სთხოვე შენ იმათ, ძმობილო, დიდიან-პატარებიანად ცემით ტყავს გაგაძრობენ. ეს კონვენტი მიწას ვერ მოგვცემს; მიწა თუ გვინდა, უნდა ვიმუშაოთ, ოფლი ვღვაროთ და ისე ვიყიდოთ."

„ალბათ ასი წელიწადი მაინც გვიმუშავნია ამ მიწაზე, მაშ ვინ მუშაობდა? ჩვენ არ ვთესდით, ჩვენ არ ვიწევდით მოსავალს? ისინი კი წავიდნენ და ქვეყნის დანგრევა მოინდომეს. ვის აქვს ამ მიწაზე ჩვენზე მეტი უფლება?."

„ეს უფლების საქმე არაა, ძიაკაცო, ეს საკუთრების საქმეა. მე ვარსკვლავებს არ დავუწყებ თოფის სროლას, სჯობია აგერ გორაკის ფერდობს დავუმიზნო."

კამათი თანდათან უფრო ცხარე ხდებოდა. გიდიონმა დაინახა, რომ თეთრმა კაცმა ჯგუფი დასტოვა და გზას გაუყვა. გიდიონი მას აედევნა და მერე სახელოზე წააკარა ხელი.

„მისტერ!"

თეთრი შედგა; გულგრილი ცისფერი თვალებით შეჰხედა გიდიონს და მერე თითქოს გზის გაგრძელება დააპირა. გიდიონმა იგრძნო რაღაც, რაც

[1] white trash — „თეთრი ნაძირალა", ასე უწოდებენ ღღესაც ამერიკის ღატაკ ფერმერს; trash ნიშნავს ნაყარ-ნუყარს. ნაგავს, ნაძირალა თხლეს და ა. შ.

2 „მნათობი", № 11.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობის შინაგან ბრძოლას მოწმობდა: სამხრეთის მკვიდრს, სამხრეთში დაბადებულსა და გაზრდილს სძულდა მონობის სისტემა, რომელმაც იგი უმიწაწყლო მათხოვრად აქცია, მაგრამ მას ზანგებიც სძულდა, რადგან ეკონომიურმა პირობებმა იგი ზანგების სოციალურ კლასში გადაისროლა; ახლა მას ღირსების ერთადერთი ნიშნად თეთრი კანი შერჩენოდა მხოლოდ.

„თუ შეიძლება, ბატონო, თქვენთან ლაპარაკი მინდა.“ მიმართა გიდიონმა უცნობს. „მე გიდიონ ჯეკსონი ვარ.“

„ჩემი სახელია ენდერსონ კლეი,“ უხალისოდ დააქნია თავი თეთრმა და გზა განაგრძო. გიდიონი გვერდით გაჰყვა.

„მე არ მინდა,“ წამოიწყო გიდიონმა. „მე არა... თავხედობად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ გავიგონე, რაც თქვენ მიწის შესახებ თქვით. ძალიანაც დიდი ვნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რომ ჩემს ხალხს მიწა ჰქონდეს. თქვენ გგონიათ, რომ ისინი არაფერს არ მოგვცემენ?“

„ღმერთმა დალახვროს, არაფერსაც არ მოგვცემენ!“

„მაშ როგორღა უნდა ვიცხოვროთ?“

ზანგო, ეს შენი საქმეა; როგორც გინდა, ისე იცხოვრე.“

გიდიონი ცოტა ხანს მდუმარედ მიჰყვებოდა გვერდით კლეის; ბოლოს იკითხა:

„იქნებ ერთხელ კიდევ ვილაპარაკოთ ამაზე?“

„რატომ არა!“

„მიხარია, რომ გაგიცანით.“ სთქვა გიდიონმა.

რამდენიმე დღის შემდეგ გიდიონი შეუდგა წერილის წერას; ეს იყო მისი პირველი წერილი და იგი სასწაულივით განიცდიდა ყოველი დაწერილი სიტყვის საკვირველებას. იგი ცოლს სწერდა:

„ძვირფასო მეუღლევ რეიჩელ,

გამუდმებით შენზე ვფიქრობ შენ სურათს წარმოვიდგენ ხოლმე. ყოველთვის ვფიქრობ, რომ ლაშაში ხარ. როგორც მაშინ, როცა იანკებთან ერთად ვიყავი ომში, თავს დარდიანად ვგრძნობ, რადგან შენგან შორს ვარ. წიგნებით ვსწავლობ ჩემთვის წერა-კითხვას და დელეგატი ვარ კონვენტში, კარგი კანონები რომ დავწეროთ. ჩემი ჯამაგირი ძალიან დიდია, 3 დოლარი დღეში და უფრო მეტ წილს ვინახავ. ძილის წინ ყოველ ღამით შენ და ბავშვებს გხედავთ და ვლოცულობ, რომ ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ასე კარგად ვწერ წიგნის დახმარებით, მაგრამ ვსწავლობ კი. ერთხელ კონვენტში ჯამაგირის შესახებ ვილაპარაკე. ძალიან მეშინოდა. ამას კამათს უწოდებენ. თუ ჯემს ალენბი მოვიდეს თქვენთან, კარგად მოექეცით ღმერთი გწყალობდეთ. კიდევ მალე მოგწერ“.

ეს წერილი გიდიონმა დიდის ჯაფით რამდენიმე საათის განმავლობაში სწერა შუალამემდე, თითოეულ სიტყვას ამოწმებდა და რვეულში იწერდა, რომელიც საამისოდ ჰქონდა ნაყიდი. წერილმა გიდიონს რეიჩელის, პლანტაციაზე დატოვებული თავისი ხალხის თბილი სიახლოე აგრძნობინა. რას იფიქრებენ ნეტავ ისინი, როცა გაიგებენ, რომ მან კონვენტის კამათში მონაწილეობა მიიღო უკვე? იმიტომ კი არა, რომ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, არა, იგი არც აპირებდა ლაპარაკს, მაგრამ როგორღაც — ზუსტად ვერც კი იგონებდა, — როგორ — იგი ერთბაშად ფეხზე იდგა და ლაპარაკობდა. ეს ის სხდომა იყო, როცა დელეგატთა ჯამაგირის საკითხი ირჩეოდა.

მისტერ ლენგლიმ გახსნა ბჭობა და სთქვა, რომ დღეში თორმეტი დოლარი ზედგამოჭრილი იქნებოდა. „დელეგატები, უეჭველად, ღირსნი არიან ასეთი გასამრჯელოსიო!“ დამსწრე რეპორტიორები გაშმაგებით სწერდნენ. ზან-

ბმა რაიტმა სიტყვა აიღო და სთქვა, რომ ათი დოლარი საკმარისი უნდა ყოფილიყო. „კანონმდებლისათვის საჭირო ღირსების გრძნობა ამით დაკმაყოფილებული იქნებაო“. ქანდარამ კიჟინა დასცა და სპიკერმა ჩაქუჩის ცემით წესრიგი მოითხოვა. თეთრმა პარკერმა თერთმეტ დოლარამდე აუწია ჯამაგირს, რაც კონვენტის ოთხმოცდაათი პროცენტისათვის ფანტასტიკურ თანხას წარმოადგენდა, რადგან მთელი თავიანთი სიცოცხლე მათ ფიზიკურ შრომაში გაეტარებიათ, მრავალი მათგანი მონა იყო, მრავალი — დაქირავებული მიწის-მუშა, ხალხი, რომელსაც ვერცხლის პენი წლობით არ ენახათ. სამმა სკელაუეგმა ორ კარპიტბეგერთან ერთად მხარი დაუჭირა მისტერ ლესლის, ზანგ დელეგატს, როცა მან სიტყვა აიღო და დაიყვირა:

„მე ყაბულს ვარ, სამი დოლარი მივიღო დღეში ჩემი შრომისათვის. მე მინდა, რომ ეს ჩემი სიტყვები, შავი კაცის სიტყვები ოქმში ჩასწეროთ. მე ვფიქრობ — ესაა, რაცაა: ჩემი შრომა მეტი არ ღირს. გეკითხებით თქვენ, დელეგატებო, საკუთარ ჯიბიდან რომ გქონდეთ გადასახდელი ამგვარი საკრებულოს ჯამაგირი, რამდენის გადახდას მოისურვებდით? განა დოლარი და ორმოცდაათი ცენტი საკმარისი არ იქნებოდა? რასა ჰგავს ეს საქმე? — რვა, ცხრა, ათი დოლარი დღეში! ეს თაღლითობას ჰგავს, მეტი არაფერი!“

კანტი-კუნტ ტაშის ცემაში გაისმა ვინმე მისტერ მელროუზის სიტყვები:

„თავსლაფის დასხმაა ასეთი წინადადება, რომ ჩვენი კონვენტის წევრებს დღეში ერთი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი მიეცესო!“

მაშინ იყო, რომ გიდიონმა სიტყვა მოითხოვა. მას სიტყვა მისცეს. ამ წარმოუდგენელ შეხლა-შემოხლაში გიდიონს თავი აღარ ახსოვდა: დარბაზში მისმა ბოხმა ხმამ დაიგუგუნა:

„ვუსმენ ამ ლაპარაკს — დღეში ათი დოლარიო, თერთმეტიო! გაზეთს ვკითხულობ, სადაც ჩვენ ყაჩაღებს გვიწოდებენ, გული ბრაზით მევსება. ჩვენ ყაჩაღები არა ვართ; მაშ საიდანაა ეს.“ ამ სიტყვაზე მას უეცრად მოეჩვენა, რომ იგი საზარელ დანაშაულს სჩადიოდა; გიდიონმა იგრძნო, რომ მას ტანი ცეცხლივით აენთო და მერე უმალ ცივმა ჟრუანტელმა გაურბინა. დანარჩენი სიტყვები უკვე გაუბედავი ბორძიკით გაისმა:

„მე ერთხელ ჩარლსტონს მოვედი— რამდენიმე წლის წინათ, იანკის არმიაში რომ ვიყავი, — რამდენს ვიღებდი მაშინ? დღეში ოც ცენტს, მეტს არა, მაგრამ თავისუფლებისთვის მაინც ვიბრძოდი. მონა ვიყავი, ხელფასი თვალით არ მინახავს. ჩარლსტონში კონვენტის დაწყებამდე მოვედი. ჭამა გინდა? — იმუშავე! მეც ზღვის პირს ჩავედი და ბამბა ვთრაქე ორმოცდაათ ცენტად დღეში, ეს კარგი ხელფასია. საიდანაა, რომ ათ დოლარად ვფასობ ახლა?“ როგორღაც შიში დაავიწყდა გიდიონს და მან უფრო დარწმუნებული ხმით განაგრძო: „შეიძლება მართლა ღირსების საქმე იყოს, როგორც სხვები ამბობენ; მაშინ სამი დოლარი კარგად ეყოფა იმ ღირსებას. ასე—განსხვავებაც იქნება დელეგატსა და დოკის მუშას შორის, თუმცაღა სინამდვილეში არაფერი განსხვავება არაა. მე კი მაინც არ ვღირვარ ათი დოლარი დღეში.“

ასე ილაპარაკა გიდიონმა პირველად კონვენტის დარბაზში და წინადადებაც გაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

როგორ იყო გიდიონ ჯეკსონი ერთი დიდი ფვეულების საპატიო სტუმარი

კონვენტის სესიის დღეები კვირეებად იქცნენ, კვირეები თვეებად და გიდიონიც გათავისუფლდა შიშისა და უცხოობის იმ გრძნობისაგან, რომელიც თან ახლდა მას პირველ სხდომაზე მოსვლისას. გიდიონი იჯდა კონვენტის დარბაზში და ყურს უგდებდა. ზოგჯერ თვითონაც ლაპარაკობდა და მაინცდამაინც საოცარი აღარ იყო უკვე მისთვის ის ამბავი, რომ მის ყოველ ახალ გამოსვლას ხალხი თანდათან უფრო მეტი ყურადღებით ისმენდა.

ყველაფერი ნაყოფს იძლევა. კარტერებთან მის პატარა ოთახში სამი წიგნი თორმეტად იქცა, მერმე კი ეს რიცხვი გაორკეცდა. ყოველ ღამით, ისადილებდა თუ არა, გიდიონი შევიდოდა თავის ოთახში, მოიხურავდა კარს და ლამპის ქვეშ პატარა მაგიდაზე გაშლიდა წიგნებს. სამ საათზე ნაკლებს იშვიათად თუ იმუშავებდა, ხანდახან კი ხუთ საათს, ანდა მთელი ღამე გათენებამდის. ასე იყო, მაგალითად, როცა მან პირველად გაშალა „ბიძია თომას ქოხი". ეს პირველი რომანი იყო მისთვის. როცა კონვენტის ერთმა წევრმა, სახელად დელარჯმა, მას ეს წიგნი შესთავაზა, გიდიონმა უარი თქვა: მოთხრობის წიგნებისთვის დრო არა მაქვსო.

„ეს", უთხრა დელარჯმა, „ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს თქვენი აქ, კონვენტზე ყოფნა".

„წიგნმა?"

„როცა ჩვენი ეიბ ლინკოლნი შეხვდა მისის სტოუს, რომელმაც ეს წიგნი დასწერა, ლინკოლნმა იკითხა: „ნუ თუ ესაა ის პატარა ლედი, რომელმაც დიდი ერი ომის ცეცხლში ჩააგდო?"

გიდიონმა ღიმილით სთქვა: „მე ვფიქრობ, შეიძლება ერთმა-ორმა სხვა ამბავმაც შეუწყო ხელი".

„ჰო, მაგრამ აიღეთ წიგნი და წაიკითხეთ".

გიდიონმა წიგნი შინ წაიღო, მაგრამ რამდენიმე კვირამ გაიარა, სანამ იგი მას შემთხვევით გადაშლიდა; მაშინ კი მის თვალწინ მთელი ახალი ქვეყანა გაიხსნა. კარტერები ევედრებოდნენ: ღამით დაიძინე, თორემ უეჭველად ლოგინად ჩავარდებიო. წიგნის ზოგიერთი ადგილები გიდიონმა ცალკე ამოიწერა, როგორც გასაღები ისეთი ამბებისა, რომლებიც მას აქამდე აღელვებდნენ, რადგან გიდიონს მათი არა გაეგებოდა რა, და რომლებიც ახლა აშკარად გასაგები გახდნენ მისთვის, და, როცა კვლავ შეხვდა დელარჯს, მას უთხრა: „იმ წიგნს ვკითხულობო".

„რაღაცას ხომ სწავლობთ?"

„მე ყოველთვის ვსწავლობ ცოტა რამეს", გაიღიმა გიდიონმა. „მითხარით, ეს წიგნი ინგლისშიაც დაბეჭდეს?"

„კი, და სთარგმნეს კიდეც გერმანულ, რუსულ, ჰუნგრულ, ფრანგულ, ესპანურ და მრავალ სხვა ენაზე. ევროპაში მუშა ხალხი მას თავის ბიბლიას უწოდებს."

„რას, წიგნს შავი მონის შესახებ?"

„ანუ საერთოდ მონების შესახებ, გიდიონ.“

ჯაფა დაეტყო გიდიონს; მას თავის სიცოცხლეში პირველად ასტკივდა თვალები. იგი გახდა, ჩამოხმა და ახლა უფრო მეტად იყო დაღლილი, ვიდრე მაშინ, როცა გუთანს ეკიდა, ან როცა დღეში ოცდაათ მილს გადიოდა არმიელებთან ერთად ფეხით. აქამდე, მთელი თავისი სიცოცხლე, მას ეჩვენებოდა, რომ დრო საკმაო იყო ყველაფრისათვის, როცა მზის ამოსვლასა და ჩასვლასთან ერთად დღეები ნელა სცვლიდნენ ერთმანეთს ბამბის ველების ზანტი, მარტივი რიტმით; მარადჟამს ერთი და იგივე: უტეხი ნაძვნარები, პირქუში ჭაობები, მუშური სიმღერების მდორე და სევდიანი მელოდია. აქ კი ცხოვრება ნიაღვარი იყო, რომელიც არ იცდიდა; ყოველი დღე, ყოველი საათი მნიშვნელოვანი იყო. გიდიონმა რომ ლექსიკონი იყიდა, ორმოცდაათიათას სიტყვას შეიცავდა და სიტყვები ის იარაღი იყო, რომლითაც იგი ახლა მუშაობდა. ცოდნა უსასრულო რამ იყო და გიდიონი სასოწარკვეთილებით გრძნობდა, რომ იგი ზედაპირს ებღაუჭებოდა მხოლოდ. მთელი ერთი კვირა შეეწირა მიმატება — გამოკლებისა და ძირითადი გამრავლების შესწავლას; უძილოდ გატარებული მთელი ღამე დაიხარჯა ერთგვერდიან სიტყვაზე, რომელიც მას მეორე დღეს უნდა წარმოეთქვა განათლების შესახებ. აბა ერთი წარმოიდგინეთ ეს ამბავი — წარმოიდგინეთ, როგორ დგება დარბაზში გიდიონ ჯეკსონი და ამბობს:

„ამ დღეების განმავლობაში მე ვისმენდი, თუ როგორ კამათობდნენ ჩვენი დელეგატები განათლების შესახებ, რომელიც კანონივით სავალდებულო უნდა იყოს. მე მოვუსმინე ჯენტლმენებს, რომლებმაც სთქვეს, სავალდებულო განათლებაზე ფიქრი უგუნურება და შეცდომა იქნებაო. ვინ იცის, შეიძლება ხალხი შიშველ-ტიტველი ივლიდა, კანონი რომ არ ყოფილიყო ტანსაცმელის ტარებაზე. მათ ტანთ უნდა ჩაიცვან რადგან ასეთია კანონი, და ისინი აძას მალე შეეჩვევნენ. მე მგონია, მალე, ხუთ-ათ წელიწადში, ხალხი შეეჩვევა იმას, რომ, სურთ თუ არა, სკოლაში უნდა იარონ. რატომ იყო, რომ მონათმფლობელები მაშინვე გაჰყიდდნენ ხოლმე მონას, როგორც კი შეიტყობდნენ, რომ მან წერა-კითხვა იცოდა? მე გეუბნებით: იმიტომ, რომ მხოლოდ უმეცარი ხალხი შეიძლება იყოს მონები. დემოკრატია და თანასწორობა თავისთავად გასაგები ვერ გახდება კაცებისა და ქალებისათვის, რომელთაც არავითარი ცოდნა არა აქვთ ასეთი რამეების შესაგნებად. ხალხი ვერ იქნება თავისუფალი, თუ მან თავისუფლების აზრი არ იცის“.

მთელი ღამე ამ ორიოდე სიტყვის წერა; მერე, გამოსვლის შემდეგ, გრძნობა, რომ ყველაფერი ეს სავსებით შეუსაბამო იყო, ცუდად შეთხზული, რომ მან ვერ გამოსთქვა ის, რისი თქმის იმედიც მას ჰქონდა, რისი თქმაც ეწადა... და მაინც, მიუხედავად ყველა ამისა, კარდოზო მიუახლოვდა მას და შეეკითხა:

„სად იმალებით, გიდიონ?“

„ვიმალები?“

„იმის თქმა მინდა, რომ ყოველი ხსდომის შემდეგ თქვენი ლანდიც აღარ სჩანს“.

„ვსწავლობ“, მიუგო გიდიონმა.

„ყოველ ღამით?“

„ყოველ ღამით“.

„არც დასვენება, არც გართობა“, ჩაფიქრებით სთქვა კარდოზომ. „არავის არ ხვდებით, ხომ? არც ესაა კარგი“.

„სხდომებზე მოვდივარ“.

„კი, მაგრამ მე მიხდა, რომ თქვენ ზოგიერთ ვინმეს შეხვდეთ, თეთრსაცა და შავსაც. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ თეთრ ხალხს იცნობდეთ, იცოდეთ, რას ფიქრობენ ისინი, რას ამბობენ, რას აკეთებენ. ჩვენ სულ უფრო და უფრო ახლოს მოგვიხდება თეთრ ხალხთან მუშაობა, გიდიონ“.

„მეც ასე მგონია“, კვერი დაუკრა გიდიონმა.

„მოხვალთ ჩვენთან სასადილოდ ხვალ?“

„სასადილოდ?“ შეყოყმანდა გიდიონი, მაგრამ კარდოზო არ მოეშვა: „მოდით, ძალიან გთხოვთ — მოხვიდეთ“.

„კარგი“.

„მაგრამ ამაზე კი არ მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა სიტყვებმა სავალდებულო სწავლების შესახებ. ეს საკითხი მე უაღრესად მაინტერესებს და ვფიქრობ, რომ, თუ ამაში დავმარცხდით, მაშინ საერთოდ მთელ კონსტიტუციაშიც დავმარცხდებით. ეს საკითხი მომავალ კვირაში კომიტეტს გადაეცემა. თანახმა ხართ, იმუშავოთ კომიტეტში?“

გიდიონი დააცქერდა კარდოზოს. მაგრამ ამ უკანასკნელის თვალებში ხუმრობის ნასახიც არ სჩანდა. გიდიონი დასთანხმდა.

„მოხარული ვარ“, სთქვა კარდოზომ.

რამდენიმე ხნის წინათ გიდიონმა დაასკვნა, რომ მას ერთი კოსტუმი მაინც უნდა ჰქონებოდა. თუმცა ბევრი ამთელა მისის კარტერმა მისი შარვალი, მაგრამ იგი გაცვეთის ისეთ პროცესს განიცდიდა, რომელიც მალე უნდა დამთავრებულიყო მისი სრული განადგურებით. ღღე არ გავიდოდა თითქმის ისე, რომ მისი სერთუკი, რომელიც მას კვლავინდებურად ძალზე ვიწრო ჰქონდა, ამა თუ იმ ნაკერავზე არ გამსკდარიყო. ჯეკობ კარტერმა ორ დოლარად შეუკერა მას ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელი, მაგრამ კოსტუმის მდგომარეობა კრიზისს ნიშნავდა უეცველად. მისის კარტერი ამბობდა, რომ გიდიონისათვის, დელეგატისათვის, დღითიდღე უფრო სამარცხვინო ხდებოდა კონვენტზე ამ ძველ კონკებში სიარული.

„ტანსაცმელი“, მიუგო გიდიონმა, „ფული ღირს. ბარემ უკეთეს რამეებზე დავხარჯავ ფულს“.

„კაცი თავის ტანსაცმელში ფასდება“, განმარტა მისის კარტერმა. გიდიონმაც თავს დასძლია და მოხუც ძია ბედისთან გაემართა. ორი კვირის შემდეგ კოსტუმი მზად იყო: მშვენივრად შეკერილი, შავი, ფაქიზი მაუდის საუცხოო პიჯაკი და შარვალი, სულ ათ დოლარად. გიდიონმა რეიჩელს მისწერა:

„ძვირფასო მეუღლევ რეიჩელ,

იძულებული გავხდი კოსტუმი მეყიდა, რადგან ჩემი ძველი ტანსაცმელი გაცვდა და სულ წავიდა ხელიდან. კოსტუმი ათი დოლარი დამიჯდა, უმთავრესად ქსოვილი და ვიცი, რომ ეს დიდი ფულია, და მრცხვენია, მაგრამ აქ, ჩარლსტონში ყველაფერი ძვირია. ბედნიერი ვარ, რომ შევიტყვე ყველაფერი კარგადაა და მშვიდობაა თქვენთან და მისტერ ჯეიმს ალენბი ბედნიერია და ბავშვებს ასწავლის. ძალიან მეწყინა, მისტერ ალენბის წერილიდან რომ შევიტყე, სინკერტონში ოთხი ზანგი რომ მოუკლავთ ავკაცებს, რომლებსაც ჩვენ ვძულვართ და ტერორს მიმართავენ, მაგრამ ასეთ ავკაცობას ბოლო მოეღება, როცა კონსტიტუცია იქნება მზად და სამოქალაქო მთავრობა ჩვენს ლამაზ კეროლაინას კარგად მოაწყობს. მე კარგ ხალხს ვხვდები და ვფიქრობ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ მოთმინებაა საჭირო. აკოცე ჩემგან ბავშვებს. უფალი იყოს თქვენი შემწე“.

გიდიონმა დოლარიანიც ჩასდო წერილში, იგი ყოველდღე ასე იქცეოდა, ყოველდღე სწერდა რაღაცას რეიჩელს.. და გიდიონმა ახალი კოსტუმი ჩაიცვა

კარდოზოსთან გამართულ სადილისათვის.

იმ დროს, 1868 წელს, კარდოზოს მიერ გამართული სადილი ერთგვარ პაუზას წარმოადგენდა ისტორიაში ისევე, როგორც თვით კონვენტის მთელი ეს ამბავი ემსგავსებოდა პაუზას, ინტერვალს, იუნიონისტთა ხიშტებით გათხრილ ნაპრალს ამერიკის განვითარების ნაკადში. ჩარლსტონი, ეს მშვენიერი, მომხიბლავი, პალმების ფოჩით შემკული ქალაქი, სამხრეთის გვირგვინი და დიდება, უმწეოდ იყო განრთხმული. ომს გამოეშიგნა ქალაქი. დიდ, თეთრ გეორგიანულ სახლებიდან ერთიც არ იყო ისეთი, სიკვდილსა და ეკონომიურ გაჩანაგებას თავისი კვალი რომ არ დაეჩნია. უზარმაზარი სიმდიდრე, რომელმაც თეთრი, თვალწარმტაცი სახლების ეს. მთელ ამერიკაში უბადლო თაიგული შეჰქმნა, ერთ რამეზე იყო დაფუძნებული — შავი მონის ფართო ზურგზე. მონები ერთგვარად მანქანის პრიმიტიული ნაწილები იყვნენ, რომელთაც ჰყიდულობდნენ, ამრავლებდნენ და ჰყიდდნენ, და ასეთ დენად მდგომარეობაში სამხრეთის ეკონომიკის ქვაკუთხედს შეადგენდნენ. მერე, გამანადგურებელი ომის პროცესში, იმ ომისა, რომელმაც დაამსხვრია სამხრეთის ფულადი სისტემა, ბლოკადაში მოამწყვდია მისი ნავსადგურები და მათ შორის ჩარლსტონიც, ომისა, რომლის მიზეზით ჯარები ოთხი წლის განმავლობაში სთელავდნენ სამხრეთის მიწას კიდით-კიდემდე,—ამ ომის პროცესში მონები განთავისუფლდნენ: განთავისუფლდნენ ედიქტით, რომელსაც თეთრ სახლში ხელი მოაწერა დიდმა ადამიანმა. ეს იყო კავშირის არმიის ძლიერებაზე, მის თოფებზე დაყრდნობილი თავისუფლება.

ომის მომდევნო პერიოდში სამხრეთი დარეტიანებული და ღონემიხდილი იყო. უკანასკნელ გააფთრებულ შეტაკებაში ორასი ათასი შავი მონა იბრძოდა თავისუფლებისათვის; მათ ჩრდილოეთის სამხედრო ფორმა ეცვათ და ხელში ჩრდილოეთის იარაღი ეჭირათ. ახლა სამხრეთის ჯარები დაშლილი იყვნენ; სამხრეთის არაქათგამოცლილი წინამძღოლები შესცქეროდნენ ამ რღვევას; პლანტაციის მეფეებმა, რომლებიც ზურგში ედგნენ ომს, რომლებმაც მოამზადეს და განახორციელეს იგი, ხელები იდაყვებამდე ამოიბანეს სისხლში იმისათვის, რომ მათ ვეებერთელა ბამბის, ბრინჯის, შაქრისა და თამბაქოს იმპერიას დღე გაგრძელებოდა, ეხლა დაინახეს, რომ მოხდა შეუძლებელი — მონები განთავისუფლდნენ, მრავალი და მრავალი მილიონი დოლარის კაპიტალი ხელიდან გამოეცალათ მათ და ერთ ღამეში ჰაერივით ვაუჩინარდა.

აქამდე კაცობრიობის ისტორიაში მთელ კლასს, ერის მმართველ კლასს, ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით, ასე ერთბაშად, ალბათ არასოდეს დაუკარგავს მთელი თავისი საკუთრება. პლანტატორების პირველი რეაქცია სიჩუმე იყო, უილაჯო სიჩუმე შეძრწუნებისა, როცა ისინი თავზე დამტყდარ უბედურებას შეჰყურებდნენ მხოლოდ. აჯანყება მათ არ შეეძლოთ, რადგან ამის საშუალებანი არ გააჩნდათ.

როდესაც პირველმა ელდამ გაიარა. პლანტატორები შეიშმუშნენ. ემანსიპაციის ეს ტაკიმასხარაობა, ფიქრობდნენ ისინი, ბოლომდე ვერ გათამაშდებაო; მონების ყოლა მონობაში შესაძლებელია; ზანგი ზანგია; დასაწყისიც ესაა და ბოლოც ეს იქნებაო; ერთი ამბავია, რაც უაშინგტონში ხდება, სამხრეთის პრაქტიკული საჭიროებანი კი სულ სხვაა. თითქმის ჰისტერიული ფაცაფუცით შეუდგნენ ისინი კანონთა კრებულის, ე. წ. „შავი კოდექსების“ გამომუშავებას. ეს კანონები ზანგს ზუსტად ისეთსავე მდგომარეობაში აყენებდნენ იურიდიულად, როგორშიც იგი ომამდე იყო. თავდაპირველად ეს იოლი სჩანდა:

თეთრ სახლში ისეთი პრეზიდენტი იჯდა, რომელიც მათ მიჰყვებოდა, დიდსულოვნად უჭერდა მხარს ტერორს, რომელსაც ისინი ამყარებდნენ. ისინი ულიმოდნენ ერთმანეთს: „ტენესელი ჯონსონი გამოსადეგი კაცია“; ერთსა და იმავე დროს ისინი მას ზიზღითაც უცქერდნენ და იყენებდნენ კიდეც. პლანტატორების წინ ერთხელ კიდევ გამოისახა მომავალი, იგივე მომავალი, რომელსაც ისინი ყოველთვის ხედავდნენ, ოთხ მილიონ შავ მონას რომ აწვა ზურგზე.

და მერე მათი ხუხულა დაინგრა. სასტიკმა, მრისხანე, რევოლუციურმა კონგრესმა, რომელმაც კაცობრიობისათვის ცნობილ ომებიდან ერთერთი უსაშინელესი ომი გადაიხადა, გადასწყვიტა, რომ დაღვრილ სისხლს ფუჭად არ უნდა ჩაევლო. განრისხებულმა კონგრესმენებმა კინაღამ სამართალში მისცეს პრეზიდენტი; მათ ჯარები გაგზავნეს სამხრეთში და ახლადთავწამოყოფილ ტერორს ბოლო მოუღეს მათ კანონით გაუქმეს მეამბოხე შტატები, ნაცვლად სამხედრო ოლქები დააწესეს და მთელ მოსახლეობას მოწოდებით მიმართეს, რათა დელეგატები აერჩიათ საშტატო კონვენტებში გასაგზავნად, კონვენტებში, რომლებიც ახალ საშტატო კონსტიტუციებს გამოიმუშავებდნენ და ისეთ ახალ დემოკრატიას შეჰქმნიდნენ სამხრეთში, რომლის პირობებშიც შავი და თეთრი მხარში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთად ეშენებინათ ცხოვრება.

სამხრეთ კეროლაინაში შავი მოსახლეობა რიცხვობრივად სჭარბობდა თეთრს. ამ მეორე თავზარდამცემი დარტყმის პირობებში პლანტატორებს რჩებოდათ მოქმედების მხოლოდ ერთი გზა, ერთი გეგმა: არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობით გამოეხატათ თავიანთი ზიზღი. დე, უმეცარმა ზანგებმა და თეთრმა ნაძირალებმა მისცენ ხმა არჩევნებზე და შედეგი თავისთავად ჩაშლის კონგრესის ამ გაუგონარ და საზარელ გეგმას! შედეგმა, როგორც ეს მათ განზრახვას შეესაბამებოდა, ზანგებს დელეგატთა დიდი უმრავლესობა მისცა კონვენტში; მაგრამ შედეგი ერთგან მაინც გამრუდდა: ეს იყო ის, რომ ცირკის ნაცვლად შავებისა და თეთრების კონვენტი ნელა, მტკივნეულად, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მტკიცედ იწყებდა მუშაობას, როგორც მყარი საკანონმდებლო ორგანო. კონსტიტუცია თანდათან იხაზებოდა.

ამასობაში კი ჩარლსტონში თეთრმა არისტოკრატებმა თავიანთი სახლების კარები დაჰკეტეს, დარაბები გადარაზეს და ლოდინი დაიწყეს.

კარდოზოსთან გამართული სადილის საინტერესო მხარეს შეადგენდა ის ვითარება, რომლის გამო მას შედეგად მოჰყვა მეორე დიდი სადილი, რომელზედაც გიდიონი საპატიო სტუმარი გახლდათ; ეს გამოიწვია იმან, რომ ამ საღამოს კარდოზოს ერთერთი სტუმარი იყო სტივენ ჰოლმსი, კონვენტის დელეგატი და ყოფილი მონათმფლობელი. გარეგნულად ჰოლმსი სკელაუეგად ჩაითვლებოდა, რაც ნიშნავდა სამხრეთელ თეთრს, რომელიც განთავისუფლებულ მონებთან და იანკებთან თანამშრომლობდა; სინამდვილეში იგი არ ეკუთვნოდა მათ რიცხვს. სკელაუეგები მეტ წილად ღარიბი თეთრები იყვნენ; ჰოლმსი კი ადრეეეც მდიდარი იყო და ახლაც. იგი ერთადერთი არ დაემორჩილა წესს, რომლის მიხედვით პლანტატორი განზე უნდა მდგარიყო და არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიეღო ამ უჩვეულო რევოლუციაში; თავისი ყოფილი მონების ხმებით იგი კონვენტში იქნა არჩეული. კონვენტში იგი მაყურებელივით იჯდა: თვალყურს ადევნებდა, უსმენდა მხოლოდ და არაფერს არ ამბობდა. იგი თანაბრად თავაზიანი იყო თეთრებისა და ზანგების

ძიმართ და იმ გამოცანად იქცა, რომლის ამოხსნა მტკიცედ განიზრახა კარდოზომ.

ერთი შეხედვით იგი თითქოს არავითარ საიდუმლოს არ ჰფარავდა. იგი უკანასკნელი მამაკაცი იყო სამხრეთ კეროლაინის ერთი ძველი ოჯახისა; მისი ძმა და ვაჟი ომში მოეკლათ. თავათ ჰოლმსი მაიორი იყო, ჯეკსონთან და ლისთან ერთად ნაომარი, მაგრამ მას არც წარმატება მოუხვეჭია და არც სახელი. ამბობდნენ, რომ იგი თავიდანვე ომის წინააღმდეგი იყო, რომ იგი სამხრეთ შტატების გამოყოფას უკიდურეს სისულელედ და უიმედო საქმედ სთვლიდაო. ერთ დროს მდინარე კონგერიზე კოლამბიის მახლობლად მას პლანტაცია ჰქონდა, მაგრამ ახლა იგი დედამისთან ერთად ჩარლსტონში ცხვრობდა თავის სახლში, და სავარაუდო იყო, რომ ვალების ან გადასახადების წყალობით მამული მას აღარ ეკუთვნოდა უკვე; ასე იყო თუ ისე, იგი ამის შესახებ არაფერს ამბობდა.

ჰოლმსი ლამაზი კაცი იყო, მაგრამ მისი ფერმკრთალი სახე თითქოს ცდილობდა ამ შთაბეჭდილების შენელებას. მას ხშირი შავი თმები და მოგრძო სახე ჰქონდა, ტანად საშუალოზე მაღალი იყო, ფაქიზი მიხვრა-მოხვრისა, ლაპარაკობდა წყნარად და ყველაფრით ჯენტლმენობას ამჟღავნებდა. მან დანარჩენებისაგან კარდოზო გამოარჩია მხოლოდ, რამდენჯერმე გაბა მასთან საუბარი, ანიშნა მას თავისი დაინტერესება განათლებისა და მიწის საკითხებით და, როცა კარდოზომ, დაეჭვებულმა მის თანხმობაში, იგი სადილზე მიიპატიჟა, ჰოლმსი თავაზიანად დათანხმდა.

სწორედ ეს მოპატიჟება და თანხმობა იყო, კარდოზოს რომ აფიქრებდა. როდესაც ქალაქ ჩარლსტონში თეთრი კაცი შავთან ერთად სადილობდა, მთელი ქვეყანა ბაბოროტებით თრთოდა; კარდოზოც ნაწილობრივ შიშის თრთოლვას შეეპყრო, როცა მან ყოფილ მონა გიდიონ ჯეკსონი ყოფილ მოსამფლობელ სტივენ ჰოლმს გააცნო.

„ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობა, მისტერ ჯეკსონ“, სასიამოვნო, წყნარი ხმით წარმოსთქვა ჰოლმსმა, თითქოს ეს მისთვის სავსებით ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს და თანაც გამომცდელი მზერა მიაპყრო გიდიონს. გიდიონი მართლაც რომ სანაქებო რამ იყო: კარგად შეკერილი შავი პიჯაკი მოხდენილად ადგა ფართო მკერდსა და განიერ მხრებს; სადა თეთრი პერანგი და შავზოლებიანი ყელსახვევი, თავზე მოკლედშეკრეჭილი, წვრილად დახუჭუჭებული თმა, მსხვილნაკვთებიანი სუფთად გაპარსული სახე, და ჰოლმსმა წარმოიდგინა, რომ ერთ დროს ასეთი ვაჟკაცი საჯარო ვაჭრობაზე ორომტრიალს გამოიწვევდა ისეთს, რომ შენაძლევი ფასი თავბრუდამხვევ სპირალივით ავარდებოდა მაღლა, აუქციონერი კი ალბათ ხმამაღლა მოჰყვებოდა ძახილს: „მეგობრებო და ჯენტლმენებო, თქვენ, რომელთაც გესმით და შეგიძლიათ დააფასოთ ჯიში, აგერ აქაა ისეთი ბუღა, როგორიც აქამდე თქვენ თვალს არ უნახავს!“

„სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო“, მიუგო გიდიონმა.

სუფრაზე მეოთხე იყო დოქტორ რენდოლფი, ისიც დელეგატი, მორჩილი ტანის, ჩქარა მოლაპარაკე, ყავისფერკანიანი. ჰოლმსის წინაშე იგი გიდიონზე უფრო, კარდოზოზე უფრო ნერვიულობდა; სეტყვასავით წამოსულ სიტყვებში მას ენა ებმებოდა. სუფრაზე ერთადერთი ქალი მისის კარდოზო იყო. იგი შეეცადა, რომ კაცებს თავი დაეღწიათ უხერხულობისაგან; ჰოლმსმა მხარი დაუჭირა მას და ისინი თავაზიანად გაესაუბრნენ ერთმანეთს. გაოგნებული გიდიონი თავისთავს ეკითხებოდა: „რას წარმოადგენს ეს კაცი?

რატომ.. როგორ.. ვინ?“ ეს პირველი იყო მის სიცოცხლეში, რომ მან ხელი ჩამოართვა ჰოლმსის კლასის ადამიანს, პირველად დაელაპარაკა იგი ასეთს, როგორც კაცი კაცს, პირველად იგრძნო იგი თეთრ კაცთან ერთად პურის საჭმელად. ცხადია, კარდოზოს შემთხვევაში ეს ასე არ იყო, მაგრამ რენდოლფი? რენდოლფი დამფრთხალი იყო. გიდიონი დაჩურჩულ კაკაბს მიაჩერდა, რომელიც დიასახლისის უკან, განჯინაზე შუშის ზარის ქვეშ იდო. კედლებზე ნაყშიანი ქაღალდი იყო გაკრული და იგი ტვიფარებით მოეხატათ. კარდოზო ცხოვრებაში გამოსული კაცი იყო, მაგრამ გიდიონს არ შეეძლო არ შეემჩნია, თუ როგორი სიფრთხილით მიჰყვებოდა იგი ჰოლმსს საუბარში: „განათლება, ბატონო, მოგეხსენებათ, აუცილებლობას წარმოადგენს“.

„აუცილებლობას?“ იკითხა ჰოლმსმა. მას სავსებით ნეიტრალურად ეჭირა თავი, იგი თავის აზრს არ გამოსთქვამდა, კითხვებს სვამდა მხოლოდ, და მისი ასეთი მუდმივი ჩრდილში დგომა ყველაზე უფრო ეფექტიური პირმოთნეობა იყო.

„უბრალოდ, ფაქტი რომ მოვიხსენიოთ. ოთხი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი მონა შესაძლებელია. ოთხი მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი თავისუფალი ზანგი, ცხადია, შეუძლებელია“.

„საინტერესო მიდგომაა“, აღიარა ჰოლმსმა. „თქვენ რას ფიქრობთ, მისტერ ჯეკსონ?“

„მე ვფიქრობ, განათლება თოფსა ჰგავს“, მიუგო გიდიონმა.

„თოფსა ჰგავს?“

კარდოზომ წარბები შეჰკრა და რენდოლფმა ჩანგალი აათამაშა. „გთხოვთ განაგრძოთ“, ღიმილით სთქვა ჰოლმსმა.

„თოფსა ჰგავს“, სთქვა გიდიონმა, „იქნებ უკეთესიცაა. თოფიანი კაცი აიღე: თუ გინდა, რომ იგი შენი მონა იყოს, თოფი უნდა წაართვა: უნდა გაჰბედო, შეიძლება მოგკლას, შეიძლება ვერა, მაგრამ თოფი კი უნდა წაართვა. რატომ?“

„განა ცხადი არაა, რატომ?“

— „არაა ცხადი“, დინჯად განაგრძო გიდიონმა. იგი საჭირო სიტყვებს ეძებდა, აზრებს ებრძოდა, ხელებით კი მაგიდის ძგიდეს ეჭიდებოდა. „უთოფო კაცი მონაა, ან არაა მონა; ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. თოფიანი კაცი არაა მონა; ეს ერთ რამეზეა დამოკიდებული — მის თოფზე. თოფი მას მანამ უნდა წაართვა, სანამ აქეთ შემოგიტევდეს. ახლა განათლებაზე ვთქვათ; ნასწავლ კაცს მას ვერ წაართმევ; მე კი მჯერა, რომ კაცი, ვისაც ნამდვილად უსწავლია, მონა ვერ იქნება. განათლება ერთი მხრით თოფსა ჰგავს, სხვა მხრიდან რომ შეჰხედო, იგი თოფზე უკეთესია“.

„მე არ ვიტყოდი სავსებით ასე“, გაიღიმა კარდოზომ.

„რა თქმა უნდა, თქვენ არ იტყოდით“, წყნარად წარმოსთქვა ჰოლმსმა. „მიუხედავად ამისა მისტერ ჯეკსონის ანალიზი უაღრესად საინტერესოა, ვინაიდან იგი განათლებას უყურებს თავისუფლებისა და მონობის დაპირისპირების თვალსაზრისით. მე მგონია, ეს გასაგებიცაა. მისტერ ჯეკსონ, თქვენ მონა იყავით, არა?“

„მონა ვიყავი“.

„მონობა ხომ გაუქმებულია?“

გიდიონმა ნელა დაიქნია თავი დასტურის ნიშნად.

„მაგრამ განა ფიქრობთ, რომ კვლავ დაბრუნდება?“ ფრთხილად იკითხა ჰოლმსმა.

„შესაძლებელია, რომ დაბრუნდება“, სთქვა გიდიონმა და შემთხვევით მისის კარდოზოს შეხედა; ქალის თვალებში მან სრული ცხოველური შიში დაინახა...

სუფრიდან მალე აიშალნენ, მაგრამ ამ სადილს სხვა რამ მოჰყვა. ერთი კვი-

რის შემდეგ ჰოლმსმა კონვენტის შენობიდან გამოსვლისას გიდიონი შეაჩერა და უთხრა:

„ჩემთან სახლში რამდენიმე სტუმარს ველი. თქვენ თუ მოხვიდოდით, მისტერ ჯეკსონ?“

გიდიონი შეყოყმანდა და ჰოლმსმა მის მოსანადირებლად დაურთო: „მე მინდა, რომ თქვენ მოხვიდეთ, დამერწმუნეთ. ბოლოსა და ბოლოს, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშავოთ...“

გიდიონი დათანხმდა.

კონვენტი წარმატებით მუშაობდა. პატარა საკითხებმა შესაძლებელი გახადეს შეთანხმება: გაუქმებულ იქნა ღუელი; ხმათა დიდი უმრავლესობით გაუქმებულ იქნა დაპატიმრება ვალის გადაუხდელობის გამო. დელეგატთა უმრავლესობა სწორედ თავიანთი გამოუცდელობის წყალობით იყო, რომ ახლებურად, საინტერესო მიდგომას იჩენდა კანონმდებლობის მიმართ; მაგალითად, როდესაც კონვენტი ქალებისა და კაცების საზოგადოებრივ ურთიერთობის საკითხს შეეხო, მათ საუკუნეების მანძილზე მდგარი კედლები გაარღვიეს. ჭაობებიდან მოსულმა ერთმა თეთრმა დელეგატმა განაცხადა:

„ოთხ წელიწადს ვებრძოდი იანკებს და ამ ხნის განმავლობაში ჩემი ცოლი უვლიდა კარმიდამოს: ბავშვებს ჭკვებავდა და მოსავდა, ხნავდა, სთესდა, მოსავალს იღებდა. მე ამ ჯენტლმენებს ვეკითხები, მათ უნდათ, რომ მე ხმა მომეცეს და ჩემ ცოლს არა?“

გიდიონმა სიტყვა აიღო და სთქვა: „მე ცოლი მონობაში შევირთე. ჩვენ ფარულად ვიქორწინეთ, რადგან ჩემ ბატონს ჭკუაში არ უჯდებოდა მონების ქორწინება. მის თვალში ჩვენ ორთავე თანასწორი მხეცები ვიყავით. მუშაობაშიც ჩვენ ორთავე თანასწორი ვიყავით, როცა ბამბის ველებზე თითქმის გრძნობის დაკარგვამდე ვღვრიდით ოფლს. თქმა არ უნდა, რომ ჩვენ თანასწორად ვიტანჯებოდით. ამიტომაც ვამბობ, ჩვენი კონვენტის თვალში მე და ჩემი ცოლი თანასწორნი უნდა ვიყოთ“.

ესენი ისე ახლოს მივიდნენ საყოველთაო ხმის უფლების აღიარებამდე, როგორც ძნელად თუ ვინმე მისულა მანამდე, და მხოლოდ წარმოდგენამ იმისა, რომ ასეთი ღონისძიება უაღრესად რადიკალური ბუნების იქნებოდა, ხელი შეუშალა მის დაკანონებას: მათ შეეშინდათ, ბოროტად არ გამოეყენებინათ ის ძალა-უფლება, რომელიც შორეულ უაშინგტონის კონგრესის მიერ ჰქონდათ, მინიჭებული. მაგრამ მათი კამათის ნაყოფი მაინც სამხრეთ კეროლაინის ისტორიაში პირველი კანონი განქორწინების შესახებ, კეთილშობილური, უბრალო კანონი, რომლის გამო სამხრეთის გაზეთები აყაყანდნენ: შავმა ველურებმა ქვეყანა უკვე უნამუსობისა და გადაგვარების გზაზე დააყენესო. მათი კამათის ნაყოფი იყო კანონი, რომელიც ამბობდა, რომ ცოლის ქონების გაყიდვა ქმრის ვალების გადასახდელად იკრძალებოდა — და ესეც ახალი რამ იყო სამხრეთ კეროლაინისათვის. მათი კამათის ნაყოფი იყო ხანგრძლივი და არაჩვეულებრივად საღი მსჯელობა ხმის მიცემის მთელი საკითხის ირგვლივ, მსჯელობა, რომლის გამო გიდიონმა შეერთებული შტატების კონსტიტუცია იმდენჯერ წაიკითხა, რომ თითქმის ზეპირად დაისწავლა. სხვებთან ერთად იგი იბრძოდა შავებისა და თეთრების აბსოლუტურ თანასწორობისათვის არჩევნებში, დისკრიმანაციის ნამდვილ აღკვეთისათვის. და წინადადება გავიდა. ნიუ იორკის „ჰერალდის“ რეპორტიორი სწერდა:

„აქ, ჩარლსტონში ადგილი აქვს კაცობრიობის მთელ ისტორიაში ყველაზე უფრო წარმოუდგენელ, იმედებით აღსავსე და მაინც დაუჯერებელ ექსპერიმენტს“.

სამი ყოფილი ჯარისკაცი თავს დაესხა ხანშიშესულ ზანგ დელეგატს ჩარლზ კავურს; მათ იგი სასტიკად სცემეს, მაგრამ ჩარლსტონი გადაურჩა საშიშ აფეთქებას. პალმებზე მწვანე ნაყარმა იხეთქა, ბატარეიის სანაპიროზე მდგომ გიდიონს ზღვის ნაზი სიო ესალბუნებოდა, იგი უცქეროდა ხომალდებს, რომლებიც გაშლილ თეთრ იალქნებით დასცურავდნენ ნავსადგურში. გიდიონს ჰქონდა წიგნი, სახელად „ბალახის ფოთლები“, შიგ ეს სტრიქონები ამოიკითხა:

მიწავ! შენ თითქოს რაღაცას ეძებ
ჩემს ხელებში,
სთქვი, ქოჩორა მოხუცო, ნეტავ რა გინდა?

„რა გინდა?“ რეკავდა გიდიონის ყურებში: მას უნდოდა მთელი ქვეყანა, იგი აქ იყო, მასთან. გიდიონი მარტოკა აღარ სწავლობდა ახლა. რვა დელეგატმა კლასი შეადგინა; ისინი კვირაში სამჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს კარდოზოსთან ამერიკის ისტორიის და ეკონომიკის შესასწავლად; კლასში წევრთაგან ორი თეთრი იყო. ერთხელ, როცა გიდიონი კონვენტიდან გამოდიოდა, მას ენდერსონ კლეი დაეწია სიტყვებით:

„მოიცადე ერთ წუთს, ჯეკსონ!“

გიდიონი შეჩერდა, მერე ისინი ერთად წავიდნენ, კლეი გიდიონზეც კი მაღალი იყო; მისი გრძელი ქერა თმა მზის სხივებზე თითბერივით ბზინავდა.

„ეს დღეები მე იმას ვფიქრობ, რიხიანად წამოიწყო კლეიმ, „რომ შენ ჩვენთან ერთად იმუშავებ, და არა ჩვენს წინააღმდეგ“.

„ეს როგორ?“

„აქამდე ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მომითმენია, რომ მთელი კვირეები ზანგებით გავსებულ სახლში ვმჯდარიყავ. დასაწყისში გავიფიქრე: სჯობს შინ წავიდე და ერთი ჯოჯოხეთი დავატრიალო, რაკი ზანგის ქვეყანაში ვცხოვრობთ-მეთქი“.

„ასე არ უნდა ფიქრობდეთ“, წყნარად სთქვა გიდიონმა.

„კარგი. ახლა თითქმის ვფიქრობ კიდეც, იქნებ შავისა და თეთრის ერთად ცხოვრება შესაძლებელიც იყოს — არ ვიცი. გინდა, ვილაპარაკოთ ამაზე?“

„ამაზე ლაპარაკი მინდა“, მიუგო გიდიონმა.

ერთხანს ისინი მდუმარედ მიდიოდნენ; ვერც ერთს ვერ მოეხერხებინა გაერღვია ის კედელი, რომელიც მათ შორის ასეთი მაღალი და ასე ძველისძველი იყო. დაბოლოს კლეიმ სთქვა:

„რას შვება კაცი, როცა ახალი ქვეყანა მოდის? ან მონაწილეა მისი მშენებლობისა, ანდა პირიქით, მის დალეწვას ლამობს. მე კი არაფრად მეჭაშნიკება ხალხი, რომელიც ემზადება ყველაფერი მილეწ-მოლეწოს“.

ეს დღეები გიდიონს ცოტა ეძინა. განათლების კომიტეტში მუშაობამ იგი კარდოზოს დაუახლოვა. მას არ სწყინდა ის ამბავი, რომ გამჭრიახი და კულტურული ზანგი მას სტვირად ხმარობდა. პირველი განათლების ნაყოფი იყო, მეორე კი — ადამიანი, რომელმაც ესეცაა გემო გაუსინჯა სწავლას და უკვე მთვრალი იყო მით. ისინი ერთად, მხარდა მხარ ელტვოდნენ ერთ მიზანს, რომელიც ერთგვარად საფუძველი უნდა ყოფილიყო ახალი კონსტიტუციისა, — საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას. მათ ბევრი უჭერდა მხარს, მაგრამ მეორეს მხრით, ჰყავდათ მოწინააღმდეგენიც, რომლებიც აცხადებდნენ:

„კომპრომისზე წავიდეთ, მოვრიგდეთ! წერა-კითხვის უცოდინარ მთელ მოსახლეობას მაინც ვერ მოახვევთ თავს განათლებას“.

„რატომ?“

„არ გამოგყვებიან“.

„მაშინ დავაკანონებთ მას“.

„მიწის მუშები სადღა გეყოლებათ, თუ მოსახლეობას ისეთ განათლებას მისცემთ, რომ ყველა ვექილი იქნება?“

„ყველა ვექილი როდია თუნდაც ახალ ინგლისში, სადაც წერა-კითხვის ქცოდნეობა ძალიან დიდია. ნასწავლი კაცი ისევე იმუშავებს მინდორში, როგორც უსწავლელი“.

„თეთრები არ ივლიან სკოლაში ზანგებთან ერთად“.

„მაშინ, ვისაც უნდა, მათთვის ცალკე სკოლებს ავაშენებთ. მაგრამ ყველა ბავშვმა, თეთრმა და შავმა, სკოლაში უნდა იაროს“.

„ეს სიგიჟეა. ჩვენ ქვეყანაში არასდროს არ ყოფილა აქამდე ასეთი კანონი“.

„ჩვენ დავიწყებთ. სადმე ხომ უნდა დაიწყოს!“

„კი მაგრამ, განა კეროლაინის ზანგები შესძლებენ იმას რაც მთელი ქვეყნის უჭკვიანეს ადამიანებს ვერ ჩაუდენიათ?“

„ცდა ხომ შეგვიძლია“.

დასასრულ კომიტეტმა ბილი კონვენტს წარუდგინა, და რამდენიმე საათის განმავლობაში არ სცხრებოდა გაფთრებული კამათი. გიდიონმა შენიშნა, რომ მათ მხარს უჭერდნენ სწორედ ისინი, ვისგანაც იგი ყველაზე ნაკლებად მოელოდა მხარისდაჭერას — ესენი იყვნენ სამხრეთის თეთრი დელეგატები, ნაძირალა ლატაკი თეთრები, რომელთა მიმართ გაზეთები კიდევ უფრო მეტი მძვინვარებით ჰყრიდნენ ცოფს, ვიდრე ზანგების მიმართ; ესენი იყვნენ ულირსი სკელაუეგები, მაღალი, ხმელი, ნელა მოლაპარაკე, ჩალისფერთმიანი კაცები, რომლებიც ჭაობებიდან და ულრან ნაძვნარებიდან ლატაკთა, უმიწაწყლოთა სამარცხვინო მოდგმას გამოუგზავნა თავიანთი რჩეულებად. ენდერსონ კლეი წამოდგა და მისმა ხმამ დაიგრგვინა: „ღმერთმა დასწყევლოს, დიაღ! თუ ერთადერთი გზა სკოლაა, სადაც შავი და თეთრი ერთად ისწავლის, მაშინ თქმა არ უნდა, მე სკოლების მხარეზე ვარ! მე თუ შემიძლია ვიჯდე კონვენტის დარბაზში ზანგებთან ერთად, მაშინ ჩემ ვაესაც შეუძლია იჯდეს ერთ სკოლაში მათთან ერთად!“

და პი-დი სვემპიდან მესხელი ბუნი ამბობდა: „მე ომში ვიბრძოდი. სამი წელიწადი ვიბრძოდი, სანამ ცოტა სწავლას შევიძენდი იმისათვის, რომ გაზეთი ან წიგნი წამეკითხა. ორი ძმა მომიკვდა—რისთვის? იმისთვის, რომ ერთ მუჭა წყეულ მონათმფლობელებს ძალაუფლება შეენარჩუნებინათ! ჩვენ რა ვიცოდით, ღვთის წინაშე, ჩვენ არც შეგვეძლო გვცოდნოდა! ღმერთმა დასწყევლოს, მე ვამბობ, ხალხს სწავლა მივსცეთ, სწავლა და ჯანაბას ყოველგვარი შედეგები! ჩვენი შტატის ხალხის წარმომადგენლები ვზივართ აქ და ყოველი ნათქვამი სიტყვის მოსალოდნელ შედეგებზე ფრჩხილებს ვიღრღნით“.

გიდიონმა მოკლედ მოსჭრა: „თავისუფლებას იოლად ვერ ინარჩუნებს კაცი“, სთქვა მან, „მე ცოტა ისტორია ვიცი და რაც კი ვიცი, სულ იმას ამბობს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაა საჭირო. თავისუფლებისათვის ერთი დიდი იარაღი არსებობს — განათლება. ჩვენც უნდა შევიარაღდეთ“.

მეორე დღეს კარდოზომ შეაჯამა ყველაფერი ეს: „გუშინდელ კამათში ზოგიერთმა ერთგვარად ღირსშესანიშნავი მოსაზრება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ და კონსტიტუციაში ჩავწეროთ ყოველი შესაძლებელი ღონისძიება, რომელიც ჩვენს მოწინააღმდეგეებს დააშოშმინებს. არა მგონია, ჩემზე უფრო ვინმე შეეცდებოდეს მათთან მორიგებას, მაგრამ ამ მხრით ჩვენ უაღრესი სიფრთხილე გვმართებს. უპირველეს ყოვლისა, არსებობს ისეთი ელემენტი, რომელიც ყოველთვის ჩვენი წინააღმდეგია მიუხედავად იმისა, თუ ჩვენ როგორ ვიქცევით; ეს ელემენტი არასოდეს არ შეგვირიგდება. საქმე იმაში კი არაა, რომ ისინი წინააღმდეგი იქნებიან კონსტიტუციისა, რომელსაც ჩვენ უთუოდ გამოვიმუშავებთ, არა ისინი იმის

წინააღმდეგი არიან, რომ კონვენტში ჩვენ ვზივართ. მათი წინააღმდეგობა ისეთი ღრმა ბუნებისაა, რომ უნაყოფო იქნებოდა ჩვენის მხრით ყოველგვარი ცდა მათთვის დამაკმაყოფილებელი კონსტიტუციის გამომუშავებისა. შემდეგ არიან ისეთები, რომლებიც გვთხოვენ, რომ ჩვენ ისეთი კონსტიტუცია შევქმნათ, რომელიც ჩვენს მტრებს ეამებოდა, რადგან, როგორც ისინი გვპირდებიან, თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, ჩვენი მტრები მაშინ ჩვენს მხარეზე გადმოვლენ თითქოს. მერე, არსებობს მესამე ჯგუფი, რომელსაც მართლა ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი კონსტიტუციის გამომუშავებისა. მე მათ პატივს ვცემ და მჯერა, რომ, თუ ჩვენ შევსძლებთ ჩვენი კონსტიტუციის დაფუძნებით რესპუბლიკური მთავრობისა და ლიბერალური პრინციპების საიმედო საძირკველზე ღირსეული პასუხი გავსცეთ მათ, ჯგუფის შეგნებული ნაწილი უეჭველად შეგვირიგდება.

„სანამ ჩემს აზრს გამოვსთქვამდე ამ საკითხის ირგვლივ, მე მინდა მას ჩამოვაშორო მთელი ეს ყალბი მსჯელობა იმ ფანტასტიური შედეგების შესახებ, რომლებიც, როგორც ზოგიერთი ჯენტლმენი არალოგიკურად ფიქრობს, თითქოს აუცილებლად მოჰყვება სტატიათა ამ კარის მიღებას, თუ მასში იქნება სიტყვა „სავალდებულო“. მათი აზრით იგი იძულებითს ხდის თეთრი და ზანგი ბავშვების ერთსა და იმავე სკოლებში სწავლას. ამის მაგვარი არაფერია ამ კარში, იგი უბრალოდ ამბობს, რომ განათლება უნდა მიეცეს ყოველ ბავშვს, მაგრამ როგორ — ეს უკვე მშობლებს რჩებათ გადასაწყვეტად; მშობლებზეა დამოკიდებული, მათი ბავშვი სახალხო სკოლაში ისწავლის თუ კერძო სკოლაში. ნებადართულია სკოლების არსებობა ცალკე თეთრებისათვის და ცალკე ზანგებისათვის და დასაშვებია, რომ, თუ რომელიმე ზანგი ბავშვი მოინდომებს თეთრების სკოლაში სწავლას, მას უნდა ჰქონდეს ამის უფლება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ უმეტეს ადგილებში ზანგები ამჯობინებენ ცალკე სკოლებს, განსაკუთრებით მანამდე, სანამ მათი რასის წინააღმდეგ არსებული უკუღმართი რწმენანი ნაწილობრივ მაინც არ იქნებიან დაძლეულნი“.

გიდიონმა თვალი მოავლო დარბაზს და შენიშნა რიგებად გამწკრივებული, ყურადღებისაგან დაძაბული სახეები, თეთრი და შავი, ერთნაირი გამომეტყველებით. ეს სახეები უნებლიედ კვერს უკრავდნენ კარდოზოს სიტყვებს. სიყვარულის სითბო, ძალა, ძმობა; გიდიონს მოუნდა თავი მკლავებზე დაემხო და ცრემლისათვის გზა მიეცა. მის სმენას ახლა რენდოლფის მთრთოლვარე ხმა მისწვდა:

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, სამხრეთ კეროლაინის მკვიდრნი, შეკრებილნი კონვენტში, ამით წინადადებას ვიძლევით: რომ ლტოლვილთა, განთავისუფლებულთა და მიტოვებული მიწების საქმეთა ბიურომ არსებობა განაგრძოს სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენამდის; რომ დაარსებულ იქნას განათლების ბიურო სკოლების ეფექტური სისტემის შესაქმნელად...“

გიდიონის ახლოს მოხუცი ზანგი იჯდა და ტიროდა; იგი ნელი, არქაული რიტმით იქნევდა თავს, როცა ტაშის ცემამ დარბაზი აავსო და პრესის მუშაკები გასასვლელისაკენ გაეშურნენ, რომ კორესპონდენციები დაეწერათ; ერთი ასეთი კორესპონდენცია, მაგალითად, მეორე დღეს „ობზერვერში“ გამოქვეყნდა:

„გათავხედებული შავების წარმოუდგენელი ნაბიჯი.

გუშინ ცირკმა, რომელიც თავის თავს კონვენტს უწოდებს, უკუაგდო ყოველგვარი მერყეობა და მოიწონა წინადადება, რომელიც ბოლომდე

მიიყვანს ჩვენი შტატის ნგრევას და გაღატაკებას. ყველა კლასის თეთრი და შავი ბავშვები ჯოგივით ერთად უნდა იქნენ შერეკილნი ერთსა და იმავე სკოლებში. სამხრეთის ქალთა პატიოსნება უკვე ოცი წლის ასაკამდე უნდა შეილახოს და შეირყვნას, ამ გათახსირებული სასკოლო სტრუქტურის შესანახავად კი პატიოსანი მოქალაქეები იშიმშილებენ და გაღატაკდებიან"...

და ასე დაუსრულებლად, სიტყვები, წერილები, რასაც გიდიონი ახლა შეჩვეული იყო უკვე, და რასაც იგი შეგნებულად მოელოდა ყოველ დღე, როგორც კონვენტის სხდომის შედეგს, რადგან კონსტიტუციის სტრუქტურა თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა, რადგან იურიდიული სისტემა გარდაიქმნა და მოსამართლეები დანიშვნის ნაცვლად ამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან გაუქმებული იქნა ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის და კანის ფერის გამო, რადგან სიტყვის თავისუფლება დაცული იყო კანონით, რადგან მიღებულ იქნა წინადადება, რომ თხოვნა გაგზავნოდა მთავრობას, რათა მას მიწის დიდი სამფლობელოები შეესყიდა და პატარა ნაკრებად დაეყო. ამ უკანასკნელში თითქმის არავინ იყო დარწმუნებული; ის ამბავი, რომ ფედერალური მთავრობა ბოლოს მოუღებდა პლანტაციათა სისტემას, ყოველგვარ იმედს აღემატებოდა და მაინც — წინადადება მიღებულ იქნა პრინციპის გამო...

სტივენ ჰოლმსმა დედამისს უთხრა: „ხვალ საღამოს სადილზე ჩვენთან ერთი ზანგი იქნებაო".

მოხუცმა, რომელსაც ეგონა, რომ ვაჟი მსახურს გულისხმობდა, ამაზე უპასუხა: „ბუნებრივია, სტივენ".

„მე მგონია, ვერ გამიგეთ, ჩემო კარგო. სადილად, სუფრაზე სტუმარს ვგულისხმობ".

ქალმა წამოიწყო: „ნეტავ არ ხუმრობდე, სტივენ. ხანდახან რასაც ამბობ ვი, რომ..."

„დედა, მე სერიოზულად გეუბნებით. გაიგეთ, რას ვამბობ. მე ერთი ზანგი მოვიწვიე ხვალ სადილზე. შეიძლება ითქვას, როგორც საპატიო სტუმარი".

მოხუცი სკამზე დაჯდა და თვალები ვაჟს შეაშტერა, მან კი მოხუცის უკან, ფანჯრიდან, სამტერის ფორტის ბუნდოვან გამოსახულებას დაუწყო ყურება. დედა შვილის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ იგი ფიქრებს წაეღო. შეიძლებოდა ცოტა ხანს მასთან კამათი, მაგრამ ბოლოსდაბოლოს სტივენი მაინც არ მოიშლიდა თავისას.

მართა ჰოლმსი სამოც წელს უახლოვდებოდა და მოტეხილი იყო უკვე; იგი მზად იყო ეღიარებინა ფაქტი, რომ უდიდესმა სისხლის აბანომ ქვეყნის ერთი ნაწილი შთანთქა. ამიტომ იგი გადარჩენილ ნაწილს ებღაუჭებოდა. სტივენისთვის მიუღებელი იყო ფაქტი აუნაზღაურებელი დანაკარგისა და იგი არც არასოდეს მოებღაუჭებოდა დარჩენილს. როდესაც მან დედამისს უთხრა „ჩემო ძვირფასო მე კონვენტში მივდივარ, რადგან ამ საშინელების წინააღმდეგ, თავს რომ დაგვატყდა, ბრძოლის ერთადერთი გზა არსებობს— ეს მისი გაგებაა, და ერთადერთი გზა მის გასაგებად იმაში მდგომარეობს, რომ მისი მონაწილე უნდა გახდე". — მართა შეეცადა ამის გაგებას, მაგრამ ვერ შესძლო. ასევე გაუგებარი იყო მისთვის, რასაც ახლა სტივენი ეუბნებოდა:

„დედა, ჩემთვის აუცილებელია, რომ სადილზე ზანგი მყავდეს. გთხოვთ, აუცილებლად ჩასთვალოთ ეს ამბავი, რაკი ვამბობ, აუცილებელია-მეთქი".

„კი მაგრამ, რატომ? რა მიზეზია ასეთი?"

„მიზეზი მრავალია და უაღრესად სერიოზულიც. სიამოვნებით აგიხსნიდით".

„სტივენ, არ შემიძლია“.

„როგორ არა, შეგიძლიათ და დამეთანხმებით კიდეც“.

„სტივენ, თუ შენთვის აუცილებელია თავი მასხარად გაიხადო, სკელაუეგად და პამპულად, ნუთუ არ შეგიძლია, ჩემს გრძნობებს მაინც სცე პატივი?“

„ჩემო ძვირფასო,“ სთქვა ჰოლმსმა, „არავის გრძნობებს ისე არ ვცემ პატივს, როგორც თქვენსას“.

„და ხალხი რას იტყვის?“

„არაფერსაც არ იტყვის. პოლკოვნიკი ფენტონი აქ იქნება, მისის ფენტონი, სენტელი, რობერტ და ჯეინ დიუპრეები, კარუელი და გენერალი გენფრეტი მეუღლითურთ“.

„მერე მათ იციან, რომ ზანგი იქნება სადილზე?“

„იციან“.

„კი მაგრამ, შეიძლება გკითხო, ვინაა ეს პიროვნება, სტივენ?“

„კარუელის ყოფილი მონა“, უპასუხა ჰოლმსმა. „მისი სახელია გიდიონ ჯეკსონი.“

უკანასკნელ წუთებში გიდიონის წინაშე კედელი აღიმართა, მისი ბავშვობის, ყრმობისა და ჭაბუკობის კედელი, კედელი ათასი მოგონებებისა, როცა ეს ხალხი ზანგებს საქონლის ჯოგივით აშენებდნენ, და გიდიონი არ წავიდოდა, კარდოზოს რომ არ ეთქვა:

„წადით, გიდიონ. თქვენ წასვლას მნიშვნელობა აქვს. ჰოლმსმა თქვენ მიგიწვიათ ამ სამი მიზეზიდან ერთერთის გამო: პირველი — იმისათვის, რომ შეიძლება მას გულწრფელად სურდეს ჩვენთან მუშაობა და ჩვენი გაგება, — ამაში მე ეჭვი მეპარება; იგი ჭკვიანია და ძველი მონათმფლობელი. მეორე იმისათვის, რომ გაგაპამპულოს — ამაშიც ეჭვი მეპარება; არა მგონია, რომ ადვილი იყოს თქვენი გაპამპულება, და არა მგონია, ჰოლმსი ისე ბავშვი იყოს, მას ასეთი ამბები ჰგვრიდეს სიამოვნებას. მესამე მიზეზი და ერთადერთი, რომლის დაჯერება შეიძლება, ისაა, რომ ჰოლმსს გუმანი აქვს ზანგების რაღაც საიდუმლო შეთქმულებაზე; ჰოლმსს სწადია მისი მოკვლევა, მოკვლევა იმისა, რაც, როგორც იგი შესაძლებელია ფიქრობდეს, მის ზურგს უკან ხდება. თუ საქმე ამაშია, ცხადია, თქვენ არაფერი გაქვთ დასამალავი“.

გიდიონს არაფერი ჰქონდა დასამალავი, გარდა მისი შიშისა, ძველის-ძველი, ნაცნობი შიშისა, რომელიც ახლა გულისრევის მომასწავებელ გრძნობასავით იზრდებოდა მასში. კაცს შეუძლია თავისთავს ათასი რამ უთხრას: თავისუფლება მოვიდა და თეთრი და შავი ერთად იღწვიან იმისათვის, რომ ახალი ქვეყანა შეჰქმნან, ძველი ბორკილები დამსხვრეულია, მონობა მწარე მოგონებად იქცა — ყველაფერი ეს შეიძლება ჩააგონო შენს თავს და მაინც კანზე დაღვენთია ამომწვარი შიში და მოგონებანი, რტყმევა, გაქცევა, ძველი სიმღერები — ხალხო, წავიდეთ! ხალხო წავიდეთ! — ზიზღი და სიძულვილი!

მან ნელი ნაბიჯით გაიარა ბატარეის სანაპირო, ბოლოს მიაღწია თეთრ სახლს, რომელიც ამაყად გადასცქეროდა ზღვას; ალაყაფის კარებთან ზარს მოსწია და მის რეკვაზე გიდიონს გაეჟრჟოლა. მოხუცმა ზანგმა მსახურმა კარი გაუღო და ცნობისმოყვარე თვალი შეაგება მას, მაგრამ არაფერი სთქვა — უთუოდ წინასწარ იყო გაფრთხილებული. გიდიონმა ქვაფენილი გაიარა და უღონო ფეხებით, რომლებიც ძლივს იმაგრებდნენ ახლა მის ტანს, ვერანდის საფეხურებზე ავიდა. აქ მას სახლის კარები ღიად დაუჭირეს და გიდიონი შიგ შევიდა.

მისთვის პირველი იყო ასეთ სახლში ყოფნა, ასე განათებულ, სიცოცხლით სავსე, მტრულ და გამოუთქმელად მშვენიერ სახლში. ბავშვობისას მას რამდენჯერმე შეუდგამს ფეხი კარუელების სახლის სამზარეულოს ფლიგელში, მთავარ ოთახებში კი არასო-

დეს. გვიან, როცა იგი უკვე კაცი იყო, მას გაუვლია კარუელების დაცალიერებულ, მკვდარ სახლში. ეს სახლი კი არ იყო ცარიელი არ იყო მკვდარი. ლამპებისა და სანთლების კაშკაშა შუქი თვალს სჭრიდა გიდიონს. ფართო ტალანში ხის პანელი და ჩუქურთმები თოვლივით თეთრად კრიალებდნენ, ავეჯი წინა თაობის ათასნაირ ფაქიზ ხვეულებში იგრიხებოდა. ბურუსით მოცულ სიღრმეში კიბე სპირალურად ადიოდა მაღლა; უკან სატანასავით დაებჩინა ხახა სასტუმრო ოთახს. ღონემიხდილი გიდიონი უნუგეშოდ გრძნობდა თავს და იგი მანდამაინც ვერ მოიყვანა გუნებაზე ჰოლმსის გულთბილმა და სასიამოვნო მისალმებამ: „დიდად მოხარული ვარ, რომ მოხვედით, ჯეკსონ“.

გიდიონმა თავი დაუკრა მხოლოდ, მას ლაპარაკის ღონე არ შესწევდა. ჰოლმსი გაკაშკაშებულ სასტუმრო ოთახში შეუძღვა მას და გიდიონზე იქ მყოფმა ხალხმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ამ სითბოში ყველანი ყინულიდან ყოფილიყვნენ გამოკვეთილნი: ძვირფას კაბებში მორთული ქალები, სასადილოდ შავ კოსტუმებში და თოვლივით თეთრ პერანგებში ჩაცმული კაცები, ვეებერთელა ჭაღის ციაგი და ელვარება, წითელი ხის მდიდრული ავეჯი (მასთან შედარებით კარდოზოს ავეჯი უბადრუკად გამოიყურებოდა), ვერცხლი და ბროლი. ჰოლმსმა სათითოოდ გააცნო გიდიონს იქ მყოფნი, მაგრამ არც ერთი არ წამოდგა და არც ერთმა არ გაუწოდა მას ხელი, და როცა გიდიონი დადლი კარუელის წინ წარსდგა, რომელიც ერთ დროს მისი პატრონი იყო, თეთრის სახეს გიდიონის ცნობის ნიშანწყალიც არ გამოუხატავს—და ეს გასაგებიც იყო, რადგანაც გიდიონი მასთან მიწის მუშად იყო ნამყოფი და მეტი არაფერი. ისინი საუბარში იყვნენ გართული, როცა გიდიონი ოთახში შემოვიდა, და მისი გაცნობის შემდეგ მათ ბაასი კვლავ განაგრძეს, გიდიონი კი ჰოლმსს მიუტოვეს, რომელმაც ოდნავი ღიმილით თქვა:

— აპატიეთ, მათ, ჯეკსონ. ჩვენი ეგრედწოდებული თავაზიანობა ზოგჯერ მოისუსტებს. რას დალევთ?“

შავი მსახურები არჩდილებივით მოძრაობდნენ ოთახში. გიდიონს მართლაც რომ ბინდბუნდში და კოშმარულად ეჩვენებოდა ყველაფერი; ამიტომ იყო, რომ შემდეგში მისმა მეხსიერებამ ვერაფრით ვერ აღადგინა მთლიანი, გარკვეული სურათი. ახლა მან თავი გააქნია: არაფერს. სრულებით არაფერს. იგი იდგა ქვასავით გარინდებული, მთელ კანზე მას რაღაც სჩხვლეტდა თითქოს და იგი გრძნობდა, თუ როგორ ავლებდნენ მას მსახურები თვალს ირიბულად. იგი მახეში გაბმული ნადირი იყო, იგი ლტოლვილი მონა იყო ჩიხში მოქცეული; იგი ძელზე მიკრული კაცი იყო უღვთოდ ნაცემი — და ყველაზე უფრო ცუდი ყველაზე უფრო მწარე, ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ იგი შიშს შეეპყრო.

და მას მთელ მარადისობად მოეჩვენა ის დრო, სანამ ისინი ბოლოს სასადილოდ არ გავიდნენ მეორე ოთახში.

მას ენახა, როგორ სჭამდა ხალხი; პლანტაციაზე მისიანები ერთ წესზე სჭამდნენ; კარტერები სხვანაირ წესზე სჭამდნენ; კარდოზოსთან კიდევ სხვანაირად; მაგრამ არც ერთი არ ჰგავდა ამ წესს, არსად არ ენახა მას ასეთი ლამქარი თეფშებისა, ამოდენა და ასე უცნაური ვერცხლეული. ძნელი იყო მისთვის ჩანგლისა ან კოვზის ისე დაჭერა, როგორც მათ ეჭირათ; იგი ტლანქი იყო, ზოგი რამ ხელიდან უვარდებოდა; მას უნდა მოეცადა და თვალი ედევნებინა მათთვის, და მათ იცოდნენ რომ იგი მათ უთვალთვალებდა. რატომ გააბმევინა თავი მახეში ასე? ასჯერ და ათასჯერ ბრიყვი იყო იგი. მის თავში აზრები ისე დახტოდნენ ახლა,

როგორც ციყვები გალიაში: რა მიზანი ჰქონდა ჰოლმსს? რას მოასწავებდა ეს ყოველივე? რისთვის? რა სარგებლობა ნახა ჰოლმსმა ამაში?

ამჟამად იგი მიხვდა, რომ მას ელაპარაკებოდნენ; იგიც ძლივსძლივობით პასუხობდა. ჰოლმსი ბიძგს აძლევდა საუბარს; იგი რაღაცას უმიზნებდა — რაღაცას, რაზედაც გიდიონს ხელი ვერ მიუწვდებოდა. გიდიონი გამოერკვა; თავისი ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე იგი პირველად ხედავდა ამ ხალხს, პირველად უსმენდა მათ და იგი ახლა ბრაზმა შეიპყრო. ისინი ამბობდნენ სიტყვებს და ეს სიტყვები იგივე იყო, როგორთაც იგი თავათ ხმარობდა. გიდიონი იგერიებდა მათ სიტყვებს. იგი ფრთხილად უსმენდა მათ და რასაც ისინი ამბობდნენ, მაინცდამაინც ჭკვიანური არ იყო. მათ ეგონათ, რომ ისინი ანკესს უგდებდნენ გიდიონს, მაგრამ მისი ბოხი ხმა ნელა იძლეოდა პასუხებს; იგი ანკესზე არ წამოეგება! ჰოლმსი შეეტოლებოდა მას, სხვები კი ვერა. ჰოლმსმა გაიღიმა, როცა პოლკოვნიკმა ფენტონმა სთქვა:

„წარმოდგენილი მაქვს, ჯეკსონ, რა გართობაა თქვენთვის კანონმდებლის საქმიანობა, როგორც ახალი რამ დანარჩენ საქმიანობასთან შედარებით“.

„ეს უფრო სახეიროა, ვიდრე ბამბის კრეფა“, მიუგო გიდიონმა. „დღეში სამ დოლარს გვაძლევენ“.

„უფრო მეტი, ვიდრე ბევრ პატიოსან კაცს მიუწვდება ხელი დღესდღეობით“.

„რა უნდა უყოს ამდენ ფულს ზანგმა?“ გაოცებით იკითხა ჯეინ დიუპრემ. იგი ქერათმიანი იყო, ტანწერწეტა და ნაზი.

„შეუძლია დახარჯოს ტანსაცმელზე და საჭმელზე“, სთქვა გიდიონმა, „მაგრამ მეტ წილად სმაში ხარჯავს“.

გიდიონი მეტად მარტივი სჩანდა და მათაც ვერ გაეგოთ ახლა, რას მოასწავებდა ყოველივე ეს. თუ შეიძლება ითქვას, მათი მდგომარეობა უფრო ძნელი იყო, ვიდრე გიდიონისა, რადგან ისინი გრძნობდნენ, რომ ჰოლმსი ეთამაშებოდა ამ მდგომარეობით. შემდეგში ჯეინ დიუპრემ სთქვა, რომ მას თითქმის გული აერია, როცა უყურებდა, თუ როგორ სჭამდა ის შავი, როგორ ხმარობდა ჩანგალს ნიჩაბივით.

გენერალმა გენფტერმა სთქვა: „მე ვიტყოდი, ჯეკსონ, რომ განათლება კანონმდებლობის წინამძღვარ პირობად შეიძლება ჩაითვალოს. არ გიძნელდებათ კონვენტში მუშაობა?“

„მძიმეა“, დაეთანხმა გიდიონი.

„მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, თქვენ რამდენიმე წლის წინათ კარუელის მიწის მუშაკთაგანი იყავით“.

„ვიყავი“, გაიღიმა გიდიონმა.

სენტელმა, რომელმაც მთელ შტატში ერთერთი უდიდესი პლანტაციის მფლობელი იყო, ორმოცდაათი წლის კაცი, მოგრძო სახის, უტეხი, წვრილი თვალებით, შენიშნა: გიდიონი ქვეყანაზე გამოსულაო. გიდიონი დაეთანხმა: მეც ასე მგონიაო, მაგრამ თვით ქვეყანა იცვლებაო: „ცუდი მხრისკენ“, დაურთო ვიღაცამ.

„ეს“, თავის ქნევით სთქვა გიდიონმა, „იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უყურებთ მას“.

„თქვენ კითხვა იცით უთუოდ“, შენიშნა ერთერთმა ქალმა.

„ცოტა კითხვა ვისწავლე, როცა ჯარში ვიყავი“.

„როდის იყავით ჯარში?“ იკითხა გენერალმა.

„იანკის იმ რაზმებს ვახლდი, ჩარლსტონში რომ შემოვიდნენ. გახსოვთ ზანგების ბრიგადები?“.

ოთახში პატრუქი ანთებული იყო უკვე და თოფის წამლის კასრთან შეერთებული. ჰოლმსმა ჩაახველა, გენერალი და დანარჩენთა უმრავლესობა კი გაქვავებულნი ისხდნენ; გიდიონმა ისინი კვლავ ყინულს მიამსგავსა. მის

თავში ძველმა შაირმა გაირბინა: ნოლი არაფერს არ ნიშნავს, სამსა კიდევ რიცხვი ჰქვია, ზანგი რჩება ცარიელი, ყველა თეთრსა ბატონს მიაქვს. გიდიონი მიხვდა, რომ ეს მდგომარეობა ველარ გაგრძელდებოდა, რაღაც უნდა აფეთქებულიყო. მისის ჰოლმსმა ბოდიში მოიხადა და სუფრა დასტოვა. ოთახიდან მას თან გაჰყვა მისი თავშეკავებული ქვითინის ხმა; ჰოლმსი დაედევნა მას, მერმე დაბრუნდა და სტუმრებს მიმართა: „მოუტევეთ დედაჩემს — იგი ცოტა შეუძლოდაა“.

გენერალი პირქუშმა დუმილმა მოიცვა; ფენტონი საერთო უსიამოვნების შესამსუბუქებლად გიდიონს მიუბრუნდა: „თქვენ კარგ სამხრეთულ გვარს ატარებთ, ჯეკსონ. მაგრამ, როგორც ვიცი, ზანგები თავიანთ ბატონის გვარს ირქმევენ“.

„ზოგი ირქმევს“, უპასუხა გიდიონმა. „მე გვარი არ მქონდა, სანამ ჯარში სერჟანტობა არ მომცეს. იანკი კაპიტანი მეუბნება: გიდიონ, გვარი უნდა გქონდესო, ვინ იყო შენი მფლობელიო“. გიდიონი შეჩერდა, თავი კარუელს დაუქნია და თანაც გაიფიქრა, რომ ამ წუთში, დამსწრე ქალები რომ არა, მას უთუოდ მოჰკლავდნენ, „მე ვეუბნები“, განაგრძო გიდიონმა, „იმ კაცის გვარს, რომელსაც მონად ვყავდი, არასოდეს დავირქმევ-მეთქი. ჯეკსონზე რას იტყვიო...“

გიდიონმა ვერ დაასრულა თავისი ამბავი კარუელი ფეხზე წამოდგა: „აქედან გაეთრიე, შე შავო მურდალო!“

გიდიონი შინისკენ მიდიოდა და თან რაღაც უცნაურ შვებას გრძნობდა. რამდენი რამ სჩანდა ადრე საიდუმლოებით მოცული, რომ დაბოლოს არარად იქცა (რამდენი შიში ყოფილა თურმე სავსებით უსაფუძვლო) მთელი ქვეყანა რაღაც უდიდესი გამოუცნობის ნაწილი სჩანდა, ვიდრე ახლოს გასინჯავდი მას. მრუმე, ვერცხლისფრად მოლივლივე ზღვის ყურე, აჩრდილთა სამყაროს რომ ჰგავდა, ხვალ მზეზე მოლაპლაპე წლის გარინდებული არე იქნება. ბორკილები, რომლებიც მის ხალხს ედო აქამდე, არასოდეს გაიჭედება კვლავ; მზის სინათლეზე არსად იყო ადგილი ამ ბორკილებისათვის. მცირერიცხოვანთა მიერ მრავალთა მართვა უბნელესი და უმძიმესი ცოდვა იყო, რომელიც ოდითგანვე აწვა ადამიანის მოდგმას, მაგრამ იგი წყლით სავსე ბუშტს მიაგავდა, რომლისთვისაც საკმარისი იყო კაცს ეჩხვლიტა, რომ სწრაფად გამოდენილიყო. გიდიონი წყნარად ღიღინებდა: „როცა ისრაელი ეგვიპტეს იყო — ხალხო, წავიდეთ! — ჩაგრული ისე, რომ არ გაეძლებოდა — ხალხო, წვიდეთ!“

ჰოლმსის სახლში ქალებმა სუფრა დასტოვეს, კაცები კი დარჩნენ და სიგარები გააბოლეს. გენერალმა სთქვა: „ჰოლმს, ამის პატიება შეუძლებელია“

„მეეჭვება“.

„შენ სთქვი, რომ რაღაც მოსაზრება გქონდა“, მკვახე, ცივი ხმით ჩაურთო სენტელმა. „შენ სთქვი, სტივენ, რომ ეს მოსაზრება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჩვენ სადილად ზანგთან ერთად ვმჯდარიყავით. შენ ყოველთვის გქონდა საგანგებო მოსაზრებანი — და ჩვენც განებივრებდით. შენ გულჩათხრობილი იყავი და იდუმალებით მოცული, როდესაც კონვენტში წახვედი, და იმისათვის, რომ ზანგებს იქ დაესვი, საკმაოდ ულოკე მათ უკანალი; და მაშინაც გაიძახოდი, რომ ვითომ ესეც რაღაც მოსაზრებით იყო. მე, ჩემდათავად ყელში ამომდის შენი წყეული მოსაზრებანი“.

„მოსაზრება“, უდარდელად დაიწყო ჰოლმსმა, „მიუხედავად ამისა, საჭირო რამაა. ამ საღამოს იგი, ცოტა არ იყოს,

ვერ გეყოთ, იმ ზანგმა კი, თუ შეიძლება ითქვას, ყველა გაგაპამპულათ".

გენერლის ხმა: „მე მგონია, გეყოფა, სტივენ!"

„მე მგონია, რომ არა", ჩაერია პოლკოვნიკი ფენტონი. „რასაც არ უნდა ფიქრობდეთ სტივენზე, ამ შემთხვევაში იგი მართალია: ზანგმა ყველანი გაგვაპამპულა. ამაზე უნდა დათანხმდეთ, ბატონებო".

„მე მოვითხოვ განმარტებას სტივენისაგან ანდა..."

ჰოლმსმა მას სიტყვა გააწყვეტინა: „ღვთის გულისათვის, დიუპრე, დუელში ხომ არ აპირებ ჩემს გამოწვევას?! ეს კი მართლა მეტისმეტი იქნებოდა. ჩვენ რა, უსუსური ბალღები ვართ? იდიოტი ბრიყვები? ბატონებო, ამ საღამოს მე თქვენ მოგიწვიეთ იმიტომ, რომ გთვლიდით ასე თუ ისე ძლიერი ხასიათის ადამიანებად. ნება მიბოძეთ, შევინარჩუნო ცოტა მაინც ჩემი ილუზიებიდან..."

„ჰოლმს!"

„კარგი! დამაცადეთ ცოტა რამ ვსთქვა! მე აქ ცირკი მოვაწყე ამ საღამოს — უდავოა. მე ის ზანგი მოვიყვანე და ისიცა და თქვენც აუტანელ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ. უდავოა. ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ამას, მაგრამ არ მეგონა, რომ თქვენთან ერთად მაგიდასთან ერთადერთი ზანგის ჯდომა ასე ძლიერ წაგახდენდათ. ანალიზი გავუკეთოთ მდგომარეობას: მე შეგეშვედრეთ, ხათრი გაგეწიათ ჩემთვის, ხათრი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო თითოეული ჩვენგანისათვის, და ერთი საღამო გაგეტარებიათ კონსტიტუციურ კონვენტის ერთ შავ წევრთან ერთად. მე მოვაწყვე საღამოს წვეულება, რადგან მხოლოდ ამ გზით შემეძლო მიმეღწია ჩემი მიზნისათვის. მე ეს მიზანი არ გაგანდეთ წინასწარ, ვინაიდან იმ ეტაპზე მიზანი არც არსებობდა. ხომ გასაგებად ვლაპარაკობ? მაშ ცოტა ხანს კიდევ მომითმინეთ.

„როგორია თქვენი პოზიცია, პოზიცია მთელი კლასისა, რომელსაც მე ვეკუთვნი! როდესაც რეკონსტრუქციის შესახებ ფედერალური ბრძანების წინაშე აღმოჩნდით, თქვენ უგულვებელჰყავით იგი. თქვენ გაგულისდით—დიაღ, მთელ სამხრეთში ჩვენი კატეგორიის ხალხი გაგულისდა, უარი სთქვა რეგისტრაციაზე, უარი სთქვა ხმის მიცემაზე, საარჩევნო კამპანიაზე. თქვენ ზანგებს და თეთრ ნაძირალებს ველურები უწოდეთ და დაიჩემეთ — მთელ ამ ამბავს ერთ ღამეში თავისთავად ბოლო მოეღებაო. გჯეროდათ ეს, ბატონებო? მართლა გჯეროდათ ეს? ნუთუ ამ წყეული სისხლიანი ომის გადახდის შემდეგ თქვენ კიდევ ასეთი უსუსური წარმოდგენა გაქვთ ძალაზე? ადევნებთ კი თვალყურს ამ კონვენტის მსვლელობას? თვალყურის დევნებაში მე არ ვგულისხმობ მის შესახებ ჩვენი სულელური პარტიული გაზეთების კითხვას".

„განა საკმარისი არაა — „წამოიწყო დიუპრემ, მაგრამ პოლკოვნიკმა ფენტონმა მას ბრაზიანად გააწყვეტინა." დიუპრე, გაჩუმდი! განაგრძე, სტივენ!"

სახტად დარჩენილმა დიუპრემ პირის წკლაპუნით ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს. ჰოლმსმა ახალ სიგარას ბოლო მოჰკვნიტა, მაგიდიდან აღებული სანთელით მოუკიდა მას, ერთი ყლუპი ბრენდი დაისხა და განაგრძო:

„როგორია ჩვენი მდგომარეობა ამჟამად, ბატონებო? ხომ გახსოვთ ჩვენი ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც მარტოოდენ ჩვენთვის არსებობდა რვა წლის წინათ? ეს არც ისე დიდი დროა; მე მაშინ ოცდაექვსისა გახლდით, ახლა ოცდა თოთხმეტი წლისა ვარ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა — საკმაოდ ახალგაზრდა იმისათვის, რომ ცხოვრების გემო მქონდეს, ბატონებო, ისევე, როგორც, მე მგონია, თქვენ ყველას გაქვთ. მახსოვს ჩვენი ქვეყანა მაშინ — და როგორია ჩვენი მდგომარეობა ამჟამად? ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ჩვენ ყველას საერთო გვაქვს: ჩვენ პლანტაციების მფლობელები ვიყავით, ან ვართ; ჩვენ იმ საფუძველს, იმ ქვაკუთხედს წრმოვადგენთ, რომელზეც ეს ჩვენი სამხრეთია დამყარებული. ერთი რამ გვაქვს, ჩვენ კიდევ საერთო: ჩვენ ყველა ერთსადაიმავე ბედისწერის ნგრევის, სრული, აშკარა ნგრევის წინაშე აღმოვჩნდით. მე დავკარგე პლანტაცია, რომელიც ჩვენს ოჯახს ასოცდაათი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა. დიუპრემ თავისი დაჰკარგა, ასევე კარუელმა — ვალები, გადასახადები, ომი, ემანსიპაცია. სხვები იმას ებღაუჭებიან, რაც დარჩენიათ. როცა ჩვენ ამ უაზრო ომში ჩავებით, მე ვიწინასწარმეტყველე შედეგი, ბრიყვები კი ბრალს მდებდნენ: არალოიალური ხარო. არალოიალური! ნუთუ აუცილებელია თავის მოტყუება? განა შემიძლია არალოიალური ვიყო იმის მიმართ, რამაც მე შემქმნა, რაც მე თავათ ვარ ჩემი სისხლით და ხორცით? სერიოზულად გეუბნებით, ბატონებო, ჩვენ უნდა გავერკვიოთ ამ მდგომარეობაში, რომელშიაც აღმოვჩნდით. ამაშია ჩვენი ერთადერთი ხსნა".

გენერალმა რომელიც მზერას აყოლებდა თავისი სიგარის ბოლს, იკითხა: „სტივენ, მაშ შენ გვირჩევ, რომ ამ მაიმუნების ცირკში ჩვენც შევიდეთ?"

სენტელმა კი დაუმატა: „რანაირად? ჩვენ ვეცადეთ მოგვესყიდა ზანგები, ველაქუცებოდით მათ, ვემუქრებოდით. მათ მხოლოდ ერთი რამ ახსოვთ: ჩვენ მათი მფლობელები ვიყავით".

„რატომ მოიყვანე ის ზანგი აქ ამ საღამოს?" იკითხა ფენტონმა.

„ესაა, ბატონებო, სწორედ გასაღები. მე წინააღმდეგი ვარ გენერლის ტერმინოლოგიისა — მაიმუნების ცირკი. როდესაც ამგვარად ვფიქრობთ, ბატონებო, ამით ჩვენს თავს ვამარცხებთ. ეს კონვენტი არ გახლავთ მაიმუნების ცირკი; ესაა კრება შეუპოვარი და ჭკვიანი ადამიანებისა, რომლებიც მეტ წილად, მათი საკუთარი შეხედულებით, ბატონებნები არიან".

„უაზრობას ლაპარაკობ", აღშფოთდა გენერალი.

„უაზრობას? დასწრებიხარ თუნდაც ერთ სხდომას?"

„გაზეთებს ვკითხულობ".

„გაზეთები კი სტყუიან! დამერწმუნეთ, მე თითქმის ყოველ სხდომას ვესწრები—გაზეთები კი სტყუიან! ის ზანგი მე მხოლოდ ერთი მოსაზრებით მოვიყვანე. ორი თუ სამი წლის წინათ იგი სავსებით უვიცი იყო. იმის წინ რამდენიმე წლით ადრე იგი კარუელის მონა იყო. ხომ ნახეთ იგი ამ საღამოს? ვანა მაიმუნი იყო? რა პოტენციაა იმ შავ ხალხში, რომელსაც ჩვენ ორასი წლის მანძილზე ვყიდულობდით და ვყიდდით? ჩვენ არ ვიცით, ბატონებო, და ვერც გაგვიბედია გავიგოთ. განა ასეთი ხალხი, როგორიც გიდიონ ჯეკსონია, იოლად დასთმობს მონაპოვარს? და ისინი არ არიან მარტო; ისინი სწავლობენ მუშაობას თეთრ ნაძირალებთან ერთად, რომლებსაც ჩვენ ზიზღით ვუყურებდით, სანამ საომრად არ დაგვჭირდნენ. ახლა კი ამ თეთრებს, ჩვენი გულისათვის რომ ომობდნენ, გონება ეხსნებათ. ბატონებო, როდესაც თქვენ კონვენტი ამ ზანგებს და თეთრებს დაუთმეთ, თქვენ ჩაიდინეთ მეორე უდიდესი უხეში შეცდომა ჩვენი დროისა; პირველი თვით ომი იყო. თქვენ ამბობდით: კონვენტი დაინგრევაო; იგი არ დაინგრა; უკვე ოთხმოცდაათ დღეზე მეტია რაც კონვენტი მუშაობს, და მან კონსტიტუცია დასწერა უკვე. თქვენ ამბობდით: ერი აღშფოთებით აღსდგება და ამ ურჩხულს გაანადგურებსო; ერი არ აღსდგა აღშფოთებით; სამაგიეროდ იანკი რეპორტიორები სიმართლეს ავრცელებენ ჩვენს ქვეყანაში. როდესაც ომის შემდეგ ჩვენ ჩვენი უგუნური ტერორი გავამეფეთ; ჩვენი ახირებული

შავი კოდექსები, გვეგონა, რომ საკმაოდ გაბედული და ძლიერი ვიყავით, რომ ერისათვის, რომელმაც ესეცაა ბრძოლაში დაგვამარცხა, გამარჯვება ხელიდან გამოგვგლიჯა. ჩვენ გამოვიყენეთ ის ბრიყვი ჯონსონი და გვეგონა, რომ ხალხი მას გაჰყვებოდა; ამის ნაცვლად კონგრესმა იგი გაანადგურა. ახლა ზანგები იმ სიმპატიას იმსახურებენ, რომელიც ჩვენ მსხვერპლად გავიღეთ, და ესეც, ბატონებო, დანაშაულია ჩვენი".

დიუპრემ სთქვა: „შენ დიდი წარმოდგენისა არა ხარ ჩვენზე, ჰოლმს".

„გულახდილად გეტყვით: არა ვარ ერთის მნიშვნელობით მე უფრო დიდი წარმოდგენა მაქვს იმ ზანგზე, აქ რომ მოვიყვანე".

„მე კი თქვენ..."

ფენტონმა მას სიტყვა გააწყვეტინა: „ღვთის გულისათვის დიუპრე!" და მერმე ჰოლმსს მიუბრუნდა: „რას გვირჩევ, სტივენ? შესწყვიტე მორალის კითხვა ჩვენ ვნახეთ ის ზანგი და შენ შენი მიზეზი ახსენი უკვე. ახლა რას გვირჩევ?"

„კარგი", თავი დაიქნია ჰოლმსმა. „თქვენ ნახეთ ის ზანგი; თქვენ მას ისე უნდა შეჰხედოთ, რასაც იგი წარმოადგენს — ნიმუში, რომელიც ანსახიერებს ჩვენი სამხრეთის ოთხი მილიონი ზანგის პოტენციას".

„ძალიან კარგი, განაგრძე!"

„შეეხედოთ ამ კონვენტს, რაა უკვე გაკეთებული. ჯერ ერთი, განათლება: იგი მთელ შტატში საყოველთაოდ და სავალდებულოდ გამოაცხადა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზანგები და თეთრი ნაძირალები ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლებენ თანაბარ პირობებში ჩვენთან შედარებით".

„ისინი მაინც ზანგები და თეთრი ნაძირალები იქნებიან!"

„ღმერთო, შემიწყალე! ნუთუ შეუძლებელია, რომ სინამდვილე დაგანახოთ? ასეთი განათლების ერთი თაობა და... ჩვენგან ბუნდოვანი ხსოვნაღა დარჩება მხოლოდ — გარწმუნებთ. ახლა სხვა ამბავი: კონვენტმა წინადადება წამოაყენა და თხოვნა შეადგინა, რომ მიწა დანაწილებულ იქნას, პლანტაციები პატარ-პატარა ფერმებად დაიყოს. დაუკავშირეთ ეს ამბავი განათლებას და პლანტაციის სამგლოვიარო ზარს მიიღებთ. კონვენტმა დააკანონა რასისა და კანის ფერის თანასწორობა ყველაფერში — ჩაუფიქრდით ამას, ბატონებო. კონვენტი რწმუნებას იძლევა, რომ შავები თეთრებთან ერთად ისხდებიან მსაჯულებად, რომ შავი მოსამართლეები ჩაუდგებიან თავში სამსჯავროს. შეეიგნოთ ეს ამბავი, მეგობრებო. კონვენტმა უზრუნველჰყო არჩევნები — ამით კი ჰქრება ძალა-უფლების კანონიერი გზით დაბრუნებაზე ყოველგვარი ოცნება, რომელიც, შესაძლებელია, თქვენ კიდევ გაქვთ. და დასასრულ, ბატონებო, კონვენტი თეთრებსა და შავებს ყოველთვის ერთად მიმართავს: ყოველ კანონში, ყოველ ედიქტში, ყოველ წინადადებაში ღარიბი თეთრი ზანგთან ერთადაა მოხსენებული. აღვიძებს თუ არა, ბატონებო, ეს ამბავი საპასუხო გრძნობას?"

სიჩუმის ხანგრძლივი წუთები გენერალმა დაარღვია: „მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ეს, ჰოლმს. ეს ამბავი ჩაიფუშება. შტატის ფინანსები ვერ აიტანს ამას. არჩევნებზე".

„არჩევნებზე ისინი ისევე გავლენ მთავრობაში, როგორც კონვენტში გავიდნენ".

„როგორიღაა ჩვენი პოზიცია, სტივენ?" იკითხა კარუელმა.

„ზუსტად რომ ვსთქვათ — არავითარი".

„მათი თამაში რომ გავითამაშოთ?".

„მერე რა უნდა შევთავაზოთ ამომრჩევლებს? დღეში ოცი ცენტი ხელფასად? მონობაში დაბრუნება? უმეცრება? არც პატარა ფერმები?"

„სხვა გზაც არსებობს".

„კი, მაგრამ არა ეს გზა. ჩვენ გვქონდა ძალა-უფლება; ჩვენ ის დავკარგეთ; ჩვენი განზრახვაა მისი კვლავ დაპყრობა — ესაა სულ, მარტივად. ამ საღამოს თქვენ ნახეთ ის ზანგი. შესაძლებელია განა მასთან ლაქუცი, მისი ნებივრობა, მისი მოტყუება?

„არა დაფიქრებით წარმოსთქვა ფენტონმა, მაგრამ მისი ჩამოხრჩობა კი შესაძლებელია“.

„ჩვენ უკვე ვცადეთ ტერორი, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ, სტივენ, შენ ეს აღნიშნე“, შენიშნა გენერალმა.

„დიაღ, მიზანს ვერ მივაღწიეთ, რადგან ეს იყო სულელური ტერორი და რადგან ყოველგვარი ტერორი, რომლის მიზანი ტერორია მხოლოდ, წინასწარაა განწირული. ჩვენ იანკის ხიშტების წინააღმდეგ ბრბოს ვამხედრებდით; ჩვენ ავაზაკობის ყმაწვილურმა ჟინმა გაგვიტაცა, როცა ყოფილ ჯარისკაცებს ხელკეტებზე, ლინჩსა და ქურდობაზე ვაქეზებდით; და ჩვენ არ გვქონდა არც გეგმა, არც გარკვეული მიზანი და მით უფრო არავითარი ორგანიზაცია“.

ფენტონმა ახალ სიგარას მოუკიდა. ერთერთმა ქალმა კარი შემოაღო და იკითხა: „აქ აპირებთ ჯდომას სამუდამოდ?“ ზანგმა მსახურმა უისკი შემოიტანა; ჰოლმსი მას მიუბრუნდა: „მე მინდა, რომ, როცა წახვალ, მეტმა არავინ შეგვიშალოს ხელი“.

„ორგანიზაცია“, სთქვა მან, „გეგმა და მიზანდასახულება“.

ფენტონმა სთქვა: „კლენზე[1] იფიქრე, ალბათ, სტივენ“.

„დიაღ, ცოტა ვიფიქრე ამაზე. თავიანთი არსებობის ამ ორიოდე წლის მანძილზე მათი საქმიანობა ვერაა ბრწყინვალე და ვერც ერთსულოვნებაზე მიუთითებს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ორგანიზაცია მაინც არსებობს, და ჩვენის მხრით უფრო ჭკვიანური იქნებოდა გამოყენება იმისა, რაც მათ აქვთ, და მათთან ერთად მუშაობა, ვიდრე ჩვენი ძალების დაქუცმაცებაზე. ამ სპირისპიროდ ახალი ორგანიზაციის შექმნა. თუ გადავწყვეტთ, რომ ასე მოვიქცეთ, მაშინ ყველაფერი ეს სასწრაფოდ უნდა მოხდეს, სანამ ისინი ბოლოს მოუღებდნენ მას რაც მათში გამოსადეგია“.

„მათ სამხედრო ხალხი ხელმძღვანელობს“, სთქვა გენერალმა.

„ამაშია სწორედ საქმე — ეს ამბავი გვიშველის. აგერ დიუპრე უკვე კლენის წევრია, იგი დაგვეხმარება ამ მხრივ. ეს ჯვრების დაწვისა და თეთრი პერანგების ამბავი ტაკიმასხარაობაა, მაგრამ ესეც გამოსადეგია. სინდიოფალას ტიპი, მხდალი, ლაჩარი — ისინი პირშებურვილნი უფრო გულადი ხდებიან“.

„მე არ მიყვარს ამგვარი ლაპარაკი“.

„მართლა, თუ დიუპრე? შენ, რას აპირებ თეთრი ხელსახოცი გადაიფარო თავზე და ღამ-ღამობით სულმოუთქმელად ირბინო? არა, ეს ამბავი იარაღია მხოლოდ, ეს უნდა შევიგნოთ. ამ იარაღის გამოსაყენებლად კი ჩვენ კაცები გვჭირდება, ათასობით, საიდან უნდა მოვიდნენ ისინი? ზოგი ყოფილ ჯარისკაცებიდან, მაგრამ ბევრი არა. რაც არ უნდა ვსთქვათ ჩვენი ჯარების შესახებ, მათ მამაცობა მაინც ჰქონდათ, ღიაღ, და პატიოსნებაც, იმგვარი პატიოსნება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ისინი ხალისით არ ჩაიცვამენ ღამის პერანგებს და ტერორზე, ჩამოხრჩობასა და მკვლელობაზე იოლად არ ღაყბულდებიან“.

„მე არ მომწონს შენი გამოთქმები, სტივენ“, სთქვა გენერალმა.

„სხვანაირად როგორ უნდა გამოვსთქვა? ჩვენ თავს მაინც შეგვიძლია ვუთხრათ სიმართლე, არა? მაგრამ ხალხი საკმაოდ იქნება: ის არამზადები, რომელთაც ზედამხედველებად ვიყენებდით, ნაძირალები, რომლებიც მონებს ჰყიდდნენ და პირუტყვივით აშე-

[1] კუ კლუკს კენი კაშიტური ტიპის ტერორისტური ორგანიზაცია, რომელიც დღესაც არსებობს ამერიკაში

ხებდნენ, ისეთები, როცლებიც კაცები იყვნენ, როცა ხელში მათრახი ეჭირათ და უიმისოდ კი გულისამრევ ტალახს ყარძოადგენდნენ, ისეთები, რომელთაც ერთადერთი ღირსება გააჩნდათ—თეთრი კანი. ბატონებო, ჩვენ ამ თეთრ კანზე სიმფონიას დავუკრავთ, ბას კეთილშობილების სიმბოლოდ გავხდით. ჩვენ ამ თეთრ კანს მომგებიან საქმედ ვაქცევთ. სიბინძურის თხრილებიდან და მყაყე ჭაობებიდან ამოვჩიჩქნით კანდიდატებს და მათ თავიანთ თეთრ კანს შევთავაზებთ, სამაგიეროდ, ბატონებო, ისინი ჩვენ იმას დაგვიბრუნებენ, რაც ამ უგუნურ ომში დავკარგეთ დიაღ, ყველაფერს დაგვიბრუნებენ".

„კი მაგრამ, როგორ, სტივენ?" ვერ გაეგო ფენტონს. „როდესაც აქამდე ვსცადეთ."

„დიაღ, მაგრამ ამჯერად ჩვენ ვიცით, როგორ. ნელა დავიწყებთ ორგანიზაციით, მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციით უნდა დავიწყოთ. ჩვენ შევდივართ კლენში, ფულს ვაძლევთ მას, ბატონებო; დიაღ, იმ ცოტაოდენით, რაც დაგვრჩენია ხელს ვუმართავთ მას. ვიდრე საოკუპაციო ჯარები აქ არიან, არაფერს არ ვაკეთებთ—ესე იგი, არაფერს, რაც საპასუხო მოქმედებას გამოიწვევდა მათის მხრით. რამდენიმე შემთხვევას — ზანგი, რომელსაც თავისი ადგილი უჩვენეს, გაუპატიურების შიში, ლინჩი — ასეთებს, ბუნებრივია, ადგილი ექნება და მაშინ კლენი იმოქმედებს კიდეც. რეკლამისათვის, თუ შეიძლება ითქვას, რომანტიკულად შებურვილი აჩრდილები, ღამეში რომ დაჰქრიან; მაგრამ მხოლოდ რეკლამისათვის. ჩვენ ვიცდით; ორგანიზაციულად ვეწყობით; არაფერს არ ვაკეთებთ ნაადრევს. ამავე დროს ისინი, ვისაც ჩვენ შორის საამისო უნარი გააჩნია, პოლიტიკაში ვერევით, მაგრამ არა როგორც ოპოზიცია, არამედ როგორც ხალხი რომელსაც სურს რეკონსტრუქციონისტებთან ერთად მუშაობა. ასეთია სწორეთ ჩემი განზრახვა; სხვებიც უნდა მემომიერთდეთ, ჩვენ ხელიერეხვიჯით მივდივართ და ვიცდით.

„და რაძდენ ხახს უნდა ვიცადოთ?" იკითხა გენერალმა.

„არ ვიცი, უთუოდ ორი ან სამი წელი, შეიძლება ხუთიც. მაგრამ ჩვენ მოვიცდით, სანამ დარწმუნებული არ ვიქნებით გამარჯვებაში, სანამ რეკონსტრუქტირებული სამხრეთი დიდი მნიშვნელობის საკითხი არ გახდება ნაციონალური პოლიტიკისა, სანამ უკანასკნელი იანკი ჯარისკაცი არ დასტოვებს სამხრეთს. და ლოდინის დროს ჩვენ უქმად არ ვართ. ჩვენ ვიტანჯებით, მაგრამ არა ჰისტერიული ტანჯვით, არამედ მოთმინებით, ვაქკაცურად და ამ დიდი ტანჯვის შესახებ ჩრდილოეთს ვატყობინებთ. ჩვენ სულელურად კი არ ვგოდებთ, არამედ უფრო ღირსეულად ვაცხადებთ, რომ უსამართლოდ მოგვექცნენ, და როდესაც ვიტყვით, რომ კმარა, ჩვენ დაგვიჯერებენ. ჩვენ სიმპატიურად განწყობილ ადამიანებს და მომხრეებს გავიჩენთ ჩრდილოეთში, სადაც ათასებია ისეთნი, რომლებიც ყოველთვის შემოგვნატროდნენ, შენატროდნენ, სწორედ იმას, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ; ჩვენს პლანტაციების სისტემას ჩვენს მონებს, ჩვენს ზვიადობას, ცხოვრების ჩვენებურ ყაიდას — შენატროდნენ ისე, რომ ამას მათი ყალბი და უხეირო სინდისის ქეჯნა ვერ დაჰფარავს. დიაღ, და უფრო მეტიც: ებრალებოდათ ზანგი, მონა, ყმა, მაგრამ რა დარჩება ამ სიბრალულიდან, როცა ჩვენ მთელ ქვეყანას დავანახებთ, რომ ეს ზანგია . სწორედ მჩაგვრელი, რომ შავი ველურები ჯენტლმენებსა და მანდილოსნებს ყველაფერს ართმევენ, რაც ძვირფასი, ადამიანური, კარგი და ღირსეულია მათთვის?"

„მართლაც რომ ასეა", წყნარად ჩაურთო გენერალმა.

„ძალიან კარგი. ჩვენ ვიჩენთ მომხრეებს, აქ ვნერგავთ ჩრდილოეთის

კაპიტალს. წარმოების ცენტრი ინგლისიდან ჩრდილოეთ ამერიკაში ინაცვლებს; ისინი გოდებას მიჰყვებიან ბამბისათვის; ჩვენ ცოტას მივცემთ, რაც საკმარისი არ იქნება. ჩვენ მოვიზიდავთ მათ, მოვიწვევთ მათ მრეწველობას სამხრეთში და ჩვენს მომავალში მათ წილს დავუდებთ, წილს, რომელსაც უკვე მნიშვნელობა ექნება, რაკი ისინი ერთხელ დაივიწყებენ მორალისტურ სიგიჟეს, რომელმაც ისინი ომამდე მიიყვანა, რაკი ისინი ერთხელ დაიწყებენ იმის შეგნებას, რომ მათი ომი უსამართლობა იყო, რომ ჩვენ ის თავისუფლებისმოყვარე ხალხი ვიყავით, რომელიც ამერიკული თავისუფლების შესანარჩუნებლად იბრძოდა".

„მართლაც რომ ვიყავით", დაურთო გენერალმა.

„და მაშინ კი, როცა ასეთი დრო დადგება, იქნება ეს ორი წელიწადში თუ ხუთში, ჩვენ დავარტყამთ მთელი ძალით, ძალითა და ტერორით, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ძალასა და ტერორს შეუძლია საკითხის გადაწყვეტა. იმ დროისათვის კი ჩვენ მიზანთან ვიქნებით უკვე მისული; ჩრდილოეთს არაფერი არ ეცოდინება და იმ მცირეოდენს, რაც მათ ყურს მისწვდება, არ დაიჯერებენ. იმ დროისათვის კლენი მთელი ლაშქარი იქნება და იგი გააცამტვერებს ყოველივე იმას, რაც ახლა ხდება, ისე ძირფესვიანად [illegible] ცამტვერებს, რომ მან კვლავ [illegible] ეღარ წამოყოს თავი. ბატონებო, ზანგი მონა იქნება კვლავ, ისე, როგორც ყოფილა, ისე, როგორც ეს მას ბედით უწერია. იგი იბრძოლებს, დიაღ, მაგრამ იგი არ იქნება შეკავშირებული და მზად ტერორისათვის, ძალადობისათვის, ჩვენ კი ვიქნებით. ზოგი თეთრიც იბრძოლებს მათ მხარეზე; უმრავლესობა, გარწმუნებთ, არ იბრძოლებს. ამაზე იზრუნებს შიში და თეთრი კანი, როგორც სიმბოლო კეთილშობილებისა. და, ბატონებო, როცა ეს დრო დადგება, ჩვენ გავიმარჯვებთ!"

ლაპარაკისას სტივენ ჰოლმსი შინაგან ცეცხლსა და ვნებას ამჟღავნებდა, დინამურ ძალას, რამაც შთაბეჭდილება გენერალზედაც კი მოახდინა, რომელიც მათ შორის ალბათ ყველაზე ნაკლებად გრძნობიერი პიროვნება იყო: მაგრამ როდესაც ჰოლმსმა დაამთავრა, მისი გზნება დასცხრა; დასრულებული ცივილიზაციის ფერმკრთალმა და თავშეკავებულმა გარეგნობამ შთანთქა მისი ვნება. მან ახალი სიგარა გააჩაღა და, როდესაც დანარჩენებმა საკმაოდ ილაპარაკეს მისი გეგმის მხარდასაჭერად და წინააღმდეგ, ჰოლმსმა მათ მიმართა „გავიდეთ მანდილოსნებთან ახლა?"

თარგმანი ინგლისურიდან **ბიბი ჟვანიასი**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერა ბუაჩიძე

ახალი სახლი

★

ივლისის ცხელი დღე იყო. სიო არ იძროდა. ქუჩიდან კანტი-კუნტად ისმოდა ფეხის ხმა. ხადახან ტრამვაი ჩაიგრიალებდა და ბორბლების ხმაური კარგა-ხანს ისმოდა გზაზე.

მწვანეებით დაბურულ ეზოში სამყნელი დანით ხელში დაბორიალებდა მოხუცი. ჩრდილი დაჰფენოდა ეზოს. ფოთლების ანარეკლს ლამაზად მოეხატა მიწა.

ალაყაფის კარმა გაიჭრიალა. მურიამაც შეჰყეფა. მოხუცი მობრუნდა. სათვალეებს ზემოდან გადმოიხედა. ორი ახალგაზრდა შემოვიდა ეზოში. ჭიშკარს გადაღმა მანქანის გამოურთველი მოტორი დუგდუგებდა. იმას უყეფდა ახლა მშიშარა ლეკვი.

— მობრძანდით. — გასძახა გიორგიმ.

მაღალი, მოხდენილი ყმაწვილი დაწინაურდა.

— თქვენ შესაწუხებლად მოვედით, პატივცემულო გიორგი:

— ბრძანეთ, — მიუგო მასპინძელმა და ცაცხვის ჩრდილისაკენ წაუძღვა.

— ქალაქის რეკონსტრუქციის გეგმით თქვენი სახლი წითელ ხაზზე ხვდება, — გაუბედავად დაიწყო მოსულმა. სადაც ისურვებთ, იქ მიიღებთ შესაფერ ბინას. — დაუმატა მან და ოთხად მოკეცილი ნახაზი ქვის მრგვალ მაგიდაზე გაშალა.

გიორგიმ ხარბად დააშტერა თვალი. მოლურჯო ქაღალდზე თეთრად მოსჩანდა შენობათა კონტურები.

— აი, თქვენი ეზო. — ფანქრით მოხაზა სტუმარმა და გიორგის შეხედა. ნახევარი ეზო და სახლის ყურე ხვდება მხოლოდ, მაგრამ რაღა აზრი აქვს?!

არაფერი უთქვამს გიორგის. ენა დაება.

ქალაქის განაპირა უბანი იყო ეს კუთხე, როცა ეს პატარა სახლი გამართა. საბოსტნე ადგილიც ქალაქის აღმასკომმა მიუზომა. ჯავრობდნენ ბიჭები, როცა წამოიზარდნენ, რატომ ასე შორს ააშენეს მამამ სახლი. ახლა, უზარმაზარი შენობები ჩამწკრივდნენ ირგვლივ. უსუსურად გამოიყურება მათ შორის გიორგის სახლი. რომ ბაღი არა, აქამდე ეგებ მასაც გამოეცვალა ბინა.

— ნეტავ მაშინ რას იზამ, ასეთ სახლებს რომ აღარ დააყენებენ ქალაქში?! — უთხრა ერთ დღეს უფროსმა ვაჟმა.

— რასაც სხვა იზამს, შვილო. თავი ვის მოუკლავს.

მაშ რად ემწვავა ახლა ინჟინრის ნათქვამი?! რად გახდა ყველაფერი ძვირფასი ასე უცებ ამ ბაღში?! ეკლის ის ბუჩქიც კი, რომელსაც ყოველწელს ძირკვავდა და ვერაფრით ვერ გადააწყო. როდის, როდის ამომარცვლა გაჭირვებით.

— რა მეთქმის, შვილო. თუ ქალაქს ასე სჭირდება...

კვლავ მოავლო თვალი ეზოს. კოხტა ბაღი ჰქონდა გიორგის. მსხლისა და ვაშლის ტანმორჩილი ხეები ჩამწკრივებულიყვნენ ერთ მხარეს. ქუჩისკენაც ვარდის ბუჩქები დაერგო მოხუცს.

ბაღის შუაგულში მხრებგაშლილი იდგა ხუჭუჭა ცაცხვი. სწორედ მის ჩრდილში იყო გამართული ქვის მრგვალი მაგიდა. ფუტკრის ორი სკაც სჩანდა იქვე. ცაცხვის სურნელი შორს ქუჩის დასაწყისში სცემდა. დაეჩრდილა აკაციის ხეები, გზის პირას, რომ ჩამწკრივებულიყვნენ.

ყველაზე მეტად ეს ცაცხვი უყვარს გიორგის. იგი მისი ბიჭის ტოლაა. მასავით ხუჭუჭა იყო თენგიზი. მის დაბადების დღეს ჩარგო მიწაში.

— სარგებლიანი ხე გაახარე, შვილო, შენც გაგახარებს. — უთხრა მოხუცმა პაპამ მაშინ.

სწრაფად იზრდებოდა ნოყიერ მიწაზე ტანწვრილი ნერგი.

სწრაფადვე მიჰქროდა თენგიზის უზრუნველი ბავშვობა. ახლაც აჩნდა ცაცხვს სიმაღლის სანიშნო ხაზები, თენგიზი რომ აჭდობდა ხოლმე. ეშინოდა ტანდაბალი არ გამოსულიყო.

მოხდენილი ვაჟკაცი დადგა თენგიზი. მამას მთელი თავით წააჯობა. ის-ის იყო დაამთავრა კიდეც უმაღლესი სასწავლებელი, და გამოცხადდა ომი...

სექტემბრის წვიმიანი დღე იყო. უსიამოდ კაკუნებდნენ წვეთები სახლის სახურავზე. მოჯარულ ღრუბლებს დაებნელებია მიდამო.

ბაღში მუშაობა არ შეიძლებოდა. წუხდა მოხუცი. პენსიაში გასული, ამასღა ატანდა გულს. ახლა უსაქმოდ იჯდა აივანზე და ყურს უგდებდა, როგორ ხმაურობდა წვიმაში ბაღი. ნაშუადღევს როგორც იქნა გამოიდარა.

შეშრა თუ არა, ბაღში ჩასასვლელად წამოდგა. იმავე წუთს სამი ვაჟკაცი მოადგა მოაჯირს. მათ შორის რაიონის სამხედრო კომისარი შეიცნო.

— მობრძანდით.—გაებზარა ხმა გიორგის.

— მოვდივართ. გმირის მამას ვახლავართ. — ხმამაღლა უპასუხა კომისარმა. აივანზე სწრაფად ავიდა და გიორგის გადაეხვია.

სიხარული და ნაღველი ერთად ებრძოდა მაშინ გიორგის გულს. გმირი ჰყავდა შვილი, მაგრამ თვითონ შვილი არსად სჩანდა. ბრძოლის ველზე დაცემულიყო წარბშეუხრელი ჭაბუკი.

ყველაზე მეტად გაწყობილ სუფრასთან ჯდომა გაუჭირდა იმ დღეს გიორგის.

ბოლოს სძლია თავს.

— ჩემ უფროს ბიჭს გაუმარჯოს. — მტკიცედ წარმოსთქვა და თასი მაღლა ასწია. ერთხანს შეაჩერა. აუკანკალდა ხელი. რამდენიმე წვეთი მოსწყდა პირსავსე სასმისს.

ისევ იმარჯვა სულმოუთქმელად დასცალა და მაგიდის ბოლოში ფერწასულ ყმაწვილს გადააწოდა. ეს გიორგის უმცროსი ვაჟი იყო. ამირანმა უხერხულად ჩამოართვა თასი. ის ჯერ კიდევ ბავშვად ითვლებოდა ოჯახში.

ელვასავით გაურბინა გიორგის ამ სურათებმა თავში, როცა ნახაზზე წითელი ფანქრით შემოვლებულ ეზოს დახედა.

ცხრა მაისის დილაც დაუდგა თვალწინ.

ჟუჟუნა დილა გათენდა იმ დღეს. მზე ამოვიდა, ღრუბლის თეთრი ქულები უკან მოიტოვა და მტკვრის პირდაპირ ცისკიდურზე ჩამოეკიდა.

ჯერ ერთმა ჭიშკარმა გაიჭრიალა. მას მოჰყვა მეორე. ბოლოს ერთბაშად გამოეფინა ხალხი ქუჩაში. პირველად ხმადაბლა ლაპარაკი ისმოდა. თითქოს მათ ხმას შეეძლო დაეფრთხო დიდი სიხარული, გულებს რომ ავსებდა.

ბოლოს დაგუბდა აღტაცების ტალღა. არტახებში არ ჩაეტია. ნაპირები გადმოხეთქა და ქალაქის ქუჩებს მოედო.

გამარჯვების ყიჟინამ შესძრა ჰაერი.

გიორგი ჭიშკარს გამოსცდა. იქვე შეჩერდა. ხალხის ზღვა მიიწევდა წინ. ალისფერი დროშების ტყე ოდნავ ირხეოდა.

ლაშქრული სიმღერა ზარივით მოედო

ქალაქს. მებრძოლთა კოლონებიც გამოჩნდნენ. სწრაფად შებრუნდა გიორგი ეზოში. სულმოუთქმელად გადასჭრა ვარდის კოკრები, იასამნის ტოტებიც ძოამტვრია და უკან დაბრუნდა.

ველარ გადადგა ბიჯი. ფარაჯების დანახვას ვერ გაუძლო გულმა. შებარბაცდა. ღობეს მიეყრდნო. ასეული გაუსწორდა მას. ბავშვებმა წინ გადაურბინეს.

გიორგი თავის თაიგულთან ერთად პირისპირ შერჩა ასეულის მეთაურს.

მოისაზრა მოხდენილმა ვაჟკაცმა. თვითონ მიეახლა მოხუცს. გადაეხვია. თაიგულიც ჩამოართვა. როცა გიორგის ცრემლი ლოყებზე ნაკადულად ჩამოედინა, კვლავ მიუბრუნდა ის. ახლა თვალები ამოუშრო კოცნით.

მთელი დღე ცრემლის მლაშე გემო შერჩა მის ტუჩებს. მშობლიურ ცრემლს აგონებდა ეს, დონელ ჭაბუკს. ვინ იცის სად დაკარგა, ის, მრისხანე ომის არ ნახულ ქარცეცხლში...

ერთი თვის შემდეგ ამირანმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი მოიტანა. კოპწია მაღალი გოგონაც მოიყვანა თან.

— ეს ჩემი დიპლომი. ესეც ზეინაბი... — და სათქმელი ველარ დაამთავრა. მამის წინ მორცხვად დაღუნა თავი.

გამოეპარა გიორგის უმცროსი ვაჟის დავაჟკაცება. გუშინ იყო თითქოს იგი და თენგიზი ჯოხის ცხენებზე რომ ისხდნენ და ეზო-გარემოს იკლებდნენ.

ახლა კი...

— ტკბილად შეგაბეროთ, შვილებო.—დაილოცა ბოლოს და ნირშეცვლილი ყმაწვილები სათითაოდ ჩაიკრა გულში.

გაცოცხლდა ოჯახი. რძალმა, სიხარული მოიტანა თან. გავიდა ერთი წელი და კვლავ გაჩნდა პატარა თენგიზი. როდესაც გიორგის მისი დაბადება ახარეს, ჯოხზე დაყრდნობილი იდგა ცაცხვის ქვეშ. თავს ვერ უმხელდა, თორემ მთელი წლის განმავლობაში ერთად-ერთი სურვილი სწვავდა, ვაჟი შეძენოდა ზეინაბს. როცა ნატვრა აუსრულდა, მეტი ველარაფერი მოახერხა, ჯოხს დაუწყო მიწაზე ბაკუნი, ასე სჩვევოდა ბერიკაცს, თუ რამე გაეხარდებოდა, ჯოხის ბაკუნს მოჰყვებოდა. „ყოჩაღ, აი, ყოჩაღ“ — იძახდა თან.

ახლა პატარა თენგიზმაც კი იცოდა ეს.

— დააბაკუნე, ბაბუა, დააბაკუნე, — ეტყოდა ხშირად, როცა რამეს გააკეთებდა და ბაბუას გახარება უნდოდა; რომ წამოიზარდა გაუწყალა გული გიორგის, — დამირგე, ბაბუა ცაცხვი. — ეხვეწებოდა მთელი დღე.

— ცაცხვი არა, შვილო, გინდა ვაშლი, გინდა მსხალი, თუ გინდა ეს პატარა ალუბალი იყოს შენი, ახვალ კიდეც ზედ...

რა იცოდა შვილის-შვილმა, რატომ არ უნდოდა ბაბუა გიორგის მის სახელზე დაერგო ცაცხვის ხე. თენგიზის გაჩენის შემდეგ თითქოს აღარც შეჰხაროდა ძველებურად.

ცაცხვმაც თავისუფლად ამოისუნთქა. ზევიდან მოეჭცა გიორგის პატარა სახლს. აქამდე ყოველ წელს აჭრიდენ ტოტებს. ახლა მთლად დაჰფარა სახლის სახურავი. სწორედ ამ ცაცხვს უყურებდა ახლა გიორგი. შემდეგ ცას აჰხედა. მზე საშუადღეოზე ასულიყო. დამოკლებულიყვნენ ჩრდილები. ფოთლებში ჩამოპარული ანცი სხივი ნახაზს დასთამაშებდა.

— თუ ქალაქს ასე სჭირდება... — გაიმეორა კვლავ.

და სტუმრები შინ შეიპატიჟა.

— გვეჩქარებაო. — მოიმიზეზეს ინჟინრებმა და მეზობლად გადაინაცვლეს.

*

* *

— ბებია, ჩვენ სახლს ანგრევენ. ახალ სახლში ვიცხოვრებთ — ყიჟინითა და ტაშისცემით მიახარა თენგიზმა ბაზრიდან დაბრუნებულ ბებიას.

— რაო?! — შეჰკივლა ქეთევანმა.

— არაფერი, ქალო, რამ შეგაშინა, — აუმაღლა ხმას გიორგიმ, არაფერმა არ გასჭრა. ქეთევანმა ტირილით აიკლო იქაურობა. ახალგაზრდები სდუმდნენ მხოლოდ. უხაროდათ ალბად ბინის გამოცვლა.

სახურავი მაინც არ იქნება შესაკეთებელი ყოველ წელს, — წასჩურჩულა ამირანს ცოლმა.

— უნდა წახვიდე, გიორგი, ქალაქის საბჭოში. ქვეყნის ნაცნობები გყავს, ქვეყანა შენი ნამოწაფარია, ხომ ხედავ, ერთი ყურე ხვდებაო მხოლოდ, უთქვამს ინჟინერს.—უთხრა ქეთევანმა გიორგის, როცა ტირილით გული იჯერა.

*
* *

არ დაეძინა გიორგის იმ ღამეს. მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში. ბოლოს წამოდგა. პაპიროსს დაუწყო ძებნა.

— ხველა დაგახრჩობს!! — შეუძახა ქეთევანმა. მართლაც კარგა ხანია აღარ მოუწევია თუთუნი გიორგის, ხველა დასჩემდა. ახლა მაინც მოსძებნა ძველი სათუთუნე. გახეხეშებული თითებით მოაცოდვილა ძლივს. მოსწია თუ არა, სული შეეგუბა. მაშინ კი გამწარდა ქეთევანი.

— ხომ არ გადაირიე, კაცო. გახვალ, იკითხავ. იქნება, იქნება, არა და უსახლკაროდ ხომ არ ვრჩებით.

გიორგიმ გაკვირვებით შეხედა. ლოგინზე წამომჯდარიყო ქეთევანი. საღამური ლამფის შუქზე თვალები ალმასებივით უბრწყინავდნენ. დედის თვალები ჰქონდა თენგიზს, ისიც ასეთი შეუპოვარი იყო გაჭირვების დროს.

გიორგიმ პაპიროსი საფერფლეს დააჭყლიტა. თვალი გააპარა თენგიზის სურათისაკენ და უსიტყვოდ ჩაწვა ლოგინში.

მაშინვე ჩაეძინა. კარგა ხნის გათენებული იყო, რომ გამოეღვიძა. ტანთ ჩაიცვა თუ არა სარწყავს წასულა ხელი. მეტად ცხელი დღეები ადგა. მოუსწყავად არ ივარგებდა ხეხილი.

საუზმის შემდეგ მასწავლებლობის დროინდელი თეთრი ხალათი გადმოიღო, ახალი შარვალიც ჩამოხსნა საკიდს და ჩაცმას შეუდგა. ქეთევანმა რუხი ქუდი და მოვერცხლილი ჯოხი მიაწოდა.

— საქორწილოდ ხომ არ მისტუმრებ, — ჩაიცინა გიორგიმ.

— არ უნდა იფიქრონ, მოხუცდა და თავს ვეღარ უვლისო, — ღიმილით უთხრა ქეთევანმა.

დინჯად გამოსცდა გიორგი ჭიშკარს. მართლაც ეგულებოდა თავისი ნამოწაფარი გოგონა საქმეთამმართველად ქალაქის საბჭოში.

— გავიარ. ვიკითხავ. ეგებ მართლაც გამოვიდეს რამე, — ფიქრობდა ის.

— ნუ დაიგვიანებ. არ აგისიცხდეს, — მოესმა უკვე მეორე ქუჩაზე გადამავალს ქეთევანის ხმა.

— ბავშვად ხომ არა მთვლის, — ჩაილაპარაკა გიორგიმ. გულში ესიამოვნა კი, ქეთევანი რომ ძველებურად ზრუნავდა მისთვის.

ტრამვაის გაჩერებას რომ გაუსწორდა, შეჩერდა. ყოყმანობდა; აქ ასულიყო, თუ კიდევ გაევლო ცოტა. ვაგონი სავსე იყო ხალხით. ფეხით წასვლა ირჩია. სასიამოვნოდ სცემდა გრილი ნიავი სახეზე.

მოსახვევში უცნაური ხმაური მოესმა. არც მანქანის ხმა იყო, არც ტრაქტორის გუგუნს ჰგავდა. ყური მიუგდო. ახლა ნგრევის ყრუ ხმაური მოჰქონდა ნიავს. ფეხს აუჩქარა. მოუხვია და... გულზე მოეშვა. თავისუფლად ამოისუნთქა. ბეჭებშიც გასწორდა თითქოს. პირველად ვერ მიხვდა, რა იყო მიზეზი?! ბოლოს გამოერკვა. გვერდზე გაეწია კედლებს. გადაშლოდა გულმკერდი ქუჩას. ექსკავატორის გუგუნი იყო

თურმე, წელან რომ მოესმა. უშველებელი ჩამჩით ხვრეპავდა ის ღორღსა და ქვიშას, დანგრეული სახლების ადგილას რომ იყო დაგროვილი.

— მოეცალეთ, ნუ შეჯგუფდებით, — იძახდა ახალგაზრდა, რომელსაც ხელზე წითელი სამკლავე გაეკეთებინა და ხალხს ქუჩის მეორე მხარეზე უთითებდა.

იქ ჯერ ისევ ანგრევდნენ ჩიტის ბუდესავით შეხოხოლავებულ ქოხებს. ბზრიალ-ტრიალით მოდიოდნენ ძირს დამპალი თავხეები, ჩაშავებული კარფანჯრები და მტვრად ქცეული აგურის ნატეხები.

— ინგრევა ძველი. ახალი მოდის. — გაიფიქრა გიორგიმ და ჯოხის წვერი რამდენიმეჯერ დაჰკრა მიწას.

ისევ მიმოიხედა. მის წინ ბეტონის კოჭები იყო შეხერგილი. ზედ ჩამოჯდა.

— ეს რაღად გინდათ? — ჰკითხა მან ქოჩორა ყმაწვილს, რომელსაც ნაბდის პატარა ქუდი წინ წამოეწია და მძლავრად იქნევდა წერაქვს.

— ტრამვაის ლიანდაგი უნდა გადაშოვიტანოთ შუაგულშია, იქეთ-აქეთ ტროლეიბუსები ივლიან, — მოუქცია ქართლურად ბიჭმა.

— შენ საიდანა ხარ, შვილო? — ჩაჰკითხა გიორგიმ.

— კასპიდანა. კასპელები ვაშენებთ ამ ქუჩას. — დაუფარავი სიამაყით მიუგო მან.

გიორგიმ ახლა სხვებს შეხედა, მართლაც ქართლური იერი დაჰკრავდა მზით დამწვარ სახეებს. მათ შორის მოხუცებიც ერივნენ. ერთ მათგანს წითელ არმიულ ქუდში ნამჯის ღეროები გარდიგარდმო გაჩხიროდა.

— ეტყობა პირდაპირ ჯალოდან წამოვიდა. მე კი საკუთარი ქოხი მენანება. — გაიფიქრა გიორგიმ და ფეხზე წამოდგა. კვლავ მოავლო თვალი ირგვლივ. ახლა ახალი სახლის ხარაჩოებიც შენიშნა. საძირკველი ამოჰყავდათ მებეტონეებს. ბეტონმრევების გუგუნი უერთდებოდა საერთო ხმაურს. წეროებივით გამწკრივებული მანქანები წამიდან წამში სცლიდნენ ექსკავატორის ჩამჩას და ქალაქის სხვა უბნებისაკენ მიჰქროდნენ.

— ჩამოეცალეთ, ამწეები მოაქვთ, — ხმამაღლა დაიძახა ვიღაცამ და უზარმაზარი მანქანებიც გამოჩნდა. შეიკრა მოძრაობა. განა ცოტანი იყვნენ?! ვის მოუთმენდა გული, ცალი თვალით მაინც არ შეეხედა ამ გაცხარებულ მშენებლობისათვის!! გიორგიც მათში მოჰყვა. მის წინ ახალგაზრდა ქალი ტრიალებდა. ქუჩაზე უნდოდა გადასვლა. ეცნაურა გიორგის, რომ მიუახლოვდა, საკუთარი რძალი შერჩა ხელში. ოფლში გაიწურა მოხუცი. კიდევ კარგი მისკენ არ მოუხედავს ზეინაბს. გიორგი ცივად მოტრიალდა აჩქარებული ნაბიჯით გასწია სახლისაკენ. სირცხვილი სწვავდა, წუხელ რომ ქეთევანს დაუჯერა და საჩივლელად გამოეშურა...

*
* *

ირიჟრაჟა. ახალ შეფეთქილ ოთხსართულიანი სახლის შესავალი კარი ხმაურით გაიღო. ცემენტისა და სილის მტვერი ჯერ კიდევ არ მოსცილებოდა ზღურბლს. ირგვლივ ზეთის საღებავის სუნი ტრიალებდა.

ჩქარობდა ახალი სახლის მმართველი. დღეს პირველ მდგმურებს ელოდა.

აჰა, გამოჩნდა კიდეც საოჯახო ნივთებით დატვირთული პირველი მანქანა. პალმებისა და წითელი ალიანდრების ტოტები მოირხეოდნენ ყველაზე წინ. პირველს მეორეც მოჰყვა. აქ უკვე ამირანს ეჭირა ხელში რადიო-მიმღების გაკრიალებული ყუთი. ისე სასოებით მიეკრა მკერდზე, თითქოს მის უვნებლად მიტანაზე იყო დამოკიდებული მთელი მათი ბედნიერება. მაგიდაც კი ახალი ეყიდათ მისთვის. სად იშოვეს ნეტავ ასე ხელდახელ!!

მტვირთავი მუშებიც კი არ მოეშველებია ამირანს. ახალგაზრდებით იყო სავსე მანქანა. ყველას რაღაც ეჭირა ხელში.

პატარა თენგიზი კი ბაბუას მუხლზე წამოსკუპულიყო კაბინაში.

— აუ, რამ სიმაღლეა ჩვენი სახლი— წამოიძახა მან, მანქანიდან რომ გადმოვიდნენ. გიორგიმაც ააყოლა თვალი მოჩუქურთმებულ კედლებს. ვარდისფერი დაჰკრავდა მას მართლაც ვარდის თაიგულივით იდგა მწვანეებში ჩაფლულ მოედანზე ოთხსართულიანი ლამაზი სახლი.

მეორე სართულზე მიიღო გიორგიმ ბინა. ორი ოთახი მზის გულზე იყო გამართული, ორიც ჩრდილოეთის მხარეზე გადიოდა.

— გრილი ოთახებიც აუცილებელია ჩვენში, — განუმარტა სახლის მმართველმა.

აღმოსავლეთიდან თვალწარმტაცი აივანი ახლდა მას; მსხმოიარე ხეები დაეტეოდა მგონი იმ სიგანე გაეკეთებინათ მშენებლებს.

ერთ კვირას დალაგებას მოუნდნენ. ქეთევანი ფუსფუსებდა ყველაზე მეტად. წამდაუწუმ შერბოდა სამზარეულოში. სიხარულს ვერ ფარავდა, გაკრიალებულ შხაპებსა და ონკანებს რომ უყურებდა. უმიზეზოდ [illegible] ხრახნს. მიუგდებდა ყურს. სასიამოვნოდ ჩხრიალებდა წყალი აბაზანაში. შემდეგ სწრაფად მოუჭერდა. შეეშინდებოდა, თითქოს უბრალოდ რომ იღვრებოდა ამდენი წყალი, მილს ჩვარს გადაუსვამდა. სანამ არ გაამშრალებდა, არ მოეშვებოდა.

— ძლივს არ დაისვენე!! — უთხრა გიორგიმ ქეთევანს, სამზარეულოში რომ შევიდა.

— რა ტყუილად ვათრიეთ ეს, ბეჩა გიორგი?! — მიათითა ქეთევანმა სამზარეულო კარადას, კარებთან რომ იყო გახიდული. მიგვეცა იმ საწყალ კაცისათვის.

— ახლა ამბობ მაგას?! მაშინ რატომ არ დამიჯერეთ?!

— რა ვიცოდი თუ კედელში იქნებოდა განჯინა. — გაწყრა ახლა თავის მხრივ ქეთევანი. ხელი შეიმშრალა და სასტუმრო ოთახში გავიდა.

იქ დილიდანვე ტრიალებდა ზეინაბი. ვერ იქნა ძველი ფარდები ვერაფრით ვერ მოარგო ახალ ფანჯრებს. ბოლოს ყველა ძირს ჩამოჰყარა.

— არ გვინდა. ამასაც ახალს ვიყიდით — ჩამოსძახა ქეთევანს და ანიშნა დაემაგრებია მაგიდა. სიფრთხილე მართებდა. მაგიდაზე მაღალი სკამი იყო შედგმული, ზედ კიდევ სკამი. მაინც ძლივს წვდებოდა ზეინაბი ფანჯრის ჩარჩოს.

— თქვენ, ეი ქალებო, — რომ გადაყევით ამ სახლის მორთვას, ძველ სამოსახლოზე მინდა გავიარო. ბავშვსაც წავიყვან. — ამ სიტყვებით შევიდა გი-

ორგი მათთან და თენგიზს დაუწყო ძებნა.

— ნეტავ რად მიდიხარ?! — არ მოუწონა ქეთევანმა.

— განა რა მოხდა, ისეთი, რომ არც გავიარო. — უთხრა გიორგიმ. გუნებაში კი თვითონაც ეჭვობდა. ამიტომაც იკითხა სწორედ. „აბა რა მინდა რა უნდა გავაკეთო?!!“.

მეორე დღეს მაინც წასძლია სულმა. ის-ის იყო დიქტის უზარმაზარ ყუთში ფესვებით ჩასმული ხე ცივ-ცივ ასწია ექსკავატორის ჩამჩამ და მუშებმა საბარგო მანქანაზე მოათავსეს.

— სად მიგაქვთ, ბიძია?! — კითხა ნიველირზე თავდახრილ ახალგაზრდას გიორგიმ.

— ახალ ბაღში. — იყო პასუხი.

შეკრთა გიორგი. გული მძლავრად აუჩქროლდა. ომში დაღუპულთა სახსოვრად აშენებდნენ ამ ბაღს ქალაქის ცენტრში. გაბრწყინებული თვალებით გააცილა მოსახვევამდე დატვირთული მანქანა.

კოხტად შეკრეჭილი ცაცხვის ხის ტოტები მანქანის ყოველ მოძრაობაზე ირხეოდნენ. ამაყად მიდიოდა ახალ ბაღში — თენგიზის ცაცხვი.

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფასი ნივთი

*

სამი დღესასწაული დაემთხვა ერთმანეთს იაშვილების ოჯახში. ამ დღეს შვიდი წელი შეუსრულდა ოჯახის ყველაზე უმცროს წარმომადგენელს — შავთვალ-წარბა გურამს, ერთადერთ ვაჟს მთელ საძმო-საბიძაშვილოში, მომავალი იაშვილების მამას და გვარის გამგრძელებელს.

1945 წლის ამავე დღეს ომიდან გამარჯვებული დაბრუნდა ბავშვის მამა— თენგიზ იაშვილი.

და დასასრულ, ეს დღე ემთხვეოდა ოჯახის ბურჯების—ნინოსა და თენგიზის ქორწინების წლისთავს, რომელიც მშვიდობიანობის დროს მთელი მცირერიცხოვანი ოჯახის დღესასწაულს წარმოადგენდა. ნათესავები, მეგობრები და ნაცნობებიც შეეჩვიენ ამას. მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებით აღინიშნებოდა: უახლოესი წრის ადამიანებს შორის ოჯახურ ნადიმზე იჯდა მეტად პატივსაცემი პიროვნება—ახლახან რაჭას ჩამოსული, თენგიზის ფრონტელი მეგობარი, შუახნის, ნაყვავილარი პოლკოვნიკი ნაუმენკო.

სუფევდა ოჯახური დღესასწაულის ერთ-ერთი საზეიმო წუთთაგანი: ხანში შესულ მამას ის იყო რაღაც ძვირფასი ნივთი უნდა გადაეცა თავის წამოჩიტულ ერთადერთ ვაჟისათვის.

პოლკოვნიკს თვალები მიენაბა. მას კარგად ესმოდა ყველაფერი და ჩინებულად გრძნობდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, მაგრამ გარეშე ადამიანი, რომელმაც არაფერი იცოდა მისი პირადი უბედურების შესახებ, იფიქრებდა, რომ აი ამ წუთში მას დაქანცული ადამიანის უეცარი თვლემა მოერეოდა. მაგრამ სასტიკად შეცდებოდნენ: პოლკოვნიკს სრულებითაც არ ეძინა. იგი ერთ ფრონტულ ამბავს იხსენებდა. ეს ამბავი კი ასე დაიწყო:

ერთ-ერთი მძიმე ბრძოლის გადახდის შემდეგ მიწურში ხმამაღლა ლაპარაკობდა ახოვანი, ხანშიშესული მაიორი იაშვილი. იგი ლაპარაკობდა რაღაც საკვირველსა და წმინდა საგანზე. ლაპარაკობდა დიდხანს და გასცქეროდა კარებს, სადაც გაუნძრევლად იდგა ღრმა ფიქრებში წასული ნაყვავილარი პოლკოვნიკი ნაუმენკო. ფართო ღიმილი შეუფერებელ სამკაულივით შეჰყინვოდა ნაუმენკოს პირქუშ სახეს. იგი უხმოდ უსმენდა დაღლილი, მაგრამ გამამხნევებელი ხმით მოლაპარაკე მაიორს. მაგრამ მისი ფიქრი და ოცნება ახლა შორს გადაფრენილიყო, ნაუმენკოს თვალწინ დასდგომოდა ჩვილი გოგონას პატარა ფოტოგრაფიული სურათი. წაბლისფერი ფაფუკი კულულები ჩამოშლოდა გოგონას შუბლზე. ორივე პაწაწინა ფუნჩულა ხელი ჰაერში შეეტყორცნა. თითქოს ეს ეს არის გულში უნდა ჩაიკრას ძვირფასი არსებაო. მსუქანი ლოყები უცნაურად დაჰბერვოდა. უეცარი განცვიფრებისა თუ გაღვივებული ცნობისმოყვარეობის ბეჭედი დამჩნეოდა მის უმანკო სახეს. სურათის გადაღებისას მამა ფოტოგრაფის გვერდით იდგა და შორიდან ეალერსებოდა პატარას.

სურათიც სწორედ ასე გამოსულიყო: ბედნიერი ბავშვის ხატება ვიღაც უხილავსა და საყვარელს დაეძებდა სივრცეში.

მაგრამ გაჰქრა, დაიღუპა ყოველივე. მშობლიური სოფლის გერმანელებისაგან განთავისუფლების შემდეგ, პოლკოვნიკმა შეიტყო თავზარდამცემი ამბავი: აღარ იყო მისი პაწაწინა, ვეღარ მოეხვეოდა, ვეღარ გააგონებდა მშობლისათვის ჟრუანტელის მომგვრელ სიტყვას—„მამა, მამიკო“...

ახლა, შურისძიების ამ მრისხანე წუთებში, რომელი ნივთი იქნებოდა ყველაზე უფრო ძვირფასი მისთვის?

რისთვის გასწირავდა ახლა იგი თავის მრავალტანჯულ სიცოცხლეს?—ეს იყო ერთადერთი ნივთი... პაწაწინა, მომღიმარე, განცვიფრებული გოგონას სურათი. სურათი ყოველთვის თან დაჰქონდა წყალგაუმტარ ქაღალდში შეხვეული. და პოლკოვნიკი, თითქოს ეს არის ახლა გამოფხიზლდაო, საუბარში ჩაერია:

— მე მესმის თქვენი, თენგიზ ვასილიჩ,—ნაღვლიანად წარმოსთქვა მან,— მე ვიცი, რაც გინდოდათ გეჩვენებინათ.

— დიდი სიამოვნებით ვნახავდი, — დასძინა შემდეგ მან, პოლკოვნიკს უკვე გადაეწყვიტა, რომ საქმე ეხებოდა მაიორის მიერ დღეს დილით მიღებულ სურათს შვილისას, ან იმ აბრეშუმის ცხვირსახოცს, რომელიც მაიორს ჯერ კიდევ ჭაბუკობაში მიეღო თავისი მომავალი მეუღლისაგან. ძველი, უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ საამო და ტკბილად მოსაგონარი.

მაიორს გარს შემორტყმოდნენ ოფიცრები. ისინი გუმანით მიმხვდარიყვნენ, რომ ახლა, ბოლოს და ბოლოს, მაიორი გახსნიდა თავის უცნაურ საიდუმლოს, მაგრამ იაშვილი მიწურის კუთხისკენ მიბრუნდა და ვიღაცას დაუძახა.

„აქა ვარო“, — გამოეხმაურნენ სიბნელიდან.

სიმონიკა ჯოხაძე დიდხანს დახოხავდა მიწურის სოხანეზე. თავისთვის რაღაცას ბუზღუნებდა, „ოხრად დასარჩენ“ ჩანთას დაეძებდა. ბოლოს სასურველი იპოვა და რის ვადაგლახით მაიორს გადააწოდა. ხალხი ახმაურდა, შემჭიდროვდა და კიდევ უფრო ვიწრო რკალად შემოერტყა იაშვილს. მან ნელა გახსნა ცხვირსახოცი და ჰაერში ხანჯალივით ბრჭყვიალა საგანი ასწია.

ყველას ერთხმად აღმოხდა განცვიფრების ამოძახილი:

— კოზი! — დაიძახა ვიღაცამ და ხალხით გაჭედილი პაწაწინა მიწური მეომართა შეუკავებელმა ხარხარმა აავსო.

— კოზი! — გაიმეორა ვიღაც მეორემ.

დიახ, ეს მართლაც კოზი იყო, ჩვეულებრივი კოზი, უბრალო, ჯარისკაცური, მაგრამ შეუფერებელი ზომის მქონე და უხეშად ნაკეთები. მაიორი არ მოელოდა ამ სიცილს. უზომოდ შეურაცხყოფილმა, სასწრაფოდ ქურთუკის სახელოში შემალა თავისი ძვირფასი ნივთი და ნაწყენი თვალებით შეხედა ნაყვავილარ პოლკოვნიკს. ნაუმენკო ისევ ილიმებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მაიორი იაშვილი მხოლოდ ხუმრობდა. მაგრამ პოლკოვნიკის განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა თვალი შეასწრო მაიორის ნაღვლიან სახეს. სანამ მეთაური რაიმეს ეტყოდა, იაშვილი სასწრაფოდ მიუახლოვდა მას და მეორე მიწურში ღამის გათევის ნებართვა სთხოვა.

ოხვრითა და სპილენძის ქვაბურის ხრიგინით მიწურიდან გავიდა „ახირებული მაიორის“ შიკრიკიც. ახლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სიმონიკას ეს დასაწვავი კოზი, ისეთ ადგილზე გადაემალა, რომ მაიორ იაშვილს, სულ ვერ მოეხერხებინა მისი მიგნება, ანდა რაში სჭირდებოდა მას ეს კოზი, რომელსაც აგრე იშვიათად ხმარობდა.

ბატალიონში მხოლოდ ჯოხაძემ იცოდა მაიორის რკინის კოზის საიდუმლოება. საკვირველი ის იყო, რომ მაიორი ყოველთვის როდი ხმარობდა თავის კოზს. წელიწადში იყო მხოლოდ

რამდენიმე დღე, როდესაც იგი ჭიქა არაყს გადაჰკრავდა და შიკრიკს ეტყოდა:

— დღეს პირველი მაისია, ქვეყანა ზეიმობს. პოლკოვნიკს სთხოვე, სადილზე გვეწვიოს. მერე, შენს გაზრდას, ჩანთა გახსენი და ჩემი დიდი კოვზი მომიტანე, დღეს იმით უნდა ვისადილო.

ძნელი იყო სიცილის შეკავება, მაგრამ შიკრიკი უკმაყოფილოდ სდუმდა და სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა უფროსის ნებას.

ამ დღის აღსანიშნავად ოფიცრები მაიორის მიწურში იკრიბებოდნენ.

სადილის დამთავრების შემდეგ იაშვილი იმ კოვზს ისევ ცხვირსახოცში გაახვევდა, თანაც ასე ეტყოდა შიკრიკს:

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, სიმონიკა, თუ არსად დამიკარგავ!

და შემდეგ ისევ ბრძოლაში...

მაგრამ ზემოთ აღწერილი შემთხვევის შემდეგ მაიორს სიტყვა აღარ დაუძრავს თავისი კოვზის შესახებ. იგი სიმონიკასთვის აღარ დაუბრუნებია. შიკრიკი სიხარულით ფიქრობდა, რომ ოფიცრების ხარხარმა გასჭრა და მაიორს გადააგიწყდა ის კოვზი. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, მაიორმა მოიწყინა: აღარავის ეხუმრებოდა, პირქუში და მიუკარებელი გახდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, კიდევ გაისმა ამ კოვზის ხსენება და მეთაურის შიკრიკ ჯოხაძეს კინაღამ მუხლი მოეკვეთა ჯავრისაგან.

ეს მოხდა სწორედ იმ ბობოქარ დღეებში, როდესაც ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მტრის მოწინავე ზღუდეები მდინარე ოდერზე და იერიშით შეიჭრნენ ოდერის ფრანკფურტის ქუჩებში. დილით დარეკეს დივიზიის შტაბიდან. კადრების განყოფილების უფროსი ლაპარაკობდა. მან გადმოსცა, ბრძანება არის მიღებული მაიორ იაშვილისათვის პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებო. მალე მოიტანეს ბრძანების ამონაწერიც. ბატალიონის ოფიცრებმა გადასწყვიტეს ეს დღე ზეიმით აღენიშნათ და საღამოთი, ახალი პოდპოლკოვნიკის ბინაში შეიკრიბნენ.

მცირე ნადიმი მხიარულად დაიწყო. თამადობდა პოლკოვნიკი ნაუმენკო.

თავისდაუნებურად ერთი რამ შენიშნა პოლკოვნიკმა, ამას სხვებმაც მიაქციეს ყურადღება, მაგრამ არაფერი სთქვეს, ვაი თუ ამ თქმას უსიამოვნება მოჰყვეს რამეო.

მოძღიმარე იაშვილმა სასმისი შეავსო და დუმილის მიზეზს კარგად მიმხვდარმა, პოლკოვნიკს გადახედა:

— ამხანაგ პოდპოლკოვნიკისათვის, მე მგონი, ეს დღე საზეიმო დღეა,—ღიმილით სთქვა ნაუმენკომ.

— აგრეა, აგრე,—ხმამაღლა ჩაილაპარაკეს ოფიცრებმა და სმენად გადაიქცნენ. ყველა მიმხვდარი იყო მეთაურის განზრახვას.

— მაგრამ, რატომღაც, აქ ვერა ვხედავთ მის განუყრელ, ძვირფას ნივთს,— განაგრძობდა ნაუმენკო, — სად არის თქვენი დიდი კოვზი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? — სერიოზულად იკითხა მან შემდეგ.

არავის გასცინებია. უბრალო ღიმილსაც არ გადაურბენია თანამესუფრეთა სახეზე. მაშინ იაშვილი წამოდგა და როცა შიკრიკმა მიაწოდა მისი ძვირფასი ნივთი, ხმადაბლა დაიწყო:

— მე მინდოდა ამის შესახებ თქვენთვის მეთქვა ადრეც, მაგრამ ვერ მოვახერხე. გეტყვით იმასაც, რომ იგი აქამდე განგებ არ გამოვაჩინე, რათა მცირე გაუგებრობას კვლავ სიცილი არ გამოეწვია.

— მეგობრებო! ბაბუაჩემი, იაკობ იაშვილი პორტ-არტურის ერთერთ სანაპირო ბატარიაში მსახურობდა სწორედ იმ დროს, როცა არტურის ესკადრამ პირველი ვერაგული თავდასხმა განიცადა იაპონელების მხრივ. იგი არტურში დარჩა და ბოლომდე იბრძოდა. ახლა ქვეყანამ იცის, რომ პორტ-არტური ჩვენი სამხედრო დიდების ქალაქია. პორტ-არტური დაეცა, მაგრამ ჩვენი ჯარისკაცი მაინც განარჯვებული გამოვი-

და. ეგ ომი ჰგავდა შიგნიდან გატეხილ ციხეს. ჰოდა, ზღვიდან ერთი საარტილერიო თავდასხმის დროს, ჯარისკაცებს ყუმბარის მოზრდილი ნაჭრები მოეგროვებიათ და სანამ ცეცხლის წვიმა გადაიღებდა, თავის გასართობად, ქლიბით ნატეხს აცოდვილებდნენ. ყველას ხელში გაუვლია იმ ფოლადის ზოდს. და იცით ბოლოს რა გამოსულა? ყუმბარის ნამსხვრევს ჯარისკაცური კოვზის სახე მიუღია.

ხიშტით წამოსულა იაპონელთა დესანტი. ჯარისკაცები მტერს კვეთებიან და ამ კვეთებიდან ცოცხლად დაბრუნებულებს ერთხმად გადაუწყვეტიათ: კოვზი იმისთვის მიეცათ, ვინც ყველაზე მეტად ისახელა თავი. ბაბუაჩემს ხვდომია წილად. შეგიძლიათ ამოიკითხოთ, აი, ტარზე აწერია: „არტური—1904“.

ომიდან დაბრუნებულ ბაბუას კოვზი მამაჩემისათვის მიუცია. ეს კოვზი თან ჰქონდა მამაჩემს პირველ მსოფლიო ომში. მამა შემდეგ წითლების ჯარში იბრძოდა და დარიალში მათთან ერთად შემოუდგამს ფეხი. ამ კოვზზე სწერია ესეც. „ჩრდილო კავკასია—1908“.

ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა მამამ კოვზი მე გადმომცა, მიამბო მისი ისტორია და მითხრა, თუ კი ოდესმე ომში ყოფნა მომიხდებოდა, ჩემს მამაზე და მამის მამაზე უკეთესი ვყოფილიყავი...

დარბაზში მხიარული შეძახილები და ტაშის გრიალი გაისმა, როცა ყველანი დაწყნარდნენ, იაშვილმა პოლკოვნიკ ნაუმენკოს გადახედა და წარმოსთქვა:

— რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ კოვზზე გაჩნდება კიდევ ერთი წარწერა: „ბერლინი—1945“. მაშინ უფლება მექნება იგი შთამომავლობას ვუანდერძო.

ვაქკაცურმა ვაშამ დაჰფარა პოდპოლკოვნიკის სიტყვები...

*
* *

ნაუმენკომ თვალები გაახილა. გურამს ხელში ეჭირა მამის ვეება კოვზი და მხიარული, მეოცნებე თვალებით აღტაცებით შესცქეროდა მას.

მაშინ პოლკოვნიკი ნაუმენკო წამოდგა და ჯიხვის მოვარაყებული ყანწი ზეასწია.

— ნება მომეცით შევსვა ჩვენი მომავალი თაობის სადღეგრძელო.

მხიარულ სახეებზე ბედნიერების ღიმილი ლიცლიცებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიორგი კაჭახიძე

ორი ლექსი

★

შუადღე ჭალაში

შუადღეა, მორევია თვლემა ჭალას,
ძლივსღა სუნთქავს მწყერი ჩირგვთან განაბული,
სიცხით წყალსაც დაჰკარგვია, თითქოს, ძალა —
უხმად მიდის ქვებზე ცივი ნაკადული.

მთოხნელები ისვენებენ მუხის ძირას,
ზოგი წევს და ამოუდევს თავქვეშ მკლავი.
მოშორებით ბრიგადირის მურას სძინავს
და ბალახში დაუმალავს მშვიდად თავი.

ხშირ ფოთლებში სხივს აპარებს მზე თამაშით,
დაუწინწკლა მუხას ჩრდილის გრილი კალთა
და ხმელ ტოტზე დაკიდებულ ძველ კალათში
ღვინის სურა ვარდისფერად გაანათა.

სიმძიმისაგან უგრძელდება კალათს მკლავი;
სურს მიწაზე, სუფრის გვერდით დაჯდეს მალე.
ალბათ მასში ყველასაც ხედავს ურცხვი ყვავი,
კალათს მუხის კენწეროდან უთვალთვალებს.

ყანის თავში, ტირიფების იქით მკრთალად
თავსაფარი აფარფატდა, ვით პეპელა;
აგერ ხოხბის ფრთების მსგავსად გაიშალა
და მოიწევს სიმინდების ზღვაში ნელა.

მოდის ქალი, დუმილს ურღვევს მწვანე სივრცეს,
კაბის კალთით ნიავივით ყანას არხევს...
მთოხნელებმა თავსაფრის ქვეშ უმალ იცნეს
საყვარელი მასწავლებლის სათნო სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადღისას გაზეთებით მინდვრად მარტო
დღეს პირველად მოდის განა ის კეთილი?!
ყანის მუშა ხალხთან, როგორც აგიტატორს,
საუბარი უყვარს, როგორც გაკვეთილი.

აი, ღიმით მოიხადა თავსაფარი,
აი, კუნძზე მუხის ჩრდილში დაჯდა ახლაც,
წამოიწყო საუბარი გასახარი
და ტკბილი ხმით დაავიწყა ყველას დაღლა.

შრომის გმირთა ცეცხლი მოჰყვა გაზეთს —
თითქოს,
მათი საქმის სხივად იქცა სიტყვა ქალის.
არ იქნება — მსმენელებმა არ იფიქრონ,
ხვალ გმირებად გაახილონ მათაც თვალი.

სიყვარულით თვალს ავლებენ ფართო მინდორს,
სოფლის ბეღელს და დოვლათის ნამდვილ დედას...
ფიქრში სადღაც აციმციმდა შრომის ჯილდო, —
უნებლიედ ყველამ მკერდზე დაიხედა.

მოსაუბრის ხმა საგმირო გრძნობით ავსებთ,
ყველას მკერდში გმირის გული იმალება,
და ხედავენ, როგორ მოაქვს ხვალის გაზეთს
მათი შრომის და ღირსების ბრწყინვალება.

—.—

წინაპრის მოსაგონარი

★

დგანან გუნდ-გუნდად ხეები ვაშლის,
ძირს დაუხრიათ ტოტები მძიმედ,
მიწას ჰკოცნიან ეზოში, ბაღში,
როგორც სიცოცხლის მშობელს და იმედს.

აჩნიათ გამრჯე მზრუნველის ხელი,
უხვად გვაფრქვევენ ნაყოფით ნათელს;
ტოტებს სწვდებიან ბავშვები ლხენით
და მწიფე ხილით ივსებენ კალთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მიყვარს ტოტის დარხევა ფრთხილად,
ნაყოფის სხივით ნაქარგი მიწა.
ვიგონებ მშრომელ ბაბუას ტკბილად,
ვინც ბაღს ეს შუქი პირველმა მისცა.

მკერდზე ეფინა მას თეთრი წვერი,
ხშირად ამ ხეთა ჩეროში იჯდა,
თუთუნს ჩაფშვნიდა ჩიბუხში ცერით
და აბოლებდა მოხუცი დინჯად.

მან გულით თესა სოფლად სიკეთე.
ეს ბაღი იყო მისი ქონება,
იყო მეურნე, და სხვა უკეთესს
რას დატოვებდა მოსაგონებლად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

ფერმა ივრის პირას*

★

XI

შაქროს წელიწადნახევარი კიდევ წინ ედო. ამ ხნის ხანმავლობაში მართას შეეძლო ჯერ გაუგონარი წარმატებისათვის მიეღწია და საქვეყნოდ ცნობილი ქალი გამხდარიყო.

მერე სწავლადამთავრებული შაქრო ჩამოვიდოდა და სოფელში ეტყოდნენ:— აქ შენთვის ადგილი არა გვაქვს. ფერმას მართაც კარგად უძღვებაო.

შაქროს გული ჯერ ეჭვმა ცოტათი გაუკაწრა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მართას პირველი წარმატებების შესახებ რაიონულ გაზეთში წერილი წერილზე იბეჭდებოდა, ეს ეჭვი გაიზარდა, გაიბერა და ახალგაზრდა კაცის გულში დიდი ადგილი დაიკავა.

— ჰერი-ჰა, მე აქ წიგნებს თავს ვაკლავ, პროფესორებს ციცასავით თვალებში შევცქერი და იქ მართა ქვეყანას იპყრობს.

მან პორტფელიდან სუფთა ქაღალდი ამოაცურა და საჩქაროდ წერას შეუდგა.

წერილი ფოსტის ყუთში ჩაუშვა. თითქოს გულიდან დიდი ლოდი მოიხსნაო, დამშვიდდა, იმ ღამეს კარგად ეძინა.

XII

კოლმეურნეობის კანტორის წინ მიტოვებულ კალოზე კატაბალახს მეტი არაფერი ხარობდა. ომი დამთავრდა, სოფელმა მშვიდად ამოისუნთქა, ხიპაურამ მებოსტნეობის ბრიგადირი დაიბარა:

— დროა, ჩვენი კანტორა კულტურულად მოეწყოს, რას იტყვი?!

— კაბინეტი მოგინდა? — მწარედ ჰკითხა მან.

— რას ამბობ, კაცო, მე და კაბინეტი?!. შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე.

მეორე დღეს მიტოვებული კალო ყორის ქვისაგან გასწმინდეს, კატაბალახი ამოძირკვეს, გადაბარეს და შემოდგომამ რომ მოატანა, ნიორი დარგეს. ხოლო ადრეგაზაფხულზე ხიპაურამ თბილისიდან ათიოდე ძირი გუნდისხე ჩამოიტანა და ფშატისა და ნუშის ხეივანს ორ მწკრივად მიაყოლა. კანტორის წინ ზამთარ-ზაფხულს მწვანე მექნებაო, ნიორმა მართლაც გადაამწვანა ნიადაგი, ხოლო გუნდისხეს ფერი წაუვიდა, მაგრამ ხიპაურამ კანტორის თითოეულ მუშაკს ორ-ორი ძირი ხე ჩააბარა, თუ ესენი გახმა, თქვენც აქედან აიბარგეთო.

როცა ხიპაურა ივანზე გადმოდგებოდა. ბაღს სიამით გახედავდა ხოლმე. ჩემი ნერგები ხარობენო, კმაყოფილებით იტყოდა იგი. ეს „ჩემი ნერგები“ გუნდისხეები იყვნენ, რომლებსაც ტოტები თამამად გაეშალნათ და ზეიმით მაღლა მიიწევდნენ.

იმ გაზაფხულს, გახურებული თესვის დროს, სოფელში ახალგაზრდა კორე-

* დასასრული. „მნათობი“ № 10.

სპონდენტი ჩამოვიდა, ხიპაურას დიდ ხანს ესაუბრა და, ბაღს რომ გახედა, გადაკვრით თქვა:

— ახალი ბაღი გაგიშენებიათ, მაგრამ აქ გუნდისხეებს რა უნდა?

— რატომ? — მყისვე ჰკითხა ხიპაურამ.

— სასაფლაოს ხეებია, კოლმეურნეობის კანტორის წინ შეუთავსებელია რაღაც!—კანტორის მუშაკებს გაეცინათ. ხიპაურას ეწყინა, მაგრამ ენა არ დაუძრავს... სტუმარი ბრიგადებში რომ გაისტუმრა, ბუღალტერს უთხრა:

— გაიგე?! — იგი ღელავდა.

ნიკა კეთილი კაცი იყო და მაშინვე გაიზიარა თავმჯდომარის გულისტკივილი.

— გაუგებელი რა იყო, მაგრამ არ ვეთანხმები! — მან ბაღისკენ თითი გაიშვირა. — აქ საფლავები კი არ გაგვიჭრია, ხეები ჩავრგეთ. ასეთი ხეები საგარეჯოში მღვდელსაც კი ედგა სახლის წინ, მაგრამ ას წელიწადს იცოცხლა, გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს, — წამოიძახა ხიპაურამ — დალოცვილო, ეს მაშინვე რომ მოგგონებოდა, პირში ბურთს ჩავჩრიდით.

კანტორის მუშაკები აფუსფუსდნენ.

— ეს ხეები დაგვიწუნეს, ჩვენ კი წყლის ზიდვით წელი მოვიწყვიტეთ.— სთქვა ერთმა.

— აწი მაინც დავისვენოთ! — მიუგო მეორემ.

ხიპაურამ გაიგონა მოანგარიშეების ეს სიტყვები და ყელში ბოლმა მოწოლილმა იყვირა:

— არ გაბედოთ, აქ მე ვარ უფროსი!

მერე კაბინეტში შევიდა და სკამზე მძიმედ დაეშვა.

ხიპაურა ორმოცდახუთ წელს მიღწეული კაცი იყო. თავისი ცხოვრების ერთი მეოთხედი მან ცხვარში გაატარა, მერე თვალი გაუფუჭდა და მემინდვრეობის ბრიგადაში მერგოლურად მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

„კარგი ხარ, კარგად გადაიხადეთ“ ეუბნებოდნენ კრებაზე. მას შემდეგ თორმეტმა წელმა გაიარა და ხიპაურას თავი არ შეურცხვენია. რაიკომში ავტობიოგრაფია მოთხოვეს. მოწაფესავით რვეულის ერთი გვერდი შეავსო და მერე დაწერილს თვალი რომ გადაავლო, გული ეტკინა: „რა დიდხანს მიცხოვრია და რა ცოტა გამიკეთებიაო“.

წელს ამ ბიოგრაფიას ხიპაურამ თავისი ხელით მიაწერა: „პურის მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მთავრობამ ლენინის ორდენით დამაჯილდოვაო“.

ამ სიხარულს ზედ ის ბედნიერებაც ეამატა, რომ ვაჟიშვილი შეეძინა. თორემ ზედიზედ სამი ქალიშვილი საგონებელში აგდებდა მას.

— ვაჟი შემეძინა!—უხაროდა ხიპაურას და სადაც ძმაკაცებს გადაეყრებოდა, ხარჯს აღარ ერიდებოდა.

XIII

კიბეზე ფეხისხმა გაისმა. ქალი იყო. წვრილ ქუსლებს ბაკი-ბუკი გაჰქონდათ. ნეტავ ვინ არისო, გაიფიქრა ხიპაურამ და ფანჯარასთან მივიდა. აივანზე მართა ამოვიდა.

— ჰო, შენა ხარ, მე კი მეფუტკრე მეგონა, ვერ ვიტან მის ლაპარაკს. კინაღამ აქედან გადავხტი — ანიშნა ღია ფანჯარაზე და მერე მაგიდის ქვეშიდან სკამი გამოსწია.

მართა დაჯდა.

შუბლსა და ნიკაპზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. დაღლილი იყო. ჩქარჩქარა სუნთქავდა. არც ერთს სიტყვა არ დაუძრავს. სიჩუმეში რამდენიმე წუთი გავიდა. ხიპაურა ისევ ბაღში იცქირებოდა და ფიქრობდა: ამ ქალმა გულგასახეთქი ამბავი კიდევ არ მითხრასო. უსიამოვნო რამეს მოელოდა...

— არ მომწონს ეს გუნდისხეები, უნდა ავკრა! — დაილაპარაკა ხიპაურამ.

— რას ამბობ, გაიზრდებიან და ამ სოფლის სილამაზე იქნებიან! ზამთარში როცა ყველაფერი გაიძარცვება, მწვანის შეხედვას რა აჯობებს.

— მართალია! — დაემოწმა ხიპაურა და უცებ გამხიარულდა.

— ფერმაში, ალბათ, ყველაფერი კარგად მიდის, არა?! — იკითხა მან.

— მაგრამ მაინც არ მომწონს ეს შენი ბალი,—განაგრძო მართამ, — ნუში და ფშატი ყველა კოლმეურნის ეზოში ხარობს. შენს ადგილზე რომ ვიყო, ჰო, რა უცნაურ მცენარეებს დავრგავდი. აი ხურმას, დაფნას, ლიმონს, პალმას.

— აქ ვერ გაიხარებენ, კახეთია, ცივა. — უცებ მიუგო ხიპაურამ.

— არა ჩემო ძმაო, კახეთი დალოცვილია, ჩვენს მიწას ყველა მცენარე შეეგუება.

— შენ თავიდან ბოლომდე სულ ძიება ხარ. ახალი, ყველაფერი ახალი... მაგრამ, ჩემო დაო, შენმა ახლისძიებამ ძროხები რომ იმსხვერპლა?!

მართამ თავი დაღუნა. თვალებზე ცრემლები მოადგა. თავსახურავის ფონს თითებით სრესდა და ხიპაურასათვის არც შეუხედავს, ისე გაბედულად სთქვა:

— სამწუხაროდ მსხვერპლს კიდევ უნდა დაემატოს...

— ჰა! — დაიქუხა ხიპაურამ.

მართა იტირებდა, მაგრამ მამაკაცის მჭექარე ხმაზე ის შეკრთა; ბუღალტერიიდან ნიკა გამოვარდა და მოანგარიშე ქალებიც კარს მიაწყდნენ.

— რა იყო?! — იკითხა ნიკამ.

— არაფერი, სრულიად არაფერი. აქტი შეადგინე, მართას ძროხები კიდევ უნდა ჩამოვაწეროთ. — სთქვა ხიპაურამ დაცინვით და ნიკას შეანათა ამღვრეული თვალები: — შენ რას იტყვიო.

მართამ ლუღლუღით დაიწყო...

— კი, მაგრამ...

— ვიცი, რასაც იტყვი, უმსხვერპლოდ საქმე არ კეთდებაო! — სიტყვა შეაწყვეტინა ხიპაურამ.

— არა, ამხანაგო...

— არ მინდა მოგისმინო, — ხიპაურამ კარს ფეხი ჰკრა და კიბე ჩაირბინა.

მართას აცრემლებული თვალები აენთნენ. სახე მრისხანე და ცეცხლოვანი გაუხდა.

— ვინ მისდევს, სად გარბის ნეტავი! — იკითხა მან, მაგრამ ნიკას ხმა არ ამოუღია, ერთი მძიმედ ამოიხვნეშა და წარბების ქვეშიდან შეხედა.

— ჰე, ჩემო დაო, ბედი უნდა ყველაფერს! — სთქვა მან ქალიშვილის დასაძშვიდებლად:

— მე უბედობას როდი ვუჩივი? — ამაყად მიუგო მართამ. ნიკას ეს სიტყვები ქვასავით მოხვდა, მაგრამ მორიდებული კაცი იყო და არ გაეპასუხა.

მართამ უფრო დამშვიდებულად წარმოსთქვა:

— მიმეცით პასუხისგებაში, ამაზე ადვილი რა არის!

— თავი გამანებე, გოგო, მე რომელი დამსჯელი მნახე! — ეწყინა ნიკას და სამუშაო ოთახში შევიდა.

მართა მცირე ხანს დუმდა და მერე თავისთავს კითხა:

„ნუთუ მარტო ვარ, არავინ არ თანამიგრძნობს! ა?“

მართას თვალწინ წამოუდგა მომაკვდავი ძროხები. შავ, გამომშრალ თვალებიდან ცრემლი სდით, მოწყალებას ითხოვენ, ფეხებს უღონოდ ასავსავებენ და სიკვდილს უსიტყვოდ ნებდებიან,

— ნუთუ თქვენ სიკვდილში მე მიდევს ბრალი?

მართამ მიმოიხედა. ოთახში მზის სხივები რიალებდნენ. ერთ კედელზე შინდისფერ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი ეკიდა. მართას გულში იმედმა ფრთა გაშალა. მან სიხარულით შეხედა მზის შუქით განათებულ სურათს, რომელიც რწმენას უმტკიცებდა და ამხნევებდა. მართამ ზეპირად იცოდა მეცხოველეო-

ბის განვითარების შესახებ მისი სიტყვები და ამ მძიმე წუთებში მათი ხმამაღლა განმეორება მოუნდა...

მერე პორტრეტს შეხედა... მართა საშუალო სასწავლებელს ამთავრებდა. ამ დღეს წიგნები მკერდზე მიეხუტებინა და სახლისკენ მიდიოდა. მხიარული იყო. ქართული ენაში ფრიადი მიეღო და ახლა ხვალისთვის რუსული უნდა ჩაებარებინა. გზაზე ლექსებს ჩურჩულით იმეორებდა, ღელავდა, გაწითლებული იყო. რაიკომის შენობას მიუახლოვდა. უცებ მის წინ მსუბუქი ავტომობილი გაჩერდა. კაბინის კარი გაიღო, თითქოს ყვავილები აშრიალდნენო, მოწაფეებმა მისი სახელი ჩურჩულით წარმოსთქვეს. იგი შეჩერდა. გოგონებს გაუღიმა და ალერსით ჰკითხა:

— ალბათ, გამოცდაზე ფრიადი მიგიღიათ, ასე მხიარულები რომ ხართ!

მოწაფეები დამფრთხალ ბატკნებივით მის წინ შექუჩდნენ. ვერც-ერთს ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა. სიხარულით ღელავდნენ... ერთმა გოგონამ ჩაის ვარდი, ხელში რომ ეკავა, მოკრძალებით მიაწოდა.

მართას ამ ტკბილმა მოგონებამ მღელვარება გაუნელა და იკითხა: — ვინ იყო ის თამამი გოგონა?!... მეო! — თვითონვე უპასუხა.

ჰე, რა გახარებული მივიდა მართა შინ. მთელი ღამე არ დაუძინია. რუსული ლექსები, მოთხრობები, რაც სახელმძღვანელოში იყო მოთავსებული, სულ სხაპასხუპით განიმეორა, შეისწავლა და დილით გამოცდაზე რომ გავიდა, დირექტორმა შუბლზე აკოცა.

— ჰე ნეტავ იმ დროს! — აღმოხდა მართას.

მზე გადიხარა. სხივები ახლა უფრო პირდაპირ ხვდებოდა იმ პორტრეტს. სათვალეს იქეთ ფართო, კეთილი თვალები მართას პირდაპირ უმზერდნენ.

კაბინეტში ფოსტალიონი შემოვიდა..

— გაგახარა ღმერთმა, შენსას მისვლა არ მომიხდა! — უთხრა მას და წერილი მიაწოდა.

შაქროს ხელი იყო. მართა ნუგეშის თვალით უყურებდა წერილს.

— ო, შაქრო, გმადლობთ გაჭირვებისას ხმა რომ მომაწვდინე, — ჩაიდუდუნა მან და სახეგაბრწყინვებულმა ბარათი გახსნა.

XIV

ხიპაურა ფერმაში გამგელებული მივარდა. ასე გაჯავრებული ის ჯერ არავის ენახა. შეკრთნენ მწველავები. მწყემსი ნიკალა არც კი შერხეულა. იჯდა თავისთვის და შინდის კომბალსა თლიდა. თეონა მორჩილად მიესალმა ხიპაურას.

— სად არის მართა?! — დაიყვირა მან.

— თქვენთან წამოვიდა, არ გინახავთ? — უპასუხა ფეფელამ. ყურებზე ხელები მიიფარა. ხიპაურა მიუხვდა და ხმას დაუწია:

— არ ვიცი, რა მოგვიდათ, ფერმას ღუპავთ, არა?! — იკითხა მან. მერე გომურის კართან შეჩერდა და ფეფელას ალმაცერად შეხედა.

— ძროხები როგორ არიან?!

— ექიმი გამოვიძახეთ, მაგრამ ჯერ არავინ მოსულა... მოდი თქვენ დაურეკეთ რაიკომის მდივანს!—სთხოვა თეონამ.

— დაურეკო! მერე კარგ ამბავს კი ვაცნობებ, მადლობას მეტყვის.

მან შეაღო სადგომის კარი და ძროხებს მგლოვიარესავით შეხედა.

— ჰაი, დედასა, რა იმედი მქონდა თქვენი?—სთქვა მან და მისი განუყრელი ჯოხი ნიშა ძროხას რქაზე დაუკაკუნა. ძროხამ წელი ძლივს აითრია. — დასიცხულია, უთუოდ, — ჩაილაპარაკა მან. — მე ვთქვი, საძოვრებზე გავრეკოთ-მეთქი. მართამ დაიჩემა: — აქაოდა

ბაგურ კვებაზე მყავს გადაყვანილი და ადგილიდან ვეღარ დავძრავთო...

მართა შინ უგულოდ მივიდა. თვალებში ცრემლები უბრწყინავდა მაგრამ როდი იტირა, დედა შეიბრალა. მოხუცს გული გაუსკდებაო.

დიდხანს ფიქრობდა შაქროსათვის წერილი მიეწერა თუ არა, და ბოლოს საწერ-კალამი რომ აიღო, უკვე მოზღვავებული გრძნობებისაგან ისე ღელავდა, ვერაფერი დასწერა. მერე სკივრიდან ქაღალდების ერთი დიდი შეკვრა ამოიღო. ეს შაქროს ბარათები იყო, ფრონტიდან კვირაში ორჯერ რომ აგზავნიდა. თრთოლვით გახსნა შეკვრა და მაგიდაზე გაშალა ფერგადასული, გაყვითლებული ფურცლები.

— ნუთუ ასე წაუვიდა ფერი და ძალა ჩვენს სიყვარულსაც, — გაიფიქრა მან და ბერლინიდან გამოგზავნილი წერილი გაშალა, თუმცა მრავალჯერ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ ახლაც თვალი გადაავლო, ამ თბილი და სიყვარულის ხმებით აჟღერებულ ბარათს. გული გაეხსნა. მასში იმდენი გრძნობა და სიხარული იყო, რომ მისი მწუხარება ერთ წუთს წაილეკა.

— ნეტავი იმ დროს! — ჩურჩულით წარმოსთქვა მან და ბარათი ტუჩზე ძიიდო. ეამა ნესტისა და ქაღალდის შერეული სუნი. მერე დანარჩენ ბარათებსაც დაწვდა, ზოგი წაიკითხა, ზოგიც სიხარულით გადაფურცლა. იგი გალაღებული და უდარდელად იღიმებოდა. ამ სურათზე გერმანულად ეწერა: „საყვარელ მართას, შაქროსაგან“ — ეს რა მოიწერე, არა გრცხვენია!.. ახლა შენი წინააღმდეგობა-ღა მაკლია!—უთხრა მან სურათს და მერე სუფთა ქაღალდზე დააწერა: „ჩამოდი ვკვდები“.—ჰო, ჩამოვიდეს. მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ორივე სიტყვა წაშალა და წერას შეუდგა.

შაქროსადმი ბარათი ორ გვერდს შეიცავდა. „მე მჯერა ჩემი თავისა. ვემსახურები ჩემს დიდ მიზანს“.

XV

ბეჯითი კოლმეურნე ბიჭის ამბავს ალა როდი დაელოდება. მან უთენია ბაღ-ვენახს უნდა მიაშუროს, რომ შემოდგომამ უხვი კალთა დაიბერტყოს და ზამთარში პური და ღვინო გამოუღეველი ჰქონდეს.

მაგდანა რომ ადგა, ჯერ ჩიტებიც კი არ წამოშლილიყვნენ ბუდეებიდან. აქაიქ ჩამორჩენილი ვარსკვლავები მზის მოლოდინში თვალებს წკურავდნენ. მაგდანამ კარ-ფანჯრები გააღო. ივრის ნიავმა ოთახში ითქრიალა. მართას ეძინა, არ შეეცივდესო, და საბანი გაუსწორა, მერე მარანს მიაშურა. საცალოდან ოთხი ლიტრა ფქვილი ამოიღო, ვარცლი პირამდე გაავსო, შიგ ხაშის გუნდა ჩააგდო და მარილ-წყალი დაასხა. მოზელას მალე მორჩა. ხიდან ქათმები უკვე ჩამოფრენილიყვნენ და მარნის კართან ქოთქოთებდნენ.

მართაც ამდგარიყო, პირს იბანდა. ცივმა წყალმა ვერ გამოაფხიზლა, უგუნებოდ იყო.

— თუ არ გეჩქარება, თონე მაინც გაახურე, შვილო!

მართამ თონეში ცეცხლი გააჩაღა და მერე გუნდების ამოღებაში დედას მიეშველა. ერთი ორომი გაივსო. თონიდან ავარდნილი ალი ნედლ ფოთლებს ჰაერში აფრიალებდა. ფოთლები მაშინვე ტკაცატკუცით იწოდა და მათი ფერფლი ეზოში პეპლებივით დაფრიალებდნენ. თონეში ფიჩხის კონის ჩაგდებისას ალი ქრებოდა, ცეცხლს შიგ გუგუნი გაუდიოდა და მერე შავი ყომრალი კვამლის ბოლქვები ცისკენ მიდიოდა. მას გაავებული ცეცხლი ბრიალით მისდევდა და ნაპერწკლების ცინცხლებს აწვიმებდა.

თონეში ფიჩხი დანაკვერცხლდა უკვე, მაგრამ ცეცხლი ძალიან ცხარე იყო და მაგდანამ ნაცარი მოაყარა. თონე გააგრილა, მერე კედელს ცოცხით მარილწყალი მიასხურა და ორომი მარ-

ჯვე ადგილას დადო. იგი სწრაფად ჩაყირავდა გაგანია თონეში და სიფრიფანა ლავაშები მიაკრა, რაც მაშინვე მოითუთქა და კაუჭით ამოყარა. მერე თონეს ძირი მოუქექა, სქელ-სქელყურიანი პურები მიაკრა, სარქველი დაახურა და სანამ შიგ ბუღი დატრიალდებოდა, ორომი ახალი გუნდებით გაავსო. ამასობაში რამდენიმე წუთმა შეუმჩნევლად გაიარა. ახლა მართა თონესთან მივიდა და „დედას-პურები“ ამოყარა, მრგვალი ტაბაკი გაავსო, თავზე შეიდგა და მარანში შეიტანა.

მზე კარგად ამოწვერილიყო. მართამ ცხელი შოთითა და ახალი ყველით რომ ისაუზმა, ფერმისაკენ გასწია, ხოლო დედა ისევ თონესთან იდგა. კუტიპურების გამოშუშებას ელოდებოდა.

გულჩაწყვეტილ მართას ფერმასთან უფრო აეშალა ფიქრები.

— ჰე, ნეტავი რითი დამთავრდება ეს ყველაფერი, — ამბობდა იგი. განა სასჯელის მეშინია, არა, არა! ნუთუ მე დავხოცე ძროხები? რა ვიცი, ვეტექიმმა ხიპაურას კვერი დაუკრა და... შაქროს ჩემი ბარათი უკვე მიღებული ექნება, ნეტავი ჩამოვიდოდეს, დამეხმარება.

მზესუმზირას ყანა ოქროსფრად ღელავდა. ამ ფართოფოთლებიან მცენარეებს სავსე მთვარესავით ყვითელი სახეები აღმოსავლეთისკენ მიებრუნებინათ და მზის პირველ სხივებს შეღიმოდნენ. ყანა ახალი მორწყული იყო. ნესტით გაჟღენთილი ჰაერი ქალიშვილს ცივად ხვდებოდა. ისეთი სიჩუმე იყო, რომ მართას მზესუმზირის ყვავილებზე ძოფუსფუსე ფუტკრების ბზუილი ესმოდა...

არხის ღართან მზესუმზირას ღეროები შეინძრნენ, ფოთლებმა გაიშრიალეს, მართა შეკრთა. გზაზე გამოვიდა მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი ხიპაურა და პირქუშად მიესალმა.

„იბღვირება“, გაიფიქრა ქალმა და ხიპაურას გამოწვდილ ხელს თავისი ხელი ოდნავ შეახო. — აქ როგორ გაჩდი? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— არხები შევამოწმე, ბატონო ხიპაურა, არ ვენდობი, თავათ უნდა ვნახო და ჩემი ხელით გავქექო ყველაფერი, ასეა, ყველაფერზე მე მთხოვენ პასუხს. და ახლა შენთან მოვდივარ ფერმაში, გუშინაც ვიყავი, ხვალაც მოვალ. რა ვქნა, ყველაფრის ასავალ-დასავალი უნდა ვიცოდე. აი წუხელ რაიკომის მდივანს დავურეკე, ფერმის ამბავი ვაცნობე, მან არც მომისმინა. ასეა, ცუდი ამბავის მოსმენა არავის უნდა. მაშ რა ჰქნას ხიპაურამ! — ის ხმამაღლა, ბოხი ხმით ლაპარაკობდა, თან ხელებს შლიდა, თითოეულ სიტყვას გამოთქვამდა მძიმედ და სრულებით ვერ ფარავდა და არც ცდილობდა დაეფარა თავისი გულისწყრომა. მის გრძელ ნაბიჯებს, მართა თითქმის სირბილით მისდევდა და დუმილად გადაქცეულმა ფერმამდე სული ძლივს მიიტანა.

ფერმის ეზოში ნიკალა როგორც ყოველთვის. ახლაც თეონასთან იდგა.

— როგორაა საქმე? — შეუბღვირა ხიპაურამ ნიკალას. თეონა შეჩერდა და ორივეს მორცხვად მიესალმა. ნიკალას სიტყვა არ დაუძრავს. გაქვავებულივით იდგა და კომბლით მიწას ქექდა.

— ენა არა გაქვს?! — ჰკითხა ხიპაურამ,

— ენა რომ მაქვს, იმიტომ ყველაფერი ხომ არ უნდა ვთქვა... მე ვინ რას მეკითხება!

— როგორ ლაპარაკობ, გამოუძინებელი ხომ არა ხარ!

— პირიქით, მაგრად მეძინა, კარგი სიზმარიც ვნახე და ამ გოგოს რომ გავანდე, ცუდის ნიშანიაო, მითხრა, მაგრამ ამას რა გაეგება! — გააგრძელა ნიკალამ მისი მოსმენის თავი ახლა არავის ჰქონდა.

მართამ თეონას ჰკითხა.

— როგორ არიან ძროხები?

— აბა რა ვიცი, არც კვდებიან და არც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტ-

ყობათ. — დარდიანად უპასუხა თეონამ და გამგესა და თავმჯდომარეს წინ გაუძღვა.

XVI

თემშარიდან საბარგო ავტომობილმა გადაუხვია და კოლმეურნეობის კანტორის წინ გაჩერდა. ავტომობილი სულ მტვერსა და ტალახში იყო ამოგარგნილი. ძარაში შოფრის გვერდით თეთრი მრგვალი პირისახის და მსხვილ ცისფერთვალებიანი ქალი იჯდა. მას ღია ჩალისფერი თმა მსხვილად დაეწნა და ჩაბალახივით თავზე შემოეხვია, რაც განსაკუთრებით მის მთვარესავით გაბადრულ სახეს ჯანსაღ იერს აძლევდა. მან კაბინიდან გამოჰყო თავი და დარაჯ გიოს კითხა:

— ეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაა?

— დიახ ბატონო!

სტუმარმა შოფერს უთხრა.

— მოვსულვარ უკვე!—და ისევ გიოს შეეკითხა.

— მართა როსტომაშვილი ამ კოლმეურნეობაშია?

გიო გაოცდა.

— თქვენ საიდან იცნობთ მართას. ის ჩემი კარის მეზობელია.

— კეთილი! — კმაყოფილებით გაიღიმა ქალმა, კაბინიდან ჩამოვიდა და გიოს ხელი გაუწოდა. — მიცნობდეთ, მე დემჩინოვა ვარ.

— თქვენ მარია დემჩინოვა ბრძანდებით? — გიო ხელს არ უშვებდა.

— დიახ, საიდან მიცნობთ?!

— მე კი არა, მთელი სოფელი გიცნობთ, ყველანი თქვენზე ლაპარაკობენ. წამობრძანდით.... — აქ გიო ცოტა შეჩერდა, შეყოყმანდა, მაგრამ მაშინვე რაღაც მოიფიქრა და მერე სტუმარს თავაზიანად მიმართა:

— წამობრძანდით ჩემსას, ახლა ყველა მინდორშია გაკრეფილი. კანტორაში არავინ არ არის. სანამ დაისვენებდეთ, მართას თქვენთან გავაჩენ.

ავტომობილი გიოს ეზოსთან გაჩერდა. გახარებულმა გიომ მაშინვე ჭიშკარი ფართოდ გააღო და ცოლს დაუძახა.

ძარადან დიდი კამეჩის ოდენა ბუღა დაბღვერილი თვალებით გაჰყურებდა სოფელს, ხოლო იქვე ორი წაბლის ფერი თვინიერი ძროხა ეტყობოდათ დაღლილ-დაქანცულები იყო და უსიამოდ იცქირებოდა.

დემჩინოვამ და შოფერმა ძროხები ავტომობილიდან ჩამოიყვანეს, ბუღას ხელში ძლივს ამაგრებდნენ. მიწას ერჩოლებოდა და თოკის აწყვეტას ლამობდა.

გიოს ცოლი — სიხარულით ცას ეწია.

ვაზით დაბურულ აივანზე სუფრა გაშალა. ვარცლიდან თბილ-თბილი შოთები ამოალაგა, ახალი ყველის გუდა გახსნა, ჭაჭის არაყი, სიტკბოსაგან გათეთრებული ჩურჩხელები და ხელადით წითელი ღვინო შემოიტანა.

— ჯერ ეს მცირე იყოს და მერე ვნახოთ! — უთხრა მან სტუმრებს და სუფრასთან მიიპატიჟა.

ძროხები ახალ ბალახს შეექცეოდნენ, ბუღა მიწას მისჩერებოდა და დროდადრო კუდს თუ მოიქნევდა, თორემ ისე გაჩუმებული იყო.

— მართას კნუტებს კი არ გვანან, ასეთი ძროხა მოიწველის, მა რა იქნება. — ჩაილაპარაკა დიასახლისმა და მერე სტუმარს შეესიტყვა:

— სულ ეგეთი ძროხები გყავთ?

— დიახ!

— კარგი მოგეცათ, ესენი კარგ სარგებლობას მოგცემენ.

სტუმარი მადიანად შეექცეოდა სახელდახელოდ მომზადებულ საჭმელს. მას განსაკუთრებით ჩურჩხელა მოეწონა.

— შენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რა ჰქვია? — იკითხა გიომ.

— ნიკიტა! — ღიმილით მიუგო ქალმა.

— ჰო, ის რომ ჩამოსულიყო, მე ვიცი, ჭაჭით ავაცრემლებდი! მაგრამ შენ ქალი ხარ და აბა ღვინო-არაყი როგორ

დაგაძალო, ისე კი ჭიქა მომიჭახუნე! იმ ძალას გაუმარჯოს, რომელმაც აქ მოგიყვანა.

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!— დაიწყო სტუმარმა, წვრილი წკრიალა ხმით. მინ ყოველ სიტყვას თან მოსდევდა კბილების ელვარება და დაუცხრომელი სიხარული. — მართას წერილებმა მე ეს სოფელი შემაყვარა, ვთქვი, აქ კარგი ხალხი ცხოვრობს მეთქი და გამოვეშურე მცირედი საჩუქარით, ჩემმა თავმჯდომარემ ნიკიტა პეტროვიჩმა ისიც კი მითხრა, ერთი ძმურად შევეჯიბროთ ქართველ მეგობრებსო.

დემჩინოვამ ჭიქა გამოსცალა და ლოყები მაშინვე ვარდისფერი გაუხდა. მართალია, ის ხანგრძლივმა მგზავრობამ საკმაოდ მოქანცა, მაგრამ ამ კეთილი გლეხის პატარა სუფრაზე დიდი სიმშვიდე იგრძნო და უფრო მოუნდა მართას ნახვა. ამიტომ, როდესაც თეონა ეზოში შემოვიდა, დემჩინოვა სიხარულით წამოვარდა, მაგრამ ჩემი ქალიშვილიაო, უთხრა გიომ და კეთილი სტუმარი როდი დაბნეულა, უცებ გამოასწორა:

— მით უკეთესი, თქვენი ქალიშვილი რომაა, — სთქვა მან და თეონას გადაეხვია.

— უი, შენ გენაცვალე, მართა ახლა გადაირევა, გულს მოეშვება, დარდი გაუქრება, ეს ვინ გვეწვია, ქაა, აწი ჩვენს ფერმას უყურეთ, რა სასწაული მოახდინოს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა სიხარულისაგან დაბნედილი თეონა და თვალებში შესცინოდა სტუმარს. ხოლო ძროხები ჯერ შორიდან გაზომა, მერე ახლოს მივიდა, ბიუალერსა და ცურები გაუსინჯა.

— ესეთი ძროხა მომეცი და მერე მე მკითხე, როგორ მოვუვლი, რამდენ რძეს გამოვართმევ!

ის თვალებს ვერ აშორებდა ძროხებს, აღფრთოვანებული იყო, ბავშვივით კისკისებდა.

მერე წამოხტა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ტუჩზე თითი მიიდო და შესძახა:

— ამ წუთში მართა აქ გაჩნდება. — თეონამ ეზო გაირბინა და ოღლობეს ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა.

უფროსი დების გათხოვების შემდეგ თეონა შინ უფრო მეტ პატივში იყო და მშობლები ანებივრებდნენ. სასწავლებლიდან ის მართასავით ფერმაში ნოვიდა მწველავად და თავისი მკვირცხლი გონიერი მუშაობით ყველას შეაყვარა თავი. ცხრამეტი წლის ქალიშვილმა სოფელში სახელი გაითქვა და ფერმაში აგიტატორად გამოჰყვეს. იქ წითელი კუთხე მოაწყო, პატარა მაგიდა წიგნებითა და გაზეთებით გაავსო. მწყემსებს, მეხბორეებს, მწველავებს თავისუფალ დროს თავს მოუყრიდა და ცოცხალი, ლამაზი საუბრით აჯადოებდა... ნიკალა ყველა საუბარს ესწრებოდა, შეკითხვას წარამარა აძლევდა, უყვარდა მისი ბარილიანი ლაპარაკი და გულში თავისთვის ამბობდა:

— ჰაი, ჰაი, რა ქალია!

ამის მეტს ვერაფერს იტყოდა. ან რა უნდა ეთქვა. ერთი ჩუმი კაცი იყო. თეონას გულისთვის კლდეს გაანგრევდა, ორში გადავარდებოდა... სანამ თეონას აგიტატორად გამოყოფდნენ, ორიოდე სიტყვას კიდევ უბედავდა, სწორედ მაშინ ნავსი გასტეხა და უთხრა; — შენ ნახირში როგორ გაგიშვებო. ეს სიტყვები ქალიშვილის გულში ახლაც ტკბილად გაისმოდა.

XVII

გახარებული თეონა ფერმის ეზოში რომ შევიდა, მართა და ხიპაურა კაკლის ქვეშ ცხარედ საუბრობდნენ.

— მე, ჩემო დაო... მეცოდება ეს ძროხები. რა დააშავეს მათ? მეცოდები შენც, მაგრამ მებრალება ჩემი ოხერი თავიც. რა ვქნა, გულით კეთილი კაცი ვარ და ასე მომდის... არა, ეს საქმე რომ საფუძვლიანად გამოვარკვიოთ,

დამნაშავე რომ სასტიკად დაისაჯოს, შენ რაიმე საწინააღმდეგო ხომ არ გექნება?

— როგორ გეკადრებათ, არაფერი! — მიუგო მართამ და ის იყო თეონაც მოვიდა.

— მართა! სამახარებლოს რას მომცემ? დემჩინოვა ჩამოვიდა.

— თეონა, შენ გაგახარა ღმერთმა, მე რომ გამახარე!

უთხრა მართამ და მაშინვე სტუმრისკენ გაეშურა. გიოს ეზოში ის თამამად შევიდა, მაგრამ შორიდან სტუმრები რომ დაინახა, ნაბიჯი შეანელა, თავსაფარიც გაისწორა და დემჩინოვას გამოწვდილ ხელს ხელი ფრთხილად მოჰკიდა.

— გამარჯობა დაო! — მიესალმა იგი და მერე მართლაც დასავით გადაეხვია.

*
* *

მართას წერილი შაქრომ გვიან მიიღო, ასეთ პასუხს როდი მოელოდა. იშ ღამეს ვერ მოისვენა. შფოთავდა. წერილი დაჭმუჭნა, კუთხეში მიაგდო და საწოლზე გაუხდელად წამოწოლილმა ჭერს მიაპყრო უძილობისაგან გამომშრალი თვალები. ჩუმი ღამე იყო. მწერები თავგანწირვით ეხეთქებოდნენ ნათურას და ფრთებდათუთქულნი მაგიდაზე ეცემოდნენ. რკინისბადიანი ფანჯარა ღია ჰქონდა. მტკვრის ცივი ჰაერი ოთახს აგრილებდა. შუაღამე უკვე დიდი ხნის გადასული იყო.

თბილისს ეძინა, შაქრო ლოგინიდან მძიმედ წამოდგა, პირზე ცივი წყალი ისხურა და გამოფხიზლდა; დაჭმუჭნილი წერილი გაშალა, ოთხად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო...

„ნუთუ მართლა ასე უჭირს“, გაიფიქრა მან და მერე გულიც დაწყდა; რატომ მასთან არა ვარო. იმ წუთში მარიას სახემ მის წინ გაიელვა.

მაგიდაზე ნაჩქარევად დაწერილი ქაღალდი იდო. ეს მისი უმცროსი დის წერილი იყო, უგულოდ გადაავლო თვალი, ყველაზე მწვავე ადგილი ზეპირად იცოდა, მაგრამ მაინც [illegible] საყვარელი დაია წერდა [illegible] პაურამ ნახევარი საათი ილაპარაკა, ფერმის მუშაობაზე და მართა ქებადიდებით ცამდე აიყვანა. მართა იცინოდა, კარკაცებდა. ბოლოს შენმა მართა — ქალმა ისიც კი ბრძანა: ჯერ რა მიღწევა აქვს ფერმასო, ეს მხოლოდ დასაწყისიაო. აი, კარგ ჯიშიან ძროხებს რომ ვიყიდი, ჩემი წარმატებები მერე ნახეთო. მერე, ხომ იცი სოფლის ამბავი-გლეხები აყაყანდნენ: შაქროს ნამდვილად აჯობა მართა-ქალმაო, და სიცილი დაიწყეს. ნიკალა მწყემსმა ლექსიც კი წამოაყრანტალა. ეს ყველაფერი სადმე ორღობეში კი არა, საერთო კრებაზე ითქვა და ქვეყანამ გაიგო. რაიკომის პირველი მდივანიც იქ იყო. მართამ ჯიშიანი ძროხების საყიდლად დიდძალი ფული მოითხოვა და გამგეობამ მაშინვე ჩაუთვალა... მართა რაიკომის მდივნის გვერდით იჯდა (მთლად გამეტიჩრებულია!) და რაღაცას ეჩურჩულებოდა, იცინოდნენ. ნუ გგონია, რომ შენ არ დაგცინოდნენ. მამაშენი კინაღამ ბოდმისაგან დადნა. სჯობია შენს საქმეს ისევ შენ მიხედო...“

შაქრო პირველივე ავტომობილს სოფელში გაჰყვა. გზაზე ფიქრები უფრო აეშალა. მართა მას დასახმარებლად მოუხმობდა... იგი ფიქრობდა „მართა დაღუპავს ფერმას და თვითონაც ჩავარდება. მერე მე გამიხდება თავსატეხი“ ამ წუთებში ფიქრებისა და გაბრაზებისაგან ატკივებულ თავში იმდენი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრები ებადებოდა, რომ არ იცოდა, რომელს მიჰყოლოდა და განეხორციელებინა.

შაქროს ავტომობილი სწორედ მაშინ შევიდა სოფელში, როდესაც სტუმრებისათვის მართა სუფრას შლიდა.

მას დაიამ სულ წვრილწვრილად უამბო კრების ამბები, მერე ძროხების დახოცვაზედაც ბევრი ელაპარაკა და სულ ცეცხლი მოუკიდა ისედაც გულზედშემოყრილ კაცს. მამამაც კვერი დაუკრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვაგინებენ, ბიჭო, საქვეყნოდ თავი შოგვეჭრა, აწი არც კი მოგესვლება აქ!

შაქროს ტანისამოსი არც კი გამოუცვლია, პირდაპირ მართასაკენ წავიდა.

XVIII

მართა სუფრაზე ერთობ მომხიბვლელი იყო. მის სახეზე სიხარული და მწუხარება, რაღაც შეუცნობი, იდუმალი ფერებით გამოსახულიყო.

მათე სუფრის თავში იჯდა და ქალიშვილის ყოველ მოძრაობას მის სიტყვასა და სიცილს აღტაცებაში მოჰყავდა.

აქ იყო ივანეც. მისი ბეჭედი მათეს ედო გულჯიბეში, ხოლო მისი სიტყვები გზის მაჩვენებელ ლამპარივით ანათებდნენ. „დროა, გადავცე ბეჭედი“, გაიფიქრა მან, მაგრამ შერცხვა. ამ ცივ ლითონს ორმოცი წლის წინათ ადამიანების გულში დიდი ძალა ჰქონდა!

იგი ჩაციებით უყურებდა მართას. ვაქაცის ეს მჭრელი თვალები რომ აერიდებია მართამ განგებ ჰკითხა:

— რამ მოგაწყინა, მათე, დალიე, იმხიარულე, ნუ გეშინია, შენს ფარას ჩლიქი არ წამოსტკივდება!

მაგრამ ამ სიტყვებითაც რომ ვერაფერს გახდა, მერე სუფრიდან ნელა წამოდგა და მოაჯირის ბოძს მიეყრდნო. მზე ჩასული იყო. გრილოდა. ბოძის მეორე მხარეს მათე მიუახლოვდა.

— მართა, მეტი არ შემიძლია!

მათემ ხელი დაუჭირა მართას და გულჯიბეში ნადები ბეჭედი თითზე წამოაცვა. მართა გაფითრდა. შეეცადა ბეჭდის წაძრობას, მაგრამ ამ დროს კიბეზე შაქრო ამოვიდა და შეშფოთებულმა ქალიშვილმა ორბეჭდიანი ხელი ძირს დაუშვა.

შაქროს გამოწვდილ ხელისთვის არ უნდოდა ხელი მიეცა, მაგრამ უხერხული იყო. შაქრომ ხელი ხელზე მოუჭირა.

— მეორე ბეჭედი! — გაიკვირვა მან — როდის იყიდე?!

— შარშან! — მართამ ისევ წაატარა თითს ხელი, მაგრამ ბეჭედი როგორღაც მაგრად იყო.

— მერე რად იძრობ, გქონდეს — უთხრა შაქრომ და დემჩინოვას მიუახლოვდა. მას მართაც გაჰყვა. მან ბეჭედი წაიძრო და სუფრასთან როდი დააყოვნა, ღელავდა, ისევ აივანზე გამოვიდა. მათე ბოძთან დაუხვდა.

— დაიბრუნე შენი ოქრო! — უთხრა მან.

— ეს შენ გეკუთვნის, შენ! — შეშფოთებით უპასუხა მათემ.

— ჩემს ხელს ეს ვერ გაალამაზებს!

წამოიძახა მართამ და ვაეს ბეჭედი ვულჯიბეში ჩაუგდო. ამით თითქოს დამშვიდებულმა დაბალი ხმით განაგრძო:

— ყველაზე მეტ ბეჭდებს ის ატარებს, ვინც სამკაულით ცდილობს გაილამაზოს თავისი უშნო, უქნარა ხელები. მე ასეთი რამ არ მომწონს. ჩემს ხელებს ოქროთი გალამაზება არ უნდა მათ თვითონ უნდა შექმნან სილამაზე, დოვლათი, რომ ბედნიერი ვიყოთ და ახლა შენ თვითონ წარმოიდგინე, ამ ცივმა ლითონმა მე რა უნდა მითხრას! ისე კარგი დრო კი შეარჩიე, ვერაფერს ვამბობ, მარტო რომ ვიყოთ, ჰო, როგორ გაგიჯავრდებოდი!

იგი სუფრასთან მივიდა და დემჩინოვთან ლაპარაკში გართულ შაქროს გვერდით დაჯდა.

მათემ კიბე ჩაირბინა და თავზარდაცემული შინისკენ წაბარბაცდა.

მამამისი კი შაქროს ჩასციებოდა, შემოსწრებისა არ დაგილევიაო.

სუფრა მალე აიშალა.

დაღლილ-დაქანცულმა სტუმრებმა ადრე დაიძინეს. მართა მარტოდ, თავისი ფიქრებისა და ტკივილების ამარა დარჩა. სუფრაზე ვერ მოილხინა. სულ

მოღუშული ხომ არ იქნებოდა. სტუმრების საამებლად სიმღერა სცადა, არ გამოუვიდა. ღვინო ემწარა, ტუჩიც ვერ დააკარა, მოწყენილი იყო, პირსახე ჩამოსტიროდა. ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა.

— ახლა გვიანაა, უნდა გამხნევდე! — ჩააწვეთა ხიპაურამ.

— ჩემი ჩამოსვლა გეწყინა? — გაეხმაურა სტუმარი და მერე განაგრძო.

— ვინც აკეთებს და ქმნის, ის კიდევაც ცდება ჯერ ხომ არ გამოურკვევიათ, კრიჭა რად შეგიკრავს! გაიცინე, თორემ ხომ მოგეხსენება, მოწყენილობა გადამდებიაო.

დემჩინოვას როდი გადაედო მოწყენილობა. მან და ხიპაურამ ერთად იცეკვეს და თანამესუფრეებს ტაშისაგან კინაღამ ხელისგულები დაუსკდათ.

მაგდანას სულ ცოტა, ერთი ათი წლის სიცოცხლეზე მეტი კიდევ მოემატა.

მართა მოწყენილი რომ ყოფილა, ხშირად წიგნებს გასაუბრებია ხოლმე, მთელი საათობით უკითხავს, ხმამაღლა. ღამითაც არ დაუძინია და ასეთ მდგომარეობაში ცოტა შვება როდი უგრძვნია. მან ახლაც გადაშალა ერთი რომელიღაც წიგნი, მერე მეორე გადაფურცლა, მესამესაც გადაწვდა, მაგრამ ვერც ერთი წაიკითხა.

სასადილო ოთახში მაგდანა სუფრას ალაგებდა, ჭურჭლების რაწკუნთან ერთად მისი ნელი, ნაწყვეტნაწყვეტი სიმღერაც ისმოდა.

მართა ოთახიდან გავიდა და ფერმისაკენ გასწია, ხატულა ბატკანი, ახლა უკვე აზმანი, დაედევნა. გზა კანტორას ჩაუდიოდა. იქ კედელზე განცხადება დაინახა. ხიპაურა ხვალ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომას იწვევდა. ფერმის საკითხს იხილავდა. მართას კარგი დღე არ დაადგებოდა. ამან სულ თავგზა დაუბნია, ფერმაში ამღვრეული მივიდა და თავის მაგიდაზე დაემხო. ასე იყო მანამ, ვიდრე ხატულა აზმანი კარს დაეჯახებოდა და ოთახში ბურთივით შეგორდებოდა. მართამ შეჰკივლა, მაგრამ რაკი ცხვარი დაინახა, დაუყვავა.

— რითი გაიგე, ჩემო ხატულა, რომ მარტო ვიყავი და დარდი მაღრჩობდა, მოდი აქ, დაჯექი.

ხატულამ თავი მუხლზე დაადო და გაინაბა. მართამ ცხვარს რქაში ჩასჭიდა ხელი და კართან მიიყვანა.

— აქ გაჩერდი. შენთვის არა მცალიან! — და როგორც ყოველთვის, ცხვარმა ახლაც დაუჯერა.

ბაგაზე რუმბივით გაბერილ ძროხებს სიკვდილი თანდათან უახლოვდებოდა.

„რძიამ“ აცრემლებული თვალებით შეხედა მართას და შეზმუილა. ქალიშვილმა ცრემლი ვერ შეიმაგრა და გარეთ გამოვარდა. ის არის, ნამდვილად ის, ფიქრობდა იგი და პატარა წიგნაკი ხელში იმედივით ეჭირა.

— აქ გააჩინე სუყველა! — უბრძანა მან გიოს.

გიომ მწყემსები და მწველავები ლოგინიდან წამოაყენა. ისინი ერთ საათში ფერმაში გაჩნდნენ. ყველანი გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ, არც ერთი არ იყო გუნებაზე, ყველას სახე ჩამოსტიროდა. თეონა და ფეფელას უძილობისაგან ფერი არ ჰქონდათ და ჯავრისაგან გულშემოყრილები მართას თვალს ვერ უსწორებდნენ. ნიკალა და გიგა პაპიროსებს ისე ხარბად ქაჩავდნენ, რომ თამბაქოს ბოლი მათ სახეებს აღარ შორდებოდა და ძნელი მისახვედრი როდი იყო, თუ რა გუნებაზე იდგნენ.

— თქვენ ეი, ყურები რომ ჩამოგიყრიათ, გამხნევდით, არც ისეა საქმე, ჭოგჭოგებს რომ ჰგონიათ. ნიკალა, შაქრომ რა გითხრა?

— ხომ ვსთქვი და...

— არა, კიდევ გამაგონე!

— შაქრომ ის მითხრა, რომა, ჩემს ჩამოსვლამდე ფერმას გაუფრთხილდითო.

— მერე შენ რა უპასუხე, — ჰკითხა თეონამ.

— ისა, რაც ეკადრებოდა.

— მერე როგორ გგონიათ, ამხანაგებო, ჩვენ ვღუპავთ ფერმას?

მართას მოაგონდა შაქროს სიტყვები. მან ხომ გასინჯა ავადმყოფი ძროხები და უთხრა:

— ამათი სატკივარი როგორ ვერ გაიგე! ერთი მწყემსებს ჰკითხე რითი კვებავდნენ და მიხვდები.

მართა მართლაც მიხვდა. ამაში შაქროს მოცემული წიგნიც დაეხმარა.

ყველა გაჩუმებული იყო. არც ერთს სიტყვა არ დაუძრავს.

— სიტყვა რამ გაგიწყვიტათ! სთქვით, როგორ მოვიქცეთ!

მართა შეჩერდა. „შაქროს სიტყვები აქ რა მოსატანიაო“, გვიან გაიფიქრა მან, მაგრამ ის უკვე ითქვა და უკან წაღება შეუძლებელი იყო. მართამ გადახედა თავის ამხანაგებს. ყველა მას შეჰყურებდა.

— ნიკალა, გიგა, თეონა, თქვით რამე.

— სიტყვას შენგან მოველით, რისთვის დაგვაწიოკე ამ ღამით! — გაეპასუხა ნიკალა.

— ჰა, ნიკალა სწორედ შენთან მაქვს საქმე. რას აჭმევ ძროხებს.

— ყველაფერს, რასაც ინებებენ!

— ასეთი პასუხი არ ნინდა ბიჭო, ცვარიან ბალახზე გიძოვებია?!

— კი.

— თუ გახსოვს, ახლადმოთიბული და ჩახურებული თივა ხომ არ გიჭმევია?

— კი, მერე რა?

მართამ იმ წიგნაკში გიგას ჩაახედა, გაიღიმა და მერე ჰკითხა:

— შენ, გიგა, შენც ისე კვებავდი ძროხებს, როგორც ნიკალა.

— მე რა ვითომ, მასზე ნაკლები რითა ვარ?

— ჰო, ახლა თავისუფალი ხართ, წადით საქმეს მიხედეთ!

— სულ ეგ იყო?—ჰკითხა გაკვირვებულმა გიგამ.

— დიახ! — მიუგო მართამ და წიგნი გადაფურცლა.

ისინი ოთახიდან რომ გავიდნენ, მართამ გაიფიქრა, „ხომ არ შევცდი, რომ ფერმიდან ზოგიერთი ძველი მუშაკი დავითხოვე... არა, არა! რა ბექნა, ისინი წლების განმავლობაში არაფერს არ აკეთებდნენ. თეონა, ნიკალა, გიგა და თითქმის ყველანი, მეხბორე ბიჭების გარდა, ახლები არიან, შეიძლება საქმე კარგად არ იცოდნენ, სამაგიეროდ მუშაობა და შრომა უყვართ. მათ ხელში ფერმამ წინ წაიწია!

მარტოდდარჩენილმა ისევ ის წიგნი გადაშალა... ძროხების სატკივარი და ამ წიგნში აღწერილი ავადმყოფობა სავსებით ერთიდაიგივეაო, დაასკვნა მან. მისი გამკურნებელი ხელსაწყოც აქ იყო დახატული. ფიქრისათვის არ ეცალა. მან გიოს ცხენი შეაკაზმვინა და ფერმის ეზოდან გავიდა.

რაიონის ვეტერინალურ სადგურამდე კარგა მანძილი იყო, ცხენს სულ ჭენებ-ჭენებით მიაგელვებდა. ვეტერინალურ სადგურის ეზოში შევიდა. სადგურის მორიგე გააღვიძა და თავისი გაჭირვება უამბო. მერე ისიც უთხრა თუ რით იყვნენ ძროხები ავად. მორიგე ახალგაზრდა იყო. ძილისათვის თავი ვერ დაეღწია. პირზე ხელს იფარებდა და ჩუნჩუმად ამთქნარებდა.

— ჰო, ვიცი, თქვენი ფერმის შესახებ რაიკომიდან დარეკეს, ხვალ დილით მოვლენ ექიმები, ყველაფერს ადგილზე გამოარკვევენ, ასე რომ, დამშვიდდით.

— თუ ჩემი დამშვიდება გინდათ, ტროაკარი მათხოვეთ.

— მერე იცით როგორ უნდა იხმაროთ!

— როგორ არა, მე ხომ ვეტინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი ვარ.

— ჰო, ეს თუ ავრეა...

მორიგეს სიტყვა არ დაუმთავრებია, ისე მეორე ოთახში გავიდა. მართას გულში გაეცინა. ეს რა დიდი ტყუილი ვთქვიო. სტუდენტი მართლაც კი იყო,

მაგრამ არცერთი საგანი არ ჰქონდა ჩაბარებული.

...თქვენ უნდა გენახათ ვეტერინალური სადგურიდან დაბრუნებული მართა. ის ფერმაში ერთობ გახარებული მივიდა. გაოფლილი ცხენი ნებაზე მიუშვა და კმაყოფილებით სავსე თვალები ეზოს მიმოავლო. კუნძზე დამჯდარ გიოს ღრმად ეძინა. მართამ იგი გაალვიძა.

— აი საღ დაგიჭირე, გძინავს თურმე. მეფიცებოდი კი მთელი ღამე თოფებქვეშ ვდგევარო. შენ ჭაღარას პატივს რომ არ ვცემდე...

— მმ... მენა ახლა ამ წუთში!..

გიოს დახმარებით მართამ რუმბებივით გაბერილ ძროხებს, — სიკვდილს ასე ადვილად რომ ნებდებოდნენ — პრიალა ტროაკარი ისე მოხერხებულად გაუკეთა, თითქოს გამოცდილი ბეითალი ყოფილიყო. პირუტყვის საცოდაობით დამწვარი გიო თვალებს ვერ ახელდა, შიშს და გაოცებას მისთვის ენა დაება და მორიდებით კითხულობდა.

— რას შვრები, ადამიანო, რას?!

მართა სწორედ ისე მოიქცა, როგორც წიგნი უკარნახებდა. ვეტერინალური სადგურის იმ კეთილი მორიგის დარიგებამაც ცოტა სამსახური როდი გაუწია.

როდესაც გათენდა, სისხლში ამოსვრილი კაბა გასაწური ჰქონდა, სამაგიეროდ მომაკვდავი „რძია“ პირველი წამომდგარიყო. იმ წუთას იმაზე მეტ ბედნიერებას მართა ვერ ინატრებდა.

XIX

დემჩინოვა თეთრი მოქარგული კაბით მხიარული და კმაყოფილი მიჰყვებოდა ივრის ჭალაზე საცალფეხო ბილიკს. ლურჯი, გამჭვირვალე წყალი ლოდებს ჩხრიალით ეხეთქებოდა და არხში აქაფებული ვარდებოდა.

— სტუმარო, ჰაი, სტუმარო! — ეოესმა ზურგიდან. ეს გია იყო, ხაპალნიან სახედარს აჩქარებდა, რომ სტუმარს დასწეოდა. აცე, აცე! — უჯავრდებოდა იგი ცხოველს და შინდის ჯოხსაც სთავაზობდა. მაგრამ ჯიუტი სახედარი როდი ჩქარობდა.

დემჩინოვამ შორიდანვე იცნო გიო და ნაბიჯი შეანელა.

— გამარჯვება, სტუმარო, — ხელი ჩამოართვა გიომ და მერე სახედარზე აკიდებულ საკრეფლებზე მიუთითა. — ჰა ხილით ისიამოვნე, გენაცვა, ჩვენებური კალოს მსხალია, ესეც მკათათვის ატამი, მიირთვით.

დემჩინოვამ ქარვისფერი მსხალი აიღო, მისი მსუყე სუნი ეამა.

— მართა არ გინახავს?

— როგორ არა, ფერმაში დავტოვე.

— ჰო, — დემჩინოვა დამშვიდდა. ფერმაში რომ მივიდა, მართა ეზოში დაუხვდა, მორზე იჯდა და გარშემო სიხარულისაგან თვალებაცრემლებული მწველავები ეხვივნენ.

მართაც იცინოდა. კარგ გუნებაზე იყო.

— რას იტყვის ახლა ხიპაურა? — იკითხა თეონამ და პასუხი რომ არ გასცეს, ხმას თვითონვე ჩაუბოხა, როგორც თავმჯდომარემ იცოდა: — მართა ქალო შენი იმედი ყოველთვის მქონდა.

მწველავებმა გადაიკარკაცეს.

დილა იყო. ივრის ხეობაში აყრილ ნისლს მზე თანდათან აქრობდა. გომბორიდან წამოსული ნიავი ადამიანებსა და ხეებს, ცხოველებსა და მწიფობაში შესულ პურის ყანებს უნანავებდა. ცივი, ხალისიანი დილა იყო. ასეთი დილა სავსებით შეეფერებოდა მართას განწყობილებას. სოფლის თვალში იგი ერთიათად გაიზარდა.

— შენი იმედი ყოველთვის მქონდა! — მართლაც ეგრე უთხრა ხიპაურამ და მერე ხუმრობით ჩაუკრა: — ე, მანდ რაიკომის მდივანთან ცუდი არაფერი წამოგცდეს, თორემ მერე მე მომდგება!

— ჯავრი ნუ გაქვს, სათქმელს ვეტყვი და მერე წამოვალ!

— რატომ ცხენით არ მიდიხარ, ე, მანდ სტუმარი არ მოითენთოს, — ახლა უკვე გამოცვლილი ხმით, მაგრამ მზრუნველად უთხრა ხიპაურამ.

— სტუმარმა ქვეითად ირჩია, სოფელს დაათვალიერებს, თვალს წყალს დაალევინებს.

ხიპაურამ სტუმარს გზა მშვიდობისა უსურვა და ჭალისაკენ შეუხვია.

გზატკეცილის გასაფართოებლად ნახევარი სოფელი გამოსულიყო. ალმართს ასწორებდნენ, გუგუნებდნენ მიწისმთხრელი მანქანები და ურმები განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ქვებსა და ღორღს. სიცხისაგან დაოსებული ლომაკამეჩები ძლივს ეწეოდნენ უღელს. შიხდის სახრის შიში რომ არ ჰქონოდათ, კაცი მათ ერთ ნაბიჯს ვერ გადაადგშევინებდა.

შოთა მეურმეს უჯავრდებოდა.

— რა გვარი ხარ, კაცო, შენ?—ჰკითხა მან ბოლოს.

მართამ ნაცნობ გვარს ყური მოჰკრა და უფრო თამამად მივიდა. შოთას წინ დათია იდგა. დარცხვენილი იყო, თავი ძირს დაეხარა და სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა.

— ახლავე გამოხსენი ხარები! — ბრძანების კილოთი უთხრა შოთამ. დათიამაც აპეურები გამოხსნა, ხარმა რქები გაიქნია და გზის პირისკენ წავიდა, სადაც მწვანე ბალახი ბიბინებდა.

მართა მიესალმა შოთას და მერე ჰკითხა, ჩვენი კოლმეურნეობის წევრს რატომ უჯავრდებითო.

— ეს თქვენს კოლმეურნეობაშია? — შოთას რაღაც მოაგონდა — ჰო მახსოვს, წინათ ფერმაში იყო. საქონლის მოვლით თავს არ იწუხებდა, ახლა საგზაო ბრიგადაში გადაიყვანეს და აქ დიდ საქმეს აკეთებს, დაუნალავ ხარებს ამუშავებს ამ რიყეზე. — კაცო, ცოდვა და მადლი რა უყავი? — ისევ შეუტია შოთამ.

დათია ხმას არ იღებდა. ან რა უნდა ეთქვა. ხარები ნაავადმყოფარივით ძლივს დადიოდნენ, ერთს ფენიდან სისხლიც კი სდიოდა. დათია ნატრობდა, ოღონდ აქ არ ვიყო და ცეცხლში გადავარდებიო. მართას გამოჩენამ დააბნია. გაიქცეოდა, მაგრამ უარესი იყო, სოფელს სად დაემალებოდა. მართას თვალებს ვეღარ უსწორებდა. ბოლოს თითქოს გზა გაეხსნაო, რაღაც მოიფიქრა და ხარები სამჭედლოსკენ წაირეკა.

— საითკენ გაქსწია? ახლავე, ახლავე ხარები ნალბანდთან მიიყვანე და მერე, თუ გინდა, მთელი ღამე აზიდვინე ღორღი. ცოდვა და მადლი იცოდე, გესმის!

მერე, შოთა, დემჩინოვას მიუბრუნდა, და დამშვიდებულმა ჰკითხა, როგორ მოგეწონა ჩვენი სოფელიო.

დათია თვალს მიეფარა.

მართა შოთასა და დემჩინოვას გამოუდგა, რაიკომის შენობისაკენ საუბრით რომ მიდიოდნენ.

მაგრამ რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი შაქრო დაინახა და შედგა. იგი ნელი, მოდუნებული ნაბიჯით მიჰყვებოდა გზისპირს. ჩალის ქუდით ხელში ხენარგავების ჩრდილს ეტანებოდა, რომ მზის მცხუნვარება აეცდინა.

მართა რაიკომის შენობის კიბეზე რომ ავიდა. კიდევ შეხედა შაქროს მოქანავე ზურგს.

შოთას კაბინეტში გრილოდა. დემჩინოვა ფანჯარასთან იდგა. მის წაბლისფერ კულულებს ნიავი არხევდა.

— შემოდგომამდე არ გაგიშვებთ, იცით, კახეთში რა დალოცვილი შემოდგომა იცის? — უთხრა შოთამ და ალპიროსს მოუკიდა.

— აქ ყოფნას რა სჯობია. მაგრამ საქმე მეძახის. ხვალ თუ არა, ზეგისათვის მაინც უნდა წავიდე.

— რას ამბობთ! ჩამოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა ჩვენ უნდა დაგვეკითხოთ! — ჩაურთო მართამ და დივანზე ღაეშვა.

— მაშ ასე, მართა, შენი გაფუჭებული საქმე ისევ შენ გამოასწორე არა?!

— ეგ კი ასე გამოვიდა, ახლა ერთი რამე უნდა გთხოვოთ.

— სთქვით რა! — მაშინვე შეეკითხა შოთა.

— ფერმისათვის ერთი გამოცდილი ბეითალია საჭირო. აი ამისათვის მოვედი უნდა დაგვეხმარო.

— ეგ შეიძლება, მაგრამ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში იყავით?

— როგორ არა, ისინი ჩვენ კადრები არა გვყავს.

— ცოტახანს კიდევ მოითმინე, სადაც არის შაქრო ჩამოვა. ვეტექიმად იმუშავებს, კარგი იქნება.

— ჰა, როგორ! — წამოიძახა მართამ და მისი აღელვება რომ არ შეემჩნიათ, უცებ უკან დაიხია — კარგი იქნება, მაგრამ მანამდე საქმე არ ითმენს. ახალი მუშაკები მყავს, ცოტა ხომ უნდა შეასწავლოს ვინმემ.

მესამე დღეს ფერმაში მოვიდა ერთი მოხუცი ბეითალი. მას კარგი სახელი ჰქონდა და სიხარულით მიიღეს.

ეპილოგი

გავიდა ორი წელიწადი...

თებერვლის მიწურულს თოვლი დადნა. მზის სითბო უცებ იგრძნო ხეხილმა. ნუშის ხეები მაშინვე თეთრად შეიმოსნენ. ჯერ კიდევ გაძარცულ მცენარეთა შორის ისინი ახალ პატარძლებივით ჩანდნენ.

— ჰა, მოვიდა გაზაფხული!

მზით გამთბარ აივანზე გამოსულ მართას ეამა, მის ეზოში ნუშის ყვავილები პეპლებივით რომ რიალებდნენ. აივნიდან კარგად ჩანდა ივრის ბალენახი, მირველაანთ ხევში ფერმის ხბორები კუნტრუშობდნენ, ერთიმეორეს ერჩოლებოდნენ და მზით შეხურებულებს დედები არც კი აგონდებოდათ. მათ შიშის ზარსა სცემდა წაბლა ბუღა, შემოღობილში დინჯად რომ დადიოდა, ხანდისხან ისე გაიზმუილებდა, რომ დამფრთხალი ხბოები ჭიშკარს აწყდებოდნენ. ეს დემჩიწოვას ჩამოყვანილი ბუღა იყო. ზვიადი და მიუკარებელი. ფერმის დანარჩენი ბუღები დაიჯაბნია, მაგრამ მეგრულმა „მარჯამ“ კინაღამ რქებზე წამოიგო და მის შემდეგ ცოტა მოთვინიერდა.

დღეს მართამ დემჩინოვასაგან გრძელი წერილი მიიღო. მეგობარი ბევრ რამეს წერდა, მაგრამ ყველაზე საგულისხმო მაინც შეჯიბრება იყო.

— „მართა, შენ ძალიან წინ წახვედი. შენი ფერმა ცნობილი გახდა. ახლა მაინც შეეჯიბროთ ერთმანეთს მეგობრულად და საქმე უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემს. ჰო მართლა, როგორ არის შაქრო. რასა შვრება მათე. მოიწერე, ყველაფერი მოიწერე“.

მართამ სუფთა ქაღალდი ამოიღო და წერას შეუდგა.

„შეჯიბრებაზე თანახმა ვარ, — დაიწყო მან. — მათე თბილისშია. ინსტიტუტში სწავლობს“. მაგრამ შაქროს შესახებ ვერაფერი დასწერა. ფანქარი მაგიდაზე დააგდო და აივანზე გავიდა.

ხევის გადაღმა მალე რძის გადამმუშავებელი ქარხანა აგუგუნდება.

— ჰო მართლა! — მართას რაღაცა მოაგონდა, მაგრამ ჭიშკარს ბავშვით ხელში თეონა მოადგა. ბიჭუნა მსუქან ხელებს დედას სახეზე უტყაპუნებდა. მართას რომ შეხედა, ბავშვმა გაიცინა. მის ალისფერ ტუჩებს შორის ორმა ფართო კბილმა გაიელვა.

— კიჭები ამოგვიდა?—მიუალერსა მართამ და ბავშვი აიყვანა. ბიჭუნა გახარებული იყო, მართას თმა ჩაბღუჯა და სიცილი აიტეხა.

— გამწეწე, გენაცვა, გამწეწე, ამატირე! — დაუტატანა მართამ და ფიქრებით აფორიაქებულ მკერდში ბიჭუნა ჩაიკრა.

— მართა, ქარხნის მშენებლობაზე შოთა მოვიდა, შენ გიხმობს, ნუ აყოვნებ! — უთხრა თეონამ.

— ჰო, გაგახარა ღმერთმა, მე კი რაიკომში მივდიოდი მის სანახავად.

მართა ბავშვით ხელში თეონას გაჰყვა. გზაზე ჯავრისაგან გული უშხრიალებდა. ამ ბავშვმა მას ფიქრები აუშალა. თითქმის მიძინებული სიყვარული, რომელიც აგერ ერთი კვირაა ყოველ წუთს ღვივდებოდა და იზრდებოდა, საბოლოოდ განუმტკიცდა და თავისი საყოყმანო გადაწყვეტილება, შაქროს შერიგებოდა, უფრო ნათელი და აუცილებელი გახდა.

— ბედს რომ არ დავეჩაგრე, ახლა ამაზე უფროსი შვილი მეყოლებოდა! — ჩუმად ამოიკვნესა მან.

— არა, შაქრო აქ უნდა მოვიდეს! — ამ გადაწყვეტილებით მივიდა იგი შოთასთან.

შოთას რძის გადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაეთვალიერებინა. ინჟინერი გახარებული იყო. მან მართას და ხიპაურას საზეიმოდ უთხრა:

— ერთ თვეში ქარხანა ამუშავდება, მერე და დირექტორი გყავთ, გამოცდილი სპეციალისტი?

— მეც ამისთვის დაგიბარეთ. უნდა გამოვნახოთ ვინმე, თორემ საქმეს დაყოვნება ავნებს! — თქვა შოთამ და ხიპაურას შეხედა:

— რას ფიქრობ?

— ჯერ არაფერს, მაგრამ ვინმეს გამოვნახავ.

— ჰო, ეგრე, ხვალამდის შეაჩერე და მაცნობე.

შოთა ყველას გამოემშვიდობა. ავტომობილთან რომ მივიდა, იქ მართა დაეწია. მას ხმის ამოღება უჭირდა. ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა.

— მართა ჩემთან გაქვს საქმე? — გულში ჩამწვდომათ ჰკითხა შოთამ.

— დიახ, მაგრამ...

— მაგრამ რა, რისი გერიდება, დაბრძანდი მანქანაში.

მართა ავტომობილში ჩაჯდა, რომელიც მაშინვე დაიძრა.

— მართა, შენ რაღაც ლელავ, ფერმაში რა ამბავია?

— მშვიდობა!

— მაშ სთქვი რა გაწუხებს?

— რა უნდა მაწუხებდეს, ისე სიტყვა მაქვს!

— მითხარი, შე ქალო!

— აი ქარხნის მომავალი დირექტორის შესახებ მინდა გითხრათ. რა უშავს დავნიშნოთ შაქრო. ის სოფლიდან გაძევებულივითაა რაღაც. ორი წელიწადზე მეტია, არ ჩამოსულა... გულით კი უნდა თავის სამშობლო სოფელში იმუშაოს.

— სულ ეგ იყო?

— დიახ!

შოთა არ დაფიქრებულა, ისე სიცილით თქვა:

— კარგი, ამ თხოვნას შეგისრულებ.

ავტომობილს მართას სახლის წინ უნდა გაევლო, ჭიშკართან იგი ჩამოვიდა და შინ სიხარულისაგან ფრთა გაშლილი შეფრინდა. იმ წუთში უჯრიდან შაქროს ბეჭედი ამოიღო და თითზე გაიკეთა.

ერთი თვის შემდეგ მართლაც დაიგუგუნა ქარხანამ. მართას ფერმიდან მოტანილი რძის ბიდონები ზედიზედ იცლებოდა და ყვითელი კარაქი ყუთებს ავსებდა.

შაქრო პრიალა მანქანებს შორის იდგა. მხიარული იყო. მერე თეთრხალათიანი მუშების მოძრაობას თვალს გააყოლებდა და გაჩუმდებოდა.

— მართა როგორ არის? — ჰკითხა მან კესოს, რომელიც თავის მოწაფეებს ქარხნის დასათვალიერებლად მოჰყვა.

— სად გადაიკარგე. ასე უნდა?! — წყრომით მიუგო მან. მერე თავი მაღლა ასწია და ყურში ჩაუჩურჩულა:

— ნუ ჯიუტობ, ნახე გოგო!

შაქრომ ვერაფერი უპასუხა.

მოწაფეები ეზოში გამოეფინენ. დაღლილი კესო იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

— ასეა, სოფელი წინ მიდის. შენ კი დღეს გაკვეთილი არ იცოდი! — შეუწყრა იგი ერთ მაღალ მოწაფეს. მოწაფე წელში მოიხარა და თავისი ამხანაგების ზურგს უკან მიიმალა.

*
* *

— აი ისიც მოდის! — თქვა მართამ, როცა დაინახა ჭიშკრისაკენ მომავალი „მოსკვიჩი“. მაშინვე ოთახში შეირბინა და სარკეს მიაშურა. ტუჩებს საერთოდ არ იღებავდა. ჩამოშლილი კულულები გაისწორა მხოლოდ.

— მართა. ჰა მართა! — დაიძახა შაქრომ და ავტომობილი ეზოსკენ შეაჩერა. კაბინიდან უცებ გამოვარდა, ხელში გაშლილი გაზეთი ეჭირა. გახარებულმა აივანზე ამოირბინა.

— მართა, უნდა გაკოცო!

— რა მოგივიდა? — მართა შეკრთა, ნაბიჯი უკან გადადგა.

— რას იხევ უკან! როცა წინ, წინ მიდიხარ. შეჩერდი, ხელი მაინც ჩამომართვი, მოგილოცო!

იგი ათრთოლებულ ქალიშვილს გადაეხვია.

იმ საღამოს მთელი სოფელი მართას დაჯილდოებას ზეიმობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

★

„ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი კიდევ იმდენად შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონეობით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამემრისოდაც“.

თექვსმეტი წლის ჭაბუკი იყო სიკო ბუჯიაშვილი, ილია ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი სიტყვები, რომ წაიკითხა. ილიას სამშობლო სოფელში, ილიას სახლის მეზობლად დაბადებულმა ბავშვმა გულში ჩაიდო და დღესაც წმიდათა-წმიდად ატარებს ხალხის დიდი მოამაგის, გლეხის შრომა-ჯაფის გულშემატკივარის, დიდი ილიას ამ ბრძნულ აზრს.

სიკო ბუჯიაშვილმა საშუალო განათლება თბილისში მიიღო და მაშინვე შშობლიურ ყვარელს დაუბრუნდა. ჯერ სოფელ ჭიკაანში, ოთხწლიანი სკოლის დირექტორად მუშაობდა, მაგრამ აქედან მალე გადაიყვანეს და რაიკოოპკავშირში დანიშნეს ბუღალტრის თანამდებობაზე.

ეს დარგი მისი მოწოდება არ იყო. სხვა საქმისაკენ ეწეოდა გული. სიკო ბუჯიაშვილი ჯერ კიდევ სკოლაშივე იჩენდა დიდ ინტერესს მიწადმოქმედების მანქანა-იარაღებისადმი. იცოდა, რომ მანქანა გლეხის შრომაში დიდ შეღავათს შეიტანდა და ერთი-ხუთად გაზრდიდა მოსავლის ნაყოფიერებას. პირტიტველი ჭაბუკი ზედი-ზედ აკეთებს რამდენიმე მანქანის ნიმუშს. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ყურძნის საწნეხი და ფეტვის სარჩევი მანქანათა ნიმუშები. ეს ნიმუშები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიგზავნა. სიკო ბუჯიაშვილი თბილისში დაიბარეს. ნიმუშები ძლიერ მოუწონეს, მაგრამ ყურძნის საწნეხი და ფეტვის სარჩევი მანქანები დიდი ხნის გამოგონილი და ხმარებაში შესული იყო.

ინსიტუტში სხვა მრავალი მანქანებიც უჩვენეს ბუჯიაშვილს. აქ ნახა პირველად ტრაქტორი. ამ მანქანის შესახებ ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი. სოფელშიაც ლაპარაკობდნენ ტრაქტორზე, მაგრამ არავის სჯეროდა თუ მიწა უხარკამეჩოდ მოიხვნებოდა.

სიკო ბუჯიაშვილს შეეძლო გამხდარიყო ინჟინერი. ეცხოვრა დიდ ქალაქში, მაგრამ სკოლის დამთავრებისთანავე იმიტომ მიაშურა სოფელს, რომ პატარობიდანვე უყვარდა, ალალი გლეხის შვილს, მიწის საქმე. მთელი სულით გრძნობდა მიწის მუშის პროფესიას. სოფლის მეურნეობაში მუშაობაზე ფიქრობდა რაიკოოპკავშირში მუშაობის დროსაც. არ იტაცებდა თავისი ადგილი და არა იმიტომ, რომ მცირე ხელფასს იღებდა აქ, ან თანამდებობას იწუნებდა. ჩვენში ხელობას იმის მიხედვით ირჩევენ, თუ რამდენად საინტერესოა იგი. რამდენად იქნება ამ დარგში მისი

შრომა და ღვაწლი საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო.

სიკო ბუჯიაშვილი თავისი დაჟინებული თხოვნით რაიკოოპკავშირიდან ყვარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გადაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ აქ, ერთხმად იქნა არჩეული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ასრულდა მისი ოცნება. იგი საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებლობის უშუალო მონაწილე იყო უკვე.

კოლმეურნეობა ხუთასამდე კომლისაგან შესდგებოდა. აქედან რვაასი შრომისუნარიანი კაცი და ქალი იყო. 2.000 ჰექტარი შესანიშნავი მიწა ჰქონდათ თავის მფლობელობაში. არ აკლდათ მანქანა-იარაღები, რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება და მზრუნველობა. მაგრამ კოლმეურნეობა მაინც ჩამორჩებოდა. ვერ ასრულებდა პურის და სხვა პროდუქტთა დამზადების სახელმწიფო გეგმას. სისტემატურად არღვევდნენ მინდვრის სამუშაოთა ვადებს. არ იყო დამკვიდრებული მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ინდივიდუალური გაპიროვნების პრაქტიკა. ამის გამო არ იყო კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა და ნაკვეთები ცუდად მუშავდებოდა.

არ იზრდებოდა მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმები. არ იყო არავითარი მშენებლობა. მუშახელს გეგმიანად ვერ იყენებდნენ. არ იყო შრომის დისციპლინა. არ აფართოვებდნენ სათეს კულტურათა ფართობებს.

ბუჯიაშვილი გულდასმით სწავლობდა კოლმეურნეთა წინადადებებს, იცოდა კოლმეურნის ავი და კარგი. იცოდა, როგორ ცხოვრობდა კოლმეურნე, როგორ მუშაობდა. მტკიცედ იდგა, როგორც მათი ინტერესების, ისე სახელმწიფო ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. დაუღალავად მუშაობდა თავის იდეური და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

ბევრი სიძნელე ჰქონდა გადასალახი. საჭირო იყო გაბედული და დიდი გეგმების დასახვა და საწარმოო ძალთა სწორი ორგანიზაციის გზით მისი ეფექტიური შესრულება. ამისათვის აუცილებელ პირობას შეადგენდა კოლმეურნეობის ყოველ წევრში, პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა. ამის განხორციელებაში დიდი როლი ითამაშა ინდივიდუალური სანარდო სისტემის შემოღებამ. თითოეულ კოლმეურნეზე თავისი სურვილის მიხედვით მიმაგრებული იქნა სათესი კულტურების და მრავალწლიანი ნარგავების ნაკვეთები.

თავმჯდომარე პირველ დღიდანვე შეუდგა ყველაზე უფრო დიდ და რთულ საქმეს, — კოლმეურნეთა იდეურ აღზრდას. აღმზრდელობითი მუშაობით ინერგებოდა კოლმეურნეობაში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება. დღითი-დღე მკვიდრდებოდა კოლმეურნეთა შეგნებაში, რომ პატიოსანი და ბეჯითი შრომა, საკოლმეურნეო სიმდიდრის და ძლიერების წყაროა, რომ სოციალისტური შრომა არის ღირსებისა და დიდების საქმე.

დიდი და საინტერესო ამოცანა იდგა სიკო ბუჯიაშვილის წინ. მის ხელთ იყო შემოქმედების, ძიებისა და ნოვატორობის ყოველგვარი შესაძლებლობა. მის ხელთ იყო მიწა, ტექნიკა. მასთან იყო ხალხი. თავმჯდომარე უნდა გამხდარიყო მაღალი მოსავლის მოწინავე მებრძოლი, რომელსაც თავისი კოლექტივისათვის უნდა ეჩვენებინა საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერებით და ტექნიკით შეიარაღებული ადამიანის ბუნების გარდამქმნელი ძალა.

კოლმეურნეობაში მოწვეული იქნა გამოცდილი აგრონომი, აბრამ იორდანიშვილი. მისი დახმარებით და მთელი კოლექტივის მონაწილეობით ბუჯიაშვილი შეუდგა მიწის დამუშავების ახალი საშუალებების დანერგვას კოლმეურნეობაში.

უხვი მოსავლის ერთ-ერთი მთავარ და შეიძლება ითქვას პირველ პირობას ნიადაგის მომზადება წარმოადგენს. ამი-

ტომ უწინარეს ყოვლისა შემუშავებული იქნა ნიადაგის მომზადების წესები.

თესლბრუნვის გეგმით გათვალისწინებული ფართობი გულდასმით გასწმინდეს წინა ნათესის ნარჩენებისაგან და სარეველა ბალახებისაგან და 23—25 სანტიმეტრის სიღრმეზე ანეულად მოხნეს ტრაქტორის გუთნით.

უფრო დიდი ყურადღება მიექცა სიმინდის დასათესად გამოყოფილ მიწას. სიმინდის ფართობები, თითქმის ყველა ურწყავი იყო, ამიტომ ნიადაგი სიმინდისათვის ისე მომზადდა, რომ მასში მეტი ტენი იქნა შენარჩუნებული. ნიადაგი ნოემბრის პირველ რიცხვებში მძრალად დახნეს და ბელტიანი ხნული გაზაფხულამდე დაუფარცხავი დატოვეს.

ხვნის დროს თითოეულ ჰექტარ მიწაზე თორმეტი ტონა გადამწვარი ნაკელი შეიტანეს, რომ თესვის დაწყებამდე ნაკელი კარგად შერეოდა მიწას. გამოყენებული იქნა მინერალური სასუქიც,—აზოტი და ფოსფორი.

სათესლე მასალის მომზადებისათვის თავმჯდომარემ ადრევე დაიწყო ზრუნვა. მაღალხარისხიანი თესლი უხვი მოსავლის საფუძველია. თესლს ისეთივე გულდასმით და ყურადღებით უნდა მომზადება, როგორც ნიადაგს.

გალეწილი ხორბალი ჯერ გაანიავეს და შემდეგ „ვიმ"-ის სისტემის მანქანით დაახარისხეს. ეს მანქანა ხორბალს ახარისხებს ზომის მიხედვით და სარეველა ბალახის თესლებს გამოარჩევს ხორბლისაგან. დათესვის წინ კიდევ ერთხელ შეამოწმეს თესლის ხარისხიანობა, მისი სიწმინდე, გაღვივების უნარი, სრულწონადობა, სიდიდე და ამის შემდეგ თესლი შეწამლული იქნა დასათესად.

მრავალ წლის გამოცდილებით დადგენილი იყო, რომ ყვარელის რაიონში საშემოდგომო ხორბლის თესვის საუკეთესო დროს ადრეული ვადა წარმოადგენს. ამიერიდან თესვა ყოველ წელიწადს 15 ოქტომბრამდე უნდა ნაეტარებიათ.

ამავე დროს ბრიგადებს და ოგურეებს მხედველობაში უნდა მიეღოთ შემოდგომის პირობები და ამინდის მდგომარეობა. თესვის დღე ყველა წლისათვის ერთიდაიგივე არ არის. თესვისათვის ხელსაყრელი დრო სხვადასხვა წელიწადს სხვადასხვაა.

თესვის ვადის სწორად გასაზღვრასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საშუშაოების შესრულების ხარისხიანობას. თესლი ნიადაგში თანაბრად და ერთგვარ სიღრმეზე უნდა დაითესოს, რომ ჯეჯილმა თანაბარი სინათლე მიიღოს, კარგად იკვებოს და განვითარდეს.

სიმინდის თესვა გაზაფხულზე თბილი ამინდის დადგომისთანავე უნდა დაიწყოთ. კოლმეურნეებმა იცოდნენ, რომ სიმინდის თესვის დაგვიანება მცენარეს გაზაფხულის ნალექების გამოყენების საშუალებას უკარგავს და ამის გამო სიმინდი გვიან ყვავილდება. უსწრებს მშრალი ქარები, რაც ერთობ ხშირია ამ დროს ყვარელის რაიონში. სიმინდის დათესვის დაგვიანება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მოსავლიანობის შემცირების და ეს ახლა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოველმა წევრმა კარგად იცის. 1945 წლიდან აქ არც ერთხელ არ დარღვეულა თესვის ვადები.

რასაკვირველია ყველა წესები პირველ წელიწადს სრულყოფილად ვერ განხორციელდა, მაგრამ 1945 წლის მოსავალმა მაინც ბევრად გადააჭარბა 1944 წლისას.

1946 წელი სტალინის სახელობის კოლმეურნეობისათვის დიდი გარდატეხის წელი იყო. იგი საქართველოს სახელოვან, მილიონერ კოლმეურნეთა რიგებში ჩადგა. კოლმეურნეობის 1946 წლის ფულადმა შემოსავალმა 1.390.000 მანეთს მიაღწია. კოლმეურნეობამ ორი წლის მანძილზე გაუსწრო რაიონის ყველაზე მოწინავე კოლმეურ-

ნეობებს და 22 კოლმეურნეობათა შორის, პირველი გახდა მილიონერი.

შრომადღეზე მიღებული პროდუქტთა ღირებულება 117 მანეთამდე ავიდა. კოლმეურნეებმა ხუთჯერ მეტი მარცვალი და სამჯერ მეტი პროდუქტები მიიღეს. კოლმეურნეობაში გამომუშავებული იყო 117.000 შრომადღე. 12.000 შრომადღით მეტი 1945 წელთან შედარებით.

კოლმეურნეთა ასეთი შრომითი აღმაფრენა, არა მარტო ინდივიდუალურმა სანარდო სისტემამ გამოიწვია, არამედ კოლმეურნეთა სოციალისტურმა თვითშეგნებამ, რაც კოლმეურნეობაში დიდი გულმოდგინებით და ცოდნით ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობით დაინერგა.

კოლმეურნეები დღითი-დღე რწმუნდებოდნენ, რომ კოლმეურნეობის შემდგომი წარმატება, კოლმეურნეთა კეთილდღეობა, დამოკიდებულია კოლმეურნეთა პირადი ინტერესების, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ ინტერესებთან შეხამებაზე.

თუ კოლმეურნეობა ღონიერია და მდიდარია, ძლიერია კოლმეურნეც, მდიდარია მისი ოჯახი, მისი სოფელი, მისი მეზობლები, ახლობლები და ნათესავები.

კოლმეურნეობაში მაღალი მოსავლის მიღება ნორმალურ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. „ეს ასედაც უნდა იყოს. ამაში არაფერია საკვირველი". ასე ფიქრობს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოველი წევრი დღეს.

სიკო ბუჯიაშვილს არ უყვარს წლევანდელი მოსავლის შარშანდელთან შედარება და არასოდეს არ ამბობს, შარშანდელთან შედარებით წელს მეტი ხორბალი, ყურძენი, ან სიმინდი მოვიყვანეთ.

„რამდენიც დავგეგმეთ იმდენი მოვიყვანეთ". აი, მისი სიტყვა. ან: „რამდენიც დაგეგმილი გვაქვს იმდენს მოვიყვანთ". ეს რწმენა თავმჯდომარეში მისმა ერთგულმა და შრომისმოყვარე კოლექტივმა დანერგა.

— ის ძიღწევები, რაც ჩვენ დღეს გვაქვს, იმის პასუხია, რაც დაგეგმილი გვქონდა. დღევანდელი ჩვენი გეგმა ხვალინდელ დღის მოთხოვნილებას უპასუხებს. რაც შარშან და შარშანწინ ჩვენს სოფლის მეურნეობაში ნორმალური მოვლენა იყო, დღეს შეიგრძნობა, როგორც განვლილი ეტაპი. 1944 წელს ჩვენს კოლმეურნეობაში შრომადღეზე 400 გრამი მარცვალი დარიგდა. ახლა ეს ჩვენთვის უცნაურობაა, შრომადღის ასეთი მცირე ღირებულება ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრების გადანაშთია. ამის გახსენება არც გვინდა. როცა ჩვენ მომავალი წლის გეგმას ვადგენთ, გამოვმდინარეობთ არა გასული წლის მდგომარეობიდან, არამედ დღევანდელი დღის გაზრდილ მოთხოვნილებიდან.

ჩვენი დღევანდელი წარმატებანი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ჩვენი შესაძლებლობანი ამოვწურეთ. არა, ჩვენ ჯერ არ მიგვიღია ის დიდი ნაყოფი, რომლის მოცემა მიწას შეუძლია და რომელსაც ჩვენ მივიღებთ. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ მეტეოროლოგიური პირობები, გვალვა და ტაროსი არ იქნეს ხელის შემშლელი მიზეზი ჩვენს მიერ დაგეგმილ მოსავლის მოყვანისათვის.

ასე მიმართა სიკო ბუჯიაშვილმა კოლმეურნეებს 1946 წელს ჩატარებულ მუშაობის საანგარიშო მოხსენების გაკეთების დროს და განაგრძო:

— მდიდარია ჩვენი მიწა. მე მინდა მოგიყვეთ ერთი პატარა ამბავი რუსი მოხელის, კ. ბოროზდინის წიგნიდან, „სამეგრელო და სვანეთი".

სიკო ბუჯიაშვილი კრებაზე, ან კერძო საუბარში ხშირად იშველიებს წაკითხულს, თავის აზრის, რჩევის და წინადადების ნათელსაყოფად, გამოსახატავად, დასასაბუთებლად. რანაირი ჟანრის ლიტერატურას არ ნახავთ მის ბიბლიოთეკაში. გამოწერილი აქვს, როგორც ქართული, ისე რუსული ჟურნალ-გაზეთები.

— გასული საუკუნის სამოციან წლებში, ორი ფრანგი მებაღე შეხვედრია სამეგრელოში ბოროზდინს. ისინი სპარსეთის შაჰს თეირანში გამოეწერა პარიზიდან და საქართველოზე გავლით სპარსეთში მიემგზავრებოდნენ. ფრანგებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენს ბუნებასა და მიწას. ევროპაში წარმოდგენა არ ჰქონიათ ნიადაგის ასეთ სიმდიდრესა და ნაყოფიერებზე. ერთი მებაღე დახრილა, ერთი მუჭა მიწა აუღია, ბოროზდინისათვის უჩვენებია და აღტაცებით უთქვამს: „იცით, რომ ერთი მუჭა ამ მიწისა პარიზში 20 ფრანკი ღირს. მიწა კი არა, შოკოლადია. ახ, რა კამელიები შეიძლება ახაროს ასეთ ნიადაგზე კაცმა. ცოდვა არ არის ეს სიმდიდრე, ისეთების ხელში იყოს, რომელთაც არ იციან, როგორ გამოიყენონ ეს მიწა“.

— რაო, არ იციანო, როგორ გამოიყენონო მიწა?!

— ეს კი ვეღარ უთქვამს კარგად იმ შენ ფრანგს!

— გადამთიელს რა ეცოდინებოდა ჩვენი წინაპართა ამბავი!

გაისმა აქეთ იქიდან კოლმეურნეთა უკმაყოფილო ხმები.

— მეც მაგისი თქმა მინდოდა, — გაგრძობდა თავმჯდომარე.—რა იცოდა შაჰის მიერ დაქირავებულმა ფრანგმა, რა ვიყავით, რა ვიცოდით და რას ვაკეთებდით. რა იცოდა მან, რომ ამ მიწებზე ერთ დროს, არა მარტო კამელიები ხარობდნენ, გაშენებული იყო შესანიშნავი ბაღ-ვენახები, ქალაქები და სოფლები. იმისი თქმა, რომ ქართველებმა მიწის გამოყენება არ იცოდნენ, მხოლოდ უცხოელ უმეცარს შეეძლო. რა იცოდა იმ ფრანგმა, რომ ქართველები ძველთაგანვე მიწის საოცარი ოსტატები იყვნენ. რომ ჩვენი ხალხი გიორგიანებად ამიტომ იწოდებოდა. სიტყვა გიორგიანი, ხომ მიწის მუშაკს ნიშნავს. ჩვენ ბრძოლაც ვაჟკაცური ვიცოდით და შრომაც. ქართველ გლეხს ერთ ხელში ხმალი რომ ეპყრა, მეორეთი კავის ერქანი ეჭირა. ასე უვლიდით საშობლოს. ჰო, და ეს ამბავი აქ იმიტომ მოვიტანე, რომ თუ ჩვენი წინაპრები ძველთაგანვე მიწის უებარი მოსაქმენი იყვნენ, ჩვენ დღეს ას წილ უფრო დიდი ოსტატები უნდა ვიყოთ. რადგან არასოდეს არ ჰქონია ხალხს თავის ნიჭისა და შემოქმედების გასაშლელად ისეთი ასპარეზი, როგორიც ჩვენ დღესა გვაქვს. დღეს ჩვენია მთელი მიწა, მიწა რომლის ერთი მუჭის წონა ოც ფრანკად შეაფასა გამოცდილმა ფრანგმა მებაღემ, მიწა რომელსაც ვერ იყიდის ვერც ერთი ფრანკი და დოლარი. ჩვენია უახლესი და მთელ მსოფლიოში უმჯობესი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ჩვენია მეცნიერება და ტექნიკა. იმისი სარჩოა ჩვენი ყანა, ვინც თესა და მოიყვანა. დიდებით შემოსილია ჩვენში შრომის კაცი.

— ისეთი უნდა გავხადოთ ჩვენი მიწა, რომ ჩვენს მოშურნეთ მის დანახვაზე თვალები გადმოეკარკლოთ!

— ერთი-ასად ავწიოთ მისი ფასი!

კვლავ გაისმა კოლმეურნეთა შეძახილები. ამას ელოდა თავმჯდომარე, მას უნდოდა კოლმეურნეობის მიწები გაეხადა უფრო ნაყოფიერი, მეტის შემძლე, მეტის მომცემი. არ ჯერდებოდა მიწის მინერალური სასუქით და ნაკელით განოყიერებას. მიწის მორწყვას. სიმინდის დამტვერვას. მცენარეთა შეწამვლას. ოესლბრუნვას და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენ აგროტექნიკურ წესებს. და ღონისძიებას, რომელსაც დიდი ხანია იყენებდნენ. ახალ ღონისძიებებს და წესებს ეძებდა უფრო დიდი მოსავლის მისაღებად.

კოლმეურნეობის მიწები სოფლის თავში იწყება და ალაზნის ნაპირზე თავდება. მარცხნივ ბროლივით გამჭვირვალე და ანკარა ბურსა ჩაუდის, მარჯვნივ დაუდეგარი, მარადჟამს ლანქერივით მღვრიე და მრავალ ტოტებად გაშლილი დურუჯი.

უცნაურია ეს მდინარე. იგი სათავეს კავკასიონის ქედიდან იღებს. აქ ჯერ ორ დურუჯად მოდის: თეთრად და შა-

ვად. გზაში კიდევ მრავალი წყლები ერთვის: მშრალიგორის, საჯიხვისხევის, წითელგორის, ფოხლის, ქვიშების, ნაიცერის, სახრავისცერის და კიდევ მრავალი ხევი, ღელე და რუ. ასე ძლიერდება გზადაგზა, ხდება წყალმრავალი, დაუნდობელი და იქვე ყვარელთან, სამალის ხეობიდან გამოჭრილი, იღებს ერთ სახელს—შავ დურუჯს. შავია მისი ფერი და მისი გული.

ხალხის გადმოცემით წინად მცირე მდინარე ყოფილა დურუჯი. იქ, სადაც ახლა ყვარელი მდებარეობს, ტბა მდგარა და დურუჯი მას ერთვოდა თურმე. ტბის გარშემო ხშირი, დაბურული ტყე ყოფილა. სოფელი კი ვაზოვანის წყლისა და თურდაანის ველის მიდამოებში მდებარეობდა. ფშავიდან, სოფელ ყვარადან გადმოსულ ფშავებს ტბის გარშემო მდებარე ტყეებში ბინები დაუდგამთ, დურუჯისათვის გზა გადაუღობიათ და ახლანდელი გეზი მიუცია.

დროთა ვითარებაში ტბა დამშრალა. ტყე გაუკაფავთ. ფშავთა სოფელი გაზრდილა. ყვარელები არიანო, — ამბობდა მათზე ხალხი. ასე წარმოშობილა ყვარელის სახელწოდება. დღემდე ვერ ამოიღო დურუჯმა ყვარელების ჯავრი. ბევრჯერ ეცადა პირვანდელი გზით გაჭრას. თითქოს ამისათვის იკრეფდა ძალას, გაიზარდა და გახდა წყალმრავალი, ავი, არაერთი უბედურება ახსოვთ ყვარელებს დურუჯისაგან.

წვიმების დროს იცის საოცარი მოვარდნა. კავკასიონის ქედის და ყვარელის ლურჯი მთების ჩამონარეცხით ამძვინვარებული, ჯიქურად დაეძგერება ყვარელის დასაცავად ამართულ ილიას ჯებირებს. ერთი ვაი-ვიშით და ზრიალით დაიხევს გზააღობილი, ღრიალით ჩაუვლის ყვარელს და გადაასკდება ნაპირს. გაიჭრება მინდვრებში, ყანებში, ბაღ-ვენახებში, ბალჩა-ბოსტნებში. შეუტევს გზებს, ტყეებს. ყველგან მიუწვდება გამანადგურებელი ხელი.

საშინელი ამბავი დააღწია ყვარელს 1906 წელს. მთელი თავისი სიძლიერით შემოვარდა სოფელში. ორსართულიან ქვიტკირის სახლებს ანგრევდა. ხის ოდებს და ბოსლებს ერთიანად ეტაცებდა. ხეებს ძირიანად ჰგლეჯდა. მრავალი პირუტყვი და ფრინველი დამარხა ცოცხლად, წალეკა ყანები, ვენახები და ბაღები.

ეს მისი პირველი მოხდომა არ იყო. ხალხმა სოფლის სხვაგან გადატანა გადასწყვიტა. გაწამებული და მძიმე ზარალნახული გლეხისათვის ადვილი არ იყო დედიან-ბუდიანად აყრა და ხელახლა დასახლება. ვინ გაუმართავდა ხელს გაჭირვებულთ, შეფის ხელისუფალთ ხომ ხალხისათვის დახმარება აზრადაც არ მოუვიდოდათ.

ხალხის გულშემატკივარმა, თავის ერისათვის ყოველი კეთილი საქმის მესვეურმა, ილია ჭავჭავაძემ შეაჩერა სოფელი. მისი ხელმძღვანელობით და მისი გამჭრიახობით შეგროვილი სახსრებით ბუმბერაზი დამბები აღუმართეს დურუჯს და სოფელი დიდი ხნით იქნა დაცული მდინარისაგან.

ორმოცი წლის მანძილზე, დამბებთან ისე ამოსილა და ამოავსო ქვით მდინარემ თავისი კალაპოტი, რომ დღეს წყალი კვლავ დაუმუქრა ყვარელს.

სხვა დამბას აშენებენ ახლა კოლმეურნენი. მთავრობამ შვიდმილიონნახევარი მანეთი მისცა მათ მშენებლობისათვის.

დამბა სამალის ხევთან იწყება და კუდიგორის მთამდე აღემართება მდინარეს. მისი სიგრძე ოთხი კილომეტრი უნდა იქნეს, სიმაღლე ხუთნახევარი მეტრი, სისქე ორნახევარი.

რაიონის ყოველ კოლმეურნეობას თავისი სამუშაო აქვს მიზომილი მშენებლობაზე. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სხვებზე მეტის გაკეთება ითავა და მას უკვე ათასი კუბიკური მეტრის მოცულობის დამბა აქვს აშენებული.

კოლმეურნეობის ფართობების უმეტესი ნაწილი მდიდარ მიწებს წარმოადგენს, მაგრამ მიწა რაც არ უნდა ნოყი-

ერი იყოს, დროთა განმავლობაში იფიტება და დაბალმოსავლიან ნიადაგად იქცევა.

თავმჯდომარეს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნათესბალახიან თესლბრუნვას ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისათვის. სიკო ბუჯიაშვილი ცდილობდა მტკიცედ დაეცვა ნათესბალახიანი თესლბრუნვის წესები.

წინად კოლმეურნეობას მაღალმოსავლიანი სათესლე ხორბლის ჯიში არ ჰქონდა. მხოლოდ „კოპერატორკას“ თესდნენ. არ ექცეოდა ყურადღება მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვას. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის გამოცდილებით იცოდნენ, რომ „კოპერატორკა“ დაბალმოსავლიანი ხორბლის ჯიში იყო, სხვა თესლის უქონლობის გამო, ამ ჯიშს თესდნენ მაინც.

1947 წლისათვის თავმჯდომარემ ლაგოდეხის „გრძელთავთავა“ და კახური „დატოტვილი“ შეიძინა. წინასწარ ჩატარებული ცდებით დამტკიცებული იყო, რომ ორივე ჯიშის ხორბალი დიდ მოსავალს მოიტანდა ყვარელის მიწაზე. თესვისათვის მზადება წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით დაიწყეს. ნაკვეთები ადრევე იქნა მიმაგრებული ბრიგადებზე, რგოლებზე, რგოლის შიგნით კოლმეურნეებზე. თავმჯდომარე დარწმუნებული იყო, რომ 1947 წელს შარშანდელთან შედარებით ახალი ჯიშის ხორბლიდან ორჯერ მეტ მოსავალს მიიღებდა.

ეს რწმენა პირველივე ამონაყარმა ჯეჯილმა კიდევ უფრო განამტკიცა თავმჯდომარესა და კოლმეურნეებში. მუქმწვანე ხავერდივით ალივლივდა რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწა. დღითი-დღე იყრიდა ტანს „გრძელთავთავა, და „დატოტვილი“. რაიონის ყველა კოლმეურნეობებიდან მოდიოდნენ სიკო ბუჯიაშვილის ჯეჯილის სანახავად. „იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო“. გაგონდებოდა უნებლიედ პოეტის სიტყვები.

ჯერ არ ენახათ ყვარელის რაიონში ასე გახარებული ჯეჯილი. [illegible] ფად იყრიდა ტანს. [illegible] რებდა გულს... იქცა ყანად. დაუმძიმდა თავთავი. დაიზნიქა მიწისაკენ. დამწიფდა და ხმელი შრიალი იწყო ქარვისფერმა ზღვამ.

სიკო ბუჯიაშვილი თავის კოლმეურნეობის, ბრიგადების და რგოლების მიღწევებს და გამოცდილებებს რაიონის კოლმეურნეობებს აცნობდა. ხშირი სტუმრები იყვნენ აქ მეზობელი კოლმეურნეები. ასევე ხშირად ესტუმრებოდა მათ თავმჯდომარე თავისი კოლმეურნეებით. დიდი გულმოდგინებით უზიარებდნენ ერთმანეთს შრომის ორგანიზაციის და აგროტექნიკის წესებს.

თავმჯდომარემ ჩვეულებად შემოიღო აგრობიოლოგიურ თემებზე ლექციების წაკითხვა კოლმეურნეებისათვის. იწვევდა გამოცდილ აგრონომებს, ლექტორებს, უხვი მოსავლის ოსტატებს. იძენდა პოპულარულ აგროტექნიკურ ლიტერატურას კოლმეურნეობისათვის. ატანდა წიგნებს სახლში გლეხებს. ხშირად თვითონ უკითხავდა კლუბში, გამგეობაში, მინდორზე დასვენების დროს.

*
* *

დადგა სოფლის მეურნეობის მუშაობაში ყველაზე უფრო დაჭიმული პერიოდი. დამწიფდა ხორბალი და ქერი.

„ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას ცდა არ უყვარს. დროზე აიღებ,—მოიგებ, დააგვიანებ, — წააგებ“. ასე გვასწავლის ბელადი.

არ დააგვიანა სიკო ბუჯიაშვილმა. კოლმეურნეობის ყველა წევრმა იცოდა, რომ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულება, უპირველესი ამოცანაა და რაიონში პირველებმა დაიწყეს მოსავლის აღება.

ყოველი ბრიგადა და რგოლი განაწი-

ლებული იყო თავის უბანზე, დაზუსტებული ჰქონდა თავისი გეგმა, და ოც ივნისს, კაცი და ქალი, მანქანა და ინვენტარი ორგანიზებულად დაიძრა პურის ყანისაკენ.

კოლმეურნეთა ცხოვრება მინდვრის ბანაკებში გადავიდა. აქ ათენებდნენ და აღამებდნენ. აქ გამოიტანეს საველე სამზარეულო, ჩადგეს თონეები, ჩააკრეს ახალი ხორბლის პური. გაიხსნა პროდუქტებისა და გამაგრილებელი წყლების წერტები.

ოკეანეს გემებივით დასცურავდნენ მღელვარე პურის ზღვაში კომბაინები. 15—20 ჰექტარ ყანას მკიდა დღეში ერთი მანქანა. თვითვე ლეწავდა, ამზადებდა ნამჯასა და ბზეს და გაწმენდილ ხორბალს ტომრებში ჰყრიდა.

იმ მიწაზე, სადაც ილიამ ბავშვობიდანვე ნახა გლეხის აუტანელი შრომა და ჯაფა, სადაც გლეხი გათენებიდან-დაღამებამდე წელგაუმართავი მისდევდა მამა-პაპურ კავს, სადაც დღე-ღამ ჯარასავით ტრიალებდა კევრზე შემდგარი, გახურებულ და მტვრიან კალოზე, ახლა გლეხები მხოლოდ ტრაქტორით და კომბაინით ხნავენ, მკიან და ლეწვენ.

რამდენიმე ასეული კომბაინი, ტრაქტორი, სალეწი, სათესი მანქანა და სხვა მრავალნაირი მანქანა ჩამოდის ყოველდღიურად ჩვენი ქვეყნის ქარხნების კონვეიერებიდან.

105 ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი გვაქვს ჩვენ დღეს. მეოთხე სტალინური ხუთწლედი 325.000 ტრაქტორს და 195.000 კომბაინს შემატებს სოციალისტური სოფლის მეურნეობას. რა ღრმად შეიჭრა საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში ტექნიკა და კულტურა. უმაგალითო სისწრაფით იზრდება სამუშაო პროცესების მექანიზაცია. მტკიცდება ტექნიკური და მატერიალური ბაზა სოციალისტური მიწათმოქმედების.

სასწაულები მოახდინა კოლექტიურმა, სოციალისტურმა შრომამ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. მიწათმოქმედების რამდენიმე ათასი ნოვატორი, მაღალი მოსავლის ოსტატი, შრომის ორგანიზატორი და ნიჭიერი ხელმძღვანელი გამოვლინდა ქართველ გლეხთა რიგებიდან.

აი, ისინი სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში: საბა მამულაშვილი, არჩილ ავაზაშვილი, ერმილე გავაშელი, გიორგი ქანდაურაშვილი, ნიკო ბუქლიშვილი, ალექსანდრე ბაილოშვილი, იოსებ ბუშელაშვილი. ეს შრომის კაცები, აქ პურის ველზე კომანდირებივით უძღოდნენ თავის ბრიგადებს და რგოლებს.

სამ დღეში მომკა კოლმეურნეობამ 580 ჰექტარი პურის ყანა. საბა მამულაშვილმა და არჩილ ავაზაშვილმა საშუალოდ ოცი ცენტნერი პური აიღეს თითოეულ ჰექტარზე და პირველებმა მოიტანეს ხორბალი სასწორთან. მათ სხვა ბრიგადები მოყვნენ. მინდვრებზე მწყობრად განლაგდა ქალი და კაცი. სადაც კომბაინი ვერ მიუდგა, ნამგლები აელვარდნენ. მკელთა ყოველ რგოლს თავისი მესვეური ედგა თავში. მომკალთ მეულლეები მიყვებოდნენ. მეულლეებს მეძნეურები. მონამკალზე დარჩენილ თავთავებს ბავშვები აგროვებდნენ. კოხტად ჰკრავდნენ ხელეურებს. არც ერთი თავთავი არ დაკარგეს, არც ერთი მარცვალი არ დატოვეს მიწაზე.

მთელ რაიონში პირველმა სიკო ბუჯიაშვილმა დასძრა მაღალხარისხოვანი ხორბლით დატვირთული მანქანები სახელმწიფო ბეღლებისაკენ.

1947 წლიდან სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მარცვლეული კულტურათა რაიონულ მეთესლეობის მეურნეობად იქცა და სახელმწიფოს დარაიონებული ჯიშის „გრძელთავთავას“ 1050 ცენტნერი ხორბალი ჩააბარა.

560 ფუთი სიმინდი ჰექტარიდან. ასეთი იყო კოლმეურნეთა ვალდებულება. დიდი და ძნელი საქმე იყო ეს, მაგრამ მაღალხარისხოვანმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. მიწამ ღირსეულად დაა-

ფასა ადამიანის ერთგული ზრუნვა. სიმინდის მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

დადგა ყანებში დარჩეული სიმინდის გორები. ვერ დაიტია ბეღლებმა და ფარდულებმა ზღვა მოსავალი.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით სიკო ბუჯიაშვილს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ხოლო მის კოლმეურნეობის ოცდაათი წევრი დაჯილდოვებული იქნა ორდენებითა და მედლებით.

— ჩვენში შრომა ისევე საპატიო და საგმირო საქმეა, როგორც მეომრის სიმამაცე ბრძოლაში. — მიმართა სიკო ბუჯიაშვილმა დაჯილდოვებულ კოლმეურნეებს საზეიმო კრებაზე. — ჩვენც მებრძოლები ვართ. მეოთხე სტალინური ხუთწლედის მშვიდობიანი შრომის მებრძოლები. ჩვენი ქვეყანა ისევე აფასებს და ადიდებს მუშისა და გლეხის შრომას, ისევე აჯილდოვებს შრომის მოწინავე ადამიანებს, როგორც მებრძოლთ.

საქართველოში შრომა და ვაჟკაცობა უხსოვარ დროიდან განუყრელი ძმები იყვნენ. წინათ ჩვენში და (ზოგან ახლაც) ბავშვი რომ დაიბადებოდა, ჩვილს ერთ ხელს ხმლის, ან სატევარის ვადაზე დაადებინებდნენ—გულითადი მებრძოლი დადგებაო, ხოლო მეორე ხელს კავის ერქანზე, ან თოხის ტარზე მოაკიდებინებდნენ—გამრჯე მუშა გამოვაო.

დამწიფდა ყურძენიც. ერთმანეთს ამშვენებდა რქაწითელი და საფერავი. თითო გოდორ ყურძენს ჰკრეფდნენ ძირ ვაზზე. დაიძრა ყურძენი სახელმწიფო მარნებისაკენ. დაირეცხა კოლმეურნეობის ყურძნის საწნეხი მანქანები, ასფუძიანი ქვევრები. წამოვიდა თეთრი და წითელი მაჭარი ღარებით, დაივსო ქვევრები და კასრები.

დაიღო კოლმეურნეთა კარ-ჭიშკრები. მძიმედ შემოვიდნენ ეზოში სიცოცხლითით დატვირთული მანქანები. იმდენი იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც 1000 შრომადღე არ ქონდა გამომუშავებული. 6. 3 კილოგრამი ხორბალი და სიმინდი დარიგდა შრომადღეზე. ამას მოყვა ერბო, ყველი, ღვინო, და არაყი, ბოსტნეული და ფული. სიხარული და სიუხვე. გაივსო ეზო და სახლი ნაყოფით. გაივსო კოლმეურნეთა გული.

სიმდიდრე და სიუხვე მტკიცედ დამკვიდრდა კოლმეურნეობის ყოველ ოჯახში. გარეგნულადაც შეიცვალა გლეხის სახლკარი. გაქრა მიწური იატაკი, უსარკმლო ქოხი. სხვა იერი მიეცა დღევანდელ სოფელს. საკოლმეურნეო წყობამ არა მარტო მისი ცხოვრების შინაგანი სული შესცვალა, შეიცვალა მისი გარეგანი სახეც, მისი ელფერი.

თუ ამ სამი-ოთხი წლის წინათ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ძველებურ სახლებს აშენებდნენ, დღეს აქ არქიტექტორის მიერ შედგენილი გეგმით შენდება ქალაქური ტიპის სახლები. ქვისა და აგურის და უმეტესად ორსართულიანი. დღევანდელ სოფელში ასეთი სახლი, ეზოთი და ხეხილის ბაღით, წყალსადენით, რადიოთი, ელექტრონის შუქით, სპორტიული კუთხით და აქა-იქ „მოსკვიჩისათვის“ გარაჟით, ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც საკოლმეურნეო მინდვრებზე, ტრაქტორი და კომბაინი. კოლმეურნეები განუხრელ აღმავლობის და სიმდიდრის ზრდის გზაზე არიან დამდგარნი და მათ ბედნიერებას წინ ვერაფერი აღუდგება.

გაიზარდა გლეხის ცოდნა, მისი შეგნება, მისი მოთხოვნილება. მას აღარ აკმაყოფილებს ის, რაც ხუთი წლის წინად მიუღწევლად მიაჩნდა. თუ ხუთი წლის უკან, სტალინის სახელობის კოლმეურნე გლეხისათვის ექვსი-შვიდი

ცენტნერი ხორბალი ერთი ჰექტარი მიწიდან კარგი მოსავალი იყო, დღეს იგივე გლეხი, იგივე არჩილ ავაზაშვილი, იოსებ ბუშელაშვილი და სხვები, ოც ცენტნერსაც არ სჯერდებიან და არ გიკვირს, როცა სიკო ბუჯიაშვილი მომავალი წლის გეგმას ჰექტარზე 25—30 ცენტნერის ვარაუდით ადგენს და დარწმუნებულია, რომ მიიღებს.

სიკო ბუჯიაშვილს არც წარმოუდგენია სხვანაირი დამოკიდებულება შრომისადმი. არ ჯერდება დღევანდელი დღის წარმატებით, იგი ხვალინდელი დღის, მომავალი წლის წარმატებაზე ფიქრობს და არა მარტო მომავალ წელზე, მას უკვე შედგენილი აქვს 1950—55 წლების გეგმა.

აი, ეს გეგმა: თესლბრუნვის მინდვრები ხორბლისა და სხვა თავთავიანი კულტურებისათვის უნდა გაიზარდოს 1050 ჰექტარამდე. მათი მოსავალი 1400 ტონიდან 3500 ტონამდე. ვენახი 90 ჰექტარიდან 130 ჰექტარამდე, მოსავალი 300 ტონიდან 700 ტონამდე. აბრეშუმი 4000 კილოგრამიდან 6000 კილოგრამამდე. ორჯერ გადიდდება მზესუმზირას, ყაზანლიკის ვარდის, თაფლის და ბაღჩა-ბოსტნეულის მოსავალი.

ეს გეგმა - კოლმეურნეობის წლიურ შემოსავალს ორი მილიონიდან ხუთ-ექვს მილიონამდე გაადიდებს. ასეთი ცვლილებანი ჩვენს კოლმეურნეობაში ისე დამკვიდრდა, რომ ჩვენს ყურადღებას აღარ იქცევს, შევეჩვიეთ მას, ისეთ ხშირ მოვლენად იქცა საკოლმეურნეო წყობილების ცხოვრებაში, რომ ვეღარ ვამჩნევთ მას.

მაგრამ ხშირად ნახულობ ისეთ მოვლენებს, რომელმაც არ შეიძლება არ მიიქციოს ჩვენი ყურადღება. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს მთავრდება ალაზანჰესიდან გამოყვანილი დენისათვის ქვესადგურის მშენებლობა, რომელიც კოლმეურნეობას 1.500.000 მანეთი უჯდება. ოთხი წლის წინად კი კოლმეურნეობის ძირითად წლიურ შემოსავალს სულ 800.000 მანეთი შეადგენდა. 1949 წელს კოლმეურნეობა მარტო ქვესადგურის მშენებლობისათვის 1944 წლის შემოსავლის ორჯერ მეტ თანხას ხარჯავს.

კოლმეურნეობას 1.200 კილოვატი დენი ეყოფა თავისი მეურნეობისათვის. დანარჩენს რაიონის სხვა ოცდაორ კოლმეურნეობას მისცემს. კოლმეურნეობაში ყველა მძიმე სამუშაოს ელექტრო ენერგია შეასრულებს. გაანთავისუფლებს მრავალ მუშახელს. ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც აქამდე დიზელს მოჰყავდა მოძრაობაში, ალაზანჰესის დენით ამუშავდება.

ამ დენით იმუშავებენ სხვა კოლმეურნეობებიც. მათი სახერხი ქარხნები, სახელოსნოები, მარნები კინოთეატრები, კლუბები. ეს დენი გაანათებს რაიონს, მის დეწესებულებებს.

კოლმეურნეები ელექტრონის დენით გადმოიყვანენ წყალს დურუჯიდან, რომელსაც აქამდე ხალხისათვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა და მშრალი ქარებისა და გვალვების დროს მიწას მორწყავენ. მოთოკავენ მტერს, თავის ნებისად დაიყოლიებენ და სიკეთეს გააკეთებინებენ. დენი აამუშავებს წისქვილებს, შევა საქონლის ფერმებში, მოიტანენ ურალის ქარხნებში დამზადებულ „ელექტროტრაქტორებს", დენი მოიტანს სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღს.

ელექტრო ენერგია ერთი-ორად გაზრდის კოლმეურნის შრომადღის ღირებულებას. დენი კიდევ გაანათებს მის ცხოვრებას. კოლმეურნის ოჯახში დამკვიდრდება ელექტრონის უთო, ღუმელი, სარეცხი მანქანა, რადიომიმღები.

„დიდი ხანი არ არის რაც მე მომიხდა ყოფნა ერთ-ერთ გლეხურ დღესასწაულზე მოსკოვის გუბერნიის შორეულ ადგილას, ვოლოკოლამის მაზრაში სადაც გლეხებს ელექტრონის განათება აქვთ. ქუჩაში გაიმართა მიტინგი და აი ერთერთი გლეხი გამოვიდა და დაიწყო სიტყვა, რომელშიც იგი მიესალმა ამ ახალ მოვლენას გლეხის ცხოვრებაში. ის ამბობდა, რომ ჩვენ, გლეხები, ბნელი ვიყავით და აი ახლა გამოჩნდა სინათლე, „არაბუნებრივი სინათლე, რომელიც გაანათებს ჩვენს გლეხურ სიბნელეს.“ მე პირადად ეს სიტყვები არ გამკვირვებია. რასაკვირველია უპარტიო გლეხური მასისათვის ელექტრონის სინათლე „არაბუნებრივი“ სინათლეა, მაგრამ ჩვენთვის არაბუნებრივია ის, რომ ასეული და ათასეული წლები შეეძლოთ გლეხებს და მუშებს ასეთ სიბნელეში, სიღატაკეში მემამულეებსა და კაპიტალისტების ჩაგვრაში ცხოვრება. ამ სიბნელიდან მალე ვერ დაიძვრენ თავს. მაგრამ ჩვენ ამჟამად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს მიერ აშენებული თითოეული ელექტროსადგური იქცეოდეს განათლების ნამდვილ დასაყრდნობად, რომ იგი, ასე ვთქვათ, მასების ელექტრონულ განათლებას ეწეოდეს“. ასე ამბობდა ლენინი 1920 წლის დეკემბრის სრულიად რუსეთის მერვე ყრილობაზე. (ლენინი. რჩეული ნაწერები. ტომი მე-4. გვერდი 602. ქართულად გამოცემული 1934 წელს).

ელექტრო ენერგია დიდი ხანია, რაც იქცა სოფლის განათლების წყაროდ, გლეხის მატერიალური სიმდიდრის ამაღლების საშუალებად. ელექტრო ენერგიამ სოფლის მეურნეობა მსხვილი წარმოების ბაზაზე გადაიყვანა. სოფლის ელექტროფიკაციამ მიიღო დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოებრივ - სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობას. მომავალ წელს დაიწყება საკავშირო სტანდარტის ტიპის კლუბის მშენებლობა, გამგეობის ორსართულიანი კანტორა, საზაფხულო კინო-თეატრი, აბანო, სათესი მინდვრების ცენტრში ხორბლისა და სიმინდის საშრობი რამდენიმე საწყობი-ფარდული აშენდება. ვენახებში ჩადგამენ მარნებს.

კოლმეურნეობის ფართობებში გაყვანილი იქნება ტელეფონის ხაზები, რომ ბრიგადირს და მერგოლურს სხვადასხვა უბნებზე განლაგებულ კოლმეურნეების მუშაობის შესამოწმებლად და დავალების მისაცემად არ დასჭირდეს ადგილზე მისვლა. ფართობები რამდენიმე კილომეტრით არის ერთმანეთისაგან დაშორებული და ერთი ფართობიდან, მეორეში გადასვლისას დიდი დრო იკარგება.

მინდვრებში და ფართობებში გაყვანილი იქნება ელექტრონის შუქი. ელექტრონის ნათურები გაანათებენ მინდვრებში გაყვანილ 30 კილომეტრის სიგრძის გზატკეცილს ხეხილის ხეივნით. ცამეტ კილომეტრზე უკვე დარგულია ვაშლი და მსხალი. ფართობებზე ყველგან გაყვანილი იქნება წყაროები და წყაროებთან მოეწყობა მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა დასასვენებელი მოედნები. შეიქმნება მინდორსაცავი ტყის ზოლები და ამით სამუდამოდ აღკვეთილი იქნება მშრალი ქარების თარეში სათეს მიწებზე, ვენახებში და ბაღ-ბოსტნებში, მოისპობა გვალვა.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ამხანაგმა კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა თქვა: „ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ხელმძღვანელობა არა მარტო ის არის, რომ სწორად გადავჭრათ მიმდინარე საკითხები, არამედ უმთავრესად ის, რომ სწორად განვსაზღვროთ პერსპექტივა, დღევანდელი მუშაობა დავუკავშიროთ მომავლის ამოცანებს“.

ასე მუშაობს სიკო ბუჯიაშვილი. მისი დღევანდელი დღე მტკიცედ არის დაკავშირებული მომავლის ამოცანებთან.

— ყოველი ჩვენი დღე არის ბრძოლა შრომის ფრონტზე. ან მზადება ბრძოლისათვის. გამბედაობა ყოველ საქმეში. სადაც გამბედაობაა, იქ გაბარჯვებაცაა.—ასე ამბობს სახელოვანი თავმჯდომარე. ასე მუშაობს მისი კოლექტივი. ასე მუშაობს მრავალი ათასი ქართველი გლეხი. და როცა ფიქრობ ამ გლეხებზე, ხედავ მათ ნამუშევარს, მათ სოფელს, საქართველოს, გახსენდება ილიას სტრიქონები: „აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი, გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონრად ვალენროდი *

★

ალფუხარის ბალადა

დამარცხებულა მავრების ჯარი,
სისხლის მდინარე ერთვის მდინარეს.
არ დაცემულა მხოლოდ გრენადა,
მაგრამ ქალაქში ჭირი მძვინვარებს.

ცოტანი დარჩნენ ალფუხარაში
და უკანასკნელს იკრებენ ძალას.
ხედავს ალმანზორ—ოთხივე მხრიდან
ესპანელები მოადგნენ ქალაქს.

გათენდა დილა და ზარბაზნებმა
დალეწეს ციხის ოთხივე კარი.
გასწყდნენ მავრები და მინარეთზე
ესპანელებმა ალმართეს ჯვარი.

ვაშინ გაექცა მტერს ალმანზორი,
გამწარებულმა გაჰკვეთა რკალი
და ისე სწრაფად გაუჩინარდა,
ვეღარ იპოვნა მდევარმა კვალი.

გათავდა ბრძოლა. ციხის ნანგრევზე
გამარჯვებული ლაშქარი ლხინობს.
ინაწილებენ ტყვეებს და ნადავლს,
შეექცევიან შუშხუნა ღვინოს.

ამ დროს კარავში შემოდის მცველი,
ერთგული კაცი ჩქარობს და ღელავს:
უცხო რაინდი სახელგანთქმული
ესტუმრა თურმე ესპანელთ ბელადს.

* დასასრული. „მნათობი“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი რაინდი იყო ალმანზორ,—
დამარცხებული მეფე არაბთა...
იგი ჩაბარდა ტყვედ ესპანელებს
და გამოცხადდა სარდლის კარავთან.

„დიდო სარდალო“, ამბობს მორჩილად
და ალმანზორი დგას თავდახრილი:
„მოველ, რომ თქვენი ღმერთი ვირწმუნო
და ჩაგაბარო ჩემი მახვილი.

დაე, გაიგოს მთელმა ქვეყანამ
ჩემი განზრახვა ჩემი ფიქრები...
თქვენი უმცროსი ძმა ვარ დღეიდან
და სამუდამოდ თქვენი ვიქნები!“

არაბთა მეფის მხურვალე ფიცმა
სწრაფად მოხიბლა ესპანელები...
მეფე კარავში შემოიყვანეს
და გადახვიეს ძმურად ხელები.

მაშინ სტუმარმაც გაშალა მკლავი,
მათი ერთგული ძმობა დალოცა.
პირველად სარდალს გადაეხვია,
მერე რიგრიგად ყველას აკოცა...

ერთბაშად ღონე გამოელია
და როგორც მთვრალმა, იწყო ბარბაცი.
მერე გაფითრდა და ესპანელის
ფეხთან დაეცა მეფე ვაჟკაცი.

შეხედეს... შეკრთნენ...
შეწყდა ნადიმი...
დუმილს მოუცავს სარდლის კარავი,
და ამ დუმილში უცბად გაისმა
მისი სიცილი გულშემზარავი.

„მე ეხლა ვკვდები, გიაურებო,
მაგრამ სიცოცხლეს აღარა ვტირი.
ღღეს გრენადიდან მოვედი თქვენთან
და მოგიტანეთ ბანაკში ჭირი.

მე მოგატყუეთ. ვისაც ვაკოცე,
ყველას გადავდე ჭირი და შხამი.
თქვენ ჩემი კვნესით ვერ გაიხარებთ.
ახლოა თქვენი სიკვდილის ჟამი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორგავს, ხარხარებს და მის სახეზე
გამარჯვებული ღიმილი ელავს.
ცდილობს წამოდგეს, რომ ერთხელ კიდევ
მოხვიოს ხელი ესპანელთ ბელადს.

სიცილში მოკვდა, მაგრამ სიკვდილმაც
ვეღარ დახუჭა მისი თვალები
და ალმანზორი თითქოს სტკბებოდა
მოსისხლე მტრების ტანჯვა-წვალებით.

დაჰკრეს ნაღარა და ქალაქიდან
გაიქცა ჯარი,—ქვეყნის მპყრობელი,
მაგრამ ჭირს სადღა გაექცეოდნენ,—
აღარ გადარჩა ამბის მთხრობელი.

„მოსისხლე მტერზე შურისძიება
ძველად მავრებმა ასე იცოდნენ...
შურისძიება იცის ლიტველმაც
და მტერს არასდროს არ შეიცოდებს!
ასე ფარულად შემოვა იგი
და შხამს ღვინოში შემოგაპარებს...
თუმცა რას ვამბობ!.. ეხლა ვიტოლდი
თვითონვე ჰყიდის სამშობლო მხარეს.

ჰყიდის ვიტოლდი!.. არა ყველანი!
კმარა სიმღერა, კვნესა სიმღბის...
პერუნს ვფიცავარ, მალე დადგება
მრისხანე ჟამი შურისძიების.
ბევრი დავლიეთ... ვიმხიარულეთ...
დამისხით კიდევ! ღვინო გულს
ართობს...

შენ კი ალ... მანზორ, გაჰქრი აჩრდილო
და შენც ალბანო, დამტოვე მარტო!..
სთქვა და ვიღაცას კვლავ დაემუქრა...
არვის უცქერის, თავი ჩაღუნა...
ერთბაშად ფეხი გაჰკრა მაგიდას
და მთელი სუფრა გადააბრუნა
მერე თვალებში ცეცხლი ჩაუქრა,—
გამოელია ძალა კაეშანს...

ღვინო ერევა, ძილი ერევა
და სავარძელში მძიმედ დაეშვა.

გაოცებული, ჩაფიქრებული,
დგას რაინდების გუნდი რჩეული,—
თუმცა იცოდნენ, იგი ღვინოში
იყო ფიცხი და გადარეული,
მაგრამ ნადიმზე... უცხო სტუმრებთან...
დღეს არაფერი აღარ იკმარა!
ვინ გააჯავრა? იქნებ მოხუცმა?
სად არის იგი, სად გაიპარა!
ის მომღერალი ვერსად იპოვნეს
და ხალხში ითქვა ერთი ამბავი:
სახეშეცვლილი და გადაცმული
იმ დღეს ნადიმზე იყო ალბანი.
კონრადს უმღერდა ლიტვურ სიმღერას,
ცეცხლი ღვივოდა ფანდურის ხმებში,
და ქრისტიანებს მოუწოდებდა
ისევ მახვილი აეღოთ ხელში...
მაგრამ გუნება ასე მალიმალ
რად ეცვლებოდა ორდენის ბელადს!
ან რას ნიშნავდა მავრის ბალადა?
პასუხს ამაოდ ეძებდა ყველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

ომი

ომი. კონრადი ვეღარ აჩერებს
ხალხისა ღელვას და რისხვას ცხარეს.
ითხოვს ვიტოლდის ცბიერებისთვის
შურისძიებას დღეს მთელი მხარე.

ვიტოლდი შველას რომ სთხოვდა
ორდენს—
აეღოთ ლიტვის დედა-ქალაქი,—
ღრეობის შემდეგ მსწრაფლ შეიცვალა
უცებ დასტოვა მათი ბანაკი.
გაიგო მათი გეგმა ბრძოლისა
ორდენს გაექცა ფარულ ღალატით.

გზად ჩაუარა ტევტონელების
კოშკებს, მაგისტრის ყალბი ბრძანებით
მცველებს აჰყარა თოფ-საჭურველი
დასწვა ციხენი მან მრისხანებით.
შერცხვა ორდენის სახელ-დიდება,
შეკრბა ჯვაროსანთ ურიცხვი ჯარი
დაიძრა პაპის მოწოდებითა
და ზღვას და ხმელეთს წარუძღვა
ჯვარით.
გაჩნდნენ თავადნიც და ვასალებიც,
სადაც ორდენმა ჯვარი აღმართა
და ფიცულობდნენ, რომ მონათლავდნენ,
ან ამოსწყვეტდნენ მოდგმას
წარმართთა.
მიადგნენ ლიტვას;
შემდეგ რა მოხდა?
შებინდებისას გახედე სერებს.
შენ გაიგონებ ხანძრების გუგუნს,
შენ დაინახავ სისხლიან ფერებს.

ასეთი არის დასაბამიდან
ომის სამოსი და სამკაული.
ბრძენს გულს მოუკლავს მისი დანახვა,
სულელს ჰგონია დღესასწაული.

წინ მიდიოდნენ შეუსვენებლად,
წითლად შეღებეს ლიტვის ველები.
ხმა დადიოდა ვილნოს და კოვნოს
შემოადგნენო გერმანელები.

მერე ხმაც მიწყდა. ველა... გაიგეს,
სად ჰიხვინობდნენ მათი ცხენები.
შებინდებისას აღარ მოსჩანდნენ
ცამდე ასული ცეცხლის ენები

ლიტვა დაიპყრეს და გერმანელი
შინ მოუთმენლად ნადავლს მოელის...
დაღამებამდე გზას უთვალთვალებს,—
იქნებ გამოჩნდეს მახარობელი.
ჯარში ყოველდღე გზავნიან შიკრიკს,
უკან არცერთი აღარ ბრუნდება.
ყველას აწუხებს ეს უამბობა,
მათი სიცოცხლე ლოდინს უნდება.

დადგა ზამთარი. ღმუის ქარბუქი
გზებს გაუვალი ნამქერი ავსებს.
ისევ გამოჩნდა ის დაფიონი
იმ შორეული სერების თავზე.
ეს ჩრდილოეთი ციალი მოსჩანს
თუ ისევ ომის ცეცხლი ინთება.
შუქი თანდათან აქეთ მოიწევს
და ცის ტატნობიც უფრო წითლდება.
ციხის კედლიდან გზას გასცქერიან:
შორს რამდენიმე გამოჩნდა მგზავრი,
ეს კონრადია? ნეტა რა მოაქვს?
ხალხის ზეიმი თუ ბლოვის ზარი?
აგერ სარდლებიც, მაგრამ სად არის
მათი ლაშქარი, ომში ქებული?
არა მხედრები,—კონრადის უკან
ბრბო დაინახეს დაფეთებული.
ზარდაცემული მორბიან გზაზე,
ეს ხომ ჯოგია, განა ჯარია!
ერთმანეთს სრესენ, ფეხით სთელავენ
და ქალაქისკენ მოიჩქარიან.
ზოგს მოჰყინვია ორივე ფეხი
და მოჩანჩალებს თავჩაქინდრული.
როგორც გზის პირას სვეტი უბრალო,
ზოგი ნამქერში დგას გაყინული.

მთელი ქალაქი მათ შეეგება,
დიდი-პატარა შფოთავს და ღელავს.
ლაშქრობის ამბავს არვინ
კითხულობს,—
ის აწერია სახეზე ყველას.
ვეღარ გაუძლეს სიმშილს, სიცივეს
და ომის ღმერთმა უმუხთლა ორდენს.
გესმის ბუკის ხმა? გამოქცეულებს
ისევ ლიტველთა მდევარი მოსდევს.
ისევ ქარბუქი დაჰკივის მინდვრებს,
აღარ თავდება ცივი ზამთარი.
ჯვაროსნებს თავზე დასჩხავის ყვავი
და სადღაც ბნელში ყმუის აფთარი.
იღუპებიან. მთელი ქალაქი
ავად ახსენებს კონრადის სახელს.
შურისძიებით დაბრმავებულმა
ვერ დაინახა ვიტოლდის მახე.
ლიტვის ველებში გაფანტა ჯარი
და ვერ აიღო ვილნო წყეული.
ვინც გამარჯვება იცოდა მუდამ,
ეხლა დაბრუნდა დამარცხებული.
როცა სიმშილი დაიწყო ჯარში
და სიმშილს მოჰყვა ზამთარი მკაცრი,
როცა ვილნოსთან გაშლილ ბანაკში
დღეში კვდებოდა ათასი კაცი,
როცა დაიწყეს მტრის თარეშებმა
მათი აღალის განადგურება,—
საჭირო იყო სწრაფი შეტევა
ან უფრო სწრაფად შინ დაბრუნება.
მაგრამ მაგისტრი არა ჩქარობდა,
დროს ატარებდა ნადირობაში...
სარდლებს თათბირზე აღარ ეძახდა,
არ მიუძღოდა ლაშქარს ბრძოლაში.

ჩაუქრა გულში ის ძველი ცეცხლი,
ფიქრობს, ყოყმანობს... მტერს თავს
არიდებს.
ხელები გულზე დაუკრეფია
და აღარ უსმენს ერთგულ რაინდებს.
ცივი ზამთარიც აღარ თავდება,
ისევ ქარბუქი დაჰკივის ველებს...
ისევ შეკრიბა ჯარი ვიტოლდმა
და უმოწყალოდ სპობს გერმანელებს.
არა, არ ახსოვს მამაც ჯვაროსნებს
ამბავი უფრო გასაკვირველი:
დიდი მაგისტრი მტერს შეუშინდა
და გამოექცა ბრძოლას პირველი.
არა ნადავლი, განძი მდიდრული,
არა დიდება თავის ქვეყნისა,—
მტერს გამოექცა და მოიტანა
ამბავი ლიტვის გამარჯვებისა.
განა მხედრები ომგადახდილნი?
შინ მოიყვანა მათი ლანდები...
შუბლი შეუკრავს კონრად ვალენროდს,
შემოსწოლია გულზე დარდები.
ის იტანჯება, მაგრამ შეხედე,
კარგად შეხედე ორდენის ბელადს.
ხედავ, თვალებში ფარულ
ნაპერწკალს...
იგი ხან ჰქრება, ხან ისევ ელავს,
როგორც ღამეში ეშმაკის ცეცხლი,
მგზავრს რომ ატყუებს, უხმობს,
აქეზებს...
ხანდახან შმაგი რამ სიხარული
გადაუქროლებს კონრადს სახეზე.

ხალხი შფოთავდა, მაგრამ მაგისტრთან
ვინ იპოვნიდა ახლა სამართალს,
მან რაინდები უკმაყოფილო
დაიბარა და ბჭობა გამართა
და თვალთმაქცურად ხალხში გაჰკივის,
„სირცხვილი ჩვენი! სირცხვილი ჩვენი“,
მას დაუჯერეს, ალბად ასეთი
ყოფილა თურმე ღვთის განაჩენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

შესდეგ, ამაყო ბელადო! უკვე
დრო დადგა შენი აღსასრულისა...
სადღაც, მიწის ქვეშ, ფარული საბჭო
მოსამართლეა შენი სულისა!

თორმეტ სავარძლის შუა ლამპარი
ბნელში წესდების ეტრატს დაჰნათის,
შავით მოსილთა თორმეტი სახე
გამომხატველი არის ადათის.
ერთმანეთისთვის გამოუცნობნი,
როგორც ჩრდილები სამარის კართან.—
სხედან აქ, ნიღაბ-აფარებულნი
და ისმის მსჯავრი ყრუდ მოუბართა.

ვინც უნდა იყოს მსჯავრდადებული
ღმერთის წინაშე მცდარი თუ არი —
ამათ განაჩენს ვერ გაექცევა,
სიტყვა აქვთ მტკიცე და უტყუარი.
არ დაინდობენ საკუთარ შვილთაც
არც დიდებულთა რიდი იციან,—
განაჩენს მხოლოდ მოსდევს
სასჯელი! —
თვით ჯვარზე ასე დაუფიციათ.

აგერ წამოდგა მწუხარედ ერთი,
სახეს უფარავს ნიღაბი შავი,—
სიტყვით მსაჯულთა კრებას მიმართა
და აიმაღლა მრისხანედ მკლავი:
„ო, განუხრელნო მოსამართლენო!—
ჩვენი ეჭვებიც გამართლდა ჩქარა:
ვინც ვალენროდად მიაჩნდა ყველას—
ის ვალენროდი არ არის, არა!..

არ ვიცნობთ. ვგონებ თორმეტიოდე
წელიწადია, რაც ჩამოსახლდა.
ის ერთხელ მხოლოდ პალესტინაში
გრაფ ვალენროდის ამალას ახლდა.
გრაფი უკვალოდ გაჰქრა, ხომ
გახსოვთ?—
მკვლელი ეგ იყო, და ავკაცურად
პალესტინიდან ესპანეთამდე
ბნელით მოცული ზღვა გადასცურა!
მავრებთან ბრძოლით იხვეჭდა სახელს,
და სარაინდო ველზე გამოსვლით
შეჯიბრებებში ცნობილი გახდა
ვალენროდების ტანისამოსით!..
და აი, ახლა მაგისტრად იქცა,
ის არი ჩვენი მთავარსარდალი!
ჩვენი დალუპვა, ჩვენი სირცხვილი,
მოსამართლენო, აი, სად არი!..
დიახ, ამ ზამთარს როცა სიმშილი
და ლიტველები სიკვდილს გვიქადდა,—
მან საიდუმლოდ ვიტოლდთან ერთად
ნდობა ღალატით გადაგვიხადა!
მე მომიტანეს ხმა ჯაშუშებმა
რომ ყოველ ღამით კოშკის მაღლობთან
იგი განდეგილ ქალის წინაშე
ლიტვურ ენაზე ლაპარაკობდა.
ეგ იცით ყველამ. ამასვე ახლა
ფიცქვეშ იტყვიან ჩემი კაცები...
და მე ბრალსა ვდებ რომ თვით
მაგისტრი
ღვთისმგმობელია, მკვლელი, გამცემი!“

მუხლზე დაეცა მსჯავრის მდებელი,
ჯვარს დარწმუნებით დაადო ხელი,—
ნიშნად, რომ ყოველად ჭეშმარიტია
აქ მოთხრობილი ამბავი ბნელი.

დადუმდა იგი. მდუმარე საბჭოც
დაეთანხმება სჩანს უკამათოდ:
თავი დახარეს მართლმსაჯულებმა,
თვალმა უსიტყვოდ თვალი აანთო
და თვითეულმა წმინდა კანონებს
თავისი გულისთქმა შეუფარდა,
სხვას აქ არაფერს არ ეძიებენ
თავისი სულის სიმართლის გარდა.
მაგრამ აქ ყველა კვლავ ერთსულოვნად
და უმოწყალოდ ამბობს: „ვაება“-ს
ეს ნიშანია ხომ სასიკვდილო,
ხმა მარყუჟივით ბოძალს ჩაება,
„ვაება!“ ისმის უკვე მეორედ,
და აიმართნენ უმალ რკინები,
ცივი სიბასრით ელავენ მაღლა,
თორმეტი ხელით ამოწვდილები!
უნდა კონრადის გული გაგმირონ!—
ბორგავს მიწისქვეშ ხმის აზღვავება...
მსაჯულნი უკვე სტოვებენ საბჭოს,
უკვე მესამედ ისმის „ვაება!.“

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. აბრიანი

მწყემსი თედორე

★

ამ ჯერად თენგიზი უფრო მსუბუქად ადიოდა მთის დაკლაკნილ და ძნელად სავალ ბილიკზე, ვიდრე წინათ. თითქოს მის წინ მიმავალ ყოჩების შეხედვა ახალისებდა და უადვილებდა გზას. ახალგაზრდა მწყემსი გურამი სტვენით და შეძახილით ტუქსავდა ზანტ ყოჩებს. განთიადი ეფინებოდა არე-მარეს. სიბნელეს თანდათან სინათლე სცვლიდა. თენგიზს ეს განთიადი უფრო ბრწყინვალეთ მიაჩნდა, მისთვის სიცოცხლე ახლა უფრო ბედნიერი და მომხიბვლელი იყო. თავის ფიქრებში გართული იგონებდა წარსულ დღეებს და დღეს უკვე სინამდვილედ ქცეულ ოცნებებს.

თენგიზი ხანდახან შეჩერდებოდა და სტკბებოდა განთიადის წარმტაცი სურათით, უმზერდა შფოთვარე არაგვის ხევში ჩაწოლილ ნისლს, რომელსაც მზის პირველი სხივები თანდათან შლიდა და ფანტავდა. მოვარაყებულ კავკასიონის მწვერვალებს შორის მედიდურად აღმართულიყო მყინვარწვერი. ბუნების სილამაზით მოჯადოებულმა თენგიზმა ტკბილი ხმით ღიღინიც კი დაიწყო.

ამ ღიღინით თენგიზმა უფრო მხნედ გასწია წინ, გურამიც ხალისიანად მიდიოდა. შორიახლოს თვალი მოჰკრეს ცხვრის ფარას, რომელიც გორაკზე გაშლილიყო და სძოვდა. ჯერ მიახლოვებულნი არ იყვნენ იმ ადგილს, როდესაც მოსახვევში ქვევით მომავალი ვიღაც კაცი შენიშნეს. ის სწრაფად მოაბიჯებდა და, როცა ახლო მოვიდა, კომბალი ხელში მოიმარჯვა, შეაჩერა წინ მიმავალი თენგიზის ყოჩები და თითონაც შეჩერდა.

ეს იყო მწყემსი თედორე. ის უმოძრაოდ იდგა ერთ ადგილზე, ფართოდ დაეჭყიტა ალმასებივით მოელვარე თვალები და რატომღაც ზიზღით შეჰყურებდა ყოჩებს.

თენგიზი მიუახლოვდა და მოხუცს ხელი გაუწოდა.

თედორემ როგორღაც უხალისოთ ჩამოართვა ხელი და ისევ ზიზღით გადახედა ყოჩებს.

— სად მიერეკები ამ ეშმაკებს? ამ გორაკზე? ხომ იცი, მაგათ ჩემს ცხვარს ახლოს რომ არ მივაკარებ,—მტკიცედ უთხრა მოხუცმა.

— ვიცი, რომ წინააღმდეგი ხარ,— მშვიდად მიუგო თენგიზმა,—მაგრამ ეს ყოჩები ჩემი საკუთრება არაა და არც ის ფარაა შენი. ისინი კოლმეურნეობას ეკუთვნიან და მე მან დამავალა მათი შეჯვარება. კოლმეურნეობა მოითხოვს პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებას, რომ იგი უფრო სარგებლიანი და მომგებიანი იყოს.

თედორე სდუმდა.

თენგიზმა ანიშნა გურამს—წინ გაერეკნა ყოჩები. მოხუცმა ერთი წუთით დააპირა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ შეიკავა თავი. გაბრაზებით ჩააქნია ხელი, გვერდში ამოუდგა თენგიზს და მასთან ერთად გაჰყვა ფერდობზე გაშლილ ფარასკენ მიმავალ ყოჩებს.

— მერე შედეგებზე ვინ აგებს პა-

სუხს, მწყემსი თედორე თუ ზოოტექნიკი თენგიზი? — დიდი ხნის დუმილის შემდეგ მყუდროება დაარღვია მოხუცმა და თანაც თენგიზს ჩააცქერდა თვალებში.

— ერთიც და მეორეც!—ისევ მშვიდად უპასუხა თენგიზმა.

თედორემ მწარედ ჩაიცინა, ხელი ჩაიქნია და თავის ქნევით წამოიძახა:

— მე წინააღმდეგი ვარ შეჯვარების, მაგრამ პასუხს არ ვაგებ, არა! მე ძველი, გამოცდილი მწყემსი ვარ, ჩემს ხელში ათიათასობით ცხვარს გაუვლია და ამიტომ გეუბნები, არ ვარგა, რასაც შენ აპირებ.

— მოსაწყენ ამბებს ლაპარაკობ, მოხუცო, — გულდაწყვეტილად უპასუხა თენგიზმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქვეყანა გამოიცვალა, შენ კი უცვლელი დარჩი და ძველებურად აზროვნებ.

თედორემ ხმა არ გასცა. დადუმებული მიაბიჯებდა და თან ახლო წარსულის იმ დღეებს იგონებდა, როდესაც თენგიზი შემოიკრებდა ხოლმე მწყემსებს და ელაპარაკებოდა მათ ცხვრის ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ. ეს მოთხრობები ისეთი საოცნებო და წარმტაცი მოსასმენი იყო ხოლმე, რომ ყველა ზღაპრად ეჩვენებოდა. ზოგჯერ თედორე დასცინოდა ხოლმე კიდეც თენგიზს და მის ნათქვამს სიზმრად ნათლავდა.

მაგრამ ახლა ის ხედავდა, რომ სიზმარი კი არა, არამედ სინამდვილედ ქცეულიყო ყოველივე ის, რაზედაც ოდესღაც ოცნებობდა თენგიზი. ახალი ჯიშის ყოჩები დღეს თამამად მიაბიჯებდნენ მთის კალთებზე—და ახალგაზრდა თენგიზიც ყურადღებას აღარ აქცევდა მოხუცი მწყემსის ჯიუტობას.

თედორე მიაბიჯებდა აღელვებული, კომბალს მიწაზე სცემდა და გულნაწყენი რაღასაც ბუტბუტებდა თავისთვის.

მოხუცმა ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მივიდნენ ისინი ერთ ადგილს, სადაც პატარა მდინარე ჩამორბოდა გორაკიდან.

— რაზე ფიქრობ, ბიძია?—ალერსიანად შეეკითხა თენგიზი.

— შენთვის სულ ერთი არაა? ჩემ სიტყვას შენთვის რა ფასი აქვს. მაგრამ იცოდე, შვილო, ნათქვამია წყალი თავის გზას იპოვისო. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, სულ ერთია, ჩვენი ცხვრის ჯიშსა და ხასიათს ვერ შესცვლით. საუკუნეების განმავლობაში ბუნებას ასეთად დაუდგენია და არავის არ შეუძლია ბუნების კანონის შეცვლა მის წინააღმდეგ წასვლა,—თქვა მოხუცმა.

— ბუნებას კიდევ სხვა კანონიც აქვს, ძია თედორე — თქვა თენგიზმა და თავისი ჭკვიანი თვალები მიანათა მწყემსის დაღვრემილ სახეს. — ამ კანონის წყალობით ადამიანი ცვლის მდინარის მიერ საუკუნოებით გაკაფულ გზას და მდინარეც იძულებული ხდება შეიცვალოს ძველი კალაპოტი. ადამიანი ჩასწვდა ბუნების საიდუმლოებას და კიდევაც იმორჩილებს მას... ჩვენი ქვეყნის ადამიანმა ისურვა და ახლა შორეულ ჩრდილოეთშიც ვაშლი და ატამი ჰყვავის.

მოხუცი მწყემსი მიხვდა, რომ თენგიზი მართალს ამბობდა. თედორეს აქამდისაც არაერთხელ გაგონილი ჰქონდა თუ, როგორ იმორჩილებდნენ ბუნებას ახალი დროის ადამიანები. ფიქრებმა გაიტაცეს ის. მოხუცს სწამდა, რომ ახალგაზრდა თენგიზი სიმართლეს ეუბნებოდა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და ჩაილაპარაკა:

— წყალი უსულო რამაა, შვილო, და ამიტომ ემორჩილება ჩვენს ნებასურვილს, ცხვარი კი ცოცხალი არსებაა, მას ხორცი და სისხლი აქვს.

თენგიზი ისევ ალერსიანად ჩააცქერდა მოხუც მწყემს თვალებში და დააპირა ეთქვა მისთვის, რომ მიუღწეველი არაფერიაო, მაგრამ სიჩუმე არჩია.

ასე სიჩუმეში დიდხანს მიდიოდნენ ისინი. ხანდახან თვალს შეავლებდა თენგიზი მოხუც მწყემს, ხედავდა მის მოღუშულ სახეს, გულმოსულად შეკრულ წარბებს. ალბათ გულიც დარდით შეკრული ექნებოდა მას, მაგრამ ახალგაზრდა ზოოტექნიკი უიმედოდ მაინც არ უყურებდა ჭაღარა მწყემს. თენგიზი გრძნობდა, რომ მისი წინააღმდეგობა ჯიუტობით იყო გამოწვეული და, რომ ბოლოს მაინც შესაძლებელი იქნებოდა ძველი მწყემსის შემობრუნება ახალისაკენ. თედორე გამოცდილი, საქმისადმი თავდადებული და პატიოსანი მწყემსი იყო და მომავალში მას სარგებლობის მოტანა შეეძლო.

როდესაც მოხუცმა თავი მაღლა ასწია გამოსამშვიდობებლად, თენგიზმა უთხრა:

— კარგი, ბიძია თედორე, შენს ცხვარს ხელს არ ვახლებ. შეჯვარებას დავიწყებ ირაკლის ფარაში. წადი და შენს საქმეს მიხედე. ნუღარ იფიქრებ ამაზე.

მაგრამ თენგიზმა ეს დაპირება მოხუცს მხოლოდ დასამშვიდებლად აღუთქვა, — მას გადაწყვეტილი ჰქონდა საქმეს შესდგომოდა ერთდაიმავე დროს ორივე ფარაში.

*

* *

თენგიზმა თედორეს ცხვარს ხელი არ ახლო. ყოჩები მის ცხვარს არ მიაკარა. მხიარულად იყო თედორე. მას თავისი ცხვრის ფარა მიჰყავდა ხოლმე შორს, იქ სადაც ბალახი უხვად ბიბინებდა. ის ადიოდა მაღალ მთის კალთებზე, ლაღად გრძნობდა აქ თავს და გამხიარულებული მწყემსების სალამურს უსმენდა.

თედორეს ხშირად აგონდებოდა თენგიზთან უკანასკნელად გამართული საუბარი. ჩამოჯდებოდა ბუჩქის ძირას, ან სადმე კლდის პირზე, თვალგაშტერებული გაჰყურებდა იქითკენ, სადაც ირაკლის ცხვრის ფარა სძოვდა და ფიქრობდა იმაზე, რომ ირაკლის ცხვარი გაბერწდებოდა, თუ მხოლოდ თენგიზის ყოჩებთან შეაჯვარებდნენ.

უყვარდა თენგიზი თედორეს, ჭკვიან, კეთილ ახალგაზრდად მიაჩნდა, მაგრამ მისი საქმე კი არ მოსწონდა და საზიანოდ სთვლიდა.

— ეხ, დაღუპავენ ჩვენ ცხვარს! — მრავალჯერ ამოუოხრნია მას.

შემოდგომის მოღუშული დღეები იდგა. წვიმის ანკარა წვეთები ხშირად ეცემოდნენ თედორეს ნაბდის კალთებს, ზამთარი ახლოვდებოდა. ცხვრის რძე თანდათან სქელდებოდა, ჭედილებს სიმსუქნე დღედადღე ემატებოდათ.

მთაში დაჰქროდა შემოდგომის ცივი ქარი. მთები დაიფარა უხვი თოვლით. ცხვარი დარჩა გომურში გამომწყვდეული. ზამთრის მოწყენილი და უფერული დღეები ერთმანეთს წაება და დასასრული აღარ უჩნდა.

ერთ დღეს თედორე ქორწილში დაპატიჟეს. მოხუცმა ცხვარი უმცროს მწყემსებს ჩააბარა, თვითონ კი გზას გაუდგა სოფლისაკენ.

ციოდა. ცა მოღრუბლული იყო. შუა გზაში უეცრად ძლიერი ქარბუქი დაიწყო. ქარი თოვლს სახეში აყრიდა თედორეს, სულს უხუთავდა და სიარულს უძნელებდა. მოხუცმა ბოლოს იგრძნო, რომ გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, გზას გადაუხვია და მიმართულება აიღო გორაკის წვერზე აღმართულ ციხის ნანგრევისაკენ, რომ იქ თავი შეეფარებინა. დიდი წვალებით გაიკვლია გზა თოვლში და ავიდა ზევით. ფეხი წესდგა თუ არა ნანგრევში, თედორემ სიხარულით შენიშნა, რომ იქ ცეცხლი ენთო. ცეცხლის პირას იჯდა ახალგაზრდა მწყემსი გურამი. კედლის ძირას გაფენილიყო ცხვრის პატარა ფარა და ტკბილად იცოხნებოდა. თედორე უფრო ახლოს მივიდა და გაკვირვებით დაუწყო ცქერა ცხვარს. უცნაურნი იყვნენ ისინი, დიდრონი, ხშირი და გრძელი მატყლით შემოსილნი. ისინი თავიანთი გარეგნობით სრულიად არ წააგავდნენ

ჩვენებურ ცხვარს. თედორემ დაიჭირა ერთი მათგანი, ხელი მოუსვა ზურგზე, ბეწვის სიგრძე გაუზომა და რატომღაც მაშინვე მოაგონდა თენგიზი.

— ვისია ეს ცხვრები?—თითქოს შეშფოთებით იკითხა თედორემ.

— კოლმეურნეობისა,—უპასუხა ჭაბუკმა.

— ეს რომელ ჯიშს ეკუთვნის, ყმაწვილო?—შეეკითხა თედორე.

— ნატროშვილის ახალი ქართული ჯიშის ცხვარია, — მიუგო გურამმა.

— რამდენია?—შეეკითხა თედორე.

— ოცდაათმა მოიგო და ყველა შენარჩუნებულია, — ცივად უპასუხა ჭაბუკმა.

— მერე ამ დროს ცხვარს აქ რა უნდა? — მწყრალად თქვა მოხუცმა მწყემსმა.—სად გაგონილა ცხვარი ზამთარში თოვლიან მთაზე იყოს?

— ზამთარი დაიწყო თუ არა, თენგიზმა დამიბარა და მითხრა ცხვრები მთაში წაიყვანე, ვცადოთ ზამთრის ყინვას როგორ გაუძლებენო.—მშვიდად უპასუხა გურამმა.

თედორემ ალმაცერად გადახედა ჭაბუკს, მიუჯდა ცეცხლს და ყალიონი გააწყო. დიდხანს იჯდა ხმაამოუღებლად და თვალს არ აშორებდა ცხვარს. გარეთ ქარი ღმუოდა. თოვლს ჰაერში ათამაშებდა და ფანტავდა. მოხუცი კი ამ დროს თავის თავს ესაუბრებოდა. გურამი ამჩნევდა, რომ მოხუცი ახლა უფრო სწუხდა ვინემ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. თედორე მწარედ ჩაიცინებდა ხოლმე და თან ამოიოხრებდა. ახალგაზრდა ზოოტექნიკი უფრო ჭკვიანი და დაკვირვებული გამოდგა. მისი სიტყვები უკვე საქმედ იყო ქცეული. მაშ თენგიზი მართალი იყო, თითონ კი მტყუანი? ნათლად გრძნობდა ამას თედორე, მაგრამ მის გულში ახლა ბრაზი არ იყო პირიქით, სიხარულს გრძნობდა.

როდესაც ქარბუქი ჩადგა, თედორე დაემშვიდობა გურამს, ციხის ნანგრევები დასტოვა და განაგრძო გზა. ნაბდის კალთები აიწია და სოფლისკენ ფეხს აუჩქარა.

*
* *

დადგა გაზაფხული. მინდორ-ველში გულღიად იღიმებოდა მორცხვი ია. მთაზე აქა-იქ დარჩენილი უკანასკნელი თოვლი დნებოდა. ფერდობებზე მოჩუხჩუხებდნენ ნაკადულები.

ერთ დღეს თედორემ თავისი ცხვარი გარეკა ციხე-კოშკის ნანგრევებისაკენ. მთის კალთაზე შეამჩნია თენგიზის ცხვრის პატარა ფარა, რომელსაც ჭაბუკი გურამი მწყემსავდა. მოხუცმა ერთხანს უცქირა და შემდეგ დათვლა დაიწყო... ცხრამეტი აღმოჩნდა. მხოლოდ ცხრამეტი! გული შეუთამაშდა და თითქმის ხალისიანად გაიფიქრა: მგონი ისევ მე ვიყავიო მართალი. ისევ მიაჩერდა ფარას და ხელმეორედ დაითვალა. ცხრამეტი იყო. ჩქარი ნაბიჯით, სულის შემხუთავი სისწრაფით გასწია იქით. გურამმა დაინახა რა მომავალი მოხუცი, წამსვე, თითქოს მიუხვდაო ყოველივეს, რამდენჯერმე დასტვინა და სწრაფად გაიქცა ციხის ნანგრევებისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ მან წინ წამოიმძღვარა ნანგრევებს მოფარებული ცხვრები და სხვებთან ერთად მთის თავზე არეკა. ამის დანახვაზე თედორე შეჩერდა და ისევ გადაითვალა ცხვარი. ცხრამეტი კი არა, ახლა ოცდაათი აღმოჩნდა.

ერთ ხანს ის გაქვავებული იდგა ადგილზე და გაშტერებული გაჰყურებდა გურამის ფარას. შემდეგ უეცრად შემობრუნდა წავიდა თავის ფარასაკენ და ფიქრებში გართულმა ცხვარი მთის უკან გადარეკა.

გავიდა დღეები. დაიწყო ზოლი. ირაკლის ცხვრის ბედი ძალზე აინტერესებდა მოხუცს. ერთ დღეს ის ეწვია კი-

დევაც თავის ძველ მეგობარს. ირაკლიმ გაიფიქრა, ჩემი მარცხი გაუგიაო, შეწუხებულა და ამიტომ მინახულაო.

თედორემ შეამჩნია ირაკლის მოწყენილობა და თანაგრძნობით კითხა:

— რა თავ-პირი ჩამოგტირის, მეგობარო?

— ნუღარ მკითხავ წელს ზარალი მაქვს, ცხვრის დიდი ნაწილი გაბერწდა.

თედორეს თვალებში უნებურად სიხარულმა გაუელვა. მან რამდენჯერმე ხელი გადაისვა შევერცხლილ წვერ-ულვაშზე და ღიმილმორეულმა ამაყად თქვა:

— მაგ ამბავს მე დიდი ხანია ველოდი.

მაგრამ ირაკლიმ ბოლოს დაუმატა:— ყველა შეჯვარებულმა ცხვარმა კი მოიგო.

— ყველამ?

— ჰო, ყველამ,—უპასუხა ირაკლიმ.

ისინი ჩამოსხდნენ ფარეხში დანთებულ ცეცხლთან. ირაკლიმ ვახშამი მოართვა სტუმარს. თედორე აბოლებდა ჩიბუხს, ფურცლავდა ნატროშვილის წიგნს „ქართული ცხვარი“ და შურით შეჰყურებდა ირაკლის.

ვახშმობის დროს ირაკლიმ უამბო თენგიზის მუშაობის შესახებ, ახალი ჯიშის ცხვრის უპირატესობისა და მისი დიდი სარგებლიანობის შესახებ. ისეთი ენტუზიაზმით უამბობდა ყოველივე ამას ირაკლი, რომ პურის ჭამა დავიწყებოდა. თედორე უსმენდა და თან — თვალებს ახამხამებდა.

— როგორც გხედავ და გისმენ, მეგობარო, შენც მეცნიერი გამხდარხარ უკვე,—დამცინავი კილოთი უთხრა თედორემ და წიგნი დახურა.

— იცი, რა გითხრა,—ჩოხის კალთა ჩამოუწია ირაკლიმ, — მეც პირველად შენსავით უნდობლად ვუყურებდი ამ საქმეს, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ მეცნიერების გარეშე არ არსებობს მესაქონლეობა. სულელი ვიყავი, რომ შენ გიჯეროდი,—ძველ გზას მივდევდი და ჩემი გამოცდილებით ვტრაბახობდი. ვინანე, ძლიერ ვინანე და ახლა ამიტომაც მთელი ჩემი ძალ-ღონით ვეხმარები თენგიზს და სიცოცხლესაც არ დავზოგავ მისთვის.

კარგა შებინდებული იყო, როდესაც ცხვრებისა და ბატკნების ფარა მოადგა ფარეხს. თედორე და ირაკლი ფეხზე წამოდგნენ და შეერივნენ ახალი ჯიშის ბატკნებში. თედორე დიდი ინტერესით ათვალიერებდა ბატკნებს. მათი მატყლი ხშირი, ბარაქიანი და ფაფუკი იყო. დაიჭირა ერთი მათგანი და ხელში აიყვანა.

— მოგწონს თუ არა?—ჰკითხა ირაკლიმ. — ა, რას იტყვი?

— მაგას დრო გვაჩვენებს, მომეწონება თუ არა, — გულცივად უპასუხა თედორემ.—ჯერ დავიცადოთ, თუ ჩვენი მთების ჰავას გაუძლო და შეეგუა, მაშინ მეც თქვენს მაგალითს მივბაძავ.

ღამით, როდესაც ცხვარი მოსვენებას მიეცა, მწყემსებმა ცეცხლი უფრო ააგიზგიზეს. ირაკლიმ აღტაცებით უამბო მას, თუ როგორ იცვლებოდა მთის ცხოვრება.

— და განა მარტო მთა, ყველგან ახლად ყვავის ცხოვრება! — ეუბნებოდა ირაკლი. — მდინარეებს კალაპოტს უცვლიან, უდაბნოები ამწვანდნენ. პირდაპირ ისეა, როგორც ძველ ზღაპრებშია ნათქვამი!

უსმენდა თედორე თავის ძველ მეგობარს, ხმაგაკმენდილი იჯდა, გულში კი ფიქრობდა, რომ ის მართალი იყო.

*
* *

შუაღამე იყო, როდესაც თედორე უკან დაბრუნდა. მაშინვე ჩაწვა და დაიძინა. კარგად გათენებულიყო, როდესაც გარედან ხმა მოესმა და გამოეღვიძა. თვალების ფშვნეტით წამოდგა ლოგინიდან, ჩაიცვა და აივანზე გამოვიდა. გრილი დილა იყო. შორიახლოდან მოსჩანდა კავკასიონის მთაგრეხილი, თოვლით დათარული მწვერვალებით, რომელნიც მზის სხივებით მოვა-

რაყებულნი ბრწყინავდნენ და ლაპლაპებდნენ. იისფერ ბურუსში გახვეული მოჩანდა ამაყი ყაზბეგი.

აივანზე ახალგაზრდა მწყემსი ბიჭი დაინახა.

— რა იყო? — გაკვირვებით შეეკითხა თედორე.

— რა იყო და, მწყემსები გეძახიან. მესამე დღეა ჩვენი ცხვრები უცნაურ ბატკნებს ბადებენ, — უპასუხა ახალგაზრდამ.

— რაო?! — წამოიძახა თედორემ, მიუახლოვდა ახალგაზრდას და თვალები მიანათა. ახალგაზრდამ შიშისაგან უკან დაიხია.

— მართალს გეუბნები, ძია, — მორიდებულად უთხრა ახალგაზრდამ.

მოგცლიათ და ხუმრობის დრო გიპოვიათ. ვინ მეხუმრება ასე? — გაცეცხლებული წამოიძახა მოხუცმა, უფრო მიუახლოვდა ახალგაზრდას და თავისი მრისხანე თვალები მიანათა.

— არ გეხუმრები, ძია, ბატკნები უკვე დაიბადნენ.

— საიდან, როგორ? ჯადო ხომ არ გაუკეთეს ჩემს ცხვარს? — აღელვებული ბუტბუტებდა თედორე და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას ცხვრისაკენ.

ახალგაზრდა მწყემსი ფეხდაფეხ მისდევდა მოხუცს, რომელიც მთელი გზა რაღაც გაურკვეველს ლუღლუღებდა.

— მერე რას ამბობენ მწყემსები?— ერთხელ მიუბრუნდა თედორე ახალგაზრდას და შეეკითხა.

— გაოცებული არიან, რა უნდა სთქვან, — მიუგო ახალგაზრდამ.

მოულოდნელ ამბავს ისე უმოქმედნია თედორეზე, რომ თავ-გზა არეოდა, ყველაფერი ეს სიზმრად, სასწაულად მიაჩნდა.

ბატკნების ფარასთან ავტომანქანა იდგა. როდესაც თედორე მწყემსებს მიუახლოვდა, შენიშნა, რომ მათთან იყვნენ რაიკომის მდივანი და თენგიზი. ისინი შეჰყურებდნენ მათკენ მიმავალ მოხუცს, რომელსაც სახე დაღვრემილი ჰქონდა. თედორე გაკვირვებული უყურებდა ახლადდაბადებულ ჯიშიან ბატკნებს და რაღაცას დუდუნებდა.

— მე შენი ვერაფერი გამიგია, თედორე ძია... შენ ხომ ახალი ჯიშის ცხვრის წინააღმდეგი იყავი და ეს როგორ მოხდა, რომ ჩვენგან საიდუმლოდ მოგიხდენია შეჯვარება?? — კითხა რაიკომის მდივანმა.

— მე არაფერი ვიცი, — წაილუღლუღა მოხუცმა, მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა თვალები მიაპყრო რაიკომის მდივანს, — ეს რაღაც სასწაულია...

— გასაკვირი არაფერია, ალბათ ჩვენ მოგვაჩვენე თავი, რომ წინააღმდეგი იყავი, თვითონ კი სულით და გულით მომხრე ყოფილხარ ამ საქმისა, — თავი ვეღარ შეიკავა და გაიცინა მდივანმა. შემდეგ დაიჭირა ერთი ბატკანი და აიყვანა: — აბა ხელი მოუსვი, ნახე რა მატყლია, რბილი, აბრეშუმი გეგონება, რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ყველა ჩვენი კოლმეურნეობის ცხვარი ამ ჯიშის იყოს. ყოჩაღ თედორე, ყოჩაღ!

— ტყუილად მაქებთ მე. აქ რაღაც გაუგებრობაა.—აღელვებული და აკანკალებული ხმით თქვა თედორემ და ეჭვიანი თვალებით მიაცქერდა თენგიზს.

— აქ არავითარი გაუგებრობა არაა. ჩვენმა, ადგილობრივმა ჯიშის ცხვარმა მოიგო ჯიშიანი ბატკნები. — სიხარული ვეღარ შეიკავა მდივანმა.—ამაზე ნათელი და გასაგები რა უნდა იყოს!

— ბოლოს და ბოლოს მითხარით, როგორ მოხდა ეს?—გაოცებული და გაჯავრებული კილოთი იკითხა მოხუცმა და კომბალი მიწას დაარტყა.

თენგიზი მიუახლოვდა მოხუცს და ალერსიანად მიმართა:

— ცხვარში გაზრდილი და დაბერებული კაცი ხარ, ამ ბატკნებს მგელი-

ვით რატომ შეჰყურებ? გულმართალი ადამიანი ხარ და გულმართლადაც თქვი, განა ესენი არ სჯობს ძველი ჯიშის ბატკნებს? ესენიც ხომ ჩვენს მიწაზე აღიზარდნენ, ჩვენი ბალახი უძოვნიათ, ჩვენი მთის წყალი უსვამთ და მტრულად რად უნდა უცქერდე? შენ მხოლოდ ჯიუტობ, თორემ ვიცი, გულში კიდევაც გიხარია.

თედორეს გულს მრხვდა ეს სიტყვები. ამ წუთშიაც მხოლოდ ჯიუტობდა იგი, თორემ გრძნობდა თენგიზის სიმართლეს და კიდევაც უნდოდა ეთქვა, მეც გახარებული ვარო.

რაიკომის მდივანი კარგად ხვდებოდა მის სულიერ მდგომარეობას და მეგობრულად უთხრა.

— მარტო ადგილობრივი ჯიშის ცხვარით ვეღარ შევძლებთ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება მატყლით, რძითა და ხორცით. ჩვენ ახლა მაღალი პროდუქტული ჯიშის ცხვრები გვჭირდება. საჭიროა მოვუაროთ, გავზარდოთ და გავამრავლოთ აი ეს ბატკნები. თქვენი საქმეც სწრაფად წინ წავა, თუ თენგიზის კვალს გაჰყვებით. მეცნიერება და გამოცდილება მუდამ ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, ხელიხელჩაკიდებული უნდა მოქმედებდნენ.

კომბალზე დაყრდნობილი მოხუცი თავჩაქინდრული უსმენდა. ბატკნები კუნტრუშებდნენ მის ირგვლივ, ყნოსავდნენ მისი ჩოხის კალთებს, ბღაოდნენ. ახლა თედორეს რცხვენოდა კიდეც, რომ მისგან მოითხოვდნენ, ბატკნების მოვლას, — ეს საქმე ხომ თავისი ცხოვრების მიზნად და დანიშნულებად მიაჩნდა. გრძნობები მოაწვა გულზე. უნდოდა ეთქვა, თუ რას ფიქრობდა ახლა. მაგრამ ხმის ამოღებაც უჭირდა. ბოლოს დინჯად ასწია ჭალარა თავი, აზრიანი თვალები [illegible] მის მდივანს და მხოლოდ ეს იკითხა:

— ჰო, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ჩემს ფარაში დაიბადნენ ეს ბატკნები?

რაიკომის მდივანმა ჯერ თენგიზს გადახედა ღიმილით და შემდეგ თედორეს მიმართა:

— მეცნიერება სასწაულებს ახდენს, მოხუცო, მაგრამ ამ ბატკნების დაბადება სრულიადაც არაა სასწაული. გაზაფხულის ერთ ღამეს, როდესაც შენ და შენი თანაშემწეები ღამით ისვენებდით, თენგიზი თავის ამხანაგებთან ერთად უჩინრად შევიდა შენი ცხვრის ფარეხში და ხელოვნური დათესვით მოახდინა ცხვრის განაყოფიერება. შენც მთელი ზამთარი მოგვილია, თვალის ჩინივით გიპატრონებია მისთვის ახლა ხომ მაინც უარს არ იტყვი ამ ბატკნებზე? განა მწყემსი უარს იტყვის ცხვრებზე?

— ჰაი, ჰაი, — ჩაილაპარაკა მოხუცმა. შემდეგ მოიხადა ნაბდის ქუდი, თითქოს დიდ ქეიფში თამადად არის, და ხმამაღლა წამოიძახა: — ყოჩაღ, თენგიზ, იცოცხლე! შენც გაგიმარჯოს და შენ საქმესაც!

ის მიუახლოვდა ზოოტექნიკს და გადაეხვია მას. შემდეგ მიუბრუნდა მდივანს, ქუდი მიწაზე დააგდო და თქვა:

— ასე მისი ოჯახი დაემხოს, ვინც მუშაობაზე უარი თქვას. მწყემსი თედორე თვალისჩინივით მოუვლის ამ ბატკნებს!

სამოცდაათი წლის მოხუცის თვალებში ყველამ ნათლად ამოიკითხა, რომ ის მზად იყო მთელი თავისი ძალღონით განეგრძო შრომა.

თარგმანი სომხურიდან **არტ. დავითიანისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრ. ბრეგაძე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობები

★

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, წარმოადგენს ძირფესვიან მობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში დრომოჭმული კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ. იგი მოასწავებს ძირფესვიან გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ბედიღბალში, საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში, ყველა ქვეყნის ექსპლოატირებულ მასათა ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა — ერა კომუნიზმის დიადი მშენებლობისა ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური რევოლუციებისა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ნაციონალურ-განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ძლევამოსილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა გვავალებს ჩვენ, რომ ყოველმხრივ შევისწავლოთ მისი გამარჯვების პირობები, ე. ი. რევოლუციური სიტუაცია და ამ სიტუაციის გამომყენებელი სუბიექტური ფაქტორების გადამწყვეტი როლი.

რევოლუციური სიტუაციის გარეშე არც ერთი ნამდვილი რევოლუციის გამარჯვება არ შეიძლება, მაგრამ რევოლუციურ სიტუაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სოციალისტური რევოლუცია ყველაზე უფრო დიდი სახალხო რევოლუციაა, ყველა სხვა რევოლუციასთან შედარებით; მეორეც, იმიტომ, რომ სოციალისტური რევოლუცია წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრებაში ყველაზე უღრმეს გადატრიალებას, ნახტომს საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაში, რაც შეუძლებელია ხელსაყრელი ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მომწიფების გარეშე; ბოლოს, იმიტომ, რომ პროლეტარული რევოლუცია, როგორც სტალინი გვასწავლის, „იწყება მაშინ, როცა არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს სოციალისტური წყობის მზა ფორმები“ [1]. ეს გარემოება უალრესად ადიდებს სოციალისტური რევოლუციისათვის რევოლუციური სიტუაციის მნიშვნელობას და ამ სიტუა-

[1] ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 141.

ციის გამომყენებელი სუბიექტური ფაქტორების როლს.

რა არის რევოლუციური სიტუაცია და როგორია ამ სიტუაციის გამოყენების საქმეში რევოლუციის სუბიექტური ფაქტორების როლი?

რევოლუციური სიტუაციის რაობისა და რევოლუციის სუბიექტური ფაქტორის გადამწყვეტი როლის ნამდვილი მეცნიერული გაგება პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოგვცეს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა. გენიოსმა მარქსისტებმა ლენინმა და სტალინმა კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, შემდგომ განავითარეს რევოლუციური სიტუაციის მარქსისტული გაგება, მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბეს რევოლუციური სიტუაციის დამახასიათებელი ნიშნები და მისი რევოლუციაში გადაზრდის პირობები მათ გენიალურად დაასაბუთეს ახალი ტიპის პარტიის გადამწყვეტი როლი პროლეტარიატის გამარჯვებისათვის ისტორიულ ბრძოლაში.

რევოლუციური სიტუაციის რაობის ნათლად გასაგებად აუცილებელია ვიცოდეთ, რომ პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა შედგება ორი მხარისაგან, ორი ელემენტისაგან, როგორც სტალინი გვასწავლის: ობიექტური ანუ სტიქიური ელემენტისაგან და სუბიექტური ანუ შეგნებული ელემენტისაგან. რევოლუციური სიტუაცია მოიცავს მუშათა მოძრაობის ობიექტური მხარის მხოლოდ ისეთ ნაწილებს, როგორიცაა: 1) გაბატონებული ექსპლოატატორული კლასის პოლიტიკის კრიზისი, 2) მშრომელთა მდგომარეობის ჩვეულებრივზე უფრო მეტად გამწვავება, 3) პროლეტარიატისა და მის ირგვლივ მყოფი მასების რევოლუციური მოძრაობის მკვეთრი გაძლიერება, ე. ი. რევოლუციური სიტუაცია მოიცავს იმ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას, რომელსაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს რევოლუციების პერიოდში.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში—„II ინტერნაციონალის კრახი", — ახასიათებდა რა რევოლუციური სიტუაციის აღნიშნულ სამ ძირითად ნიშანს, წერდა:

„თუ არაა ეს ობიექტური ცვლილებანი, რომლებიც არაა დამოკიდებული არა მარტო ცალკე ჯგუფთა და პარტიათა ნებისყოფაზე, არამედ ცალკე კლასთა ნებისყოფაზედაც, რევოლუცია — საერთო წესით—შეუძლებელია. სწორედ ამ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას ეწოდება რევოლუციური სიტუაცია" [1].

რევოლუციური სიტუაცია—ეს არის რევოლუციისათვის მომწიფებული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისის ყველაზე სრული გამოხატულება. ეს არის რევოლუციური კრიზისის უმაღლესი საფეხური, მომწიფებული საერთო ნაციონალური კრიზისი, რომელიც ეხება ექსპლოატატორებსაც და ექსპლოატირებულთაც.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რევოლუციურ სიტუაციას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს რევოლუციის გამარჯვება, როცა მას მართებულად შეუერთდება რევოლუციის სუბიექტური ფაქტორები: პროლეტარიატისა და მისი პარტიის შეგნებულობა, მათი საბრძოლო მზადყოფნა, პროლეტარიატის კავშირი რევოლუციურ მასებთან, ობიექტური შესაძლებლობის გამოყენების უნარი, მართებული სტრატეგიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობა. სუბიექტური ფაქტორი პროლეტარული რევოლუციების ეპოქის ცენტრალური საკითხია, ვინაიდან მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის გამარჯვებისათვის. მაგრამ ეს გადამწყვეტი როლი სუბიექტურ ფაქ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწ. ტ. III, გვ. 156.

ტორს მხოლოდ რევოლუციური სიტუაციის დროს შეუძლია შეასრულოს.

ამრიგად, რევოლუციური სიტუაციისა და სუბიექტური ფაქტორების ერთმანეთთან მართებული შეერთება წარმოადგენს ყოველი სახალხო რევოლუციის გამარჯვების გარდუვალ კანონს. ამიტომაა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი გადაჭრით გმობს როგორც რევოლუციური სიტუაციის უგულებელმყოფ სუბიექტივიზმს, ისე სუბიექტური ფაქტორების როლის ყოველგვარ შეუფასებლობას.

რევოლუციური სიტუაცია ისევე, როგორც ყოველი ისტორიული მოვლენა, ცვალებადობის კანონს ემორჩილება: წარმოიშობა, ვითარდება და გადაიზრდება რევოლუციის გამარჯვებაში, თუ სუბიექტური ფაქტორები სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს რევოლუციის დროებით უკუქცევას. ხოლო შემდეგ, მომწიფებული ამოცანების გადაუჭრელობის გამო, აუცილებლობის ძალით ხდება რევოლუციის კვლავ მოზღვავება, რევოლუციური სიტუაციის მომწიფება, რომელსაც შესაძლებელია ნოჰყვეს რევოლუციის გამარჯვება.

რევოლუციური სიტუაციის ყოველმხრივ მომწიფებისა და სუბიექტური ფაქტორების მართებული მოქმედების ყველაზე კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდი. განვიხილოთ ეს პერიოდი რევოლუციური სიტუაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით.

1) როგორც ლენინი გვასწავლის, გაბატონებული ექსპლოატატორული კლასებისათვის უცვლელი სახით ბატონობის შენარჩუნების შეუძლებლობა, მათი პოლიტიკის კრიზისი—რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

რუსეთის ბურჟუაზიას და ანტანტის იმპერიალისტებს სურდათ—1917 წლის თებერვლის რევოლუცია გამოეყენებინათ მსოფლიო იმპერიალისტური ომის საბოლოო გამარჯვებამდე ძისაყვანად. ამავე დროს ისინი ცდილობდნენ—შეენარჩუნებინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება. მუშები და რევოლუციური გლეხები, პირიქით, ცდილობდნენ ძირფესვიანად დაემსხვრიათ ძველი წყობილება და ბოლო მოეღოთ იმპერიალისტური ომისათვის.

ასეთი იყო ძირეული წინააღმდეგობა ურთიერთანტაგონისტურად განწყობილ კლასებს შორის თებერვლის რევოლუციის დროს და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში. ეს ძირეული წინააღმდეგობა დაედო საფუძვლად ბურჟუაზიის ხელისუფლების კრიზისებს.

ამ წინააღმდეგობის პირველ აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა დროებითი მთავრობის აპრილის კრიზისი.

დროებითი მთავრობის მეორე კრიზისი — ეს იყო კოალიციური მთავრობის ივლისის კრიზისი, როდესაც მუშათა კლასმა და ჯარისკაცებმა აშკარად დააყენეს საკითხი მთავრობიდან ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენლის განდევნისა და მშრომელთა ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის შესახებ.

ივლისის დემონსტრაციის სისხლში ჩახრჩობის შედეგად ბურჟუაზიამ მიაღწია ორძალაუფლებიანობის ლიკვიდაციას და თავის ხელში მთელი ძალაუფლების აღებას. რევოლუციურ აზვირთებას მოჰყვა რევოლუციის დროებითი უკუქცევა. მაგრამ ივლისის ამბებმა ისე გაარევოლუციურა ხალხთა მასები, რომ ბურჟუაზიის კრიზისი, საბოლოო ანგარიშით, კიდევ უფრო გაღრმავდა.

დროებითი მთავრობის მესამე კრიზისი — ეს იყო აგვისტოს კრიზისი, რომელიც მოჰყვა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშებისა და ჯარისკაცების მიერ კორნილოვშჩინის სასტიკად განადგურებას. ეს იყო ხელისუფ-

ლების ყველაზე ღრმა კრიზისი. ამ მომენტიდან რუსეთის ბურჟუაზია შეეიდა თავისი პოლიტიკური კრიზისის გაწყვეტების ისეთ ზოლში, რომ კადეტების აშკარა ყოფნა მთავრობის შემადგენლობაში საშიში გახდა კონტრრევოლუციისათვის და იგი შეეცადა — შეექმნა მთავრობა მხოლოდ „სოციალისტ“ მინისტრებისაგან. ეს იქნებოდა მთავრობა უკადეტებოდ, მაგრამ კადეტებისათვის. ასეთი მთავრობის პირველ ცდას წარმოადგენდა ე. წ. „დირექტორია“.

რუსეთის ბურჟუაზიას უნდოდა კიდევ უფრო შორს წასვლა დირექტორიის შემდეგ უკადეტებოდ და კადეტებისათვის ახალი მთავრობის შექმნის გზით. მაგრამ კორნილოვშჩინის დამარცხების შემდეგ წვრილბურჟუაზიულ პარტიებში სწრაფი რღვევის პროცესი დაიწყო. სასიკვდილო კრიზისში მოექცა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ შემთანხმებლური პარტიებიც. ამიტომ მათ ვერ გაბედეს უკადეტებოდ მთავრობის შედგენა. კვლავ მოითხოვეს კოალიციური მთავრობა და 25 სექტემბერს კიდეც შეიქმნა მესამე, მაგრამ უკანასკნელი კოალიციური მთავრობა, რომელსაც ერთ-ერთ თავის დასაყრდენად მიაჩნდა ე. წ. „წინაპარლამენტი“.

კონტრრევოლუციამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მას ვერ იხსნიდა ვერც კოალიციური მთავრობა და ვერც წინაპარლამენტი. ამიტომ იგი „ახალ“ კორნილოვშჩინაში ეძებდა გამოსავალს, მაგრამ რევოლუციის მომწიფება წინ უსწრებდა კონტრრევოლუციის ყველა ღონისძიებას. რევოლუცია ღრმად შეიჭრა მასებში, ფრონტის ყველა ნაწილში, ჩამორჩენილ რაიონებშიც და კონტრრევოლუციის გულში — კაზაკთა ოლქებშიც. რევოლუციური აზვირთების უაღრესად გაძლიერების გამო ესერ-მენშევიკები მასებისაგან იზოლირებული აღმოჩნდნენ და მათ უარი სთქვეს კადეტებთან ბლოკზე; მოკავშირეებმაც იწყეს ყოყმანი: განაგრძონ ომი საბოლოო გამარჯვებამდე, თუ დასდვან ზავი რუსეთის საკვეზე. კონტრრევოლუცია ყველა ზომას იღებდა, რათა გაძოსულიყო თავისი კრიზისიდან. მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ ძოახერხა ამ კრიზისიდან გამოსვლა, აიხსნება არა იმით, რომ ეს კრიზისი, როგორც გარკვეული ისტორიული კანონზომიერი განვითარების შედეგი, იყო გამოუვალი, არამედ იმით, და ეს მთავარია, რომ ლენინ-სტალინის პარტიამ თავისი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით ბურჟუაზიისა და შემთანხმებლური პარტიების პოლიტიკა ბოლომდე გააშიშვლა, ნათლად დაანახა მასებს კონტრრევოლუციის დამღუპველი პოლიტიკის რაობა და არ მისცა ექსპლოატატორულ კლასებს კრიზისიდან გამოსვლის საშუალება.

2) დიდი ლენინი გვასწავლის, რომ დაჩაგრულ კლასთა გაჭირვებისა და უბედურებათა ჩვეულებრივზე მეტად გამწვავება რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში შექმნილი მდგომარეობა რევოლუციის ამ ძირითადი ნიშნის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს.

პირველმა მსოფლიო ომმა მშრომელთა მდგომარეობა ყველა ქვეყანაში გააუარესა. მაგრამ ეს განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა რუსეთში. ხელისუფლების სათავეში ყოფნის 8 თვის განმავლობაში ბურჟუაზიულმა მთავრობამ ესერ-მენშევიკების დახმარებით, რუსეთი მიიყვანა უფსკრულის პირამდე და გარდუვალი აუცილებლობით გამოიწვია რევოლუციური სიტუაციის ღრმად მომწიფება. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკური პროპაგანდისა და აგიტაციის საფუძველზე მშრომელთა ფართო მასები დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტები-

სა და გაბურჟუებული მემამულეების ძალაუფლების დამხობას და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას შეუძლია იხსნას რუსეთი საშინელი ნგრევისა და შიმშილისაგან.

3) დიდი ლენინი გვასწავლის, რომ რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს მასების აქტივობის გაძლიერება. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში უაღრესად დიდი იყო პროლეტარიატისა და მოსახლეობის ღარიბი ფენების ეს გააქტივება.

თუ როგორი სისწრაფით იზრდებოდა მასების გააქტივება, ეს ჩანს იქიდანაც, რომ აპრილის დემონსტრაციაზე მონაწილეობას ღებულობდა 100 ათასი მუშა და ჯარისკაცი, ივნისის დემონსტრაციაზე მათი რაოდენობა 500 ათასამდე ავიდა, ხოლო ივლისში მასების რევოლუციური გააქტივება იმდენად დიდი იყო, რომ დემონსტრაციაზე მათი გამოსვლის შეჩერება შეუძლებელი გახდა. მართალია, კონტრრევოლუციამ სისხლში ჩაახრჩო ეს დემონსტრაცია, მაგრამ ამით მან სრულიადაც ვერ მოუღო ბოლო მასების საბრძოლო აქტივობას. დემონსტრაციების ასეთი დიდი ძალა იმის შედეგი იყო, რომ მასების სტიქიურ აზვირთებას ბოლშევიკები შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს აძლევდნენ.

მასების რევოლუციური გააქტივების ყველაზე საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის, რომ კორნილოვის ამბოხების წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის მოწოდებაზე ფეხზე დადგნენ პეტროგრადის მთელი მუშათა კლასი და ჯარისკაცთა მასები. კორნილოვის დამარცხების შემდეგ საშუალო გლეხობაც შეუერთდა ღარიბ გლეხებს და უაღრესად ფართო მასობრივი ხასიათი მიეცა გლეხთა გამოსვლებს. კორნილოვშჩინასთან ბრძოლის პერიოდში უაღრესად გაიზარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც.

ამრიგად, რევოლუციური სიტუაციის მომწიფების საუკეთესო მაჩვენებელი გახდა ის, რომ მუშათა რევოლუციური მოძრაობას და გლეხთა აჯანყებებს შეუერთდა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ასეთია მოკლედ რევოლუციური სიტუაციის ძირითადი ელემენტების მომწიფების სურათი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში. ჩვენ ეს ელემენტები განვიხილეთ ცალ-ცალკე, რევოლუციური სიტუაციის შესწავლის გაადვილების მიზნით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ცხოვრებაში არსებობდნენ და ვითარდებოდნენ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ურთიერთკავშირის გარეშე. ნამდვილად, რევოლუციური სიტუაციის ელემენტები დიალექტიკურ, კანონზომიერ ურთიერთკავშირში იყვნენ ერთმანეთთან და განაპირობებდნენ ერთმანეთს.

რევოლუციური სიტუაცია რუსეთში დიდი სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად ყოველმხრივ მომწიფდა 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ამიტომ 29 სექტემბერს ვ. ი. ლენინი წერდა:

„ეპვი არ არის, სექტემბრის დასასრულმა უდიდესი გარდატეხა მოგვიტანა რუსეთის რევოლუციის და, როგორც ჩანს, აგრეთვე მსოფლიო რევოლუციის ისტორიაშიც“ [1].

ასევე სტალინი 29 სექტემბერს წერდა:

„ახლანდელი მომენტის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გაუვალი უფსკრული მთავრობასა და ხალხის მასებს შორის, — უფსკრული, რომელიც არ იყო რევოლუციის პირველ თვეებში და რომელიც გაჩნდა კორნილოვის აჯანყების შედეგად“ [2].

ამ დროისათვის და მეტადრე ოქტომ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწ. ორ ტომად, ტ. II, გვ. 89.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ტ. 3. გვ. 361.

ბერში რუსეთის საზოგადოების ორი ურთიერთ მტრულად განწყობილი ბანაკი — კონტრრევოლუციის ბანაკი: ბურჟუაზია, მემამულეები, კულაკობა, რეაქციის ყველა ‘ძავბნელი ძალა კადეტების მეთაურობით გაკოტრებულ ესერ-მენშევიკებთან კავშირში, და რევოლუციის ბანაკი: პროლეტარიატი, ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობა და რევოლუციური გლეხობა ბოლშევიკების მეთაურობით, — ისტორიაში გაუგონარი სიმწვავით დაუპირისპირდა ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ურთიერთ-დიამეტრულად დაპირისპირებული ძალების ასეთი განლაგება ცხადად ადასტურებდა შეიარაღებული აჯანყების გზით გადამწყვეტი ბრძოლისათვის ყველა პირობის საესებით მომწიფებას.

ამრიგად:

1) ისტორიული კანონზომიერების საფუძველზე, ლენინ-სტალინის პარტიის ყოველმხრივი ხელშეწყობით რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ისე სწრაფად, რომ ისედაც სუსტმა და პოლიტიკაში ნაკლებად გამოცდილმა რუსეთის ბურჟუაზიამ სრულებით ვერ შესძლო თავისი ძალაუფლების განმტკიცება.

2) რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალ პირობებში, იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი შეიარაღებული იყო ევროპის რევოლუციური მოძრაობისა და რუსეთის ორი რევოლუციის მდიდარი გამოცდილებით, გლეხობასთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფის უნარით, რაც აუცილებელი იყო რევოლუციის გამარჯვებისათვის.

3) რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა ისეთ პირობებში როდესაც რუსეთის მუშათა კლასის სათავეში იდგა ბრძოლაში ყოველმხრივ გამოწრთობილი, ძლევამოსილი ლენინ-სტალინის პარტია, რომელსაც შეეძლო მაორგანიზებულად შეეერთებინა ერთ საერთო რევოლუციურ ნაკადად საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხურ-დემოკრატიული მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ, ჩაგრული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა იმპერიალიზმის დამხობისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის.

4) რევოლუციური სიტუაცია რუსეთში მომწიფდა არა სხვა ქვეყნებისაგან იზოლირებულად, არამედ ისეთ ვითარებაში, როდესაც ხანგრძლივმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა ხელი შეუწყო რევოლუციური კრიზისის მომწიფებას ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში და გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში. ამ გარემოებამ თანაგრძნობა მოუპოვა რუსეთის მუშათა კლასს მსოფლიოში, და გააადვილა რევოლუციის გამარჯვება რუსეთში.

5) რუსეთში რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა პირველი მსოფლიო ომის მძვინვარების ვითარებაში, რის გამო უცხოელ იმპერიალისტებს არ ჰქონდათ საშუალება სერიოზული დახმარება აღმოეჩინათ სასიკვდილო კრიზისში მოქცეული რუსეთის ბურჟუაზიისათვის.

6) რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა იმპერიალისტური ომის მეოთხე წელს, როდესაც იმპერიალისტური „ომით განაწამები და ზავს მოწყურებული მშრომელი მასები თვით მოვლენათა ლოგიკამ მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ერთადერთ გამოსავალთან ომიდან“ (სტალინი) [1].

ასეთ პირობებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა

[1] ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამოც. გვ. 100.

ჰქონდა იმას, რომ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები წინასწარ იყვნენ მომზადებული და შეიარაღებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა და თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინურ-სტალინური თეორიით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმის ბოლშევიკურ შეგნებას, რომ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის შედეგად, იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის უდიდესი საკვანძო პუნქტი—რუსეთი წარმოადგენდა ყველაზე უფრო სუსტ რგოლს მსოფლიოს იმპერიალიზმის ჯაჭვში, რომ რუსეთში რევოლუციის რეალური ძალები ჭარბოდნენ კონტრ-რევოლუციის ძალებს. „რუსეთი სხვა რომელიმე ქვეყანაზე უფრო მეტად იყო რევოლუციით ფეხმძიმე“ (სტალინი) [1] და რუსეთის პროლეტარიატს შეეძლო გამხდარიყო საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდად, რუსეთი გადაქცეულიყო სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავ ქვეყნად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლენინის აპრილის თეზისებმა, პარტიის აპრილის კონფერენციისა და VI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და კომუნიზმის გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ყველა ნაშრომმა, რომლებმაც ყოვლისშემძლე იარაღით აღჭურვეს და ბოლშევიზმის ძლევამოსილი დროშის ქვეშ დარაზმეს სოციალისტური რევოლუციის მამოძრავებელი ძალები.

ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ ეს გამარჯვება ასევე შეუძლებელი იქნებოდა გარეშე, იმ ღრმა სუბიექტური ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის შეგნებაში. ობიექტური პირობების მომწიფების დროს გადამწყვეტი როლი რევოლუციის გამარჯვებაში ყოველთვის სუბიექტურ ფაქტორებს ეკუთვნის. ხოლო ამ ფაქტორებში ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის გადამწყვეტ როლს ასრულებს რევოლუციური პარტია. სწორედ ამიტომ ამბობს ი. ბ. სტალინი:

„რევოლუციის გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავისთავად. საჭიროა მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება. ხოლო მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება შეუძლია მხოლოდ ძლიერს პროლეტარულ რევოლუციურ პარტიას“ (სტალინი) [2].

1917 წლის 25 ოქტომბერს პეტროგრადის პროლეტარიატის დიადი გამარჯვება 26 ოქტომბერს გაიგეს საქართველოში. ქართველი მუშები და ყველა მშრომელი უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ ამ ფაქტს. საქართველოს ქალაქები და სოფლები ხალხმრავალმა მიტინგებმა მოიცვეს. „ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია, რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარნი მოჰქონდა, ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს“ (სტალინი) [3].

ფრონტიდან დაბრუნებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა — ჯარისკაცის ფარაჯებით გადაცმულმა რევოლუციურმა გლეხებმა კიდევ უფრო გააღვივეს სოფლად აგრარული რევოლუცია მემამულეების წინააღმდეგ. შიმშილობამ, ტრანსპორტისა და, საერთოდ, სამეურნეო ცხოვრების მოშლამ გააძლიერა ხალხთა მასების უკმაყოფილება.

---

[1] ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 541.

[3] ი. ბ. სტალინი. თხზ. ტ. 4, გვ. 65.

„ყოველივე ამას, ერთად აღებულს, უეჭველად უნდა გამოეწვია ამიერკავკასიაში მთელი პოლიტიკური ვითარების გარევოლუციურება. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ „ყველაზე საიმედო“ ნაციონალურმა პოლკებმაც კი „გახრწნა“ იწყეს და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ“ (სტალინი) [1].

ამრიგად, 1917 წლის დამლევს საქართველოში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია საბჭოთა რევოლუციის გასამარჯვებლად.

მაგრამ ოპორტუნისტთა მაშინდელმა ხელმძღვანელმა ჯგუფმა (ბ. მდივანმა, მ. ოკუჯავამ, მ. ტორონელიძემ და სხვ., შემდეგში გამომჟღავნებულებმა როგორც ხალხის მტრებმა) უარი თქვა საქართველოში ძალაუფლებისათვის შეიარაღებული აჯანყების მოწყობაზე და თბილისის არსენალი ფაქტიურად გადასცა მენშევიკებს, რომლებიც საქართველოში ბატონობდნენ თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

„ამ ხელმძღვანელი ჯგუფის გამცემლური ტაქტიკის გამო საქართველოს ბოლშევიკებმა 1917 წლის დამლევს ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი რევოლუციური სიტუაცია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად“ (ლ. ბერია) [2].

საქართველოში მენშევიკების ბატონობის მთელი პერიოდი იყო ქართველი ხალხის გაუგონარი გაჭირვებისა და აუტანელი მდგომარეობის პერიოდი. რევოლუციური მოძრაობის ზრდით დაშინებული მენშევიკები თავს ესხმოდნენ ბოლშევიკებს, აპატიმრებდნენ მათ და ყოველმხრივ ცდილობდნენ, — ძალაუფლება არ გადასულიყო პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ხელში.

1920 წელს საქართველოში მუშაობდა, როგორც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მოწაფე ს. ორჯონიკიძე. იგი ენერგიულად ხელმძღვანელობდა საქართველოში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს და სასტიკ პროტესტს აცხადებდა კომუნისტების დაპატიმრებათა და ყოველგვარი დევნის წინააღმდეგ. 1920 წლის 9 ივლისს ამხ. კიროვმა სპეციალური ნოტით მოითხოვა საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან ლ. პ. ბერიას დაუყოვნებლივ განთავისუფლება, რომელსაც მისჯილი ჰქონდა მენშევიკური სასამართლოს მიერ პატიმრობა არალეგალური ბოლშევიკური მუშაობისათვის. მენშევიკები იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ ამხ. ბერია, რადგან მათ შეეშინდათ იმის, რომ ისედაც რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, ს. მ. კიროვის აღნიშნული მოთხოვნის არ დაკმაყოფილება გამოიწვევდა ხალხთა მასების კიდევ უფრო მეტ აღშფოთებას და ხელს შეუწყობდა რევოლუციის აზვირთებას. ამრიგად, ამხ. კიროვმა იხსნა დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლი და მოწაფე ლ. პ. ბერია მენშევიკური საპყრობილიდან. ამხ. ბერიას განთავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ამხანაგ სტალინის დიად რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ბოლშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაეჩქარებინათ რევოლუციური სიტუაციის მომწიფება, მოემზადებინათ მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა სოციალისტური რევოლუციისათვის. 1920 წლის დამლევისათვის მენშევიკები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ეკონომიურად მათ საქართველო სრულ კატასტროფამდე მიიყვანეს, რომ ისინი უკვე მივიდნენ თავიანთი პოლიტიკის კრახამდე.

---

[1] იქვე, გვ. 66.

[2] ლ. პ. ბ ე რ ი ა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1945 წ., გვ. 263.

მენშევიკთა დამღუპველ საშინაო და საგარეო პოლიტიკას მშრომელთა ფართო მასები უპასუხებდნენ აჯანყებებით. 1921 წლის 16 თებერვალს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა შეჰქმნეს რევოლუციური კომიტეტი და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მენშევიკები ყოველმხრივ ემზადებოდნენ აჯანყების სისხლში ჩასახრჩობად, მაგრამ ლენინისა და სტალინის მითითებებით სერგო ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მეთაურობით საბჭოთა არმიის ნაწილები დაიძრა აჯანყებული ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. სამუდამოდ იქნა დამხობილი ქართველი ხალხის უსაზიზღრესი მტრების მენშევიკების ბატონობა. საბჭოთა არმიის ნაწილები აჯანყებულ მუშებთან და გლეხებთან ერთად 1921 წლის 25 თებერვალს გამარჯვებული შევიდნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ამხ. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ლენინსა და სტალინს:

„თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სწრაფად გავრცელდა მთელს საქართველოში და ქართველი ხალხი ღირსეულად შეუერთდა დიად საბჭოთა ოჯახს.

ამრიგად დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მთელ ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში.

როგორია ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში?

როგორც ი. სტალინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში — „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“ — დაასაბუთა, ეს თავისებურებანი შემდეგია:

1) ბოლშევიკური პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების მთელი პერიოდის მანძილზე თავის ბრძოლაში განუხრელად ეყრდნობოდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის სტიქიურ აღმავლობას, ინარჩუნებდა მოძრაობის განუყოფელ ხელმძღვანელობას, რაც უადვილებდა მას მასობრივი პოლიტიკური არმიის შექმნას ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის; ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მთელი მომზადების ჩატარება ბოლშევიკური პარტიის განუყოფელი ხელმძღვანელობით, რასაც მოჰყვა ის, რომ აჯანყების გამარჯვების შედეგად მთელი ძალაუფლება აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების პარტიის ხელში. ამით დადებითად განსხვავდება ოქტომბრის რევოლუცია საფრანგეთის 1871 წლის რევოლუციისაგან, როდესაც ხელმძღვანელობა განაწილებული ჰქონდათ ორი პარტიის წარმომადგენლებს ბლანკისტებსა და პრუდონისტებს, რომელთაგან არც ერთი არ წარმოადგენდა კომუნისტურ პარტიას.

„ამრიგად, ერთი პარტიის, კომუნისტების პარტიის განუყოფელი ხელმძღვანელობა, როგორც ოქტომბრის მომზადების ძირითადი მომენტი,—ასეთია ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელი ნიშანი, ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის პირველი თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის ამ თავისებურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება იმპერიალიზმის ვითარებაში“ (სტალინი) [1].

2) ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის სოციალური დასაყრდენს წარმოადგენდნენ მენშევიკებისა

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 120.

და ესერების პარტიები, რომელთა იზოლაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბურჟუაზიის დამხობა. ამიტომ ბოლშევიკებმა გადაჭრით გაატარეს ამ შემთანხმებლური პარტიებისაგან მასების ჩამოშორების ტაქტიკა და უზრუნველჰყვეს მუშებისა და მშრომელ გლეხთა მასების მჭიდრო კავშირი და მათი თავის მხარეზე დარაზმვა, ურომლისოდ შეუძლებელი იქნებოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

„ამნაირად, მენშევიკებისა და ესერების პარტიების იზოლაცია, როგორც ძირითადი ხაზი ოქტომბრის მომზადების ხელმძღვანელობის საქმეში, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეორე თავისებურება“ (სტალინი) [1].

3) მენშევიკებისა და ესერებისაგან მასების ჩამოშორებას კონკრეტულად ბოლშევიკები ახორციელებდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მასების რევოლუციური მოძრაობის ფორმით, ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. ამ ლოზუნგმა თავისი შინაგანი განვითარების თვალსაზრისით ორი სტადია განვლო: პირველი ორძალაუფლებიანობის დროს 1917 წლის ივლისის დემონსტრაციის დამარცხებამდე და მეორე კორნილოვის აჯანყების განადგურების შემდეგ.

პირველ სტადიაზე ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის ნიშნავდა ესერ-მენშევიკების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან (ვინაიდან მაშინ ისინი ბატონობდნენ საბჭოებში), თავისუფალი აგიტაციის უფლებას ბოლშევიკებისათვის და პარტიების თავისუფლად ბრძოლას საბჭოების შიგნით, იმ ანგარიშით, რომ ასეთი ბრძოლით ბოლშევიკები მიაღწევდნენ საბჭოებში გაბატონებას და საბჭოთა მთავრობის შემადგენლობისა

[1] იქვე, გვ. 122.

და მისი პოლიტიკის შეცვლას ბოლშევიკური მიმართულებით რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პირობებში. ეს გეგმა ააღვილებდა პროლეტარიატის დიქტატურისათვის პირობების მომზადებას, ვინაიდან იგი აყენებდა რა ხელისუფლების სათავეში მენშევიკებსა და ესერებს, აიძულებდა მათ საქმით გაეტარებინათ თავიანთი ანტირევოლუციური პლატფორმა და ამით აჩქარებდა მათი ნამდვილი ბუნების გამოაშკარავებას და მასებისაგან მათ ჩამოშორებას. მაგრამ ივლისის დემონსტრაციის დამარცხებამ შეაჩერა ეს განვითარება. მოელი ძალაუფლება აღმოჩნდა ბურჟუაზიის ხელში, ხოლო ესერ-მენშევიკები მთლიანად კონტრრევოლუციას ამოუდგნენ მხარში. ასეთი მდგომარეობის დროს ბოლშევიკებმა დროებით მოხსნეს ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

მეორე სტადია დაიწყო კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ. ამ სტადიაზე შინაარსი ლოზუნგისა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოების უმრავლესობა ბოლშევიკური გახდა. იგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და მის სახელმწიფოებრივ გაფორმებას.

„ამნაირად, სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის პოლიტიკა, როგორც შემთანხმებლური პარტიების იზოლაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მესამე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში“ (სტალინი) [1].

4) ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება, როგორც სტალინი გვასწავლის, იმაში მდგომა-

[1] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს, რომ იგი ერთმანეთში, არ ურევს და ნათლად ანსხვავებს ხელმძღვანელობას პარტიის მიმართ და ხელმძღვანელობას მასების მიმართ, რომ იგი წარმოადგენს მეცნიერებას არა მარტო პარტიის, არამედ მასების ხელმძღვანელობის შესახებ. ასეთი ტაქტიკის საშუალებით ბოლშევიკები ოქტომბრის მომზადების მთელ პერიოდში უადვილებდნენ მასებს საკუთარი გამოცდილებით შეეგრძნოთ და შეემოწმებინათ პარტიული ლოზუნგების სისწორე. ბოლშევიკებმა სწორად დასახეს ის გზები და მოსახვევები, რომლებმაც მასები მიიყვანეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან.

„ამრიგად, იმის უნარი, რომ მასები საკუთარი გამოცდილებით დაარწმუნო პარტიული ლოზუნგების სისწორეში ამ მასების მიყვანით რევოლუციურ პოზიციებთან, როგორც პარტიის მხარეზე მშრომელთა მილიონების გადმოყვანის უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეოთხე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში“ (სტალინი) [1].

ბოლშევიკების პარტიამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას მიაღწია თავისი მართებული სტრატეგიული და ტაქტიკური ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების მასებში შეტანისა და ამ იდეების საფუძველზე მუშებისა და რევოლუციური გლეხების ახალ პოლიტიკურ არმიად დარაზმვის გზით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ასე შესანიშნავად უზრუნველყოფა მიღწეულ იქნა შედეგად იმისა, რომ „ ლ ე ნ ი ნ ს ა დ ა ს ტ ა ლ ი ნ ს გ ა ბ ე დ უ ლ ა დ დ ა რ წ მ ე ნ ი თ, მ ტ კ ი ც ე დ დ ა წ ი ნ დ ა ხ ე დ უ ლ ა დ მ ი ჰ ყ ა ვ დ ა თ პ ა რ ტ ი ა ს მ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა კ ე ნ, შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა კ ე ნ. ლ ე ნ ი ნ ი დ ა ს ტ ა ლ ი ნ ი დ ი დ ი ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ს უ ლ ი ს ჩ ა მ დ გ მ ე ლ ნ ი დ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ ი ა რ ი ა ნ“ [1].

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 129.

როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია არ არის მხოლოდ რევოლუცია „ნაციონალურ ჩარჩოებში“, იგი წარმოადგენს ინტერნაციონალურ, მსოფლიო ხასიათის რევოლუციას, რომელმაც შექმნა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უმძლავრესი დასაყრდენი. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ახალი სტრატეგიული პერიოდი, რომლის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც პირველმა შეჰქმნა მტკიცე საფუძველი ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორისა და მჩაგვრელის სამუდამოდ მოსასპობად, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რევოლუციურ მოძრაობასთან მთელს მსოფლიოში. იგი განუყრელი შემადგენელი ნაწილია ყველა ქვეყნის პროლეტარიატისა და მის გარშემო დარაზმული რევოლუციური მასების იმ დიადი მოძრაობისა, რომელიც მოწოდებულია დრომოჭმული კაპიტალისტური საზოგადოების დამხობისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების საბოლოო გამარჯვებისათვის.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევო-

[1] ი. სტალინის მოკლე ბიოგრაფია, თბილისი — 1947 წ., გვ. 64.

ლუციამ თავისი გამარჯვების პირველი დღეებიდანვე გააღვივა მსოფლიო რევოლუციის ცეცხლი და აამხედრა ექსპლოატირებული და დამონებული ხალხები იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ რევოლუციის უშუალო ზეგავლენით პირველი მსოფლიო ომის დასასრულსა და მის მომდევნო წლებში უაღრესად გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა და მთელ რიგ ქვეყნებში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სათანადოდ ვერ იქნა გამოყენებული ეს რევოლუციური სიტუაცია და დროებით დამარცხდა პროლეტარიატი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეს არის სისუსტე და გამოუცდელობა კომუნისტური პარტიებისა, რომლებიც სწორედ მაშინ იმყოფებოდნენ ჩამოყალიბების პროცესში, როცა რევოლუციამ უკვე იფეთქა და მათ ვერ შესძლეს ლენინ-სტალინის პარტიის უმდიდრესი რევოლუციური გამოცდილების გამოყენება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მოწყობა, და ბურჟუაზიამ შესძლო შემთანხმებლური სოციალ-დემოკრატიული პარტიების პირდაპირი დახმარებით თავისი პოლიტიკური კრიზისიდან დროებით გამოსვლა. ამიტომ რევოლუციურ მოზღვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებში მოჰყვა რევოლუციის დროებითი უკუქცევა.

ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ბოლშევიკური პარტია, რომელიც პირველი ჩამოყალიბდა მსოფლიოში, როგორც ახალი ტიპის პარტია, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის მარქსისტული მებრძოლი პარტია, აუცილებლად უნდა გადაქცეულიყო და გადაიქცა კიდეც კლასიკური მაგალითის მიმცემ პარტიად ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისათვის, როგორც რევოლუციური სიტუაციის მართებული გამოყენებისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების. ისე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ბოლშევიკური პარტიის ბრძოლისა და გამარჯვების ისტორიული გამოცდილების შესწავლას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი გამოსადეგი და სავალდებულოა, როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის, ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისა და მშრომელთათვის, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმის გასამარჯვებლად. კომუნისტურ პარტიებს კაპიტალისტურ ქვეყნებში ისევე წარმატებით შეუძლიათ თავიანთი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით — გააღრმაონ რევოლუციური სიტუაცია, მოაწყონ კონკრეტული სიტუაციის შესაფერი ტაქტიკური ხელმძღვანელობა, განუმარტონ მასებს რევოლუციური სიტუაციის რაობა და მისი სიღრმე, აამაღლონ მასების რევოლუციური შეგნება, ორგანიზებულობა, გამბედაობა და შეაერთონ ერთ საერთო რევოლუციურ ნაკადად ხალხთა საერთო-დემოკრატიული მოძრაობა მშვიდობისათვის, გლეხთა მოძრაობა მიწებისათვის, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის, პროლეტარიატის გმირული ბრძოლა ბურჟუაზიის დამხობისა და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის, — როგორც ყოველივე ეს მოიმოქმედა ლენინ-სტალინის პარტიამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში. იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში კომუნისტურ პარტიებს შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ მასებზე განუყოფელი ხელმძღვანელობის, ოპორტუნისტების მასებისაგან იზოლაციის, პარტიული პოლიტიკისა და ლოზუნგების სისწორეში მასების საკუთარი გამოცდილებით დარწმუნების, შეიარაღებული აჯანყების ყოველმხრივ მომზადებისა და ჩატარების ბოლშევიკური გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში—„მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი

კომუნიზმში", რომელიც უდიდესი მნიშვნელობის სახელმძღვანელო დოკუმენტია კომპარტიებისათვის, აღნიშნავდა, რომ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას აქვს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა, არა მარტო ამ სიტყვის ფართო აზრით, ე. ი. ამ რევოლუციის ყველა ქვეყანაზე ზემოქმედების აზრით, არამედ სიტყვის უფრო ვიწრო აზრით, ე. ი. საერთაშორისო მასშტაბით იმის განმეორების ისტორიული გარდუვალობის აზრით, რაც იყო ჩვენში. „ეს ვერ გაიგეს II ინტერნაციონალის „რევოლუციურმა" ბელადებმა, მაგალ., კაუცკიმ გერმანიაში, ოტო ბაუერმა და ფრიდრიხ ადლერმა ავსტრიაში, — სწორედ ამიტომაც მოგვევლინენ ისინი რეაქციონერებად, უცუდესი ოპორტუნიზმის და სოციალგამცემლობის დამცველებად" [1].

წინააღმდეგ ზინოვიევისა და ჩვენი პარტიის სხვა მტრებისა, რომლებიც ლენინიზმს სთვლიდნენ მარტო რუსული, ვიწრო ეროვნულ-შეზღუდული ხასიათის მოვლენად, ამხანაგი სტალინი წერდა: „განა ლენინიზმი ყ ვ ე ლ ა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების განზოგადება არ არის? განა ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლები არ არის გამოსადეგი, არ არის სავალდებულო ყ ვ ე ლ ა ქვეყნის პროლეტარული პარტიებისათვის? განა ლენინი მართალი არ იყო, როდესაც ამბობდა, რომ „ბოლშევიზმი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს გამოსადეგია, როგორც ტაქტიკის ნიმუში?" [2].

ვ. ი. ლენინმა მოხდენილად გამოსთქვა ამ მხრივ უცხოეთის კომპარტიების ამოცანები: „მათ უნდა გადახარშონ რუსული გამოცდილების კარგა მოზრდილი ნაჭერი" [3].

დიდი ლენინის მითითებების საფუძველზე ამხანაგი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ყოველმხრივ გაიშალა მუშაობა კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების ბოლშევიზაციისათვის, მათი მასობრივ პარტიებად გადაქცევისათვის და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ მოხდა კომუნისტური პარტიების ისტორიაში ჯერ არნახული განმტკიცება, მათი გავლენის გაძლიერება ევროპის, აზიისა და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ამჟამად უცხოეთის კომუნისტური და გაერთიანებული მუშათა პარტიები თავიანთ რიგებში 18 მილიონზე მეტ კაცს ითვლიან.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ბრწყინვალე გამარჯვებით სრულიად ახალი, უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში რევოლუციური სიტუაციის მომწიფებისა და სუბიექტური ფაქტორების ძლევამოსილი მოქმედებისათვის. სსრ კავშირი თავისი ძლიერებით და ავტორიტეტით ერთდროულად ახდენს უდიდეს გავლენას როგორც რევოლუციური სიტუაციის მომწიფებაზე, ისე რევოლუციისათვის სუბიექტური ფაქტორების მომზადებაზე. სწორედ ამიტომ წერდა ი. ბ. სტალინი: „გაჩნდა ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიც არის უზარმაზარი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა, მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრსა და კოლონიური ჩაგვრის ასპარეზს შორის და რომელიც მარტო თავისი არსებობითაც კი არევოლუციურებს მთელს მსოფლიოს" [1].

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში გერმანელი, იტალიელი და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ახალი, კიდევ უფრო

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩ. ნაწ. ტ. V, გვ. 500.
[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 136.
[3] რჩ. ნაწ. ტ. V, გვ. 726.

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა. გვ. 131.

ნეტი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ხალხებზე და გამოიწვია რევოლუციის გამარჯვებისათვის პირობების მომწიფება მთელ რიგ ქვეყნებში.

ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის დახმარებით, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხების ბრძოლებით, კომპარტიების ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ იქნა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვება და ახალი ტიპის სახელმწიფოების — სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკების შექმნა.

საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, მიუხედავად რევოლუციური მოძრაობის არაჩვეულებრივი ზრდისა, თუ ჯერ კიდევ არაა გამარჯვებული რევოლუცია, ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ აქ კომუნისტებს, მუშათა კლასსა და რევოლუციურ გლეხობას არ გააჩნდათ ისეთი ხელსაყრელი პირობები,—ინგლის-ამერიკის არმიების აღნიშნულ ქვეყნებში შესვლის გამო,—როგორიც ჰქონდათ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებშიაც განმათავისუფლებელი საბჭოთა არმია შეავიდა.

ამრიგად, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების ობიექტური და სუბიექტური პირობები ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში დიდად ხელსაყრელ ვითარებაში და მართებულად შეუერთდა ერთმანეთს. ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნული ქვეყნები არ იყო განმარტოებული მათ ახლოს და მეზობლად ძლევამოსილი სსრ კავშირის არსებობის გამო, რომელმაც აღნიშნული რევოლუციების გამარჯვებაში უდიდესი დასაყრდენისა და გადამწყვეტი ძალის როლი შეასრულა.

სწორედ ამიტომ ამბობს პოლონეთის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ბ. ბერუტი:

„სახალხო დემოკრატია არის ჩვენი ეპოქის ახალ ისტორიულ პირობებში წარმოშობილი რევოლუციური ხელისუფლების განსაკუთრებული ფორმა, იგი წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით კლასობრივი ძალების ახალი თანაფარდობის გამოხატულებას.

რამ გამოიწვია ეს ახალი ისტორიული პირობები, საიდან გაჩნდა საერთაშორისო კლასობრივი ძალების ეს ახალი თანაფარდობა, რა არის აქ ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორი? ეს ფაქტორია 1917 წელს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება, პროლეტარიატის პირველი დიქტატურის გამარჯვება“ [1].

სსრ კავშირის უდიდესი დამსახურება სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების წარმოშობისა და გამარჯვების საქმეში ხაზგასმით აღნიშნა ამხ. დიმიტროვმა: „ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 9 სექტემბრის აჯანყების გამარჯვებასა და გერმანულ-ფაშისტური უღლისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებაში ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის გმირ მოძმე საბჭოთა არმიას და მის გენიალურ ბელადს გენერალისიმუს სტალინს, რისთვისაც ჩვენი პარტია, მუშათა კლასი და მთელი ჩვენი მშრომელი ხალხი მუდამ იქნებიან მათი მადლიერი“ [2].

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებამ და საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტების სასტიკმა დამარცხებამ გააღვიძა და აღა-

---

[1] ბ. ბ ერ უ ტ ი, მოხსენება პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელ ყრილობაზე, იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 19 დეკემბერი, 1948, გვ. 3.

[2] გ. მ. დ ი მ ი ტ რ ო ვ ი. მოხსენება ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) მე-5 ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“ 22 დეკემბერი, 1948 წ., გვ. 3.

ფრთოვანა დიდი 475—მილიონიანი ჩინეთისა და სხვა ქვეყნების ჩაგრული ხალხები. ჩინეთის გვერდით ძლევამოსილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობამ, მისმა გრანდიოზული ნაბიჯებით წინსვლამ, მისმა უმდიდრესმა რევოლუციურმა გამოცდილებამ და ძმურმა სოლიდარობამ გააადვილა და ყოველისშემძლე გახადა ჩინეთის მშრომელთა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური, დიადი, განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლა. მრავალტანჯული ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება ახალი ლახვარია კაპიტალიზმისათვის, მსოფლიო რეაქციისა და ომის გამჩაღებელი იმპერიალისტებისათვის. ეს გამარჯვება უაღრესად აძლიერებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტის ძალებს, რომლებსაც დიდი სსრ კავშირი მეთაურობს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნას. აი, რას სწერს ი. ბ. სტალინი ამის შესახებ:

„გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში. არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უღებს სისხლისღვრას ევროპაში და შეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დამონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ“ [1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, სახალხო დემოკრატიული წყობილების გამარჯვება მთელ რიგ ქვეყნებში და კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება მთელ მსოფლიოში — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე ძალის მკაფიო დემონსტრაცია.

სახალხო-დემოკრატიული — ხელისუფლება — ეს არის მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ახალი ფორმა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციებს ასრულებს თავისებური ფორმით, მაგრამ ამ თავისებურებას საფუძვლად უდევს დიდი სსრ კავშირის ძლევამოსილება, მისი გამოცდილება და მიღწევათა გამოყენება, მისი ყოველმხრივი დახმარება და საერთაშორისო მასშტაბით მისი ავტორიტეტის გრანდიოზული ზრდა. ამრიგად, სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის თავისებურება კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს სოციალიზმის განვითარების საერთო კანონზომიერების ყოვლისშემძლებლობას და ამდიდრებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ თეორიას, მოცემულს მარქსისა და ენგელსის მიერ, განვითარებულს ლენინისა და სტალინის მიერ და შემოწმებულს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების პრაქტიკით.

სსრ კავშირის დიადი გამოცდილება: ძველი წყობილების დამხობა, სახელმწიფოს ახალი ტიპის შექმნა. ექსპლოატატორული კლასების მოსპობა, სოციალისტური საზოგადოების აშენების მარქსისტულ-ლენინური გზა, — სავალდებულოა ყველა ქვეყნისათვის. განსხვავება აქ მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სოციალიზმის ასაშენებლად ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებანი სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება ახალ ფორმებში, რაც ახალი კონკრეტული პირობებით არის ნაკარნახევი.

აი, რას წერდა ვ. ი. ლენინი ამის შესახებ: „კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების უდიდესი სიუხვე და მრავალფეროვნება, მაგრამ ამასთან დედაარსი გარ-

[1] იხ. გაზეთი „კომუნისტი“ 1949 წ. 14 ოქტომბერი.

დუვალად ერთი იქნება: პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“ [1].

ჩინეთის დემოკრატიის გამარჯვება, ვიეტნამის, მალაიის, ინდონეზიისა და სხვა დაჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უდარდელი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერამ განვლო“ [2].

ეხებოდა რა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთდაპირისპირების, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გარდუვალობის საკითხს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ბრძოლის ბედი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას შეადგენენ. და, მოსახლეობის სწორედ ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“... [3].

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ და სოციალიზმის წარმატებებმა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვებამ მთელ რიგ ქვეყნებში, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში სახალხო-განმათავისუფლებელი ომების გაძლიერებამ და მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის უმაგალითო ზრდამ ღრმად შეარყია იმპერიალიზმის საფუძვლები, უაღრესად გაამწვავა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და შექმნა ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა ახალი განლაგება, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მოქმედი პოლიტიკური ძალების გაყოფას ორ ძირითად ბანაკად. ესენია ერთი მხრივ იმპერიალისტური, ანტიდემოკ-

[1] თხზ. ტ. XXI, გვ. 393 რუს. გამოც.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 225.

[3] თხზ. ტ. XXVII, გვ. 416—417, რუს. გამოც.

რატიული, ახალი იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა ბანაკი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ხოლო მეორე მხრივ ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული, მტკიცე მშვიდობისათვის მებრძოლი ბანაკი სსრ კავშირის მეთაურობით.

„ამ ორი ბანაკის ბრძოლა შეადგენს მთელი თანამედროვე ცხოვრების ღერძს, ამ ბრძოლით არის აღსავსე ძველი და ახალი სამყაროს მოღვაწეთა ახლანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი“ [1].

გამართლდა ამხანაგ სტალინის წინასწარმეტყველური სიტყვები, წარმოთქმული ჯერ კიდევ 1927 წელს:

„საერთაშორისო რევოლუციის შემდგომი განვითარების მსვლელობაში შეიქმნება მსოფლიო მასშტაბის ორი ცენტრი: სოციალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავენ იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ სოციალიზმისაკენ, და კაპიტალისტური ცენტრი, რომელიც მიიზიდავს იმ ქვეყნებს, რომელნიც მიიწევენ კაპიტალიზმისაკენ. ამ ორი ცენტრის ბრძოლა მსოფლიო მეურნეობის დამპყრობისათვის გადასწყვეტს კაპიტალიზმის და კომუნიზმის ბედს მთელს მსოფლიოში“ [2].

როგორია პერსპექტივები ამ ორი ცენტრის ანუ ორი ბანაკის დაპირისპირებისა?

თანამედროვე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეს დაპირისპირება, ეს ბრძოლა გამოხატავს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის საერთაშორისო ასპარეზზე. იმპერიალისტური, ანტიდემოკრატიული ბანაკი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით წარმოადგენს ძველი, დროგოჭმული, რეაქციული ძალების ბანაკს, რომელსაც არ ეკუთვნის მომავალი,

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 254.

[2] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-10 გამოც., გვ. 233.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად იხრწნება და განწირულია დასამარცხებლად. ხოლო ამ ბანაკის წინააღმდეგ მებრძოლი ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ძალების ბანაკი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მეთაურობით წარმოადგენს ახალი, უდამ ზრდაში მყოფი ძალების მტკიცე ბანაკს, რომელსაც ეკუთვნის მომავალი და რომლის გამარჯვებაც გარდუვალია. სწორედ ამიტომ განაცხადა თავის ისტორიულ მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავზე ამხანაგმა მოლოტოვმა: ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, რომ ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდისო.

როგორც XIX საუკუნეს მოჰყვა ფეოდალიზმის საბოლოო დაღუპვა, ასევე XX საუკუნეს გარდუვალი აუცილებლობით თან მოაქვს კაპიტალიზმის დაღუპვა და კომუნიზმის საბოლოო გამარჯვება მთელს მსოფლიოში.

ასეთ გარდუვალ დასკვნამდე მივყავართ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული განვითარების კანონზომიერებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ბუხნიკაშვილი

მოსკოვის მცირე თეატრი

★

დიდი რუსი ხალხის თეატრალური კულტურის სიამაყემ სახელმწიფო აკადემიურმა მცირე თეატრმა თავისი ბრწყინვალე შემოქმედებითი მოღვაწეობის 125 წელი იდღესასწაულა. ეს იუბილე მთელი საბჭოთა ხალხის საზეიმო დღე იყო. ამ დღეს ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად აღნიშნა მოსკოვის მცირე თეატრის დიდი დამსახურება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეურ თეატრალურ ხელოვნების — რუსული თეატრის განვითარებაში.

თავისი არსებობის პირველ პერიოდში, გასული საუკუნის 30-იან 40-იან წლებში, მოსკოვის მცირე თეატრმა თავისი მიმართულებით მოწინავე ადგილი დაიჭირა რუსულ თეატრალურ კულტურაში. ამ დროს თეატრში ჩაისახა შემოქმედებითი სტილი—სცენიური რეალიზმი. ამ სტილის მამამთავარი იყო მოსკოვის მცირე თეატრის შესანიშნავი მსახიობი, რუსული თეატრის სიამაყე შჩეპკინი.

შჩეპკინი პროგრესული აზროვნების ადამიანი იყო. განცდილი ჰქონდა ბატონ-ყმობის მძიმე უღელი, როგორც ყმა-გლეხს და მტრულად იყო განწყობილი ცარიზმის მიმართ. მუდმივი კავშირი ჰქონდა პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან: გერცენთან, ბელინსკისთან, პუშკინთან, გოგოლთან, შევჩენკოსთან, ტურგენევთან. მეფის მთავრობა შჩეპკინს გამანთავისუფლებელ მოძრაობის აქტიურ მოღვაწედ სთვლიდა. პოლიციის ერთ-ერთ იმდროინდელ დოკუმენტში აღნიშნულია: „შჩეპკინი მიხეილ სვიმონის-ძე აქტიორი, გადატრიალების მოსურნეა და მზად არის ყველაფრისათვის“.

შჩეპკინის რეალიზმი შეიცავდა რუსული თეატრალური კულტურის საუკეთესო თვისებებს: ბუნებრივობას, სიმართლეს, დამაჯერებლობას, ხალხურობას. ეს იყო ახალი მხატვრული სცენიური მიმართულება, რომელიც გაბედულად დაუპირდაპირდა ფრანგული სტილის სცენიურ სიყალბეს, მშრალ დეკლამაციას, გარეგან ეფექტზე დამყარებულ თამაშს.

30-იან 40-იან წლებში მცირე თეატრს აგრეთვე სახელი გაუთქვა მსახიობმა პავლე მოჩალოვმა. ეს დიდი მსახიობი იმითი იყო შესანიშნავი, რომ გაბედულად დაარღვია კლასიცისტური თეატრის გმირთა რაციონალიზმი, ფრანგული სკოლის პირობითი სტილი ტრაგედიის შესრულებისა და ახალი გააზრება მისცა რომანტიულ დრამას და ტრაგედიას.

მოჩალოვის პროგრესული რომანტიზმი — ეს იყო შესანიშნავი ასახვა პიროვნების ტრაგედიისა, რომელსაც შეუბღალეს კეთილშობილი გრძნობები და მისწრაფებები თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. მოჩალოვმა უდიდესი ნიჭიერებით განასახიერა რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებები, რომლებიც შე-

«ცავდნენ უსამართლობის და ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ იდეებს.

გარდა მ. შჩეპკინისა და პ. მოჩალოვისა მცირე თეატრის სცენაზე იმ დროს მოღვაწეობდნენ რუსული თეატრის გამოჩენილი ოსტატები: ლ. ნიკულინა-კოსიცკაია, ვ. ჟივოკინი, ი. სამარინი, ს. შუმსკი, და მრავალი სხვანი.

მოსკოვის მცირე თეატრი ამ პერიოდში შესანიშნავი სიმართლით ანსახიერებდა რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებს. მან დიდი ოსტატობით განასახიერა ეპოქის დამახასიათებელი გენიალური ნაწარმოებნი ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და გოგოლის „რევიზორი“; ეს სპექტაკლები თავიანთი მამხილებელი სიძლიერით საბრალმდებლო აქტს წარმოადგენენ არსებული წყობილების მიმართ.

მოსკოვის მცირე თეატრის შემოქმედებითი მოღვაწეობის შემდეგი ეტაპი, 50-იან 70-იან წლები, ახალი, დიდი მნიშვნელობის პერიოდი იყო რუსული თეატრალური კულტურის განვითარებაში. მცირე თეატრში მოვიდა დიდი რუსი დრამატურგი ა. ოსტროვსკი. თავისი გენიალური შემოქმედებით მან ახალი მიმართულება მისცა მოსკოვის მცირე თეატრს და მთელს რუსულ თეატრალურ ხელოვნებას. ეს იყო რუსული სცენიური რეალიზმის განვითარების ახალი ფაზა.

რუსული ცხოვრება ა. ოსტროვსკიმ წარმოგვიდგინა მთელი თავისი კონკრეტულობით და თავისებურებით. ჰუმანურობა და ხალხურობა შეადგენდა ოსტროვსკის ნაწარმოებთა იდეურ თვისებებს. ნიჭიერი დრამატურგი კრიტიკული რეალიზმის უდიდესი სიმწვავით ააშკარავებდა ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობას, „ბნელეთის სამეფოს“, კაპიტალიზმის მახინჯ თვისებებს.

მოსკოვის მცირე თეატრმა, როგორც მოწინავე შემოქმედებითმა ორგანიზმმა, როგორც სცენიური სიმართლის ოსტატობის მქადაგებელმა, შესანიშნავად შეითვისა ოსტროვსკის დრამატურგიის ნაციონალური თავისებურება, თავადვე თვითონაც ბრწყინვალე გამოსახულება იყო რუსული ნაციონალური თეატრალური კულტურის თავისებურებისა. მცირე თეატრისა და ოსტროვსკის სახელები უკვე განუყოფელად დამკვიდრდნენ რუსული თეატრის ისტორიაში იმდენად, რომ მცირე თეატრს მეორე სახელი „ოსტროვსკის თეატრი“ შეარქვეს.

ა. ოსტროვსკის დრამატურგიის რეალისტური სისრულით გამოსახვაში უდიდესი დამსახურება მიუძღვოდა მცირე თეატრის გამოჩენილ მსახიობს პროვ სადოვსკის. მან პირველმა გამონახა ოსტროვსკის უკვდავი გმირების ჩვენების შესანიშნავი სცენიური საშუალებანი.

იმ ხანის მცირე თეატრს — თავისი ნიჭიერი შემოქმედებით აგრეთვე სახელი გაუთქვეს მსახიობებმა ნ. მედვედევამ, ნ. ნიკულინამ, ე. ვასილევამ, გ. ფედოტოვამ, მ. ერმოლოვამ, ნ. შუხილმა, ვ. ბაკშეევმა და სხვებმა. გენიალური მსახიობის მ. ერმოლოვას სახელთან დაკავშირებულია გმირულ-რომანტიული როლების განსახიერება ამ პერიოდში. 70-იან წლებში მან მცირე თეატრში აღადგინა მოჩალოვის რომანტიული ტრადიციები, ხოლო ეს არ იყო ძველის განმეორება. ერმოლოვას პროგრესული რომანტიზმი წარმოადგენდა მის შემდგომ განვითარებას ეპოქის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე დაყრდნობით.

80-იან 90-იან წლებში მოსკოვის მცირე თეატრი კვლავ იცავდა რუსეთის საუკეთესო მოწინავე თეატრის სახელს. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი ყოველგვარად სცდილობდა გაეჭარწყლებინა თეატრის პროგრესიული მისწრაფება. „საიმპერატორო“ თეატრების მმართველობას მცირე თეატრის რეპერტუარში შეჰქონდა ბანალური, მსუბუქი ჟანრის პიესები, მაგრამ მთავარი მის შე-

შოქმედებაში მაინც მაღალ-იდეური რეალისტური ნაწარმოების განხორციელება იყო, მცირე თეატრის სცენაზე კვლავ სრული ხმით ეღერდნენ ა. გრიბოედოვის, ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის, ლ. ტოლსტოის, ა. სუხოვო-კობილინის შესანიშნავი რეალისტური დრამატიული ნაწარმოებნი. თეატრის არტისტული შემადგენლობა ამრიგად, ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას წარმატებით უპირისპირებდა თავის რეალისტურ, მოწინავე იდეურ ტრადიციებს.

ამ დროს მცირე თეატრის შემადგენლობა სახელმოხვეჭილი იყო ისეთი შესანიშნავი ახალი მსახიობებით, როგორიც იყვნენ: ო. სადოვსკაია, ე. ლეშკოვსკაია, ა. იაბლოჩკინა, ე. ტურჩანინოვა, მ. სადოვსკი, მ. ლენსკი, ა. სუმბათაშვილი — იუჟინი, ო. პრავდინი, კ. რიბაკოვი, ა. გორევი და სხვანი.

1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მოსკოვის მცირე თეატრს, ცარიზმი „საიმპერატორო“ თეატრის დირექციის სახით, ყოველმხრივად უზღუდავდა გზებს დროის შესაფერი რეპერტუარის ჩვენებაში. თეატრს, მაგალითად, აკრძალული ჰქონდა პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის შესანიშნავი პიესების დადგმა.

მძიმე იყო ბრძოლა ამ რეაქციულ პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ მცირე თეატრის მსახიობნი სცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თეატრის იდეურ-მხატვრული პოზიციები და ამ მიზნით ეყრდნობოდნენ მშობლიური კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს. მცირე თეატრის პროგრესული იდეურ-მხატვრული მიმართულებისათვის აქტიური მებრძოლნი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იყვნენ რუსული თეატრალური კულტურის სახელოვანი მოღვაწენი მ. ერმოლოვა, ა. ლენსკი და ა. იუჟინი. მცირე თეატრის მთელ შემადგენლობასთან ერთად, ისინი თანამიმდევრულად იცავდნენ რეალისტურ ტრადიციებს და წინააღმდეგობას უწევდნენ დასავლეთ ევროპიდან მოვლენილ ფორმალისტურ და სიმბოლისტურ თეატრალურ მიმდინარეობებს. დამახასიათებელია ამ მხრივ ფაქტი, როდესაც 1913/14 წლ. სათეატრო სეზონში მცირე თეატრის ხელმძღვანელმა ა. იუჟინმა დემონსტრატიულად მოხსნა რეპერტუარიდან ფ. კომისარჟევსკის მიერ დადგმული მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“ იმ მიზეზით, რომ დადგმა „შჩეპკინის ტრადიციებს არ ეთანხმებაო“. — თეატრის ხელმძღვანელი ა. იუჟინი თავის დროზე სწერდა: „რუსი საზოგადოება—სერიოზული საზოგადოებაა და იმ გამოვლენათა მიმართ, რომლებიც სერიოზულად მიაჩნია, ხუმრობა არ უყვარს. ევროპაში ერთ-ერთი პირველთაგანი, თუ არა პირველი, ის გაანთავისუფლებს სერიოზულ სცენას სამარცხვინო კავშირისაგან ბალაგანთან და კაფეშანტანთან, გამოჰყოფს მას განსაკუთრებულ, დამოუკიდებელ დაწესებულებად, მისცემს (თეატრს) იმ მნიშვნელობას, რაც ჩასახულია თვით ამ საქმის არსში“.

მაგრამ პოლიტიკურმა რეჟიმმა და ბურჟუაზიამ თავისი დეკადენტური რეაქციით მაინც თავისი გაიტანეს. მცირე თეატრი თანდათან ჰკარგავდა თავის პროგრესულ სახეს და პირველ მსოფლიო ომის წლებში უკვე კრიზისს განიცდიდა.

ამ კრიზისიდან გამოსავალი მოსკოვის მცირე თეატრს, როგორც საერთოდ მთელს რუსულ კულტურას, ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მისცა. რევოლუციის პირველ დღეებში მცირე თეატრი დაადგა საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიურ თანამშრომლობის გზას.

მოსკოვის მცირე თეატრი აქტიურად ჩაება საბჭოთა თეატრის შექმნის საქმეში. რევოლუციამდელი თეატრთა შორის ის პირველი იყო, რომელმაც ოქტომბრის შემდეგ მასიური მაყურებე-

ლი ორგანიზებულად მიიზიდა თავის სპექტაკლებზე. პირველი იყო, რომელმაც თავისი წარმოდგენები მუშათა რაიონებში გადაიტანა და სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში კვირაში 4-5 წარმოდგენას მართავდა.

1924 წ. ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ დიდი ზეიმით აღნიშნა მცირე თეატრის არსებობის ასი წელი. თეატრის ხელმძღვანელმა ა. სუმბათაშვილი-იუჟინმა იუბილეს დღეებში მართებულად განაცხადა, რომ „მცირე თეატრს ყველა ამ შვიდ რევოლუციურ წლების მანძილზე ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევია უკან თავისი მოვალეობიდან რესპუბლიკის წინაშე, მთელი ამ შვიდი წლის განმავლობაში განუშორებლივ მუშაობდა თავის სცენაზე და სცდილობდა გაეფართოებინა ეს მუშაობა, რამდენადაც ამისათვის საშუალება და ძალა შესწევდა“

საბჭოთა რუსული თეატრის ამ დაწყებითს პერიოდში თავი იჩინეს ბურჟუაზიულ-ფორმალისტურმა მიმდინარეობებმა, მათი მოთავენი უარყოფდნენ ძველ კულტურულ მემკვიდრეობას და, აქედან გამომდინარე, თავს ესხმოდნენ მცირე თეატრს, მის თანამიმდევარ რეალისტურ მიმართულებას. პარტიამ და ხელისუფლებამ თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცეს საბჭოთა თეატრისათვის ამ უცხო და მავნე მოვლენებს. მცირე თეატრიც, თავის მხრივ გაბედულად უმკლავდებოდა ამ ანტიპატრიოტულ თავდასხმებს. თეატრის ხელმძღვანელი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი სწერდა: „თეატრი მუდამ ახალგაზრდაა იმ ცოცხალი ძალების ნაკადის მეშვეობით, რასაც ხალხი იძლევა და ყველა ეს ბოდვა თეატრის სიკვდილის შესახებ ცილისწამებაა მასზე... მცირე თეატრი ახალგაზრდაა და ჯანსაღი იმიტომ, რომ ახალგაზრდა, ჯანსაღი და ძლიერია თვით ქვეყანა.“

სწორედ ამ სიჯანსაღის შედეგი იყო, რომ მცირე თეატრმა თავისი რეალისტური ოსტატობით წარმატებით განასახიერა პირველი პიესები, რომლებიც მისცა მას საბჭოთა დრამატურგიამ. 1919 წელს მცირე თეატრის სცენაზე ჩვენ უკვე ვხედავთ მაქსიმ გორკის პიესას „ბერიკაცი“. შემდეგ თეატრი ანხორციელებს ა. ლუნაჩარსკის, ა. გლებოვის და ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის პიესების დადგმებს. 1926 წელს დადგმული კ. ტრენიოვის პიესით „ლიუბოვ იაროვაია“, შექმნილი იყო რევოლუციური სპექტაკლი, რომელშიაც დიდი სიმართლით წარმოდგნენ თანამედროვე სინამდვილის დადებითი გმირები. დადგმამ დიდი გამოძახილი ჰპოვა მთელს საბჭოთა კავშირში, როგორც მაღალი იდეურობისა და მხატვრული დამაჯერებლობის შემცველმა ნაწარმოებმა. გაზეთი „პრავდა“ სწერდა: „ლიუბოვ იაროვაია“ არის ბრწყინვალე სპეკტაკლი სამოქალაქო ომის მკაცრი დაუვიწყარი დღეების შესახებ, სპეკტაკლი, რომლის სილამაზე არას დროს არ დაშკნება“. ამ დადგმით მოსკოვის მცირე თეატრმა შესანიშნავად დაამტკიცა, რომ თავისი რეალისტური ოსტატობის ნიადაგზე მთელი სისრულით შეუძლიან განასახიეროს რევოლუციური თემატიკა, საბჭოთა სინამდვილე; დაამტკიცა, რომ წარმატებით ეუფლება მხატვრული შემოქმედების ყველაზე უფრო სრულყოფილ მეთოდს — სოციალისტურ რეალიზმს.

მოსკოვის მცირე თეატრმა წარმატებით განაგრძო საბჭოთა თემატიკის განსახიერება, შემოიკრიბა რა თეატრში საბჭოთა დრამატურგიის მოწინავე ძალები: კ. ტრენიოვი, ბ. რომაშოვი, ვ. გუსევი, ლ. ლეონოვი, ა. კორნეიჩუკი, ნ. პოგოდინი და მრავალი სხვანი.

1937 წელს ჩვენმა პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად აღნიშნა მცირე თეატრის ნაყოფიერი მოღვაწეობა. გაზეთი „იზვესტია“ მოწინავე სტატიაში მცირე თეატრის შესახებ სწერდა: „საუკუნეზე მეტი არსებობის ხანა-

ში მცირე თეატრმა უდიდესი შემოქმედებითი გზა გაიარა. მის მოღვაწეობას ბეჭედი დასდო სხვადასხვა ეპოქებმა. მცირე თეატრი აღმოცენდა დეკაბრისტების აჯანყების ცოტა ადრე. ჩვენს დროში შევიდა საბჭოთა თეატრების რიგში, როგორც მნიშვნელოვანი კულტურული ერთეული, შეინარჩუნა-რა რევოლუციამდელი სასცენო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციები. მის სახელთან და მისი საუკეთესო ოსტატების—შჩეპკინის, სადოვსკების, ვასილიევების, შუმსკის, ერმოლოვას და სხვათა სახელებთან არის დამოკიდებული რუსულ სცენაზე რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ყველაზე უფრო ბრწყინვალე მომენტები... ეს მისწრაფება რეალიზმისაკენ მცირე თეატრის კოლექტივმა მოიტანა შჩეპკინიდან დაწყებული ჩვენს დღეებამდე და თავისი საუკუნოებრივი გამოცდილებით ჩაება ბრძოლაში სტალინური ლოზუნგებისათვის სოციალისტურ რეალიზმის შესახებ ხელოვნებაში".

დიდი სამამულო ომის წლებში მოსკოვის მცირე თეატრი თავდადებით ემსახურებოდა სოციალისტური სამშობლოს დაცვის საპატიო ამოცანებს. მისი სპექტაკლები: „ფრონტი" კორნეიჩუკის, „ინჟენერი სერგეევი" ვ. როკისა, „შემოსევა" ლ. ლეონოვისა და სხვანი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ასახავდნენ საბჭოთა ხალხის უდიდეს პატრიოტიზმს ფაშისტურ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მეტად მნიშვნელოვანი იყო თეატრის სამხედრო-საშეფო მუშაობა. თეატრის საფრონტო ბრიგადებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ თეატრის მოწინავე მსახიობები, ფრონტის მრავალი ადგილები მოიარეს. მცირე თეატრის მიერ შექმნილმა საფრონტო ფილიალმა საბჭოთა არმიასთან ერთად გაიარა გამარჯვების გზა ბერლინამდე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) 1946 წლის 26 აგვისტოს ისტორიული დადგენილება „დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ", მოსკოვის მცირე თეატრმა დიდი შეგნებით შეითვისა და მთელი თავისი ყურადღება სტალინური ეპოქის სიდიადის და ამ ბრწყინვალე ხანის ადამიანთა სრულყოფილ გამოსახვაზე გადაიტანა. ამიერიდან მცირე თეატრის მთავარ ამოცანად გადაიქცა მაღალიდეური, მაღალმხატვრული სპექტაკლების შექმნა.

ჩვენი პარტიის ამ ისტორიული დადგენილების შემდეგ, მოსკოვის მცირე თეატრმა უჩვენა შესანიშნავი სპექტაკლები: „მეზღვაურები" ბ. ლავრენევისა, „რუსეთის საკითხი" კ. სიმონოვისა, „დიადი ძალა" ბ. რომაშოვისა, „სამხრეთის კვანძი" ა. პერვენცევისა, „მოსკოვური ხასიათი" ა. სოფრონოვისა და სხვანი.

მსახიობთა მრავალი თაობა გამოზარდა მოსკოვის მცირე თეატრმა. თაობიდან თაობაზე გადადის თეატრის შესანიშნავი სასცენო ოსტატობა. ათეული ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ამშვენებს ამჟამად მცირე თეატრის სცენას. ეს თაობა საბჭოთა პერიოდში დაბადებულია და აღზრდილი. მას ტრადიციით მისდევს მცირე თეატრის მსახიობთა მოწინავეობა შემოქმედებაში, საქმის სიყვარული და თავდადება.

მოსკოვის მცირე თეატრი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა არა მარტო მოსკოვს, არა მარტო რუს ხალხს. თავისი იდეური და მხატვრული მისწრაფებით ის ძმურ ურთიერთობაში იყო და არის საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრებთან და თავისი შემოქმედებით დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს ამ თეატრების ზრდა-განვითარებაზე.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მოსკოვის მცირე თეატრს ქართულ თეატრალურ კულტურისათვის, რადგან მთლიანად თეატრი და მისი ცალკეული მსახიობები დაახლოებული იყვნენ საქართველოსთან და თავისი შესანიშნავი შემოქმედება არა ერთხელ უჩვენ-

ბიათ ქართველი მაყურებლისათვის. საქართველოში არსებულ რუსულ თეატრში მოღვაწეობდნენ 60—80-იან წლებში მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობები. ა. იაბლოჩკინა, ნ. მუზილი, ა. ლენსკი, ა. იუჟინი, ო. პრავდინი. თვით დიდმა მ. შჩეპკინმა 1846 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისის რუსული თეატრის დასის შედგენაში. 1883 წლიდან მოსკოვის მცირე თეატრმა შემოიღო საგასტროლო მოგზაურობანი რუსეთის დიდ ქალაქებში და ამ პირველივე წელს თბილისს ესტუმრა მშვენიერი არტისტული შემადგენლობით: გ. ფედოტოვა, ვ. ბაკშეევი, პრავდინი, ა. იუჟინი, კ. რიბაკოვი, ნ. ვილდე და სხვანი. ასეთივე გასტროლები მოეწყო გ. ფედოტოვას მეთაურობით 1888 წელს.

1885 წელს თბილისს საგასტროლოდ ესტუმრნენ ა. ლენსკი, ო. პრავდინი და ა. სუმბათაშვილი-იუჟინი, 1887 წელს — ა. იუჟინი, 1891 წ. მ. ერმოლოვა.

1900 წელს თბილისს ეწვია მცირე თეატრის მსახიობთა დიდი ჯგუფი ო. პრავდინის მეთაურობით, ასევე ჩამოვიდნენ საგასტროლოდ მსახიობნი 1901 წელს და 1903 წელს. 1916 წელს თბილისში იყო საგასტროლოდ ა. სუმბათაშვილი-იუჟინი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წელს თბილისში ჩამოვიდა ა. სუმბათაშვილი — იუჟინი და მას აქ დიდი ზეიმით გადაუხადეს 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. 1924 წელს თბილისს საგასტროლოდ ესტუმრა პ. მ. სადოვსკი. მოსკოვის მცირე თეატრის მთელი შემადგენლობა საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისში 1928 წელს.

ყველა ეს გასტროლები დიდი აღტაცებით იყო მიღებული ქართველი მაყურებლის მიერ. დიდი ამაგი დასდო ქართველ ხალხს მოსკოვის მცირე თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა მისივე დრამა-ლეგენდის „ღალატის" დადგმით 1903 წელს. ეს პიესა ფართოდ აცნობდა რუს საზოგადოებას საქართველოს ისტორიულ წარსულს, ყოფა-ცხოვრებას, ქართველი ხალხის უმაგალითო ბრძოლას აზიელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. პიესაში შესანიშნავად თამაშობდნენ მ. ერმოლოვა, ა. ლენსკი, ს. პრავდინი, კ. რიბაკოვი, ა. იაბლოჩკინა, ა. ოსტუჟევი.

მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებში ყოველ მხრივ ხელს უწყობდა ქართული თეატრალური კულტურის განვითარებას. ის იყო „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების" თავმჯდომარე, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობნი დიდის მონდომებით ეხმარებოდნენ ა. სუმბათაშვილი-იუჟინს მთელს ამ საქმიანობაში.

თავის მხრივ ქართველმა ხალხმაც შეიტანა წვლილი ამ შესანიშნავი თეატრის შემოქმედებაში. საქართველომ მცირე თეატრს მისცა უნიჭიერესი მსახიობი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი. 1908 წელს, სუმბათაშვილის 25 წლის იუბილეზე მოსკოვში, საქართველოს დელეგატმა მსახიობმა კოტე მესხმა თავის მისალოც სიტყვაში იუბილარს ეთხრა: „შენი სამშობლო ამაყობს იმით, რომ შენი ნიჭი და ძალა უძღვენ რუსეთის გულს, — მოსკოვს, როგორც მართებული წვლილი რუსული აზროვნების, რუსული შემოქმედების, რუსული ხელოვნების საგანძურშიო".

სუმბათაშვილი-იუჟინი საბჭოთა ქართული თეატრის შექმნის ერთ-ერთი პირველი და აქტიური მონაწილე იყო და მთელი თავისი მხატვრული გამოცდილება მას მოახმარა.

დიდი რუს ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები ამაყობენ სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატ-

რის შესანიშნავი მოღვაწეობით. ჩვენი პარტია, ხელისუფლება და მთელი საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ მცირე თეატრის ამ მოღვაწეობას. მისი 125 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღინიშნა მოსკოვში და საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებში. საზოგადოებრივობამ და პრესამ მართებულად გამოსთქვა თავისი აზრი მოსკოვის მცირე თეატრზე, როგორც საბჭოთა რუსული თეატრალური კულტურის უდიდეს მოვლენაზე. გაზეთი „პრავდა“ — მოწინავე სტატიაში იუბილეს შესახებ სწერდა: „მცირე თეატრის გამოცდილება ჩვენი ხელოვნების ყველა მოღვაწეთ ასწავლის, რომ მხოლოდ ხალხთან უშუალო დაკავშირებით მის სულიერ მოთხოვნილებებთან, მათ კომუნიზმისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით შეუძლიან თეატრს იპოვოს ძვირფასი და მადლიერ-ნასალა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. მხოლოდ მაღალი იდეურობა უზრუნველყოფს თეატრისათვის მხატვრული ფორმის თვითყოფასაც“.

საბჭოთა რუსულ თეატრს მოწინავე ადგილი აქვს დამკვიდრებული მთელს მსოფლიოში თავისი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით. სტალინური ეპოქის იდეებით ჯორცშესხმული რუსული თეატრი ეხმარება პროგრესიულ კაცობრიობას კაპიტალიზმის მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებაში, ბრძოლაში მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაული ინგოროყვა

გიორგი მერჩული

ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა [1]

IV

ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფო («ქართველთა სამეფო») და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში

საისტორიო ცნობებიდან, რომელსაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოთა შესახებ, აქ ჩვენ პირველ რიგში შევჩერდებით იმ ცნობებზე, რომელიც ქართლ-მესხეთის სახელმწიფოს („ქართველთა სამეფოს") შეეხება.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, ამასთან, რომ ცნობები გიორგი მერჩულისა ქრონოლოგიურად მოიცავს დროს მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან—მე-10 საუკუნის ნახევრამდე, ე. ი. ეხება არა მხოლოდ იმ ეპოქას, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო" (მე-9 საუკუნის დასაწყისში), არამედ ნაწილობრივ ეხება ამის წინარე დროსაც, არაბთა ძლიერების ხანას აღმოსავლეთ საქართველოში.

1. აღმოსავლეთი საქართველო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან—მე-9 საუკუნის დასაწყისამდე (ქართლის ერისმთავარნი: ნერსე II, სტეფანოზ IV და აშოტ I).

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო", რაც იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ცენტრში — ქართლის მხარეში — არაბობა უფრო მტკიცედ იყო დამკვიდრებული, ვიდრე სანაპირო პროვინციებში. აქ, საქართველოს გულში, ქართლის მხარეში, არაბებს ეპყრათ იბერიის ძველი დედაქალაქი თბილისი, რომელიც არაბებმა გაიხადეს თავისი მფლობელობის მკვიდრ ციტადელად და აქედან ავრცელებდნენ თავის გავლენას საქართველოს სხვა მხარეებზე. „უფლება სარკინოზთა (არაბთა) განდიდნა", — მოგვითხრობს ძველ-ქართველი ისტორიკოსი,—„რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა (არაბთა) და შექმნეს საყოფელად თვისად და მიიღებდეს ხარკსა ქვეყანისა ამისგან, რომელსა ჰრქვიან ხარაჯა" [2].

---

[1] გაგრძელება. „მნათობი", № 10.

[2] იხ. მატიანე ქართლისა, გვ. 440/217.

არჩილ II-ის დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებმა დროებით თავი დააღწიეს არაბთა ბატონობას, თბილისი და თბილისის კანტონი ისევ მკვიდრად არაბთა ხელში დარჩა. ხოლო, როდესაც ხანმოკლე არბევნების შემდეგ დაეცა არჩილ II-ის დროს შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, თბილისში მსხდომმა არაბებმა ისევ გაავრცელეს თავისი გავლენა მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე (მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში).

ჩვენ აქ არ ვისახავთ მიზნად დეტალურად განვიხილოთ, თუ როგორი იყო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს მხარეთა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არაბთა საქართველოში თუმცა მოსპობილი იყო „მეფობა ქართლისა" (ე. ი. გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფოებრივობა), მაგრამ შერჩენილი იყო ზოგიერთი ინსტიტუტი ძველი სახელმწიფოებრივობისა, კერძოდ „ქართლის ერისმთავარის" ინსტიტუტი.

„ქართლის ერისმთავარი" (რომელსაც ეწოდებოდა აგრეთვე „ქართლის ერისთავი" ანუ „დიდი ერისთავი", აგრეთვე „მთავარი") — ითვლებოდა ქართული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლად არაბთა მთავრობის წინაშე. ქართლის ერისმთავარს, როგორც ირკვევა, ნიშნავდა და ამტკიცებდა ამ პოსტზე თვით ხალიფი[1]. რეზიდენცია ქართლის ერისმთავრისა იყო თბილისი.

თბილისშივე ჰქონდა რეზიდენცია ხალიფატის უზენაეს მოხელეს — არაბთა ამირას, რომელიც წარმოადგენდა ხალიფის ძალა-უფლებას არაბთა მიერ დაპყრობილს საქართველოს მხარეებში.

*

მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან—ვიდრე მე-9 საუკუნის დასაწყისამდე არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოში „ქართლის ერისმთავრებად" იყვნენ შემდეგნი პირნი ბაგრატიონთა სახლისა:

1. ნ ერ ს ე II ე რ ი ს მ თ ა ვ ა რ ი (ძე ადარნერსე ერისმთავრისა და კურაპალატისა)—მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ვიდრე 781 წლამდე.

2. ს ტ ე ფ ა ნ ო ს IV ე რ ი ს მ თ ა ვ ა რ ი (ქართლ-მესხეთის ბაგრატიონთა მეორე შტოს წარმომადგენელი, ძე გურგენ ერისთავისა)—781 წლიდან მე-8 საუკუნის დასასრულამდე.

3. ა შ ო ტ I დ ი დ ი (ბიძა სტეფანოზ IV ერისმთავრისა, ძმა გურგენისი)—მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში.

გიორგი მერჩულის ძეგლში მოიხსენება პირველი ამ ერისმთავართა შორის — ნ ე რ ს ე II. ხოლო უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი მერჩულე მესამე ერისმთავრის აშოტ I დიდის შესახებ, რომელიც უაღრესად თვალსაჩინო ფიგურაა ადრეულ საშუალ-საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა, აღმადგენელი „ქართველთა სამეფო"-სი.

ნერსე II მოიხსენება გიორგი მერჩულის ძეგლში გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. გრიგოლ ხანძთელი იყო შვილობილი ნერსე II-ისა. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის შესახებ, რომ „ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა... მამა-დედათა, და სახლსა შინა სამეუფო-

---

[1] ამას ადასტურებს მე-8 საუკუნის ავტორის იოანე საბანის-ძის ცნობა, რომელიც ეხება ქართლის ერისმთავრებს ნერსე II-ს და სტეფანოს IV-ეს. (იხ. იოანე საბანისძე, წამება ეზოსი, კ. კეკელიძის გამოცემა, 1935 წ. გვ. 62 და 63).

სა დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსეის ცოლისაითა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“ [1]. ამრიგად გრიგოლ ხანძთელი ნერსე II-ის მეუღლის ძმისწული ყოფილა. იგი შვილად აუყვანიათ ნერსე II-სა და მის მეუღლეს და თავისთან აღუზრდიათ.

ნერსე II-ის კარზე, გიორგი მერჩულის უწყების თანახმად, გრიგოლ ხანძთელს ბრწყინვალე განათლება მიუღია; აქ მან „სამოძღვროი ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა“, „მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი“, და „სიბრძნეიცა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად“ [2].

ნერსე II-ის „კარი სამეუფო“, როგორც ირკვევა, გარს იკრებდა იმ-დროინდელს ქართულ განათლებულ წრეებს. ასე ნერსე II-ის წრის მოღვაწეა განთქმული ქართველი მწერალი იოანე საბანის-ძე, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ეს უდიდესი ბაირახტარი ადრეულ საშუალ-საუკუნეებში.

გასაგებია, რომ ამ წრეში გრიგოლ ხანძთელს მიუღია ის ბრწყინვალე განათლება, რაზედაც ჩვენ საგანგებოდ მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

ნერსე II, როგორც ირკვევა, მიუღებელი პოლიტიკური ფიგურა იყო არაბთა ხელისუფლებისათვის. მას რამდენჯერმე განუცდია ტყვეობა და დევნა არაბებისაგან.

იოანე საბანის-ძე გადმოგვცემს, რომ 772 წელს არაბთა ხალიფმა აბდილამ (ალმანსურმა) ნერსე ქართლის ერისმთავარი გაიწვია ბაღდადში. ნერსე ერისმთავარი დასმენილი ყოფილა ხალიფის წინაშე. ხალიფის კარზე წარდგომის შემდეგ ხალიფმა ბრძანა დატყვევება ნერსე ერისმთავრისა („შესმენითა ბოროტთა კაცთაითა“, როგორც გადმოგვცემს თანამედროვე ავტორი); ნერსე საპყრობილეში ჩააგდეს.

ნერსე ერისმთავარმა საპყრობილეში ტყვედ დაჰყო სამი წელი (772 წლიდან—775 წლამდე), ვიდრე არ გარდაიცვალა ხალიფი ალმანსური [3].

775 წელს ახლად გამეფებულმა ხალიფმა მაჰდიმ გაანთავისუფლა ნერსე, „გამოიყვანა მწარისა მისგან საპყრობილისა“; ნერსე აღუდგენიათ უფლებებში, ისევ დაუდგენიათ იგი ერისმთავრად ქართლისა და გამოუსტუმრებიათ თბილისში [4].

მაგრამ ამის შემდეგაც ნერსე ერისმთავარი, რომელიც, როგორც ირკვევა, ეროვნული პოლიტიკის ხაზის გამტარებელი ყოფილა და „ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს ა ებრ მ ა მ უ ლ ი ს ა სლ ვ ი ს ა“ იქცეოდა, — ვერ შერიგებია არაბთა ბატონობას და არაბებსაც იგი ისევ ეჭვს ჩვეშ აუყვანიათ. ნერსე, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ქართლის ერისმთავრის პოსტზე ყოფილა ხუთი წელი, 775 წლიდან—781 წლის დასაწყისამდე. ხოლო 781 წელს მას შეტაკება მოსვლია არაბებთან და ბრძოლაში დამარცხებულა.

რით იყო უშუალოდ გამოწვეული ეს შეიარაღებული კონფლიქტი, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ჩვენება არ შენახულა. მაგრამ ზოგიერთ გარემოებათა გამო საფიქრებელი ხდება, რომ ნერსე ერისმთავარი აჯანყებას ამზადებდა. ყოველ შემთხვევაში წყაროებიდან ირკვევა ერთი რამ: უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა შეიარაღებული შეტაკება არაბებთან, ნერსეს თავისი ოჯა-

[1] იხ. გვ. 13 — 14.
[2] იხ. გვ. 14_{18}—... და 44_{4}—$_{5}$.
[3] იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 63.
[4] იხ. იქვე, გვ. 63.

ხი უკვე წინასწარ დახიზნული ჰყოლია დასავლეთ საქართველოში, რომელიც ამ დროს ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. თანამედროვე ავტორი გადმოგვცემს, რომ „პირველვე (ადრევე) წარეგზავნეს ნერსეს ერისმთავარსა) დედა, და ცოლი, და შვილნი, და მონაგები (ქონება-საუნჯენი), და ყოველნი სახლისა მისისანი (მისი ოჯახ-გვარეულობის წევრნი)"—დასავლეთ საქართველოში, „რამეთუ კრძალულ (დაცულ) იყო ქვეყანა იგი (დასავლეთი საქართველო) შიშისაგან სარკინოზთაისა (არაბთა)"[1].

ამას გარდა ნერსე ერისმთავარი სჩანს ურთიერთობის დამყარებას სცდილობდა ხაზარეთის ხაკანთან, რომელიც არაბთა დაუძინებელი მტერი იყო.

არაბებს, როგორც ირკვევა, ადრევე გაუგიათ ნერსე ერისმთავრის ამ საეჭვო ხასიათის მზადებათა შესახებ და თავს დასხმიან მას. თანამედროვე ავტორი გადმოგვცემს:

„და იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხება ხელმწიფეთა მათ სარკინოზთა (არაბთა) ნერსე ერისმთავარსა ზედა, რამეთუ სასტიკად ბრძოდეს მას სარკინოზთა (არაბთა) ერი. და უფალმან დაიცვა იგი (ნერსე ერისმთავარი) ხელთაგან მათთა (არაბთა); და განვლო მან (ერისმთავარმან) კარი იგი ოვსეთისა, რომელსა დარიალანი ერქმის. და რაჟამს განვიდა (ნერსე ერისმთავარი), იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამასი ოდენ მამაკაცი"[2].

ამრიგად ნერსე ერისმთავარს, როდესაც მას თავს დასხმიან არაბები, ბრძოლით უკან დაუხევია ქართლის მთიანეთში, გაუვლია დარიალანის (დარიალის) კარი და სამასი კაცის თანხლებით გადასულა ჩრდილო კავკასიაში.

ქართლიდან ლტოლვილი ნერსე ერისმთავარი ჯერ ჩასულა ხაზართა ხაკანთან. შემდეგ ნერსე ერისმთავარი ხაზარეთიდან გადადის დასავლეთ საქართველოში, სადაც, როგორც მოვიხსენეთ, ადრიდანვე იყო დახიზნული ნერსე ერისმთავარის ოჯახი[3].

ამით დასრულდა ნერსე ერისმთავარის პოლიტიკური მოღვაწეობა. არაბთა ხალიფმა მაჰდიმ ნერსე ერისმთავრის ნაცვლად ქართლის ერისმთავრად დანიშნა იმავე ბაგრატიონთა „სახლის" წევრი (ბაგრატიონთა გვარეულობის მეორე შტოის წარმომადგენელი) ს ტ ე ფ ა ნ ო ზ IV, ძე გურგენისა[4]. სტეფანოზ IV ქართლის ერისმთავრად არის 781 წლიდან ვიდრე მე-8 საუკუნის ბოლომდე (790-იან წლებამდე).

სტეფანოზ ერისმთავარის შუამდგომლობით არაბთა ხელისუფლება ნებას დართავს ნერსე II-ეს დაბრუნდეს ქართლის ქვეყანაში. 782 წლის დასასრულს ნერსე, თავის თანამხლებელ ქართველ ემიგრანტებთან ერთად, გადმოდის ქართლში, სადაც ნერსე, ერისმთავრობის პოსტიდან გადაყენებული, სცხოვრობს როგორც კერძო პირი.

სტეფანოზ IV-ის შემდეგ ქართლის ერისმთავრად დადგენილ იქნა (არაბთა ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის დროს) ა შ ო ტ I ბაგრატიონი, რომელიც ქართლის ერისმთავრად არის მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე.

---

[1] იხ. იქვე, გვ. 65.
[2] იხ. იქვე, გვ. 64.
[3] იხ. იქვე, გვ. 65.
[4] იხ. იქვე, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აშოტ I-ის მოღვაწეობა. ბრძოლა იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობისათვის და „ქართველთა სამეფოს“ აღდგენა (800—826 წ.წ.)

აშოტ I-ს ქართულ საისტორიო წყაროებში მიემართება სახელწოდება „დიდი“. იგი მართლაც არის დიდი რანგის პოლიტიკური ფიგურა. აშოტ I-ის მთელი მოღვაწეობა, მოღვაწეობა—როგორც ქვემოთ დავინახავთ — მრავალმხრივი, ამასთან ძნელ პირობებში და რთულ საერთაშორისო ვითარებაში ჩატარებული, განუხრელად მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ, იბერიის ქვეყნების განთავისუფლებისაკენ არაბთა ბატონობისაგან. აშოტ I-ის მოთავეობით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა „ქართველთა სამეფოს“.

აქ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით აშოტ I-ის მოღვაწეობაზე და იმ ბრძოლის ისტორიაზე, რომელიც ჩატარებულ იქმნა იბერიის მხარეთა განთავისუფლებისათვის არაბთა მფლობელობისაგან, რადგან ეს საკვანძო საკითხი ადრეულ საშუალო-საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გამოკვლეული და სწორს ისტორიულ პერსპექტივაში მოცემული [1].

თავდაპირველად წყაროების შესახებ.

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ შემდეგი ძირითადი წყაროები მოიპოვება:

1. გიორგი მერჩულის „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“ (რომელიც ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია ჩვენ დრომდე მიღწეულ ქართულ საისტორიო წყაროთა შორის).

2. მატიანე ქართლისა (მე-11 საუკუნის ძეგლი, რომელშიაც გამოყენებულია მე-9 საუკუნის პირველწყაროები) [2].

3. სუმბატ დავითის-ძის მატიანე—„ცხორება და უწყება ბაგრატიონთა“ (მე-11 საუკუნის ძეგლი, რომელშიაც აგრეთვე გამოყენებულია მე-9 საუკუნის პირველწყაროები—ბაგრატიონთა საგვარეულო არქივიდან).

ამ ძირითადი ქართული წყაროების გარდა ამავე ეპოქის შესახებ ცნობებს იძლევიან აგრეთვე სომხური და არაბული წყაროები.

გავეცნოთ ამის შემდეგ პირველწყაროების ჩვენებებს და შევეცადოთ მათი შედარებითი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე აღვადგინოთ ისტორიული სურათი.

•

საისტორიო წყაროთა ჩვენებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ბრძოლამ იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობისათვის მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენიმე ფაზა გაიარა.

---

[1] ქვემოთ განხილულ საკითხთა გამო ვიწრო სპეციალური ხასიათის განმარტებანი (ტექსტების ჩვენებათა შეფარდება, ქრონოლოგიის განსაზღვრა და სხვ.) იხ. სპეციალურ ექსკურსში.

[2] ტექსტი ამ მატიანისა, რომელიც ეხება დასახელებულ ეპოქას, ნაწილობრივ დაზიანებულად არის მოღწეული (იხ. სპეციალურ ექსკურსში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.

800 — 809 წლები.

აჯანყებანი არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ

ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის დროს

გარეგნულად ბრწყინვალე ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის დროს არაბთა მფლობელობა საქართველოში, და საერთოდ კავკასიაში, უკვე განიცდიდა მოახლოებული პოლიტიკური კრიზისის პირველ ნიშნებს.

თუ რამდენად მერყეევი იყო პოლიტიკური ვითარება კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის ხშირი მღელვარების გამო, ამის მაჩვენებელია კერძოდ ის გარემოებაც, თუ როგორის სისწრაფით იცვლებოდნენ ხალიფატის მიერ დანიშნულნი მმაროველნი კავკასიაში. არაბთა ისტორიკოსის იაკუბის ცნობებიდან ირკვევა, რომ ჰარუნ არ-რაშიდის დროს 23 წლის მანძილზე (786 — 809 წ.წ.) კავკასიაში შეცვლილა 17 მმართველი [1].

არაბთა წყაროების ჩვენებიდან ირკვევა ამასთან, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისში საქართველო აჯანყების ალშია გახვეული.

აჯანყება დაწყებულა ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის მეორე ნახევარში, 800 წლის ახლო ხანებში.

არაბი ისტორიკოსი იაკუბი, რომელიც ასე კარგად არის ორიენტირებული კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ვითარებაში, გადმოგვცემს, რომ ხალიფის მიერ წარმოგზავნილი კავკასიის მმართველი იაზიდ იბნ-მაზიადი (რომლის მმართველობა 801 წლის ახლო დროს უწევს) შესდგომია მღელვარებაში მყოფი ქვეყნის დაწყნარებას.

„იგი (არაბთა მმართველი) მიმოწერაში შევიდა სეფეწულებთან და პატრიკიოსებთან (—იგულისხმებიან იბერიის მმართველი წრეების წარმომადგენელნი) და მათ დიდი იმედები მისცა“-ო, სწერს იაკუბი. ამ გზით არაბთა მმართველმა მიაღწიაო, — გადმოგვცემს არაბთა მემატიანე, — ქვეყნის დაშოშმინებასო [2].

მაგრამ აჯანყებას ისევ ახალი ძალით უფეთქნია მომდევნო წლებში.

იგივე არაბთა ისტორიკოსი იაკუბი შემდეგს გადმოგვცემს ჰარუნ-არ-რაშიდის მიერ კავკასიაში წარმოგზავნილი უკანასკნელი ოთხი მმართველის შესახებ (რომელთა მმართველობა დაახლოვებით უწევს 802—809 წლებს).

„ჰარუნ არ-რაშიდმა (კავკასიის) მმართველად დანიშნა ჰუზაიმა ჰაზიმის-ძე.

„მან გამოიწვია თავისთან პატრიკიოსები და სეფეწულები (იბერიის მთავარნი) და დახოცა ისინი მახვილით და საერთოდ იქცეოდა ისე სასტიკად, რომ ხელახლა გამოიწვია აჯანყება ჯურზანში („ქართლში“) და წანარეთში (კახეთ-ქართლის მთიანეთში).

„მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ (ქართლისა და წანარეთის აჯანყებულთა წინააღმდეგ) ლაშქარი, მაგრამ მათ (ქართლელებმა და წანარებმა) გასწყვიტეს იგი (არაბთა ჯარი).

---

[1] იხ. იაკუბის მატიანე („История“, текст и перевод с арабского проф. П. К. Жузе, Баку, 1927 г.), გვ. 9 — 12.

[2] იხ. იაკუბის მატიანე, გვ. 12.

„მაშინ მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ საიდ-იბნ-ალ-ჰაისამი იბნ-შუაბი (შუბის-ძე) დიდი ჯარით და იგი მანამდე ეომებოდა ქართლისა და წანარეთის მცხოვრებთ, სანამ არ გადარეკა ისინი (აჯანყებულნი) ქვეყნის ფარგლებიდან.

„ამის შემდეგ ჰუზაიმა ჰაზიმის-ძე წავიდა ტფილისში, სადაც 1 წელზე ნაკლები დაჰყო, რადგან გადაყენებულ იქმნა.

„მის მაგიერ დაინიშნა სულეიმან იაზიდის-ძე... იგი იყო მოხუცი, პატიოსანი, მაგრამ უზრუნველი. იგი იმდენად სუსტი იყო, რომ არც ერთი მისი განკარგულება არ სრულდებოდა, ასე რომ ქვეყანა კინაღამ გადაუდგა მას.

„ამის შემდეგ (ხალიფმა) ჰარუნ არ რაშიდმა მმართველად დანიშნა ალ-აბას იბნ-ზუფარი ალ-ხალალი. მის დროს აჯანყდნენ წანარები (კახეთ-ქართლის მთიელები) და იგი ებრძოდა მათ, მაგრამ ვერ სძლია.

„მაშინ (ჰარუნ) არ-რაშიდმა გაგზავნა მუჰამედ იბნ-ზუჰაირი, რომელიც იყო უკანასკნელი მოადგილეთაგანი არ რაშიდისა...“ [1]

ჰარუნ არ-რაშიდი გარდაიცვალა 809 წელს.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის უკანასკნელ პერიოდში საქართველო აჯანყებით ყოფილა მოცული.

ვინ იყო ამ აჯანყებათა მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ამის შესახებ არაბულ წყაროებში ცნობები არ შენახულა. ხოლო ქართული წყაროების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ არაბთა საწინააღმდეგო ამ დიდ მოძრაობას სათავეში ედგა ქართლის ერისმთავარი ა შ ო ტ I ბაგრატიონი, დიდის სახელწოდებით ცნობილი.

ბ.

809 — 813 წ. წ.

იბერიის (ქართლის) სამეფოს აღდგენა

ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის* სიკვდილის შემდეგ (809 წელს), როგორც ცნობილია, დაიწყო ნამდვილი ანარქია ხალიფატში, სწარმოებდა ბრძოლა ხალიფატის პრეტენდენტთა შორის, რამაც კარგა ხანი გასტანა (809 — 813 წლები). ამის შედეგად მოჰყვა არაბთა ძალა-უფლების შესუსტება კავკასიაში.

თუ ჯერ კიდევ ძლევამოსილი ჰარუნ-არ-რაშიდის დროს იბერიაში (ქართლში) აჯანყების დროშა იყო აფრიალებული, ბუნებრივია, რომ არაბთა ხალიფატის ამ კრიზისით უსარგებლნიათ აჯანყებულებს, მოუშორებიათ არაბთა უღელი და ფაქტიური დამოუკიდებლობისათვის მიუღწევიათ.

აშოტ I-ს ამ დროს აღუდგენია „მეფობა ქართლისა“.

აშოტ I-ს, როგორც ირკვევა, გაუერთიანებია მთელი იბერია („ქართლი“) თავის ისტორიულ საზღვრებში. ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლი „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს, რომ აშოტ I თავის მეფობის დასაწყისში „ეუფლა ქართლს საზღვართა მისთა“ და რომ „უფალმან განადიდა მ ე ფ ო ბ ა“ აშოტისი [2].

აშოტ I-ს, ქართლის სხვა მხარეებთან ერთად, შემოუერთებია აგრეთვე თბილისიც, იბერიის ეს ძველი დედაქალაქი, რომელიც არაბთა მფლობელობის ციტადელს წარმოადგენდა იბერიაში და სადაც საუკუნე—ნახევარის მანძილ-

[1] იხ. იაკუბის მატიანე, გვ. 12.

[2] იხ. გვ. * 441/219.

ზე არაბები ისხდნენ. რომ თბილისი განთავისუფლებულ იქმნა აშოტ I-ს მიერ მისი მფლობელობის პირველ პერიოდში, ამას ადასტურებს საისტორიო ძეგლი სუმბატ დავითის-ძის მატიანე [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე საისტორიო ძეგლი — სუმბატ დავითის-ძის მატიანე — გადმოგვცემს ამასთან, რომ აშოტ I-ს, თავისი მფლობელობის ამავე პირველ პერიოდში, შემოუერთებია იბერიისათვის (ქართლისათვის) აგრეთვე ალბანეთის სანაპირო თემებიც—ვიდრე ბარდავამდე, ქალაქ ბარდავითურთ, რომელიც კავკასიის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა [2].

რა პირობებში მოხდა ბარდავის მხარის იბერიასთან (ქართლთან) შემოერთება, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ შენახულა. არაბული წყაროებიდან ირკვევა მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის დროს, როდესაც იბერიაში აჯანყებები ეწყობოდა, ამავე დროს ბარდავის მხარეშიაც ადგილი ჰქონია აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ [3]. როგორც სჩანს, ქართლის (იბერიის) განთავისუფლების შემდეგ ბარდავის მხარე, გამდგარი არაბთაგან, შემოერთებია ქართლს (იბერიას).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშოტ I-ს, როგორც სჩანს, უცქეროდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტი-არაბული ფრონტისა კავკასიაში. (ასე სომეხთა ისტორიკოსი ვარდან დიდი გადმოგვცემს, რომ უფრო გვიან აშოტ I ერეოდა სომხეთის საქმეებშიაც, და როდესაც მუსულმანმა მფლობელმა ჯამასპმა დაიჭირა სომხეთის დედაქალაქი დვინი, აშოტმა დახმარება სთხოვა სომხებისათვის ბიზანტიის იმპერატორს ლეონ V-ს).

აშოტ I, რომელმაც ამრიგად თავის მფლობელობის ქვეშ გააერთიანა იბერია („ქართლი") მეზობელი სანაპირო თემებით, პირველ ხანებში უმკლავდება არაბებს და ახალი ხელისუფლების მდგომარეობა მტკიცეა.

ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძის უწყების თანახმად ამ პირველ პერიოდში აშოტ I „მთავრობდა ქვეყანასა ამას შინა, („ქართლს" ე. ი. იბერიას შინა) და სახლად მისა იყო ტფილისი და ბარდავი და ჰქონდა მას ქვეყანა, რომელ არს გარემოს მისსა" [4].

მაგრამ შემდეგ აშოტ I დამარცხდება არაბებთან ბრძოლაში. პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც განიცდიდა არაბული მსოფლიო ხალიფობის პრეტენდენტების ბრძოლის ხანაში, შენელდა ხალიფ მამუნის გამეფების შემდეგ. არაბობამ კავკასიაში ისევ მოიცა ძალა.

ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს: „მაშინ განძლიერდა ხელმწიფება აგარიანთა (არაბთა) და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდგომად მათდა აშოტ" [5]. დამარცხებული აშოტ I იძულებული გახდა გასცლოდა ტფილისსა და შიდა-ქართლს და გადავიდა დასავლეთ-მესხეთის სანაპირო თემში შავშეთ-კლარჯეთში.

---

[1] იხ. გვ. * 573/342.
[2] იხ. იქვე.
[3] იხ. იაკუბი გვ. 10,13.
[4] იხ. გვ. * 573/342.
[5] იხ. გვ. * 573/342.

აშოტ კურაპალატის I-ის ეს გადასვლა შავშეთ-კლარჯეთში არაბთაგან დამარცხების შემდეგ მომხდარა 813 წლის ახლო (როდესაც გამეფდა ხალიფა მამუნი) [1].

ამრიგად აშოტ I-ის ეს პირველი ცდა იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისა მარცხით დამთავრდა. მაგრამ ბრძოლა ამით არ დასრულებულა.

ბ.

აშოტ I-ის დამკვიდრება შავშეთ-კლარჯეთში.

მესხეთის მხარეთა მდგომარეობა გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებით.

დასავლეთ-მესხეთის მხარე—შ ა ვ შ ე თ-კ ლ ა რ ჯ ე თ ი, სადაც თავი შეაფარა არაბებთან ბრძოლაში დამარცხებულმა აშოტ I-მა, მდებარეობდა იბერიის ქვეყნების დასავლეთ პერიფერიაზე.

ეს მთიანი კუთხე, შავშეთ-კლარჯეთი, „ქვეყანა კლდოვანი", რომელიც, გიორგი მერჩულის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ყოვლით კერძო შეზღუდვილ არს მთათა მიერ, და ხევნებისა, და წყალთა მათგან, საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაისა",—წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს.

შავშეთ-კლარჯეთი (ისევე როგორც „შუა-მთიულეთი") ისტორიულადაც ითვლებოდა ხოლმე ბუნებრივ თავშესაფარად, ანუ როგორც ერთი ძველ-ქართველი ისტორიკოსი ამბობს „საყუდელად", გარეშე მტერთა „განძლიერების" დროს, „ყამთა მათ ბორბოტთა" [2].

აშოტ I და მასთან ერთად — „ე რ ი (მხედრობა) თ ვ ი ს ი მ ც ი რ ე დ ი" [3], რომელიც აშოტ I-თან ერთად გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში,—გამაგრდა ამ მხარეში. აქ აშოტ I და მისნი თანამოღვაწენი იწყებენ „ახლად შენების" საქმეს და გადააქცევენ ამ მხარეს ქართული სახელმწიფოებრივობის ახალ ცენტრად. აქედან შეუდგებიან ისინი საქართველოს მხარეთა ახალ შეკრებას და მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან „ქართველთა სამეფო"-ს.

*

გიორგი მერჩულისა და სხვა ძველ-ქართული ძეგლების ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა ძნიმე პირობებში მოუხდა აშოტ I-სა და მის თანამოღვაწეებს „ახლად შენების" დაწყება.

შავშეთ-კლარჯეთი და დასავლეთ-მესხეთის სხვა თემები ამ დროს, როგორც ირკვევა, მთლიანად განადგურებულსა და თითქმის მიტოვებულს მხარეს წარმოადგენდა.

ამის შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული პირველ რიგში გიორგი მერჩულის ძეგლში, და აგრეთვე მეორე ძველ-ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის მატიანეში, რომლის ცნობები სავსებით უდგება და ეთანხმება გიორგი მერჩულის ცნობებს.

---

[1] თარიღი ირკვევა იმ ზუსტი შეფარდებიდან, რომელსაც იძლევა ერთის მხრით ისტორიული ამბების განვითარება, ხოლო მეორეს მხრით სათარიღო ცნობა, რომელიც დაცულია სუმბატ დავითის-ძის მატიანეში (იხ. სპეციალური ექსკურსი).

[2] იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 359/157, ჯუანშერის მატიანე, გვ. * 427/207.

[3] იხ. გვ. * 573 — 574/343.

სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს, რომ როდესაც აშოტ I დამკვიდრდა შავშეთში—„ხევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირეოდენ ფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა (ე. ი. მუსულმანთა) უფლებისა-ოხრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კვალად სლვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთ-კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“ [1].

ამრიგად შავშეთ-კლარჯეთი აოხრებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო ომების შემდეგ აოხრებულ ქვეყანაში გაჩენილა ხოლერა („სლვა სატლობისა“), რასაც ისედაც განადგურებული მოსახლეობა კიდევ უფრო შეუმცირებია და ქვეყანა თითქმის უკაცრიელი გამხდარა. მიუხედავად იმისა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ განვლო თითქმის 80 წელმა, ვიდრე აშოტ I შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრდებოდა (813 წლის ახლო), ქვეყანა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამობრუნებული და ფეხზედ დამდგარი გადატანილი კატასტროფის შემდეგ.

გიორგი მერჩულის ძეგლი კიდევ უფრო დაზუსტებულს და დაწვრილებითს ცნობებს შეიცავს ამ ქვეყნების მდგომარეობის შესახებ როგორც აშოტ I-ის დროს, ისე ამის წინარე ხანაში.

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე აშოტ I დამკვიდრდებოდა შავშეთ-კლარჯეთში, „კ ლ ა რ ჯ ე თ ს დ ა ტ ა ო თ ა შ ი ნ ა, დ ა შ ა ვ შ ე თ ს დ ა ყ ო ვ ე ლ თ ა მ ა თ მ ა ხ ლ ო ბ ე ლ თ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა თ ა მ ც ი რ ე დ ნ ი ი პ ო ვ ე ბ ო დ ე ს დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ტ ყ ე თ ა შ ი ნ ა ა დ გ ი ლ-ა დ გ ი ლ“ (იხ. გვ. 29).

გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობები მესხეთის ქვეყნების შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯერ ერთი იმის გამო, რომ აქ გვაქვს უძველესი საისტორიო დოკუმენტის ჩვენება; მეორე წყარო, სუმბატ დავითის-ძის მატიანე დაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, უფრო გვიან, მე-11 საუკუნეში (1031 წლის ახლო) და ამრიგად შეიცავს არა უშუალო მოწმობას, არამედ ძველი საისტორიო წყაროების ჩვენებათა საფუძველზე აღდგენილ სურათს [2]; ხოლო გიორგი მერჩულე, რომელიც მომსწრე იყო მე-9 საუკუნის მოღვაწეებისა და რომელიც ამასთან თვით ამ მხარეში მოღვაწეობდა, გადმოგვცემს ცოცხალ ხსოვნას მესხეთის ქვეყნების „პირველი მშენებლობის“ შესახებ.

ამას გარდა, გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობები უფრო სრულ სურათს გვიხატავს; მეორე წყარო, სუმბატ დავითის-ძის მატიანე, რომელიც მოგვითხრობს აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების შესახებ, ეხება მხოლოდ ერთი თემის — შავშეთ-კლარჯეთის ვითარებას და არას გვეუბნება თუ რა მდგომარეობა იყო მესხეთის სხვა მეზობელ თემებში. ხოლო გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ დროს აოხრებული ყოფილა

---

[1] იხ. გვ. * 573 — 574/343.

[2] არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი წყარო სუმბატ დავითის-ძის მატიანისა, როგორც ირკვევა, ყოფილა სწორედ ჩვენი ძეგლი, გიორგი მერჩულის თხზულება. ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ სუმბატ დავთის-ძის მატიანეში განმეორებულია თვით ფრაზეოლოგია გიორგი მერჩულის ძეგლიდან (შეად. სუმბატის მატიანე: „მ ც ი რ ე დ ღ ა დ აშთეს კაცნი ა დ გ ი ლ-ა დ გ ი ლ“. გიორგი მერჩულის ძეგლი: „მ ც ი რ ე დ ნ ი ი პ ოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ა დ გ ი ლ-ა დ გ ი ლ“. შეადარეთ აგრეთვე მეორე ცნობა სუმბატ დავითის-ძის მატიანისა არტანუჯის შესახებ: „პ ო ვ ა კ ლ ა რ ჯ ე თ ს ტ ყ ე თ ა შ ი ნ ა“; გიორგი მერჩული: „ი პ ო ვ ე ბ ო დ ე ს დ ა შ ე ნ ებულ ტ ყ ე თ ა შ ი ნ ა“)

არა მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთი, არამედ აგრეთვე „ტ ა ო ნ ი“ და „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ნ ი მ ა თ ნ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა ნ ი“.

კერძოდ „ტ ა ო ნ ი“ (ე. ი. ამიერი ტაო და იმიერი ტაო) გიორგი მერჩულის ცნობების ძიხედვით იმდენად ყოფილა განადგურებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც კი დავიწყებული ყოფილა და ადრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ჟამისა კაცთათვის მიუვალ“ ქმნილ იყო. როდესაც მოახალშენეები მოხვდებოდენ ამ მიტოვებულსა და მივიწყებულ ადგილებში, მათ პირველ რიგში უხდებოდათ თვით „გზათა საქმისა“ გამოძიება, რადგან „გზაიცა მისავალად“ ძველი დასახლებული ადგილებისაკენ წარხოცილი ყოფილა, და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც მოახალშენენი შესძლებდენ გაეკვლიათ მისადგომი გზები ძველი მიტოვებული დაბებისაკენ [1].

გარდა შავშეთისა, კლარჯეთისა და ტაოთა, გიორგი მერჩულის ცნობით, აოხრებული ყოფილა აგრეთვე, როგორც მოვიხსენეთ, „ყ ო ვ ე ლ ნ ი მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ნ ი მ ა თ ნ ი ქ უ ე ყ ა ნ ა ნ ი“. მახლობელ ქვეყანათა სახელით აქ ცხადია იგულისხმება სპერის პროვინცია (რომელიც იმავე ჭოროხის ხეობაში მდებარეობდა) და აგრეთვე, როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ-მესხეთის მეზობელი თემებიც, კერძოდ სამცხე.

დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში დაცულია ცნობა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობათა სიმძიმე სამცხის პროვინციასაც გადაუტანია; ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მურვან ყრუს ლაშქარი „მოეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოეთისათა, რამეთუ მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა, რომელი იყო ქალაქი იგი სახელოვან“ [2]. აქაც გვაქვს შეხვედრა გიორგი მერჩულის ცნობებთან. გიორგი მერჩულე, როდესაც იგი მოგვითხრობს ნეძვისა და კვირიკეთის მშენებლობის ისტორიას, მოიხსენებს სამცხისა და ქართლის საზღვარზე მდებარე უდაბნო მხარეს, „არეთა მათ უდაბნოთა“; რაიონები სამცხისა და ქართლის სანაპირო ზონაში „უდაბნოდ“ ყოფილა ქცეული [3].

თუ რამდენად განადგურებული იყო მესხეთის ქვეყნები, ხოლო განსაკუთრებით დასავლეთ მესხეთის მხარე, ეს ჩვენთვის ცხადი გახდება, როდესაც ჩვენ შემდეგ სპეციალურად შევეხებით სამონასტრო მშენებლობის ისტორიას მესხეთის ქვეყნებში, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

აქ კი რამდენიმე მაგალითი ერთი კუთხის, კლარჯეთის თემის ისტორიიდან. საისტორიო წყაროების ჩვენებიდან ირკვევა, რომ კლარჯეთში არაბთა მფლობელობის უწინარეს არსებობდა ძველ-ქართული სამონასტრო მნიშვნელოვანი ცენტრები — ოპიზა, პარეხნი, ტაძრები — მერისა, დაბისა, შიდობნისა. ყველა ეს მონასტრები და ტაძრები მოშლილა და აოხრებულა მურვან-ყრუს ლაშქრობითა დროს, და როდესაც აქ მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე ისევ გაჩნდნენ ქართველნი „მოწესენი“, მათ ხვდებოდათ, როგორც ამას ვხედავთ გიორგი მერჩულის მოთხრობიდან, მხოლოდ გავერანებული, დაცარიელებული სავანეები.

---

[1] იხ. გიორგი მერჩულე გვ. 46_{5}—$_{15}$ შეად. 65_{9}—$_{10}$.

[2] იხ. დავით და კონსტანტინეს მარტვილობა (მ. საბინინის გამოცემა, საქართველოს საშოთხე, 1882 წ., გვ. 324).

[3] იხ. გვ. 76_{27}—$_{28}$.

ან-და, არაბთა მფლობელობის უწინარეს იმავე კლარჯეთის თემში, როგორც შემდეგ გამოირკვევა, სამი ქართული საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა: ახიზისა, ფორთისა და ანჩისა. მათგან პირველი ორი კათედრა — ახიზისა და ფორთისა — მოსპობილა არაბთა შემოსევის ხანაში და მას შემდეგ აღარ განახლებულა.

*

გიორგი მერჩულეს თხზულება იძლევა უაღრესად მნიშვნელოვანს ცნობებს მესხეთის თემების „ახლად შენების" შესახებ, როგორც აშოტ I-ს ეპოქაში, როდესაც ამ ქვეყნის მშენებლობა ფართოდ გაიშალა, ისე ამის წინარე ხანაში, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ, აქ გაჩენილან პირველი პიონერები მოახალშენენი და დაწყებულა ახალი კოლონიზაცია, პირველ რიგში სამონასტრო კოლონიზაცია. ასე, გიორგი მერჩულის ცნობით ჯერ კიდევ მე-8 საუკუნის ნახევარში ე. ი. სულ ათიოდე-ოცდაოდე წლის შემდეგ, როდესაც მურვან ყრუს ლაშქარმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა შავშეთ-კლარჯეთში, კლარჯეთში დაარსებულა პირველი სამონასტრო კოლონია ძველ ქართულ ცენტრში ო პ ი ზ ა ში[1]. ამის შემდეგ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში ე. ი. 30 წლით ადრე, ვიდრე აშოტ I გადმოვიდა შავშეთ-კლარჯეთში, ქართლიდან გადმოვიდა და დამკვიდრდა კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელი — „კ ე თ ი ლ ა დ გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ ი მ ო ღ ვ ა წ ე და უ დ ა ბ ნ ო თ ა ქ ა ლ ა ქ მ ყ ო ფ ე ლ ი". გრიგოლ ხანძთელმა და მისმა თანამოღვაწეებმა დიდი შრომა ჩაატარეს, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის აღორძინებისათვის დაწყებულს მუშაობაში, ისინი „ექმნეს სახე კეთილის"—ყოველთა მის ჟამისა მოღვაწეთა—„ახლად შენებასა მათსა"[2].

სამონასტრო კოლონიზაციასთან ერთად, როგორც ირკვევა, დაწყებულა აგრეთვე „მ ს ო ფ ლ ი ო თ ა ე რ ი ს-კ ა ც თ ა" ჩამოსახლება დასავლეთ მესხეთის თემებში ჯერ კიდევ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული. გიორგი მერჩული მოგვითხრობს, რომ როდესაც გრიგოლ ხანძთელმა დააფუძნა ხანძთა (782 წლის ახლოს) „ა რ ც ა მ ს ო ფ ლ ი ო ნ ი ე რ ი ს-კ ა ც ნ ი ა ხ ლ ვ ი დ ე ს ა ხ ლ ა დ შ ე ნ ებ ი ს ა თ ვ ი ს მ ა თ ქ ვ ე-ყ ა ნ ა თ ა ი ს ა"[3]. ხანძთის მხარეში თუმცა „მსოფლიონი ერისკაცნი" ჯერ კიდევ არ სახლებულან, მაგრამ „ახლად შენება" უკვე დაწყებული ყოფილა.

*

ასეთ მდგომარეობაში იყო დასავლეთ-მესხეთის ქვეყნები, როდესაც იქ გიორგი მერჩულის სიტყვით, დამკვიდრდა „ხელმწიფე დიდი" — აშოტ I[4]. ამრიგად მესხეთის მხარეებში პირველ პიონერთა „ახლად მშენებელთა" წყალობით, უკვე ამის წინარე ხანაში დაწყებულა მუშაობა დანგრეული ქვეყნის აღდგენისათვის.

---

[1] იხ. გვ. 20.
[2] იხ. გვ. 13.
[3] იხ. გვ. 29.
[4] იხ. გვ. 32.

ხოლო აშოტ I-ის დროს „ახლად შენება“ ბევრად უფრო ფართე მასშტაბით სწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობს, რომ როდესაც არაბთაგან დევნილი აშოტ I ჩავიდა შავშეთში—„დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა და დაემკვიდრა მუნ, და მოსცა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა, და ზოგი ოხერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“ [1].

ახალი მოსახლეობა შავშეთ-კლარჯეთში და მესხეთის სხვა თემებში, როგორც ირკვევა, გადმოდიოდა ქ ა რ თ ლ ი ს პროვინციებიდან. ქართლი, რომელიც პირველ რიგში განიცდიდა არაბთა ბატონობის მთელ სიმძიმეს, სადაც მოსახლეობა, ძველი ისტორიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იყო „მძლავრებასა ქვეშე (არაბთასა) დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულ, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გვემულ და ქენჯნილ“ [2] — ვერ უძლებდა ამ „ძნელ ბედობას“, ამიტომაც როგორც ამ ეპოქაში, ისე ამის წინარე ხანაშიაც, ქართლიდან გადმოდიოდა მოახალშენეთა დიდი ტალღა როგორც მესხეთის უფრო დაცული მხარეებისაკენ, ისე დასავლეთ საქართველოსაკენ.

აშოტ I-ის დროს, დასავლეთ-მესხეთის თანდათან გაშენებასთან და „მსოფლიო ერისკაცთა“ დასახლებასთან ერთად ძველს გავერანებულ სოფლებში, გრძელდებოდა აგრეთვე ამის წინარე დაწყებული სამონასტრო კოლონიზაცია; გიორგი მერჩულის ცნობით სწორედ აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების დროს ფართედ გაიშალა კერძოდ სამონასტრო მოახალშენეობა. „მას ჟამსა, — მოგვითხრობს გიორგი მერჩულე აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების ხანის შესახებ, — „უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენება და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს“ ახალნი სავანენი შავშეთ-კლარჯეთში, რომლებიც საშუალ-საუკუნებრივი განათლებისა და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად გადაიქცნენ (იხ. ამ საგანზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

ამ დროსვე, აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების ხანაში, განახლებულ იქმნა ძველი ციხე-ქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, რომელიც ამის შემდეგ ახლად შექმნილი „ქართველთა სამეფოს“ დედაქალაქად იქცა. რომ არტანუჯი აშოტ I-ის მიერ იქმნა გაშენებული, ამას ადასტურებს როგორც გიორგი მერჩულე, ისე ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის-ძე. არტანუჯი ნანგრევებად ყოფილა ქცეული მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროიდან, და როდესაც აშოტ I გადმოვიდა შავშეთ-კლარჯეთში, არტანუჯის ნაადგილევი ამ დროს ტყით ყოფილა დაფარული. მემატიანე მოგვითხრობს:

„და პოვა (აშოტმან) კლარჯეთს ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასალს ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი, და აოხრებული იყო (მურვანისა) მის ყრუობითგან და იგი განაახლა აშოტ და აღაშენა აგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი... და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“. (იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიანე, გვ. *574/343 — 344, შეადარეთ გიორგი მერჩულე, გვ. 103).

---

[1] იხ. გვ. *574/343.

[2] იოანე საბანის-ძე, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტანუჯი ამის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე რჩება ქართველთა სამეფოს დედაქალაქად.

დ.

815 — 826 წწ.

«ქართველთა სამეფო»ს ქვეყნების ხელმეორედ განთავისუფლება

აშოტ I-მა, მას შემდეგ რაც იგი გამაგრდა შავშეთ-კლარჯეთში, როგორც ირკვევა, ყოველმხრივ გამოიყენა ეს დროებითი შესვენება, თანდათან შემოიკრიბა და დარაზმა ძალები; ამის შემდეგ მან ისევ განაახლა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ იბერიის მხარეთა გასანთავისუფლებლად.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 815—820 წლებში ანტი-არაბული ფრონტისათვის კავკასიაში ისევ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. ამ დროს არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადაუდგა მხედართმთავარი ხატიმ იბნ-ხარსამი, რომელიც ხალიფის მიერ დანიშნული იყო კავკასიის მმართველად. ამავე დროიდანვე ძლიერდება ადარბადაგანში (აზერბაიჯანში) ჰურამიტების მოძრაობა बაბეკის მეთაურობით.

განხეთქილებამ კავკასიაში დამკვიდრებულ არაბ ბელადებს შორის, რაც შედეგად მოჰყვა კავკასიის ყოფილი მმართველის ხატიმ იბნ-ხარსამის განდგომას, გამოიწვია არაბთა ყოფილი ძლიერების შესუსტება კავკასიაში. „მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი (არაბნი) და განდიდნა აშოტ“ — ამ სიტყვებით ახასიათებს შექმნილ ვითარებას ძველი ქართველი ისტორიკოსი[1].

აშოტ I სავსებით ისარგებლებს შექმნილი საერთაშორისო ვითარებით.

აშოტ I განაახლებს ბრძოლას; იწყებს რა შეტევას არაბთა წინააღმდეგ შავშეთ-კლარჯეთიდან, აშოტ I თანდათან გაანთავისუფლებს და გააერთიანებს თავის მფლობელობის ქვეშ იბერიის ქვეყნების შეტ ნაწილს და დაიჭერს აგრეთვე ალბანიის სანაპირო თემებსაც, ვიდრე ბარდავის ქალაქამდე.

მემატიანე სუმბატ დავითის-ძე ბაგრატიონთა ისტორიაში მოგვითხრობს, რომ აშოტ I, რომელმაც დაიწყო ბრძოლები შავშეთ-კლარჯეთიდან, — „კვალად ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალ გზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“[2] (გვ. 574—344).

გიორგი მერჩულის ძეგლში ასევე აღნიშნულია ის დიდი წარმატება, რომლისათვისაც მიუღწევია აშოტ I-ს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და რამაც აშოტ I-ს დიდი მხედართმთავარის სახელი მოუპოვა. ხელმწიფემან აშოტ — „დაიპყრნა მრავალნი ქვეყანანი“ — აღნიშნავს გიორგი მერჩულე (იხ. გვ. 103$_{13-14}$).

გრიგოლ ხანძთელი თავის სიტყვაში აშოტ I-ის გარდაცვალების გამო ასე გვისურათებს—ჰანეგირიკულ ტონებში—აშოტ I-ის სამხედრო ძლიერებას და ღვაწლს:

„ჰოი მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ხოლოდეო ქრისტიანეთაო, სადაით-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავლით, ჩრდილოით-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რამეთუ წყობით (ბრძოლით) ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ხელმწიფე“. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 45).

---

[1] იხ. მატიანე ქართლისა. გვ. *441/219.

[2] გვ. * 574/344.

აშოტ I ამ ბრძოლების წარმოების დროს, როგორც ირკვევა, კავშირში შესულა მეორე ფეოდალურ ქართულ სახელმწიფოსთან, დასავლეთ საქართველოს სამეფოსთან, რომელიც, როგორც მოხსენებული გვქონდა, ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამაზე ადრე, მე-8 საუკუნის დასასრულს. ასე ძველ ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა"-ში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მთავარი ლაშქრობის დროს, რომელიც ჩაუტარებია აშოტ კურაპალატს შიდა-ქართლის მხარეთა დასაპყრობად და შემოსამტკიცებლად, აშოტ კურაპალატის მოკავშირედ ყოფილა დასავლეთ საქართველოს მეფე თეოდოსი I (799—825) [1].

აშოტ I-ს ეს ბრძოლები, რომელიც მას უწარმოებია არაბებთან 815 — 820 წლების მანძილზე, ძირითადში დაუსრულებია 820 წლის ახლო. სომეხთა ისტორიკოსს ვარდან დიდს დაცული აქვს ცნობა, რომ ამ ხანებში, როდესაც მოკლულ იქმნა ბიზანტიის კეისარი ლეონ V, ე. ი. 820 წლისათვის, „კურაპალატ აშოტს დაეპყრო ქვეყნები კლარჯეთიდან მოყოლებული ვიდრე ტფილისამდე, აგრეთვე (იბერიის) მთიანი მხარე" [2].

ამ დროისათვის, 820 წლისათვის, აშოტ I იმდენად გაძლიერებულა და მისი მდგომარეობა იმდენად ყოფილა გამტკიცებული, რომ აშოტ I ერეოდა მეზობელ კავკასიის ხალხთა საქმეებში, მათ მოსარჩლედ და მეურვედ გამოდიოდა. სწორედ ამ დროს, 820 წელს ეკუთვნის შემდეგი ცნობა სომეხთა ისტორიკოსის ვარდანისა: როდესაც მუსულმან მფლობელს ჯამასპს დაუჭერია სომხეთის დედაქალაქი დვინი, აშოტ I გამოსარჩლებია სომხებს და უთხოვია ბიზანტიის იმპერატორისათვის დახმარება გაეწია სომეხთათვის. აშოტს, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, სჩანს უცქეროდნენ როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტი-არაბული ფრონტისას კავკასიაში.

უფრო გვიან, დაახლოვებით 820—826 წლებს შორის, აშოტ I-ის მიერ შექმნილი „ქართველთა სამეფო"-ს შემადგენლობაში შესულა ალბანეთის სანაპირო მხარე ვიდრე ბარდავის ქალაქამდე [3].

•

აქ საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ალბანეთის ამ სანაპირო მხარის საზღვრების საკითხზე, რადგან ეს კითხვა დღემდე სათანადოდ გაშუქებული არ ყოფილა.

თავდაპირველად გასარკვევია საკითხი: სად გასდევდა ამ დროს ეთნოგრაფიული საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის, ე. ი. სად თავდებოდა ქვემო-ქართლის თემები და საიდან იწყებოდა ალბანეთი.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ეთნოგრაფიული საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის ამ ეპოქაში გასდევდა მდინარეების ბერდუჯის (საგიმის) და კოტმანის სანახებში. ამის მიხედვით ყაზახ-შამშადილის მხარე (ე. ი. ტერიტორია, რომელიც მე-19 საუკუნეში შეადგენდა ყაზახის მაზრას განჯის გუბერნიისას)—ეს იყო ქვემო ქართლის ნაწილი, ხოლო ამის აღმოსავლეთით, შამქორის სექტორიდან, იწყებოდა ალბანეთი.

---

[1] იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 142/219.

[2] იხ. ვარდან დიდი, ვენეტიკი, 1862 წ., გვ. 78.

[3] იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. * 574/344.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელდობრ ამ ეპოქის საისტორიო წყაროები ამ საგანზე შემდეგ ცნობებს შეიცავს:

1. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (VIII ს.) ცნობით, ალაზანზე აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი ქვემო ქართლისა ეს იყო გ ა რ დ ა ბ ა ნ ი ს ანუ ხ უ ნ ა ნ ი ს პროვინცია[1]. ცენტრი ამ პროვინციისა იყო ქალაქი ხუნანი, რომელიც, როგორც ეს დასტურდება საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით, მდებარეობდა მტკვრის პირად (ამის გამო ხუნანს ერქვა „მ ტ კ ვ რ ი ს ც ი ხ ე“), იმ პუნქტში, სადაც მდინარე ალისტევი (იგივე ახისტევი, ახლანდელი ალსტაფის წყალი) ერთვის მდინარე მტკვარს[2]. ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი ქვემო ქართლში შემავალი ამ გარდაბანის პროვინციისა, იმავე ლეონტი მროველის ცნობით, იყო მდინარე ბერდუჯი, რომელსაც შემდეგ ეწოდა საგიმი (ახლანდელი ზეგამი, ძეგამი)[3]. ამრიგად ქვემო-ქართლის გარდაბანის პროვინცია მოიცავდა მთლიანად ყაზახ-შამშადილის მხარეს (ყოფილ ყაზახის მაზრას).

2. მეორე ქართველი ისტორიკოსი ამავე ეპოქისა — ვახტანგ გორგასარის ცხორების აღმწერელი—აგრეთვე ადასტურებს, რომ მდინარე ბურდუჯი წარმოადგენდა საქართველოს ეთნოგრაფიული ტერიტორიის აღმოსავლეთ მიჯნას, რომ ბერდუჯი მომდინარეობდა „საზღვართა ზედა ქართლისა და რანისათა (ალბანეთისა)“[4].

3. ალბანეთის ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს აღნიშნული აქვს თავის „ალბანეთის ცხორება“-ში, რომ მოსაზღვრე პუნქტი იბერიისა და ალბანეთისა იყო ხ ა ლ ხ ა ლ ი. ასევე სომეხთა ისტორიკოსს ელისეს მოსაზღვრე პუნქტად იბერიისა და ალბანეთისა დასახელებული აქვს იგივე ხალხალი. ხოლო ხალხალი მდებარეობდა სწორედ ბერდუჯის-ზეგამის წყალის ხეობაში (ეს არის თანამედროვე ხალხალი ძეგამის წყალის ხეობის ზემო ნაწილში)[5]. ამ რიგად ალბანეთისა და სომხის ისტორიკოსთა ცნობა ქართლისა და ალბანეთის საზღვარის შესახებ ზუსტად უდგება ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველისა და ვახტანგ გორგასარის მემატიანის ცნობას.

4. ცალკეა აღსანიშნავი ჩვენება ჯუანშერის მატიანისა, რომელიც ლეონტი მროველზე ოდნავ გვიან ხანას (IX საუკუნის მეორე ნახევარს) ეკუთვნის. ჯუანშერის მატიანის ჩვენების თანახმად აღმოსავლეთი საზღვარი ქვემო ქართლისა არის მდინარე კოტმანი, რომელიც მდებარეობს იმავე ბერდუჯის

---

[1] იხ. ლეონტი მროველი გვ. *129/20—21, *293/116, *103/6, *108·8, *112/14, * 140/27, *148/31, *165/40, *186/53.

[2] ხ უ ნ ა ნ ი ს სანახებში მდებარეობდა ა გ ა რ ა ნ ი, რომელიც იყო საეპისკოპოსო კათედრა მცხეთის საკათალიკოზოსი გარდაბანის პროვინციაში (იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა გვ. * 392/179). აგარათა საეპისკოპოსო არის იგივე ხუნანის ანუ ხუნანაკერტის (ჰუნარაკერტის) საეპისკოპოსო, რომელიც მოიხსენება ქართლის საკათალიკოზოს საეპისკოპოსოთა სიაში 506 წლის საეკლესიო კრების აქტებში.

სომხური უსახელო გეოგრაფიისა და სხვა სომხური წყაროების ცნობებით ხუნანი (ხუნანაკერტი, ჰუნარაკერტი) მდებარეობდა ძ ო რ ი ს თემში, რომელიც მოიცავდა ალისტევის (ალსტაფის) ხეობას და რომელიც აღმოსავლეთით აკრავდა კოლბის თემს.

ხუნანის ლოკალიზაციისათვის ცნობებს იძლევიან აგრეთვე არაბული წყაროები,.

[3] იხ. ლეონტი მროველი, გვ. *97/2, *104/6, *115/15, *129/20, *140/27. — ბერდუჯის და საგიმის (ძეგამის) იგივეობის შესახებ იხ. ქამთა-აღმწერელი, გვ. *739/560.

[4] იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *295/118.

[5] იხ. მოსე კალანკატუელი, 1912 წ., გვ. 128; ელისე, 1893 წ. გვ. 65. ხალხალის ლოკალიზაციის საკითხის გამო შეად. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 г. გვ. 223.

სექტორში, ათიოდე კილომეტრით აღმოსავლეთით ბურდუჯიდან [1]. საზღვარის ხაზს დროთა განმავლობაში, როგორც ირკვევა, მცირეოდენა ცვლილება განუცდია და ათიოდე კილომეტრით გადაწეულა აღმოსავლეთისაკენ.

ასეთია ის ცნობები, რომელსაც შეიცავენ საისტორიო წყაროები ქართლისა და ალბანეთის ეთნოგრაფიული საზღვარის შესახებ დასახელებულ ეპოქაში.

აშოტ I-ის დროს ალბანეთის ტერიტორია, როგორც ვნახეთ, ორგზის ყოფილა შემოერთებული, სხვადასხვა მოცულობით:

პირველად, 809—813 წლებში აშოტ I-ს სამფლობელოში შედიოდა ალბანეთის ტერიტორია ვიდრე ბარდავამდე, თვით ქალაქ ბარდავისა და მისი თემის ჩათვლით (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *573/343).

ხოლო მეორე გზის, 820—826 წლებში, ალბანეთის ტერიტორია შემოერთებული ყოფილა უფრო მცირე მოცულობით „ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა". თვით ქალაქი ბარდავი და მისი თემი ამ მეორე გზის აღებული არ ყოფილა, ბარდავი ისევ არაბთა ხელში დარჩენილა (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *574/344).

რაკი ქართლისა და ალბანეთის ეთნოგრაფიული საზღვარი იყო მდინარეების ბერდუჯის და კოტმანის სანახები, ტერიტორია, რომელიც შემოუერთებია აშოტ I-ს ალბანეთიდან, შემდეგი მოცულობის ყოფილა:

1. პირველად, 809—813 წლებში, შემოერთებული მხარე მოიცავდა ტერიტორიას დაწყებული მდინარეების ბერდუჯ-კოტმანის ზონიდან—ვიდრე მდინარე თერთერის ზონამდე, სადაც მდებარეობს ქალ. ბარდავი (ე. ი. მოიცავდა განჯის მხარეს მთლიანად და ყარაბაღის მხარის ჩრდილო ნაწილს).

2. მეორედ, 820—826 წლებში შემოერთებული მხარე მოიცავდა იმავე ტერიტორიას თერთერის ზონის გამოკლებით, ე. ი. აშოტ I-ს სამფლობელოში ამ მეორეგზის შედიოდა განჯის ნხარე მთლიანად (ყარაბახის სექტორის მიუთვლელად).

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ალბანეთის ეს ტერიტორია შედიოდა საქართველოს ფარგლებში არა მარტო აშოტ I-ს დროს, არამედ უფრო გვიანაც, მე-10 საუკუნის 20-იან წლებშიაც, ეს ტერიტორია დაკავშირებული ყოფილა საქართველოსთან (გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოსთან) [2].

*

ასეთი იყო ისტორია იბერიის მხარეთა განთავისუფლებისა არაბთა მფლობელობიდან აშოტ I დიდის დროს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა განახლებულ „ქართველთა სამეფო"-ს და რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა ძველი იბერიის მეტი ნაწილი.

სახელდობრ აშოტ I-ის დროს შექმნილს ქართველთა სამეფოში, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, გაერთიანებულა შემდეგი ტერიტორიები:

ა. მესხეთის ქვეყნები (ე. ი. პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაონი, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი);

---

[1] იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. * 428/208.

[2] იხ. მე-10 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათოლიკოზის (დრასხანაკერტელის) ცნობა, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. შიდა ქართლის ქვეყნები ვიდრე ქსნის ხეობამდე და ტფილისამდე, ქართლის მთიულეთის თემებით [1];

გ. ლიხის იმიერი ქართლი (ვიდრე სკანდეს ხაზამდე) [2];

დ. ქვემო ქართლის ქვეყნები მთლიანად (პროვინციებია: ტაშირი, თრიალეთი, აშოცი,გარდაბანი)—ვიდრე მდინარეების ბერდუჯი—კოტმანის ხაზამდე [3].

ე) ამას გარდა, როგორც აღნიშნული გვქონდა, აშოტ I-ის დროს ქართველთა სამეფოში შეეიდა აგრეთვე ქვემო-ქართლის სანაპიროზე მდებარე ალბანეთის თემები „ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა“ (განჯის მხარე).

ამრიგად, უკვე წინად ჩამოყალიბებული სამი ქართული ფეოდალური სახელმწიფოების (დასავლეთ-საქართველოს, კახეთისა და ჰერეთის) გვერდით აშოტ I-ს დროს შეიქმნა მეოთხე ქართული სახელმწიფო საქართველოს იმ ნაწილში, სადაც უფრო მეტ ხანს იყვნენ გამაგრებული არაბები და სადაც არაბთა მფლობელობამ გასტანა საუკუნე ნახევარზე მეტი დრო.

აშოტ I-ის დროს განახლებული „ქართველთა სამეფო“ მნიშვნელოვან მისიას შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის განმტკიცებისათვის ადრეულ საშუალ-საუკუნეებში.

აშოტ I-ის შემდეგ ბრძოლა არაბებთან არ დასრულებულა, იგი არა ნაკლების სიმწვავით გრძელდებოდა შემდეგაც, მაგრამ აშოტ I-ის დროს განახლებული „ქართველთა სამეფო“ უძღვებოდა ამ ბრძოლას და ბოლომდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ვიდრე იმ დრომდე, როდესაც ქართული ფეოდალური სახელმწიფოები გაერთიანდნენ ერთი მთლიანი ფეოდალური მონარქიის სახით. და როდესაც მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე შეიქმნა ეს ახალი მთლიანი საქართველოს სახელმწიფო, მთავარი წვლილი გაერთიანების საქმეში „ქართველთა სამეფო“-ს სახელმწიფო მოღვაწეებმა შეიტანეს. ამ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ჩადგა იგივე ხელისუფლება, იგივე დინასტია, რომელიც მანამდე, აშოტ I-ის დროიდან მოკიდებული, „ქართველთა სამეფო“-ს მეთაურობდა.

ე.

იბერიის („ქართლის“) ქვეყნების პოლიტიკური ცენტრის გადატანა შიდა-ქართლიდან მესხეთში

ამ პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათაგან, რომელიც ჩატარებულ იქმნა აშოტ I-ის დროს, და რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ახლად შექმნილი სამეფოს მდგომარეობის განმტკიცებას, აქ ცალკეა აღსანიშნავი ერთი გარემოება,—ახალი სამეფოს პოლიტიკური ცენტრის წინდახედული არჩევანი, შეფარდებული იმ საერთაშორისო ვითარებასთან, რომელშიაც მოქცეული იყო აღმოსავლეთი საქართველო ამ ეპოქაში.

აშოტ I-ის დრომდე პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკური მეტროპოლია იბერიის ქვეყნებისა იყო ცენტრალური ქართლი (არმაზ-მცხეთ-თბილისის

---

[1] იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *442/219, ვარდან დიდი, ციტირებული ადგილი.

[2] რომ ლიხის იმიერი ქართლი (აღმოსავლეთის არგვეთი, რომლის ცენტრი იყო პუნქტი ჩიხა) მე-9 საუკუნეში შედიოდა ქართველთა სამეფოში, იხ. ამის შესახებ მატიანე ქართლისა, გვ. *446/223.

[3] კერძოდ ტაშირის, თრიალეთის და აშოცის შესახებ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *445/223.

ზონა) და ეს არა ერთი და ორი საუკუნე, არამედ ათეული საუკუნის განმავლობაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე არაბთა მფლობელობის დამყარებამდე. არაბთა მფლობელობის დროსაც რეზიდენცია იბერიის („ქართველის") ერისმთავრისა აგრეთვე არის იგივე ცენტრალური ქართლი.

ხოლო აშოტ I-ის დროს პოლიტიკური ცენტრი იბერიის ქვეყნებისა გადატანილ იქმნა დასავლეთ მესხეთში. მას შემდეგაც, რაც 815—826 წლებში აშოტ I-ის მიერ შემოერთებულ იქმნა შიდა-ქართლი და ქვემო-ქართლის ქვეყნები, აშოტ I-მა პოლიტიკური ცენტრი არ დასძრა მესხეთის მივარდნილი და განადგურებული კუთხიდან—შავშეთ-კლარჯეთიდან და არ გადმოიტანა იგი არც მცხეთაში (რომელიც იბერიის ძველ ისტორიულ დედა-ქალაქს წარმოადგენდა, ხოლო ამ დროს იყო საეკლესიო და კულტურული მეტროპოლია ყველა ქართული ქვეყნებისა), არ გადმოიტანა პოლიტიკური ცენტრი არც უფლის-ციხეში (რომელიც ადრეულ საშუალ-საუკუნეებში შიდა-ქართლის მთავარი ციხე-ქალაქი იყო და მთელი ამ მხარის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენდა), და არც ქვემო-ქართლის ისტორიულ ქალაქებში.

ამაში სჩანს საერთაშორისო ვითარების სწორი და შორს გამიზნული შეფასება, ის დიდი პოლიტიკური ტაქტი, რომლითაც ხასიათდება საქმიანობა აშოტ I-ისა და მის თანამოღვაწეთა.

მესხეთის ქვეყნები, განსაკუთრებით დასავლეთ-მესხეთის მთიანი თემები ჭოროხის ხეობაში ჯერ ერთი ნაკლებ მისაწვდომი იყო არაბთა ექსპანსიისათვის; ამასთან ეს მხარე მდებარეობდა ბიზანტიის მეზობლად, რომელიც ბუნებრივი მოკავშირე იყო იბერიისა არაბებთან ბრძოლაში.

ამრიგად პოლიტიკური ცენტრის გადატანა შუა-ქართლიდან (სადაც გზა ხსნილი ჰქონდათ არაბებს)—იბერიის ქვეყნების შორეულსა და კარგად დაცულს ზურგში, წარმოადგენდა უაღრესად წინდახედულს, ქვეყნის მომავლისათვის სწორად გამიზნულს, პოლიტიკურად გამართლებულ ღონისძიებას. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად, რასაკვირველია), რომ არაბობა ასე ადვილად ვერ გაუმკლავდა იბერიის ამ განახლებულ სამეფოს და ახლად შექმნილი პოლიტიკური მეტროპოლია დასავლეთ მესხეთში გადაიქცა ქართული სახელმწიფოებრივობის მკვიდრ ციტადელად.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად იბერიის ახალი დედაქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი დაარსებულ იქმნა აშოტ I-ის დროსვე, ახალი იბერიის სანეფოს („ქართველთა სამეფოს"-ს) აღდგენისთანავე.

ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, რომელიც კლარჯეთის თემში მდებარეობდა, რჩება იბერიის („ქართველთა სამეფო"-ს) დედაქალაქად მე-9 საუკუნეში. აქ არის რეზიდენცია როგორც აშოტ I-ისა, ისე მის მემკვიდრეთა.

მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე ჭოროხის ხეობაში, ამიერ-ტაოს (ძველ-ქართული ტაოს) პროვინციაში დაარსდა აგრეთვე მეორე სახელმწიფოებრივი ცენტრი „ქართველთა სამეფოსი" (ბანა). დაწყებული ამ დროიდან — ვიდრე საქართველოს გაერთიანებამდე—ქართველთა მეფეების მთავარი რეზიდენცია არის ეს ახალი ცენტრი—ტაოში. (უფრო გვიან ბაგრატ III-ის დროიდან, გაერთიანებული საქართველოს ცენტრი ხდება ქუთაისი, ხოლო დავით აღმაშენებელის დროიდან მეტროპოლია საქართველოს სახელმწიფოსი ისევ გადმოტანილ იქმნა თბილისში, იბერიის ამ ძველ დედაქალაქში).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგაც, რაც დასავლეთ მესხეთში შე-

იქმნა ახალი ცენტრი ტაოში და რეზიდენცია ქართველი მეფეებისა არტანუჯიდან აქ იქმნა გადმოტანილი, არტანუჯს ამის შემდეგაც არ დაკარგავს მნიშვნელობა.

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი სწერს არტანუჯის შესახებ (როდესაც არტანუჯი უკვე აღარ იყო მეფეების რეზიდენცია და მხოლოდ საოლქო ცენტრს წარმოადგენდა):

„არტანუჯის ციხე დიდად გამაგრებულია და აქვს დიდი «რაბატი», როგორც მხარის მთავარ ქალაქს შეშვენის. აქ თავს იყრის საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან (დასავლეთ საქართველოდან), სომხეთიდან და სირიის ყველა ქვეყნიდან და ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს. არტანუჯის მხარე, ესე იგი არზენი, დიდია და მდიდარი, — იგი არის გასაღები იბერიისა, აბაზგიისა (დასავლეთ-საქართველოსი) და მესხეთისა"[1].

ამას სწერს ბიზანტიის იმპერატორი იმ არტანუჯის შესახებ, რომლის სანახები მე-9 საუკუნის დასაწყისში, როდესაც აქ პირველად დამკვიდრდა აშოტ I, ტყით დაბურულს გავერანებულ კუთხეს წარმოადგენდა. 813 წლის ახლო, ქართლიდან გადმოხვეწილმა ლტოლვილებმა ამ უდაბურ ქვეყანაში პირველად ჩაუყარეს საფუძველი არტანუჯის ციხე-ქალაქის მშენებლობას.

რა ცვლილება განუცდია ქვეყანას მის შემდეგ! განადგურებული და უკაცრიელი მხარე ქართველი მოახალშენეების თავდადებული რუდუნებისა და შრომის შედეგად აყვავებულ ქვეყანად გადაქცეულა.

3.

ბიზანტიის იმპერიისა და „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური დამოკიდებულება მე-9 — 10 საუკუნეებში.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც აქ შევჩერდებით გიორგი მერჩულისა და სხვა ძველ-ქართული საისტორიო წყაროების ცნობებთან დაკავშირებით, — ეს არის ბიზანტიის იმპერიისა და „ქართველთა სამეფო"-ს პოლიტიკური დამოკიდებულება დასახელებულ ეპოქაში.

საისტორიო წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ხაზი ბიზანტიის იმპერიის მიმართ სხვადასხვანაირი იყო, ისევე როგორც სხვადასხვანაირი იყო თვით ამ სამეფო-სამთავროების დაარსების ისტორიული პირობები და შემდგომი მათი საერთაშორისო ვითარება.

დასავლეთ-საქართველოს სამეფოში—სახელმწიფოებრივი პოლიტიკა გარკვევით ანტი-ბიზანტიურ სახეს ატარებს. ამას ის გარემოება განსაზღვრავდა, რომ დასავლეთი საქართველო, ვიდრე იგი დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ამიტომაც დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მიმართულია ბიზანტიის გავლენიდან ემანსიპაციისაკენ. ამ საგანზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, როდესაც განვიხილავთ გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებს დასავლეთ საქართველოს შესახებ.

რაც შეეხება იბერიას, აქ არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა. იბერიის პოლიტიკური მოწინააღმდეგე ეს არის პირველ რიგში არაბული ხალიფა-

---

[1] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit, თავი 46, გვ. 207.

ტი, ხოლო ბიზანტია—ბუნებრივი მოკავშირე. ამის გამო ახლად შექმნილი იბერიის სახელმწიფოს („ქართველთა სამეფო"-ს) პოლიტიკა ძირითადში ორის პრო-ბიზანტიური და ანტი-არაბული.

ამ გარემოებამ ახლად დაარსებული „ქართველთა სამეფო" ბიზანტიის იმპერიასთან პოლიტიკურ კავშირთან მიიყვანა. აქ ჩვენ შევეცდებთ გავარკვიოთ თუ რა ხასიათისა და რა მოცულობის იყო ეს კავშირი.

*

„ქართველთა სამეფო"-ს ხელისუფლების მეთაურნი, როგორც ეს დასტურდება გიორგი მერჩულის ცნობებით და სხვა საისტორიო წყაროებით აშოტ I-ის დროიდანვე ატარებენ ორს ტიტულს: „მ ე ფ ე" და „კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი". გიორგი მერჩულის ძეგლში აშოტ I ასეა მოხსენებული:

„მ ე ფ ე აშოტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი" [1].

რა პოლიტიკურ შინაარს შეიცავდა ეს ორმაგი ზედწოდება „მეფე" და „კურაპალატი"?

„ქართველთა სამეფო"-ს მეთაური, რამდენადაც იგი ატარებდა ტიტულს „მეფე", ითვლებოდა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებელ ხელმწიფედ; საშუალ-საუკუნებრივი პოლიტიკური ფორმულის თანახმად იგი იყო „მეფე—ნებითა ღმრთისაითა", რომლის უფლება მომდინარეობს არა რომელიმე გარეშე ძალისაგან, გარეშე სახელმწიფოსაგან, არამედ რომლის უფლება თვით ღვთაებისაგან არის დამყარებული. გიორგი მერჩულის სიტყვით მეფე აშოტ I არის „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ხელმწიფე", რომლისა „მ ე ფ ო ბ ა" დაამკვიდრა ქრისტემან [2]. (თვით თქმულება ქართველ მეფეთა დავით მეფე წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობის შესახებ, რომელიც ამ ხანაში გავრცელებას ღებულობს, და რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, იმ შეხედულების განსამტკიცებლად იყო გამოყენებული, რომ ქართველი მეფეები დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამოუკიდებელი ხელმწიფენი არიან).

რაც შეეხება მეორე ტიტულს „კურაპალატი"—ეს წოდება, როგორც ცნობილია, ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტული იყო. ის გარემოება, რომ „ქართველთა სამეფო"-ს მეთაური ატარებდა არა მარტო ტიტულს „მეფე", არამედ აშავე დროს ატარებდა ამ მეორე ტიტულსაც „კურაპალატი", იმისი მაჩვენებელია, რომ ქართველთა მეფე ერთგვარ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ბიზანტიის იმპერატორისაგან (კეისრისაგან), რომელიც ამ ეპოქაში მთელი აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთგვარ უზენაეს მეთაურად იყო მიჩნეული.

ვიდრე შევუდგებოდეთ იმის გარკვევას, თუ რა ხასიათისა იყო ეს დამოკიდებულება, რა რეალურ შინაარსს შეიცავდა იგი. ან რა მიზნებს ისახავდა ქართველთა სამეფოს მეთაური, როდესაც მან მეფის ტიტულთან ერთად კურაპალატის ტიტული მიიღო, ჯერ საჭიროა დავადგინოთ, თუ რა დროიდან ღებულობს აშოტ I „მეფისა" და „კურაპალატის" ტიტულებს.

---

[1] იხ. გვ. 38_{23-24}.

[2] იხ. გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

წყაროების ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ აშოტ I-ს „მეფის“ ტიტული მიუღია თავიდანვე, 809—813 წლებში, როდესაც პირველად იქმნა განთავისუფლებელი იბერიის ქვეყნები არაბთა ბატონობისაგან.

ხოლო კურაპალატის ტიტული აშოტს მიუღია შავშეთ-კლარჯეთში გადასახლების შემდეგ, ისიც არა პირველ ხანებში (აშოტ I გადასახლდა შავშეთ-კლარჯეთში 813 წლის ახლო), არამედ უფრო გვიან, თავის მეფობის უკანასკნელ წლებში (არა უადრეს 818 წლისა).

აქ აღძრული საკითხის გამო ჩვენებებს იძლევა ძველ-ქართული ძეგლი „მატიანე ქართლისა“ და აგრეთვე ოპიზის წარწერები.

„მატიანე ქართლისა“ იმ ნაწილში, რომელშიაც იგი ეხება აშოტ I-ის მეფობის პირველ პერიოდს, დაზიანებულად არის მოღწეული (აკლია ტექსტი) [1]. საგრამ გადარჩენილი ნაწილიდან ცხადია, რომ აშოტ I-ს ჯერ მიუღია მეფის ტიტული, ხოლო შემდეგ ტიტული კურაპალატისა. სახელდობრ მატიანეში აღნიშნულია, რომ ჯერ განდიდნა „მ ე ფ ო ბ ა“ აშოტისა, რომელიც ეუფლა „ქართლს (იბერიას) საზღვართა მისთა“, ხოლო უფრო გვიან მოთხრობილია, რომ „ბერძენთა ნეფემან (ცეისარმა) მიუბოძა კურაპალატობა აშოტს“; კურაპალატობის ბოძება აშოტისათვის მაშინ მომხდარა, როდესაც აშოტ I უკვე შავშეთ-კლარჯეთში ყოფილა გადასული (ისიც არა პირველ ხანებში, არამედ გვიან, სახელდობრ ერთი წლით ადრე აშოტ I-ის გალაშქრებისა გრიგოლ მთავრისა და თბილისის ამირას წინააღმდეგ) [2].

სრულიად გარკვეულ ჩვენებას აქ აღძრულ საკითხის გამო იძლევა ოპიზის წარწერები.

აშოტ I-მა დიდი მშენებლობა ჩაატარა ოპიზაში, კლარჯეთის მხარის ამ უძველესსა და უმნიშვნელოვანეს სავანეში. აშოტს მეორედ აუშენებია ოპიზის მთავარი სავანე, ხოლო სავანის გვერდით აშოტს აუგია მთელი წყება ნაგებობათა, საოსტიგნე და პალატები, რაც ბრწყინვალე ხელოვნებით არის შესრულებული.

ცხადია, ეს დიდი მშენებლობა ოპიზაში აშოტს დაუწყია არა 813 წელს, როდესაც იგი არაბთაგან ლტოლვილი გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში, არამედ უფრო გვიან, როდესაც ქვეყანამ მოღონიერება დაიწყო და ასეთი დიდი და საპარადო მშენებლობის ჩატარების შესაძლებლობა შეიქმნა.

ოპიზის წარწერებიდან ირკვევა ამასთან, რომ ოპიზის მთავარი პალატის (საოსტიგნის) შენება 4 წელს გაგრძელებულა. თუ მშენებლობის დასაწყისს ვივარაუდებთ არა უადრეს 815 წლისა (ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე იგი სავარაუდებელი არაა), მშენებლობის დასრულება მოუწევს არა უადრეს 818 წლისა.

და აი ოპიზის საოსტიგნის წარწერაში, რომელიც აშოტის დროს ეკუთვნის (წარწერა თვით აშოტის სახელით არის შესრულებული) და რომელიც მოგვითხრობს მშენებლობის დასრულებაზე, აშოტს მიემართება მხოლოდ მეფის ტიტული, ხოლო კურაპალატად იგი ჯერ კიდევ არ მოიხსენება.

---

[1] იხ. ამის შესახებ სპეციალურ ექსკურსში.

[2] იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *141 — 142/219 (და შენიშვნა 2). შეად. ანა—დედოფლისეული ნუსხა, გვ. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოსტიგნის დასახელებულ წარწერაში ჩვენ ვკითხულობთ;

„ესე მე ატ მნ დ წელსა გვა[შცნე]“ [1].

ანუ ქარაგმა გახსნით:

„ესე მე აშოტ მეფემან ოთხ წელსა გავა[შცნე]“ [2].

ამრიგად 818 წლის ახლო, რომელზედაც ადრინდელ დროს ვერ მიეკუთვნება ოპიზის საოსტიგნის მშენებლობის დასრულება, აშოტ მარტოოდენ მეფის ტიტულით მოიხსენება, კურაპალატის ტიტული მას არ მიემართება.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე ძეგლი—ოპიზის ცნობილი ბარელიეფი, სადაც წარმოდგენილნი არიან: ცენტრში—ქრისტე, მარცხნით— აშოტ, მარჯვნით— დავით წინასწარმეტყველი [3]. აშოტ ამ ბარელიეფზე სიმბოლიზებულია როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაითა“. აშოტი წარმოდგენილია აქ როგორც შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, რომლის შთამომავლად ითვლებოდა თვით ქრისტე და ამის გამო აშოტის მეფობის უფლებაც თვით ღვთაებისაგან წარმომდინარედ იგულისხმება.

(აქ ჩვენ გვაქვს სრული შესაბამისობა გიორგი მერჩულის ტექსტთან, სადაც აშოტ I მოიხსენება როგორც „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ხელმწიფე“, რომლისა „მ ე ფ ო ბ ა“ დაამკვიდრა ქრისტემან)

აღსანიშნავია, რომ არც ამ ბარელიეფზე, სადაც აშოტი მეფის სახით არის სიმბოლიზებული, წარწერაში მას არ მიემართება კურაპალატის ტიტული.

ყოველივე ამის მიხედვით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, მაშასადამე ირკვევა, რომ აშოტ I-ს მეფის ტიტული მიუღია თავიდანვე 809—813 წლებში (როდესაც პირველად იქმნა განთავისუფლებული იბერიის ქვეყნები არაბთა ბატონობისაგან); ხოლო კურაპალატის ტიტული, მეფის ტიტულის დაცვით, მას მიუღია უფრო გვიან, თავის მეფობის უკანასკნელ წლებში, არა უადრეს 818 წლისა.

*

რით იყო გამოწვეული და რას აღნიშნავდა კურაპალატის წოდების მიღება აშოტის მიერ, რომელიც უკვე ატარებდა „მეფის“ ტიტულს.

ეს ცხადია მოასწავებდა ერთგვარი დამოკიდებულების აღიარებას ბიზანტიის კეისრისაგან, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, მთელი აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთგვარი უზენაეს მეთაურად ითვლებოდა.

მაგრამ ნიშნავდა ეს ვასალიტეტს? როგორც ირკვევა არა. სინამდვილეში ეს იყო, როგორც შემდეგ დავინახავთ, მხოლოდ პოლიტიკური კავშირი, და არა ვასალიტეტი. ხოლო რაც შეეხება კურაპალატის წოდების მიღებას, ეს თავისთავად სრულებითაც არ მოასწავებდა ვასალობის აღიარებას. კურაპალატის ტიტული, როგორც ცნობილია, არა ერთხელ მიუღიათ ბიზანტიის კეისრისაგან დასავლეთ ევროპის დამოუკიდებელ მეფეებს, როგორც მაგალითად

---

1 იხ. ნ. მარი, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию (ТР. VII, 1911 г.), გვ. 162 — 163.

2 წარწერა აქამდე სწორად ამოშიფრული არ იყო. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ წარწერაში წარმოდგენილი სახეობა მეფის ტიტულის დაქარაგმებისა ამავე სახითვე არის წარმოდგენილი სპერის პროვინციის ოთხთა-ეკლესიის წარწერაში მე-10 საუკუნისა, რომელიც ეკუთვნის დავით დიდ კურაპალატს, და რომელიც გადმოღებული აქვს აკადემიკოს ე. თაყაიშვილს. პატივცემულ აკადემიკოსს გულითად მადლობას მოვახსენებთ ოთხთა-ეკლესიის წარწერის პირის გადმოცემისათვის.

3 იხ. ბარელიეფის გამოცემა ე. თაყაიშვილის შრომაში, Археологические экскурсии, разыскания и заметки, II (1905 г.), 56 — 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკების, ბურგუნდების. ოსტ-გუთების ხელმწიფეებს, რომლებიც ბიზანტიის ვასალები არას დროს არ ყოფილან.

იბერიის („ქართველთა სამეფოს") და ბიზანტიის ურთიერთობა რეგულირებული ყოფილა ხელშეკრულებებით, რომელიც ისეთ უფლებრივ ურთიერთობას ამყარებდა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის, რაც არ შეიძლება შეფასებულ იქმნას როგორც ვასალიტეტი.

რომ ჩვენ სწორად გავიგოთ ამ პოლიტიკური კავშირის რეალური შინაარსი, გავიგოთ ამასთან ის მიზნები, რომელსაც ისახავდა ამ კავშირის შეკვრის დროს როგორც ბიზანტია, ისე ქართველთა სამეფო, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა ისტორიულ პირობებში წარმოიშვა ეს კავშირი.

პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი:

აშოტ I, როდესაც იგი დაუკავშირდა ბიზანტიას, არ იყო ამის წინარე ხანაში რაიმე ვასალურ დამოკიდებულებაში ბიზანტიისაგან. იბერია ამის უწინარეს საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში არაბების მფლობელობაში იმყოფებოდა. აშოტ I საკუთარი ძალებით აუჯანყდა არაბებს და ფაქტიურ დამოკიდებულებას მიაღწია.

აშოტ I, პირველი დამარცხების შემდეგ, 813 წლის ახლო, გადავიდა და გამაგრდა შავშეთ-კლარჯეთში. არც ეს კუთხე, შავშეთ-კლარჯეთი, არ შეადგენდა ბიზანტიის უშუალო სამფლობელოს, არამედ აგრეთვე არაბთა გავლენის ზონად ითვლებოდა (როგორც ნაწილი იბერიისა), ხოლო სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, სრულებით განადგურებულსა და მიტოვებულ მხარეს წარმოადგენდა [1].

ბიზანტია აშოტ I-ის მიერ წარმოებულ ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ ცხადია თანაგრძნობით ეკიდებოდა, მაგრამ ბიზანტია ამ ეპოქაში საკმაოდ უძლური იყო, რომ გამოეჩინა დიდი აქტივობა. ბიზანტიის სიმპატიები აშოტ I-ის საქმისადმი, როგორც სჩანს, მხოლოდ უბრალო „კეთილი სურვილებით" ამოიწურებოდა. ყოველ შემთხვევაში ბიზანტიას, როგორც ირკვევა, არ გაუწევია რაიმე რეალური დახმარება, როდესაც აშოტ I შავშეთ-კლარჯეთიდან ხელახლა შეუდგა იბერიის ქვეყნების შეკრებას, გაანთავისუფლა არაბთა მფლობელობისაგან შიდა-ქართლი და ქვემო-ქართლი და ქართველთა სამეფოს საზღვრები ბარდავის კარამდე მიიტანა. თუ კი ბიზანტიელებს რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ამ ბრძოლებში, წყაროებში იქნებოდა ამის შესახებ ჩვენება (ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სამეფოს დაარსების გამო აღნიშნულია, რომ ლეონ II-ემ ქვეყნის განთავისუფლება შესძლო ხაზართა ძალების დახმარებით). ხოლო წყაროები ბიზანტიელთა რაიმე დახმარების შესახებ სდუმს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მე-8 საუკუნის დასასრულს (ე. ი. ათიოდე წლის უწინარეს) ბიზანტიას განუდგა დასავლეთი საქართველო, ბიზანტიამ ვერ შესძლო თავის უფლებების დაცვა, თავის ხელისუფლების აღდგენა ამ მხარეში. ცხადია, მით უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო ბიზანტიის მიერ აქტივობის გამოჩენა თავის საზღვრების გარეთ, რაიმე საგრძნობი დახმარების გაწევა

[1] რომ ჭოროხის ხეობა ამ ეპოქაში არ შეადგენდა ბიზანტიის სამფლობელოს, არამედ არაბთა გავლენის ზონაში ითვლებოდა, ეს სჩანს როგორც ქართულ წყაროებიდან (ასე იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიანე, გვ. *573—574/343, სტრ. 8—12, 23, შეად. გვ. *576/346, სტრ. 1—3), ისე სომხური წყაროებიდან (იხ. ლევონდი, ისტორია ხალიფთა, სომხ. ტექსტი, 1887 წ. გვ. 168, რუსული თარგმანი კ. პატკანიანისა 1862 წ., გვ. 116).

აშოტ I-სათვის, როდესაც იგი ბრძოლებს აწარმოებდა არაბებთან შიდა-კავკასიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი იბერიის ქვეყნების განთავისუფლება და „ქართველთა სამეფოს“-ად დგენა აშოტ I-ს დროს მომხდარა საკუთარის ძალებით და არა ბიზანტიის დახმარებით, გასაგები ხდება იმის შემდეგ თვით ხასიათი ამ კავშირისა.

ამ კავშირში დაინტერესებული იყო ორივე მხარე.

პირველ რიგში ამ კავშირში ცხადია დაინტერესებული იყო უფრო სუსტი მხარე,—ქართველთა სამეფო, რადგან თუნდაც პოლიტიკური თანაგრძნობა-მეზობელი დიდი ქვეყნის ბიზანტიის მხრით, ხოლო მომავლისათვის შესაძლებლობაც ბიზანტიის დახმარებისა, ახლად შექმნილი ქართველთა სამეფოს მდგომარეობის განმტკიცებისათვის ცხადია უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

მეორეს მხრით ამ კავშირში დაინტერესებული იყო ბიზანტია, რადგან იბერია უზრუნველყოფდა ბიზანტიისათვის მეტად მნიშვნელოვან ფლანგს—არაბული ხალიფატის სანაპიროზე.

ხოლო რა სახისა იყო ეს კავშირი, რა შინაარსს შეიცავდა და რა მიზნებს ისახავდა იგი, ეს ირკვევა პირველ რიგში იმ ცნობებიდან, რომელსაც გადმოგცემს ისეთი ავტორიტეტული პირი, როგორიც არის თვით ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი.

*

1. თავდაპირველად აქ შევჩერდებით მოკავშირე მხარეთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების გარანტირების საკითხზე.

ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლი (De administrando imperio) ამ საგანზე უაღრესად საყურადღებო ცნობებს იძლევა.

ამ ცნობებიდან დასტურდება, რომ ორივე მხარე — ბიზანტია და იბერია ცნობდენ ორივე ქვეყნის ტერიტორიულ ხელშეუხებლობასა და საზღვრების უცვლელობას. საზღვრები ბიზანტიასა და იბერიას (ქართველთა სამეფოს) შორის ფიქსირებული ყოფილა საგანგებო ხელშეკრულებებით. ასე მაგალითად, ბულლაში, რომელიც მოცემულია ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ I-ის (914—944 წ.წ.) მიერ აშოტ II ქართველთა კურაპალატისადმი (923—954 წ.წ.) აღნიშნულია, რომ აშოტ II ქართველთა კურაპალატმა — არ უნდა გადასწიოს საზღვრები თავისი სამფლობელოებისა წინანდელ იმპერატორებთან დადებულ ხელშეკრულებათა საწინააღმდეგოდო [1].

კონსტანტინე პორფიროგენეტს მოთხრობილი აქვს ორი მეტად საყურადღებო შემთხვევა ბიზანტიისა და იბერიის პოლიტიკური ურთერთობის ისტორიიდან, რომელიც სწორედ საზღვრების საკითხს ეხება, და საიდანაც ჩვენ ვხედავთ, რომ იბერია არ იყო უბრალო ვასალი ბიზანტიისა, არამედ მოკავშირე უუფლებო სახელმწიფო, რომელიც მტკიცედ ატარებდა თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს.

მეათე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ხელში ჩაეგდო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი თეოდოსიოპოლი (ახლანდელი არზრუმი)

[1] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 45, გვ. 202.

და სანაპირო პროვინციები თეოდოსიოპოლის გარშემო, რომელიც წინათ ბიზანტიელებს ეკუთვნოდა, ხოლო ამ დროს არაბებს ეჭირათ.

იბერია („ქართველთა სამეფო") თუმცა მოკავშირე იყო ბიზანტიისა, მაგრამ იბერიის ხელისუფლებას სახიფათოდ მიუჩნევია ბიზანტიის მიერ ახალი ტერიტორიების შეძენა და ამრიგად ბიზანტიის მეტისმეტი გაძლიერება საქართველოს საზღვარზე. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იბერიელები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიდნენო ბიზანტიელებს თეოდოსიოპოლის აღებაში და ფარულად ხელს უმართავდნენო კიდეც თეოდოსიოპოლის მოსახლეობას პროვიანტის მიწოდებით.

„ქართველთა სამეფო"-ს ფარგლებში ამ დროს შედიოდა „ქაჯის ციხე" *, რომელიც მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ საზღვართან, ეფრატის ხეობის სათავეებში, იმ თემში, რომელსაც ერქვა „ქართლის გზა" (შემდეგ-დროინდელი „გურჯი-ბოღაზი").

ეს „ქაჯის ციხე" უშუალოდ ესაზღვრებოდა თეოდოსიოპოლის (არზრუმის) სანახებს და კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით ქართველები სწორედ ამ სანაპირო ციხიდან აწარმოებდენ თეოდოსიოპოლის მოსახლეობის ფარულად მომარაგებას.

ბიზანტიის იმპერატორებმა არა ერთგზის სცადეს მოლაპარაკების გზით მიეღწიათ შეთანხმებას იბერიის მეფე-კურაპალატებთან; ბიზანტიის იმპერატორები ითხოვდნენ, რათა იბერიელებს ნება დაერთოთ ბიზანტიელებისათვის დროებით შეეყვანათ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონი, რათა ამ გზით კონტროლი გაეწიათ თეოდოსიოპოლის მომარაგების საქმისათვის და შეეწყვიტათ ფარული მიწოდება პროვიანტისა თეოდოსიოპოლის მოსახლეობისათვის. ბიზანტიის იმპერატორები წერილობითს ვალდებულებას ღებულობდნენ, რომ ისინი დასტოვებდნენ ქაჯის ციხეს, როგორც კი თეოდოსიოპოლს აიღებდნენ.

მაგრამ იბერიის ხელისუფლება ამაზე არ დათანხმებულა. იბერიის მთავრობამ განუცხადა ბიზანტიის იმპერატორს, რომ ისინი ნებას ვერ დართავენ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის შეყვანაზე, ხოლო ბიზანტიის იმპერატორს შეუძლია გამოგზავნოს თავისი ხელისუფალი, ან ტურმარქი, ან ერთერთი თავისი დაახლოებული პირი, რომელიც იცხოვრებს ქაჯის ციხეში და შეასრულებს მეთვალყურის როლს; იგი დარწმუნდებაო, რომ არავითარი სურსათის მოწოდება ქაჯის-ციხის გზით თეოდოსიოპოლის მოსახლეობისათვის არ სწარმოებსო.

ამ წინადადებამ ბიზანტია არ დააკმაყოფილა. ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ I (919—944) შემდეგ სწერდა იბერიის მთავრობას თავის საპასუხო ეპისტოლეში:

„რა სარგებლობას მივიღებთ ისისგან, რომ გამოვგზავნოთ ტურმარქი ან ვინმე დაახლოებული პირთაგანი; თუნდაც ისინი მოვიდნენ 10 ან 12 კაცის თანხლებით, ისინი დადგებიან იქ, სადაც თქვენ მიუთითებთ და მათ არ ექნებათ საშუალება მეთვალყურეობა გაუწიონ ქალაქში (თეოდოსიოპოლში) შემავალ ქარავანებს, ვინაიდან მრავალი გზები მიემართება თეოდოსიოპოლისაკენ; ამასთან ქარავანებს აქვს საშუალება ისე შევიდნენ თეოდოსიოპოლში ღამით, რომ ისინი (წარმოგზავნილნი პირნი) ვერავითარ ეჭვსაც კი ვერ აიღებენ" [2].

[1] Κατζέον → Κετζέον. ციხის სახელწოდება გახსნილი აქვს აკად. მ. ბროსეს, როგორც „ქაჯის ციხე".

[2] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit, თავი 45, გვ. 200.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ეს მოლაპარაკება ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის დროებით შეყვანის შესახებ გაჭიანურებულა ... ქმის ნახევარი საუკუნე; იგი დაწყებულა ჯერ ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI-ის დროს (886—911), გაგრძელებულა რომანოზ I-ის მეფობის ხანაში და შემდეგ თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის დროსაც, ვიდრე მე-10 საუკუნის მეორე მეოთხედამდე, მაგრამ ბიზანტიას ვერ მიუღწევია თავისი მიზნისათვის, ბიზანტიელებს ყველა მათ წინადადებებზე ყოველთვის მტკიცე უარი მიუღიათ იბერიელებისაგან.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ასე ამთავრებს თავის მოთხრობას ამ უშედეგო მოლაპარაკებათა შესახებ:

„ამ რიგად იბერიელებმა, რომელთაც არ სურდათ თეოდოსიოპოლის დანგრევა, არამედ პირიქით ამარაგებდნენ კიდეც მას სურსათ-სანოვაგით, არ ისმინეს და არ გადმოსცეს ქაჯის ციხე, თუმცა მათ (იბერიელებმა) წერილობითაც კი მიიღეს ფიცი (ბიზანტიელთაგან). რომ თეოდოსიოპოლის აღების შემდეგ ისინი (იბერიელები) უკან მიიღებდნენ ამ ციხეს. იბერიელებს არას გზით არ სურდათ დაერბიათ და წარეტყვევნათ თეოდოსიოპოლის ციხის გარეშემო მდებარე ადგილები და მისი სოფლები, ასევე აბნიკის ციხე და მისი გარეშემო სოფლები, აგრეთვე მანასკერტის ციხე და მისი მიწა-წყალი“[1].

არა ნაკლებ დამახასიათებელია მეორე შემთხვევა, რომელზედაც მოგვითხრობს იგივე კონსტანტინე პორფიროგენეტი.

923 წელს ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთ წევრს აშოტ კისკასს სამფლობელოდ გადაცემული ჰქონდა ქალაქი არტანუჯი. აშოტ კისკასი კონფლიქტში იმყოფებოდა საქართველოს სხვა მთავრებთან; აშოტ კისკასმა აცნობა ბიზანტიის იმპერატორს, რომ იგი თავის სამფლობელო ქალაქ არტანუჯს უთმობს ბიზანტიას. ბიზანტიის იმპერატორის დავალებით არტანუჯში გამოცხადდა საგანგებო მოხელე პროტოსპათარი კონსტანტი მანკლავიტი, ბიზანტიელთა ჯარის თანხლებით; მან არტანუჯის ციხეზე ბიზანტიის დროშა აღმართა და იმპერატორის სახელით გამოაცხადა, რომ არტანუჯი ამიერიდან ბიზანტიას ეკუთვნის, რადგან იგი მისმა უშუალო მფლობელმა აშოტ კისკასმა დაუთმოო იმპერატორს.

ბიზანტიის ასეთმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია იბერიაში. ქართველთა მეფემ დავით II-ემ და სხვა ქართველმა მთავრებმა მისწერეს ბიზანტიის იმპერატორს, რომ თუკი იმპერატორი შეეცდება იბერიელთა ტერიტორიის მიტაცებას, შეეცდება დაეპატრონოს არტანუჯს, იბერიელები კავშირს შეკრავენ არაბებთან, ომს გამოუცხადებენ ბიზანტიას და იბერიის ჯარებს დასძრავენ ბიზანტიის წინააღმდეგ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ასე ამთავრებს თავის მოთხრობას ამ კონფლიქტის გამო;

„როდესაც იმპერატორმა გაიგო ამის შესახებ (იბერიელთა მუქარის შესახებ) ზემოხსენებულ მთავრების წერილებიდან, და აგრეთვე იმ პირებისაგან (ელჩებისაგან), რომელნიც გამოგზავნილნი იყვნენ იბერიელთა მიერ, იმისი შიშით, რომ იბერიელნი არ შეერთებოდნენ სარკინოზებს და რომ მათ (იბერიელებს) არ გამოეყვანათ ჯარი რომაელთა (ბიზანტიელთა) წინააღმდეგ, — იმპერატორმა იუარა, რომ მას არტანუჯის ციხისა და მისი თემის აღების შესახებ სრულებითაც არაფერი არ მოუწერია პროტოსპათარი კონსტანტი მანკლავიტისათვის (ე. ი. იმ პირისათვის, რომელმაც არტანუჯში ბიზანტიელთა ჯარი-

[1] იხ. იქვე.

შეიყვანა და არტანუჯის ციხეზე ბიზანტიის დროშა აღმართა), არამედ ყველაფერი მან (კონსტანტი მანკლავიტმა) თავისი სისულელით მოიმოქმედა[1].

ამრიგად ბიზანტიის იმპერატორმა იბერიელთა მუქარის შემდეგ უკან დახია და იმპერატორი იძულებული გახდა ტყუილი განცხადებითაც კი გამოსულიყო, ვითომც ყველაფერი მისი ხელისუფალის თვითნებურ მოქმედებას წარმოადგენდა. ამის შემდეგ არტანუჯის ციხიდან ბიზანტიის დროშა ჩამოხსნეს და ბიზანტიელთა ჯარი გაყვანილ იქმნა.

ასე დასრულდა ბიზანტიის და იბერიის ეს კონფლიქტი.

მოყვანილი ორი შემთხვევა ბიზანტია-საქართველოს ამ ეპოქის ისტორიიდან კარგად გვისურათებს, თუ რა ხასიათისა იყო ის პოლიტიკური ურთიერთობა, რაც ბიზანტიასა და იბერიას (ქართველთა სამეფოს) შორის დამყარებულა. ცხადი ხდება, რომ იბერია ამ ეპოქაში არ ყოფილა ვასალი ბიზანტიისა, არამედ სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო. იბერიის მეფე და კურაპალატი სცნობდა ბიზანტიის კეისარს, როგორც უზენაეს იმპერატორს მთელი საქრისტიანო მსოფლიოსი, მაგრამ საქმე ამ ფორმალურ ცნობის იქით არ მიდიოდა. ქართველთა სამეფო აწარმოებდა თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომლისაგან იგი არ უხვევდა მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს (როგორც ეს ვნახეთ ქაჯის ციხისა და თეოდოსიოპოლის შესახებ დიპლომატური მოლაპარაკების ისტორიიდან).

ამასთან ქართველთა სამეფო სრულიად დამოუკიდებელი იყო შინაურ საქმეებში.

*

2. ბიზანტიისა და იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური კავშირის რაობისა და რეალური შინაარსის შესახებ საისტორიო წყაროებიდან ირკვევა აგრეთვე ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება.

რით აიხსნება, რომ იბერიის მეფეები ასე დიდად აფასებდნენ „კურაპალატი"-ს ტიტულს?

ქართველთა მეფეები, როდესაც ისინი ღებულობდნენ ბიზანტიისაგან კურაპალატის ხარისხს, ამით თუმცაღა სცნობდნენ ერთგვარ ფორმალურ დამოკიდებულებას ბიზანტიის მსოფლიო იმპერიისაგან, მაგრამ ამის სანაცვლოდ ქართველთა სამეფოს ბიზანტიის იმპერიისაგან მიუღია მეტად მნიშვნელოვანი დათმობა.

თუ რაში მდგომარეობდა ეს დათმობა ბიზანტიის მხრით, ამას ქვემოთ განვიხილავთ. ჯერ კი ერთი შენიშვნა ქართველთა მეფის ამ ორმაგ ტიტულზე „მეფე" და „კურაპალატი". ქართველთა მეფე, როგორც „მეფის" ტიტულის მატარებელი, იყო მფლობელი საქართველოს (იბერიის) ქვეყნებისა, ხოლო როგორც „კურაპალატის" ტიტულის მატარებელი იგი იყო მფლობელი არა მხოლოდ საკუთრივ იბერიისა, არამედ აგრეთვე „აღმოსავლეთისა". ამიტომაც ქართველთა მეფეს ეწოდებოდა არა მხოლოდ „ქართველთა კურაპალატი", არამედ აგრეთვე „აღმოსავლეთისა კურაპალატი".

ასე, მაგალითად, დავით დიდი კურაპალატი თანამედროვე ძეგლში მოიხსენება ასეთის ტიტულით:

---

[1] იხ. იქვე, თავი 46, გვ. 212.

„ძლიერი და ღმრთის მსახური მეფე და ყ ო ვ ლ ი ს ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ა კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი“ [1].

ეს ტიტული „აღმოსავლეთისა კურაპალატი“ არის ხარისხი არა მარტოოდენ დავით კურაპალატისა, არამედ, როგორც ირკვევა, საერთოდ ასეთი პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა ქართველი მეფეების ამ ტიტულს „კურაპალატი“.

ხოლო რომელი „აღმოსავლეთის“ ქვეყნები იგულისხმება აქ? აქ იგულისხმება ბიზანტია-რომის იმპერიის ძველი სამფლობელოები კავკასიის სანაპიროზე, რომელიც არაბთა ხალიფატის შექმნის წინარე ხანაში ბიზანტიას ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ არაბების ხელში გადავიდა. აი ამ „აღმოსავლეთის“ ქვეყნების შესახებ ყოფილა მიღწეული შეთანხმება ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის, რომელშიაც ბიზანტია დიდ დათმობაზე წასულა იმ დათანხმებულა, რომ აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომელნიც წინათ ბიზანტიასთან და ერთიანი ფრონტი არაბების წინააღმდეგ. სახელდობრ ბიზანტია დათანხმებულა, რომ აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომელნიც წინათ ბიზანტიას ეკუთვნოდა, და რომელთაც ქართველები დაიპყრობდნენ ან თავის ძალით, ან-და თუნდაც ბიზანტიის ჯარების დახმარებითაც. ეს ქვეყნები, წინათ ბიზანტიისადმი კუთვნილი, გადავიდოდა ქართველთა სამეფოს მფლობელობაში.

ამ საგანზე ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის არსებულა საგანგებო ხელშეკრულება, რომელიც ახლდებოდა ყოველი ახალი ბიზანტიის იმპერატორის მიერ ტახტზე ასვლის დროს და ასევე ქართველთა მეფის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღების დროს.

ასე კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობილ ძეგლში მოყვანილია შინაარსი იმ ბულლისა, რომელიც მიეცა ბიზანტიის კეისრის რომანოზ I მიერ კურაპალატს აშოტ II-ს. ამ ბულლაში შემდეგი ყოფილა აღნიშნული.

„კურაპალატი იძლევა პირობას, რაც მან თავისი საკუთარი ხელმოწერით და ფიცით დაამტკიცა, რომ იგი ყოველთვის იქმნება ერთგული ჩვენი (ბიზანტიის) იმპერიისა, აწარმოებს ომებს ჩვენს მტრებთან და იარაღით დაეხმარება ჩვენს მეგობრებს. რომ იგი დაუმორჩილებს ჩვენს უფლებას აღმოსავლეთს, დაიპყრობს ციხეებს და მოიმოქმედებს ჩვენს ასარგებლოდ დიად საქმეებს“.

ხოლო ბიზანტიის იმპერატორი ამის სანაცვლოდ აძლევს თანხმობას, რათა იბერიელებმა დაიპყრან თეოდოსიოპოლი და მტრების (ე. ი. არაბების) მიერ დაჭერილი სხვა ქალაქები („აღმოსავლეთის ქვეყნები“, რომლებიც წინათ ბიზანტიას ეკუთვნოდა), და ეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა მარტო ქართველები შესძლებენ ამ ქალაქების აღებას, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა ქართველები ამ ქალაქებს დაიჭერენ ბიზანტიელი ჯარების დახმარებითაც [2].

ხოლო მეორე ბულლაში, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა მისცა იმავე აშოტ II კურაპალატს, შემდეგი ყოფილა აღნიშნული:

„ქვეყნები, რომელიც მას (აშოტ კურაპალატს) და მის ნათესავს ადარნერსე მაგისტროსს თავისი ძალით დაუპყრიათ არაბებისაგან, ან-და რომელსაც ამის შემდეგ მომავალში დაიპყრობენ (—იგულისხმება თეოდოსიოპოლის მხარე და მისი მეზობელი ბასიანის, აბნიკის მასტატის და მანასკერტის თემები, რომლებიც წინათ, არაბთა მფლობელობამდე, ბიზანტიის ფარგლებში შედიო-

---

[1] იხ. ანდერძი მე-10 საუკუნის ოშკური ხელნაწერისა (დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 244).

[2] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი. op. cit., თავი 45, გვ. 202.

და), — დარჩეს მისი (აშოტ კურაპალატის) მბრძანებლობისა და ძალაუფლების ქვეშ“ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ აღსანიშნავია განსხვავება ერთ მუხლში, რომელსაც ჩვენ ვხედავთ რომანოზ I-ისა და კონსტანტინე პორფიროგენეტის ბულლებს შორის. რომანოზ I-ის ბულლის პირდაპირი აზრის თანახმად ქართველთა მფლობელობაში უნდა გადასულიყო როგორც ის ქვეყნები, რომელთაც ქართველები საკუთარი ძალით დაიპყრობდნენ, ისე ის ქვეყნებიც, რომელიც დაპყრობილი იქმნებოდა ქართველების მიერ ბიზანტიელთა დახმარებით. ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის ბულლა ქართველების საკუთრებად აღიარებს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც ქართველების საკუთარი ძალით იქნება დაპყრობილი.

როდესაც ბიზანტიისა და ქართველების ექსპანსია „აღმოსავლეთის ქვეყნებში“ გაძლიერდა, ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა იმის გამო, თუ ვის უნდა რგებოდა ესა თუ ის „აღმოსავლეთის“ ქვეყანა. ქართველები და ბიზანტიელები ძველად დადებულ ხელშეკრულებებს სხვადასხვანაირ განმარტებას აძლევდნენ. ქართველები მოითხოვდნენ „აღმოსავლეთის“—თეოდოსიოპოლის მხარის ყველა მთავარ პროვინციებს; ხოლო ბიზანტიელები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ამ ქვეყნების დაპყრობაში, ქართველების პრეტენზიას უსაფუძვლოდ სთვლიდნენ. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო ცნობები იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლში. კონსტანტინე პორფიროგენეტი, თვით ბიზანტიის იმპერატორი, საქმის ვითარებას ცხადია წარმოგვიდგენს ბიზანტიისათვის სასარგებლო გაშუქებით. კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობს, რომ ქართველები არა თუ არ გვეხმარებოდნენ ამ მხარის დაპყრობაში, არამედ ხელს გვიშლიდნენო კიდეც და ფარულად მტრებს ხელს უმართავდნენო.

სინამდვილეში კი საქმის ვითარება ასე ყოფილა.

ქართველები, როგორც ეს ირკვევა ყველა შენახული ცნობების შეფარდებიდან, თავდაპირველად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში არაბების წინააღმდეგ, რათა განედევნათ ისინი „აღმოსავლეთიდან“, თეოდოსიოპოლის მხარიდან, ბასიანიდან, აბნიკის, მასტატის, მანასკერტის ოლქებიდან. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ ბიზანტიელები თვით აპირებენ ყველა ამ ქვეყნების შეერთებას, ქართველებს ბრძოლა შეუნელებიათ. ქართველებს სახიფათოდ მიუჩნევიათ ბიზანტიის ზედმეტი გაძლიერება უშუალოდ საქართველოს სანაპიროზე; ქართველები სჩანს არჩევდნენ, რომ სადაო პროვინციები დროებით ისევე სუსტი მხარის, არაბთა ამირების ხელში დარჩენილიყო, ვიდრე ეს პროვინციები ამ თავითვე უშუალოდ ბიზანტიის ხელში გადასულიყო. ქართველები სჩანს არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ამ პროვინციებს საბოლოოდ თითონ ჩაიგდებდნენ ხელში.

თუ ვის უნდა რგებოდა „აღმოსავლეთის“ ესა თუ ის პროვინცია, ამ საგანზე ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება სწარმოებდა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის და იგი მე-10 საუკუნის ნახევარში კომპრომისული გადაწყვეტილებით დამთავრდა. სახელდობრ საზღვრად ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის დადებულ იქმნა მდინარე არაქსი. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე თემები (ჩრდილოეთი ბასიანი) შეუერთდა ქართველთა სამეფოს, ხოლო არაქსის სამხრეთით მდებარე თემები შეუერთდა ბიზანტიას.

---

[1] იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, იქვე.

კონსტანტინე პორფიროგენეტი საზღვარის გაყვანის გამო შემდეგსა სწერს:

„საზღვრად (ბიზანტიასა და იბერიას შორის) ბასიანის მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი (ბასიანისა), რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლს, თავის ციხეებითა და სოფლებით, უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას), ასე !რომ მდინარე არაქსი დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“[1].

*

ასეთის კომპრომისით გადაწყდა ეს სადაო საკითხი საზღვრების გამო მე-10 საუკუნის შუა წლებში.

მაგრამ დავა ამით არ დასრულებულა.

რამდენიმე ათეული წლების შემდეგ, 978 წელს, ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას განუდგა ბარდა სკლიაროსი, რომელმაც ჩამოაშორა იმპერიას ანატოლიის პროვინციები და ემუქრებოდა თვით კონსტანტინეპოლს. ბიზანტიის ხელისუფლებამ დახმარებისათვის მიმართა ქართველთა სამეფოს და დახმარების სანაცვლოდ პირობა დასდო დაეთმო ქართველთა სამეფოსათვის მთლიანად ძველი სადაო „აღმოსავლეთის“ ქვეყნები.

ქართველთა სამეფოს ხელისუფლებამ (რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი ამ დროს იყო დავით დიდი) მიიღო ეს წინადადება. ქართველებმა დახმარება გაუწიეს ბიზანტიას და ამის შემდეგ საქართველოს შემოუერთდა „აღმოსავლეთის“ ეს სადაო ქვეყნები, თეოდოსიოპოლის (არზრუმის) მხარე მთლიანად, ყველა მოსაზღვრე პროვინციებით.

სახელდობრ საქართველოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები:

1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს;

2. ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში;

3. ჩორმაირის თემი—მდინარე ჭოროხის სათავეებთან;

4. სამხრეთი ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში;

5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან;

6—7. ჰარქისა და აპაჰუნის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში[2].

*

ამრიგად 978 წელს ქართველებმა მტკიცედ მოიდგეს ფეხი არაქსის, დასავლეთ ევფრატის და აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობებში.

ქართველთა სამეფო არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით.

ამის შემდეგ ქართველთა სამეფო (რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი, როგორც მოვიხსენეთ, იყო დავით დიდი კურაპალატი, „მოურავი“ ქართველთა სახელმწიფოსი)—განაახლებს შეტევას მუსულმანთა წინააღმდეგ ფართო ფრონტით და დიდ წარმატებას მიაღწევს.

978—990 წლებს შორის ქართველებს დაუპყრიათ ბაგრევანდის პროვინცია—ცენტრით ქალაქ ვალაშკერტით, აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში[3].

---

[1] იხ. იქვე, თავი 45, გვ. 205.

[2] იხ. ასოლიკი, 1883 წ. გვ. 192.

[3] იხ. ასოლიკი, გვ. 267—8.

990 წელს ქართველებმა აიღეს იმავე აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში მნიშვნელოვანი ცენტრი—ქალაქი მანასკერტი, განდევნეს აქედან მუსულმანები და ქალაქი ქრისტიანებით, ქართველებითა და სომხებით დაასახლეს [1].

ამავე დროსვე, მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედში ახლადშემოერთებულ „აღმოსავლეთის" ქვეყნებში დაარსებულ იქმნა ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო ვალაშკერტისა, რომელიც ამის შემდეგ არსებობდა ნომდევნო საუკუნეთა მანძილზე და მცხეთის საკათოლიკოზოს ფარგლებში შემოდიოდა.

მე-10 საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქს ხლათს.

998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) [2].

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად არა-სამართლიანი ყოფილა საყვედური კონსტანტინე პორფიროგენეტისა, თითქო ქართველები მუსულმანების მიმართ შემარიგებლობას იჩენდნენო და არა თუ არ უტევდნენ მუსულმანებს, არამედ ხელს უმართავდნენ კიდეც მათო.

სინამდვილეში ჩვენს წინაშე სულ სხვა სურათი იშლება. მას შემდეგ, რაც დავა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის აღმოსავლეთის ქვეყნების გამო ქართველთა სამეფოს სასარგებლოდ გადაწყვეტილა და ქართველებს უკვე აღარ ჰქონდათ იმისი შიში, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ მათ შეეცილებოდა ბიზანტია,—ქართველებს გამოუმჟღავნებიათ განსაკუთრებული აქტივობა და გაორკეცებულის ენერგიით გაუშლიათ ანტიარაბული ფრონტი აღმოსავლეთში.

*

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს ბიზანტიის იმპერიისა და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, საიდანაც ცხადი ხდება, თუ რა ხასიათის იყო, რა რეალურ შინაარსს შეიცავდა ის კავშირი, რაც ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის დამყარებულა.

აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა სამეფოს ზოგჯერ გამწვავებული ურთიერთობა და კონფლიქტებიც კი ჰქონდა ბიზანტიასთან, მაინც ქართველთა სამეფო დიდად აფასებდა კავშირს ბიზანტიასთან და არ უხვევდა ერთხელ აღებულს პრო-ბიზანტიურ ხაზს. ეს ყოველმხრივ გამართლებული იყო იმდროინდელი საერთაშორისო ვითარებით, რაც კარგად ჰქონიათ შეფასებული ქართველთა სამეფოს პოლიტიკის ხელმძღვანელებს. ქრისტიანული ბიზანტია ბუნებრივი მოკავშირე იყო ქართველთა სამეფოსი იმ ბრძოლებში არაბულ-მუსულმანურ მსოფლიოსთან, რომელსაც ქართველთა სამეფო აწარმოებდა ეროვნული თვითმყოფობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, თავისი არსებობის გადასარჩენად.

(გაგრძელება იქნება)

---

[1] იხ. იქვე.

[2] იხ. იქვე, გვ. 269—274.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი — „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ ტ. 1—2.

★

ანტიკური და ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის სწავლება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული დარგების ფარგლებში საკმაო მოცულობით არის გათვალისწინებული. ბერძნული მწერლობის ისტორიის ჯეროვნად დაყენებული კითხვა, სათანადო ცოდნით აღჭურვილი ლექტორის გარდა, კარგად შედგენილ და მეცნიერულ პრინციპებზე აგებულ სახელმძღვანელოსაც გულისხმობს. იმას ვერ ვიტყვით, რომ ბერძნული მწერლობის ისტორიის სახელმძღვანელო ბოლო ხანებამდე არ მოიპოვებოდა, მაგრამ ერთი რამ უცილობელი ფაქტია არა მარტო დღემდე არსებული ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელო, არამედ რუსულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებიც (ზოგიერთი ბოლო დროს გამოქვეყნებულიც კი) ვერ აკმაყოფილებდნენ უმაღლესი სასწავლებლების მეტად გაზრდილ მოთხოვნილებას. მათი ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ ანტიკური საზოგადოების ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვა არ იყო აგებული მარქსისტული თეორიისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამის მთავარი მიზეზი კლასიკური ფილოლოგიის დასავლეთ ევროპული წარმომადგენლების წინაშე ქედის მოხრა იყო.

მარქსიზმის კლასიკოსთა აზრით, ანტიკური საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივ — ეკონომიურ ფორმაციას, სოციალურ ურთიერთობათა განსაზღვრულ სისტემას, რომელიც გარკვეული კანონების მიხედვით ვითარდებოდა და არა კულტურულ-ისტორიულ კომპლექსსა და „ინდივიდების მექანიკურ აგრეგატს“, როგორც ამას ბურჟუაზიული მეცნიერება ქადაგებს. ანტიკური საზოგადოების ისტორია პირველად მარქსისა და ენგელსის შრომებში იქნა აღიარებული, როგორც კლასობრივი ბრძოლის ისტორია. მარქსიზმის კლასიკოსები ანტიკურ საზოგადოებას ახასიათებენ, როგორც მონათმფლობელურ საზოგადოებას.

ძველი საბერძნეთის იდეოლოგია — კაცობრიობის ისტორიაში, ეს ერთერთი ფრიად საინტერესო მოვლენა ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის იყო და არის „საბერძნეთის საკვირველება“, რაღაც ირაციონალური... მარქსიზმი კი ჩვენ გვასწავლის და გვიხსნის იმ მიზეზებს, თუ როგორ წარმოიშვა პრიმიტიულ ეკონომიურ ბაზაზე და პრიმიტიული სოციალური ურთიერთობის დროს ბერძენთა სულიერი ცხოვრების არაჩვეულებრივი აყვავება, თუ როგორ შეიქმნა ისეთი კულტურული ღირებულებანი, რომლებიც ათეული საუკუნეების მანძილზე შუქურა ვარსკვლავებივით ანათებდნენ და რომლებიც „ჩვენ კიდევ ხელოვნებითს სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და განსაზღვრულის მხრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი, 1932, გვ. 36)

ძველი ბერძნული იდეოლოგია, კერძოდ ბერძნული მწერლობა, მარქსიზმის კლასიკოსთა მოძღვრების თანახმად ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონის შრომის ბაზაზე აღმოცენდა.

მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ანტიკურობისადმი. მარქსიზმის კლასიკოსთა მაღალი შეფასება ანტიკური კულტურისა, ამ კულტურის აღმოცენებისა და განვითარების მარქსისტულ-ლენინური ახსნა — აი ის გასაღები, რომელიც ხელთ უნდა ეპყრას მკვლევარს ბერძნული მწერლობის ისტორიის სისტემატური კურსის შედგენის დროს.

ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ წარმოადგენს დაჯამებას იმ კურსისას, რომელსაც ავტორი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სახელმძღვანელო შედგენილია, როგორც ავტორი ამბობს, უნივერ-

სიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, მაგრამ წიგნები ისეა აგებული, რომ თამამად შეიძლება მათი გამოყენება თვითგანვითარებისათვისაც. მათი შესწავლით მსურველს ნათელი წარმოდგენა დარჩება ბერძნული მწერლობის ანტიკურ და ბიზანტიურ პერიოდებზე.

სარეცენზიო წიგნის 1-ლ ტომში, შესავალი თავების შემდეგ, მოდის ეპოსის, ლირიკისა და დრამის აღმოცენება-განვითარების მიმოხილვა ელინურ (resp კლასიკურ) პერიოდში. ამავე პერიოდის პროზაული ლიტერატურა (საფილოსოფიო, საისტორიო, რიტორიკული და ბელეტრისტიკული) წარმოდგენილია 2-ე ტომში, ე. ი. 2-რე ტომი იწყება მე-6 — 5-ე საუკუნეების ლიტერატურული ფაქტებიდან. შემდეგ დაწვრილებითაა განხილული ბერძნული მწერლობის ელინისტური და ბიზანტიური პერიოდები. ამით ავტორი იცავს დებულებას ბერძნული ლიტერატურის უწყვეტელი ხასიათის შესახებ, იმ დებულებას, რომლის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულეს რუსმა ბიზანტინისტებმა — ვასილიევსკიმ, უსპენსკიმ და სხვებმა.

I ტომის 1-ლი პარაგრაფი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციას ეხება. ბერძნული ანტიკურობის სპეციფიური მთლიანობა, რაც მეცნიერულადაა დაფუძნებული მარქსისა და ენგელსის მიერ, ნიშნავს იმას, რომ ძველი ბერძნული ლიტერატურა არის ლიტერატურა ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოებისა. ამით უნდა განისაზღვროს მისი ქრონოლოგიური და ტერიტორიული ჩარჩოები. ს. ყაუხჩიშვილის მიერ წარმოდგენილი სქემა პერიოდიზაციისა სწორედ ამ პრინციპზეა დამყარებული. იგი ბერძნულ მწერლობას ოთხ პერიოდად ჰყოფს და სცილდება გავრცელებულს, მაგრამ არასწორ ტრადიციულ სქემას. ანტიკურობისა და ბიზანტიური პერიოდის მიჯნას ავტორი სავსებით სამართლიანად ატარებს (კონსტანტინეპოლის დაარსებით და რომის დაცემით მთავრდება ანტიკურობა). ძველი და ახალი საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების გასაყარს სწორედ მე-3 საუკუნის მიწურული წარმოადგენს. კარგი იყო, წიგნში თავისი ადგილი ეპოვა ენგელსის მითითებას „ბუნების დიალექტიკაში". ენგელსი პირდაპირ ამბობს: „განსხვავება მსოფლიოს მდგომარეობაში ძველი დროის ბოლოსა, დაახლოებით 300 წ ე ლ ს ა და შუა საუკუნეების — 1453 წელს შორის".

პერიოდიზაციის შემდეგ ავტორი ეხება ბერძნული ენის წარმოშობისა და წინაბერძნული მოსახლეობის საკითხებს, რაც დღეს მეტად აქტუალური და კერძოდ ჩვენთვის — ქართველებისათვის — ფრიად საინტერესო პრობლემას წარმოადგენს. უკვე ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის ხალხებმა (მათ შორის ჩვენმა წინაპრებმა) ელინური კულტურის განვითარების საქმეში.

1-ლი ტომის შესავალში სასურველი იყო წარმოდგენა იმისა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკურ ლიტერატურას მსოფლიო მწერლობის განვითარების საქმეში. ეს უდიდესი როლი მარტო იმაში კი არ არის, ბერძნულ მწერლობაში სამივე დიადი ჟანრი რომ აღმოცენდა, არამედ იმაშიც, რომ მსოფლიო ლიტერატურა არა ერთხელ დაჰბრუნებია ანტიკურობას, როგორც შემოქმედებით წყაროს, როგორც „მარად უჭკნობ ხელოვნებას". ამას ხაზს უსვამს ენგელსი „ბუნების დიალექტიკის" ძველ შესავალში.

ქვევით მოცემულია ბერძენთა საზოგადოებრივ — პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა და ბერძნული მონათმფლობელური საზოგადოების ის დახასიათება, რომელიც მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს. ბერძნული პოეზიის საწყისების განხილვის შემდეგ, ავტორი დაწვრილებით ჩერდება ბერძნული მწერლობის სამივე დარგზე. ეპოსი, ლირიკა და დრამა განხილულია კლასიკური ფილოლოგიის დღევანდელი დონის შესაბამისად. ჟანრების განვითარების გადმოცემის დროს ავტორი სრულიად სამართლიანად იცავს ქრონოლოგიურ პრინციპს. ბერძნული მწერლობისათვის ორიგინალური და დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი ქრონოლოგიური რიგით სცვლის ჟანრების დომინირებას ამა თუ იმ ხანაში.

ჰომეროსისა და ჰომეროსის ეპოსის შესახებ წიგნში ამომწურავი ცნობებია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ავტორის საუბარი იმის შესახებ, თუ რა გამოძახილი ჰპოვა ჰომეროსის ეპოსმა ქართულ მწერლობაში. ასეთი ხასიათის ცნობები წიგნში მრავლადაა გაფანტული. ეს ქართველი მკითხველის ინტერესს კიდევ უფრო მეტად აღძრავს.

ეგრეთწოდებული „ჰომეროსის ჰიმნების" მიმოხილვას მოსდევს საუბარი კიკლიკური ეპოსის შესახებ.

დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენლის, ბეოტიელი მგოსნის ჰესიოდეს და მისი სკოლის ამომწურავი მიმოხილვით მთავრდება ბერძნული ეპოსის გადმოცემა. ავტორი, ჩვეულებისამებრ, არც აქ ივიწყებს ქართულ მწერლობას და გვამცნობს, თუ რა გვხვდება ჰესიოდეს შესახებ ჩვენს ძველ მწერლობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორი ანგარიშს უწევს ქართველ მკითხველს და საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს შინაარსებს. ეს წიგნის, როგორც სახელმძღვანელოს, დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. მეტადრე მაშინ, როცა

ჩვენ ასე ღარიბნი ვართ ანტიკური მწერლობის ნიმუშთა თარგმანებით.

1-ლი ტომ..ს მეხუთე და მეექვსე თავები მთლიანად მიძღვნილი აქვს ბერძნულ ლირიკას. აქ განხილულია ბერძნული ლირიკის ოთხივე დარგი: ელეგია, იამბიკური პოეზია, მელიკა და ქორიკა (საგუნდო ლირიკა). ბერძნული ლირიკის აღმოცენებისა და განვითარების საკითხები ავტორს გადმოცემული აქვს ნათლად, დაწვრილებით. აქ გამოყენებულია უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მეცნიერების მიერ აღმოჩენილი და დამუშავებული მასალა. საინტერესოდაა გადმოცემული ნათესაობა საგმირო ეპოსსა და ბერძნულ საბრძოლო ელეგიას შორის. მოყვანილია მეტად საყურადღებო პარალელები, ჰომეროსის პოემებსა და კალინესა და ტირტეოსის ელეგიებში რომ გვხვდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მსჯელობა ელეგიის აღმოცენების ადგილის, მისი ეტიმოლოგიისა და მისი საზომის შესახებ. ავტორი ელეგიური საზომის წარმოშობას მცირე აზიას უკავშირებს. ჰეგზამეტრი, აქ დაყენებული საკითხის მიხედვით, პენტამეტრისაგან განვითარდა. უძველესი ბერძნული პოეზიის გენეზისისათვის ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლირიკოსების განხილვის დროს, ყურადღება გამახვილებულია ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტებისადმი. ამ ახალი მასალებითაა განხილული საფოსა და ბაკქილიდეს შემოქმედება. ალკმანი, იბიკოსი და სტესიქორე—ავტორს საგუნდო ლირიკაში ჰყავს განხილული. ეს სრულიად სწორთლიანია. ალკმანი ქორიკული პოეზიის ფუძემდებლად ითვლება. იბიკოსი, მართალია, ანაკრეონტისებურად ეროტიკულ ჰანგზე მღეროდა მაგრამ პიროვნული მელიკის წარმომადგენელი იგი არ ყოფილა. იბიკოსის ეროტიკული მოტივი საგუნდო სიმღერაში იშლება ეპიკური მასალის ფონზე, ამის დასადასტურებლად ავტორი იმოწმებს ახლადაღმოჩენილ საგუნდო სიმღერას, რომელიც იბიკოსს პოლიკრატესადმი მიუძღვნია. ეს საგუნდო სიმღერა ეპიკურ ტონზეა აგებული და იბიკოსის ლირიკის ხასიათზე გვაძლევს წარმოდგენას.

ლირიკის განხილვა სრულდება ბაკქილიდესა და პინდარეს შემოქმედების ვრცელი და საინტერესო ანალიზით. აქაც დაწვრილებითაა გადმოცემული შინაარსები და ის მითები, რომლებიც შემოქმედების წყაროს წარმოადგენდნენ.

1-ლი ტომის უკანასკნელი განყოფილება განეკუთვნება ბერძნული დრამის (ტრაგედიისა და კომედიის) საკითხებს. იწყება იგი ტრაგედიის მიმოხილვით და სრულდება მენანდრეს შემოქმედების გარჩევით. მართალია, მენანდრე ბერძნული მწერლობის ელინისტურ პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ ავტორმა ისიც ელინური პერიოდის მწერლობაში შემოიყვანა: ცხადია, იმიტომ, რომ მკითხველს მთლიანი წარმოდგენა დარჩეს ბერძნული კომედიის სამივე საფეხურის შესახებ (ძველი ატიკური პოლიტიკური კომედია, გარდამავალი ხანის კომედია და ახალ ატიკური ანუ საყოფაცხოვრებო კომედია).

დაწვრილებითაა გადმოცემული ტრაგედიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია. საინტერესოდაა განხილული საკითხი ბერძნული თეატრის შესახებ. შემდეგ გარჩეულია სამი დიდი ტრაგიკოსი (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე), ავტორი სრულად მიღწეულ ტრაგედიათა გარდა, იხილავს ტრაგიკოსთა ფრაგმენტებსაც, რომლებიც ჩვენ ეგვიპტის პაპირუსებმა შეგვძინეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ავტორის მსჯელობა „მიჯაჭვული პრომეთეს" შესახებ. ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი „პრომეთეს პრობლემა". ს. ყაუხჩიშვილი გარკვეულ ნათელს ჰფენს პრომეთეს საკითხს: პრომეთე წინაბერძნული მოსახლეობის ღვთაებაა, ზევსი ახალი ღვთაებაა. აქ დასმულია პრობლემა ძველ და ახალ კულტურათა შეჯახებისა და ურთიერთობისა.

ატიკური ტრაგედიის განხილვის დროს ცოტა უფრო ვრცლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი აყვავების დროინდელი საბერძნეთის იდეოლოგია, ვინაიდან მე-5 საუკუნე არის საბერძნეთის მონათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი აყვავების ხანა, ბერძნული პოლისების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გაფურჩქვნის ხანა.

ორიოდე სიტყვა „კომედიის მამის" არისტოფანეს შესახებ. არისტოფანეს პოლიტიკურ შეხედულებაზე მრავალგვარი აზრი არსებობს. ზოგიერთთა მიხედვით, არისტოფანეს არავითარი პოლიტიკური მრწამსი არ ჰქონდა, ზოგიერთი კი მასში ორპირიან იანუსს ჰხედავენ, რომელიც არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის მერყეობს. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „მას (არისტოფანეს—აკ.უ.) მტკიცე შეხედულებები ჰქონდა ათენის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე და ამ შეხედულებების კვალობაზე ჰქონდა წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზები, ამას ამტკიცებენ მისი კომედიებიო". მიუხედავად ამ განცხადებისა, წიგნში მაინც არ ჩანს მკვეთრად არისტოფანეს პოლიტიკური სახე. ენგელსი არისტოფანეს „ნათლად გამოხატულ ტენდენციურ პოეტს" უწოდებს. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი. სახელდობრ, არისტოფანეს პოლიტიკური სატირა მთლიანად მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ. არისტოფანეს მსჯელობა ლოგიკურად დემოკრატიის უარყოფაა. იგი ათენის დემოკრატიის გააფთრებული მოწინააღმდეგეა. ათენის დემოკრატიის მიმართ არისტოფანეს ისეთივე პოზიცია უკა-

ვია, როგორც პლატონს — ფილოსოფიაში და ფსევდოქსენოფონტეს ისტორიაში. კომედიები: „მხედრები“, „ღრუბლები“, „კრაზანები“ და სხვები ათენის დემოკრატიას გვიხატავენ, როგორც სახელმწიფო მართვა გამგეობის ყველაზე უცუდეს ფორმას. არისტოფანე ევრიპიდეს სწორედ მისი დემოკრატიული თვალსაზრისისათვის ებრძვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არისტოფანე პაციფისტად გვევლინება მაშინ, როცა ათენის დემოკრატია სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს არისტოკრატიულ-ოლიგარქიული სპარტის წინააღმდეგ. არისტოფანე მკვეთრად გამოხატული, არისტოკრატიის პოზიციებზე მდგომი, მწერალი იყო.

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი ელინური პროზის გარდა, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების მეტად საინტერესო მიმოხილვას წარმოადგენს. ავტორის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს „ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ დაწერა. ცნობილია, რომ ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის კურსი რუსულ ენაზე ჯერ არ დაწერილა. მართალია, დიდმა რუსმა ბიზანტინისტებმა: უსპენსკიმ და სხვებმა, ბევრი რამ გააკეთეს ბიზანტიის ისტორიაში, მაგრამ ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიის კურსი დღემდე არ არსებობდა. დასავლეთ ევროპაში გამოცემული „ლიტერატურის ისტორიები“ (კრუმბახერისა და დიტერიხისა) ერთის მხრივ-სავსეა ბიზანტიური კულტურის საკითხების ყალბი, ბურჟუაზიული გაგებით, მეორეს მხრივ კი-აქ არაა მოცემული მხატვრულ ფორმათა განვითარების ისტორია. დიდ რუს ბიზანტინისტთა გამოკვლევებზე დაყრდნობით და ბიზანტიური პერიოდის საზოგადოებრივი წყობილების თავისებურების გამოვლინებით, ს. ყაუხჩიშვილი ბიზანტიის ლიტერატურული ფაქტების ორიგინალური და საინტერესო ახსნას იძლევა. იგი, წინააღმდეგ დასავლეთ ევროპული ბიზანტინისტებისა, მტკიცედ იცავს იმ დებულებას, რომ ბიზანტიის ლიტერატურა არაა ძველი ბერძნული მწერლობის მონური მიბაძვა და მისი მკრთალი და უფერული გაგრძელება. ის ძველი ბერძნული მწერლობის დანამატი კი არაა, არამედ ორიგინალურადაა განვითარებული ბიზანტინიზმის პირობებში. სარეცენზიო წიგნში ცხადადაა გამოვლინებული ის დიდი როლი სლავებისა და ქართველებისა, რომელიც მათ ბიზანტიის კულტურული ცხოვრების ჩამოყალიბებაში შეიტანეს. ბურჟუაზიული ბიზანტინისტიკა დაჟინებით უარყოფდა და უარყოფს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთის გარეშე შეუძლებელია ბიზანტიური კულტურის მოვლენების გაგება. ს. ყაუხჩიშვილი, მეცნიერული კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით, მკითხველს ამცნობს, თუ რა თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ბიზანტიური საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში ქართველებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საუბარი ფოთის (ფაზისის) რიტორიკულ სკოლაზე, თემისტიოსსა და ლიბანიოსზე, ბაკურსა და პეტრე იბერიელზე, ექვთიმე იბერიელსა, გიორგი მთაწმიდელსა და იოანე პეტრიწზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მსჯელობა ისეთი სახელგანთქმული რომანის შესახებ, როგორიცაა „ვარლაამი და იოსაფატი“. ჩვენ დიდი სიამაყით ვიგონებთ დიდი ქართველის-ექვთიმე მთაწმიდელის ღვაწლს, რომელიც მან მსოფლიო მწერლობას დასდო. ს. ყაუხჩიშვილი მეცნიერულად დამაჯერებული ფაქტებით ადგენს, რომ ბიზანტიური „ვარლაამი და იოსაფატი“ ბერძნულად დაწერილია ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ქართული „ბალავარის სიბრძნის“ მიხედვით, ხოლო ბერძნულიდან იგი გავრცელდა მსოფლიოს სხვა ენებზე. ამის დამადასტურებლად მოყვანილ დებულებებს წინ ვერ დაუდგება ვერც ზოტენბერგისა და კრუმბახერის უსუსური მოსაზრებანი და ვერც ზოგიერთ თანამედროვე „მკვლევართა“ ცდა სხვებს მიაწერონ ის, რაც სისხლითა და ხორცით ჩვენ გვეკუთვნის.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ფორმის შესახებ. 1-ლი და მე-2 ტომი „ბერძნული ლიტერატურის ისტორიისა“ დაწერილია მშვენიერი ქართული ენით. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელები ქართულად გადმოცემულია დადგენილი და გავრცელებული ნორმის მიხედვით. მაგრამ ზოგჯერ ეს დარღვეულია. ასე, მაგალითად: 1) ჰესიოდეს ძმის სახელი ჩვენს ავტორს რატომღაც მოჰყავს ფორმით პ ერ ს ე ვ ს ი; უნდა იყოს პ ერ ს ე 2) ოიდიპოსის მამის სახელი გადმოცემულია ორი ფორმით „ლაოს“ და „ლ ა ი ო ს“, — სჯობდა ერთი, სახელდობრ „ლ ა ი ო ს ი“ 3) ორი ფორმით გვხვდება აგრეთვე სპარსთა მეფეების სახელიც: „დ ა რ ი ო ზ“ (მე-2, 33) და „დ ა რ ი ო ს ი“, უნდა იყოს „დ ა რ ი ო ს ი“. ასევე, „პავზანიას“ (მე-2, 44) სჯობს „პავსანია“ (მე-2, 205 და სხვ.).

ავტორს დაქტილური ჰეგზამეტრები ხშირად თარგმნილი აქვს ჩვიდმეტმარცვლოვანი ტეპით, რაც საკმაოდ კარგად ეღერს; მაგრამ ზოგჯერ დარღვეულია მარცვალთრაოდენობა: არის თვრამეტი — ჩვიდმეტის ნაცვლად (I, — 100).

ს. ყაუხჩიშვილის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში უდავოდ დიდი მიღწევაა.

დოც. **აკ. ურუშაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქორელი — „ფილიმონ ქორიძე". გამომცემლობა „ხელოვნება"

✶

მიხეილ ქორელის წიგნი—„ფილიმონ ქორიძე" — ბიოგრაფიული ნარკვევია გამოჩენილი მომღერლისა და ოპერის მსახიობის შესახებ. იგი საინტერესოდ არის შედგენილი და ბევრ ახალ და იშვიათ ცნობას შეიცავს. ნაწარმოები დაწერილია კარგად გამართული მხატვრული ენით. ფილიმონ ქორიძის ცხოვრებასთან დაკავშირებით გაცოცხლებულია ძველი სოფლის ბუნება და ხალხი. ავტორის მიერ დახატული პეიზაჟები და პერსონაჟები დიდხანს რჩება მკითხველთა მეხსიერებაში. ქორიძეების გვარის გენიალოგია და მისი შორეული ამბები დოკუმენტალური პროზის მშვენიერი ნიმუშებია. ფილიმონის ბავშვობის წლები, ფილიმონის სახლკარი და მშობლები, ფილიმონის სწავლა მღვდელ იაკინთესთან, ანდა ქუთაისში გამგზავრება და სემინარიაში მიბარება ნაჩვენებია მშვენიერ მხატვრულ სურათებში.

იგრძნობა, რომ ავტორი კარგად იცნობს მაშინდელ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობას, ამ საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს და ეხერხება იმ ადამიანების პორტრეტების გამოქანდაკება, რომელსაც ფილიმონ ქორიძე შეხვედრია თავის ხანგრძლივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზზე. გურიის ერთერთი სოფლის, ქუთაისის და თბილისის ცხოვრების ფონზე ბევრი საინტერესო და ეპოქისათვის დამახასიათებელი ამბავია ნაჩვენები.

ავტორის დაკვირვებული თვალი კარგად იხედება ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ყოველ კუნჭულში, ეხერხება ამ ცხოვრებიდან საყურადღებო დეტალების გამოქერა, კოლორიტის დაცვა, ეპოქის შესაფერ სტილზე ხალხის ამეტყველება, ნაწარმოების მთავარი სუჟეტური ხერხემლის გარშემო სურათების მხატვრულად გაშლა. ყველა ეს ღირსება სარეცენზიო წიგნს თავიდან ბოლომდე საინტერესო საკითხავად ხდის.

წიგნის მაღალ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ ქართული მუსიკის მდიდარი ისტორია რელიეფურად არის ნაჩვენები. ბევრ საინტერესო და ახალ ცნობას შეხვდება მკითხველი ამ წიგნში ქართული მუსიკის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ახალი მასალა: ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს ფილიმონ ქორიძისათვის გადაუცია მე-10 საუკუნის დღესასწაულთა საგალობლების ხუცური ასოებით დაწერილი წიგნი. როგორც ავტორი მოგვითხრობს „ფილიმონი ამ ნიშნების შესწავლას მაშინვე შედგომია, რამდენიმე დღის განმავლობაში დღედაღამ უმუშავნია, ბოლოს ამ ძველი ხაზების შიფრი ამოუხსნია და იმ დასკვნას დასდგომია, რომ ეს ყოველნაირი ხაზები, დიდი და პატარა, გრძელი და მოკლე, დაკლაკნილი და სწორი, ორ და მრავალგბილიანი ხმოვანი ასოს ზემოთ და ქვემოთ, წვრილი, მსხვილი და მრავალი სხვა ევროპული მუსიკის მთელ ტერმინოლოგიას შეიცავენ და ნიშნავენ fopte, piaho, leqato, trioli, sincope და სხვა". ავრეთვე დაუსკვნია, რომ ძველად ქართული გალობა სამხმოვანი იყო. დაბალი ხმები — სამგვარი: ბანი, დვრინი და დუმბი. შეუსრულებია რა მოსე ჯანაშვილის დავალება, ფილიმონს განუცხადებია: „ჩვენი ძველი კულტურის ერთერთ კუთხეს ნათელი ეფინება. ამგვარი წიგნები დარწმუნებული ვარ ჩვენში მრავალია ეკლესიებში, მონასტრებში და ძველ ოჯახებში. ასეთ ოჯახებს მიგითითებთ, წამოიღეთ და მას ჩვენი მუსიკის მომავალი მეცნიერები დაამუშავებენ. მე უკვე მოვხუცდი, იმდენი ღონე აღარა მაქვს, რომ ამ საქმეს შევუდგე, თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ, რომ მოგაგონდით და საშუალება მომეცით ამ საინტერესო და ფრიად საჭირო საქმისა თითქმის პიონერი გამხადეთ".

სარეცენზიო წიგნი საინტერესო ცნობებს შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორი ბრძოლა წარმოებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსული და იტალიური მუსიკის მომხრეებს შორის. „იტალიანშჩინას" წინააღმდეგ მაშინ გამოსულა რუსი მუსიკოსების ჯგუფი — „ძალოვანი ჯგუფის" სახელწოდებით. როგორც ავტორი მოგვითხრობს, იტალიური მუსიკის მომხრე ჯგუფი იცავდა იტალიური სიმღერის მანერას და იტალიურ ოპერებს. ბალაკირევის მუსიკალური წრე, ეგრეთწოდებული „ძალოვანი ჯგუფი" („Могучая кучка") იცავდა ეროვნულ მუსიკას და ამ ჯგუფს ავტორი ასე ახასიათებს: — „რუსული ეროვნული სული, რუსული ეროვნული თვითშეგნება, რუსი ხალხის მრავალფეროვანი ისტორია, რუსული ფოლკლორი, რუსული ახალი მუსიკის რეალური სტილის განმტკიცება და განვითარება, მხატვრული ხალხური სახეების შექმნა, ყოველივე ეს „ძალოვან ჯგუფის" პროგრამას შეადგენდა და ამ პროგრესულმა, ძლიერმა და სამართლიანმა პროგრამამ ახალი მუსიკალური ტექნიკის, ე. ი. ჰარმონიზაციისა და სიმფონიზაციის ახალი ფორმების დახმარებით. განხორციელება და განსახიერება ისეთ ნაწარმოებებში ჰპოვა, როგორიც იყო ვერსტოვსკის „ასკოლდის

საფლავი“ სეროვის „როგნედა“ და განსაკუთრებით გლინკას — „ივან სუსანინი“ და სხვა.

ავტორი ვრცლად მოგვითხრობს თვით ფილიმონ ქორიძის მეტად საინტერესო მუსიკალურ ბიოგრაფიას. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ფილიმონს სრულებით არ იზიდავს მისი ამხანაგებივით მღვდელთმსახურების ასპარეზი. წავიდა ფილიმონი იტალიაში, ისწავლა, სახელოვანი მომღერალი გახდა, იმოგზაურა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, მიწვეულ იქნა მაშინდელ პეტერბურგის საიმპერატორო ოპერის თეატრში, აქედან გადმოვიდა თბილისის ოპერის თეატრში. ევროპასა და რუსეთში ცნობილი იყო სხვადასხვა გვარებით (ქორიჯიო, კარიცინი და სხვა).

ფილიმონ ქორიძის ბიოგრაფიის ამბებში ნაჩვენებია იმ დროის გამოჩენილ პოლიტიკურ და მუსიკის მოღვაწეთა საინტერესო ამბები. განსაკუთრებით საინტერესოა იტალიის უდიდესი გმირისა და სახალხო — განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე გარიბალდის შესვლა მილანში, ფილიმონის აივანზე გამოსვლა და მისი არაჩვეულებრივი სიძლიერის შეძახილი — „გაუმარჯოს გარიბალდის“.

სარეცენზიო წიგნში მოიპოვება აგრეთვე მრავალი ახალი ბიოგრაფიული მასალა ჩვენი დიდი მწერლებისა და მოღვაწეების შესახებ. მაგალითად, იგი შეიცავს აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ბევრ ახალ მასალას. აკაკი ხშირი სტუმარი ყოფილა ფილიმონის ოჯახისა, მას ახლო მონაწილეობა მიუღია ქართული მუსიკის დაცვის საქმეში და ერთერთ სასულიერო პირთა კრებაზე, სადაც ძველი ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერა-დაბეჭდვის საკითხი წყდებოდა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ამ საქმის დაფინანსების საკითხი იდგა, აკაკი იძულებული გამხდარა ქართული გალობის გამაწბილებელ ცნობილ პერმონაზონ ჩუდეცკის საპასუხოდ ეთქვა შემდეგი გაბედული სიტყვა: „თქვენ შეგიძლიათ ჩვენს განზრახვაზე პირდაპირ უარი თქვათ, ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ თქვენ ჩვენს წმიდათაწმიდას ტლანქად შეეხეთ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ქართველები რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენი ლოცვა-კურთხევით სლავებად გადავიქცევით. ეს დიდი შეცდომაა. საქართველოს დიდი ისტორია, მდიდარი უძველესი კულტურა და ჩვენი საკუთარი წინსვლისათვის გაწალდული გზა აქვს. უხეშ ძალას ამ გზის შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ასი წლის განმავლობაში ქართველ ერს თავისი სახე არ შეგლალვია და შეუცვლელად შეუნარჩუნებია, შემდეგშიც შეირჩენს ქართველი ერი თავის შეუდარებელ მუსიკას, რომელშიც თავისი უკვდავი სული აქვს ჩაქსოვილ-ჩაქარგული, უთქვენოდაც მოუვლის და განავითარებს, თქვენი დახმარება არ სჭირდება“. თავაგდებულ ჩუდეცკისათვის ასეთივე გაბედული პასუხი გაუცია ამ კრებაზე დამსწრე გიორგი წერეთელს და ალექსანდრე ყაზბეგს. ეს უკანასკნელი იმასაც კი დამუქრებია, რომ ყოველივეს ამ კომისიაში ნათქვამს გაზეთებში დავბეჭდავო.

ბევრი ახალი მასალებია აგრეთვე მოყვანილი წიგნში მხატვარ გიგო გაბაშვილზე, მელიტონ ბალანჩივაძეზე და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებზე.

ფილიმონის დამსახურება ქართული მუსიკის წინაშე მარტო მის მაღალ ხმასა და საუკეთესო მომღერლობაში კი არ გამოიხატა, არც იმაში, რომ მან ქართულ მუსიკას იტალიაში, ამერიკაში და სხვაგან სახელი გაუთქვა, არამედ აგრეთვე ძველი ქართული სიმღერა-გალობების დაცვასა, მის ჩაწერა-დაბეჭდვაში. მან დიდი ეროვნული საქმე გააკეთა იმ მხრივ, რომ 5 ათასზე მეტი ძველი ქართული სიმღერა-გალობა ჩასწერა ნოტებზე და ბევრი მათგანი დაბეჭდა კიდეც. იგი პირველი მოქადაგე იყო ქართული სიმღერა-გალობის ევროპულ ნოტებზე ჩაწერისა, მან ამ მხრივ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა, გადალახა მრავალი დაბრკოლება და სიძნელე, ბეჯითად და თავდადებულად იმუშავა, ყველაფერი შესწირა ამ საქმეს. ცოტა რამეს მიაღწია, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა, იტალიის მუსიკოსებს მიმართა, იქედან თანხმობა მიიღო და 82 წლის ფილიმონი ამ დიდი საქმის დასაგვირგვინებლად იტალიაში გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა და 1911 წელს, წასვლის წინ, ბახმაროში გარდაიცვალა. ავტორი დაასკვნის ამ წიგნის ბოლოს — „ფილიმონი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, სხვაგან წასვლა არ დასჭირდებოდა, მისი შრომა დაფასდებოდა და ბრწყინვალედ დაგვირგვინდებოდა. ის დაინახავდა, რომ თვით მთავრობა შეუწყობდა ხელს, დაინახავდა, რომ დღეს კულტურულ წამოწყებას მთავრობა ფაქიზად ეკიდება, დაინახავდა, რომ პატიოსანი მოღვაწე, რა დარგისაც არ უნდა იყოს იგი ყოველნაირად უზრუნველყოფილია. დაინახავდა, რომ ხალხის შემოქმედება აყვავების გზაზეა, დაინახავდა, რომ დღევანდელ პირობებში ნიჭიერ ადამიანს — მუსიკოსს, მხატვარს, თუ მსახიობს, ლუკმა პურისთვის მდიდარი ვაჭრის სახლში სამმანეთად როიალის აწყობა არ სჭირდება... დაინახავდა... და გაიხარებდა“...

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება და იგი კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის.

გ. მეგუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა — „ბოგიას წიგნი“, საბლიტგამი, 1949 წ.

★

უკანასკნელ წლების მანძილზე საბჭოთა ლიტერატურამ მიიღო პარტიის მთელი რიგი სახელმძღვანელო მითითება, სადაც, სხვათა შორის, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის უაღრესად მნიშვნელოვანსა და საპასუხისმგებლო საქმეს. „საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, — ვკითხულობთ სკპ (ბ) ცკ-ის 1946 წ. 14 აგვისტოს დადგენილებაში, — რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მზნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.“

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ პარტიის მითითებებში ხაზი აქვს გასმული საბჭოთა ახალგაზრდობაში მხატვრული გემოვნების განვითარებისა და გაფაქიზების საპატიო ამოცანასაც. გავიხსენოთ ამხ. ჟდანოვის სიტყვები მისი ცნობილი მოხსენებიდან ჟურ. „ზვეზდის“ და „ლენინგრადის“ შესახებ, რომ „ჩვენი ადამიანები უნდა იყვნენ განათლებულნი, უაღრესად იდეური ადამიანები, მაღალი კულტურული მოთხოვნილებისა და გემოვნების მქონენი“.

პარტიის ზემოაღნიშნული მითითებანი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმ დიდ როლსა და მნიშვნელობაზე, რომელიც ამჟამად ენიჭება საბავშვო ლიტერატურის დარგში მომუშავე მწერალთა შემოქმედებას. ჩვენს მოვალეობას შეადგენს სწორედ ამ თვალსაზრისით შეეფასოთ ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები, განკუთვნილი ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ჩვენი ნორჩი თაობისათვის.

საქართველოს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ უკანასკნელ ხანებში ბევრი საგულისხმო წიგნი მიუძღვნა ჩვენს მოზარდ თაობას. ისეთი გამოცემანი, როგორც არის მდიდრულად გაფორმებული ლექსი „დილა“, ი. გრიშაშვილის „საბავშვო ლექსები“, ვაჟა ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“ და სხვ., საუკეთესო საჩუქარს წარმოადგენენ ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ამჟამად ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენს ნიკოლოზ ჩაჩავას საბავშვო ლექსების კრებული, სათაურით „ბოგიას წიგნი“. უკვე გარეგანი გაფორმება ამ წიგნაკისა, უბრალოდ მაგრამ ფაქიზი გემოვნებით შესრულებული, უსათუოდ მიიზიდავს პაწია მკითხველს. ყდაზე გამოსახულია ბავშვი რომელიც დაფიქრებით და „გულისყურით ჩასჩერებია გადაშლილ წიგნს. სურათი მიუთითებს იმაზე, რომ წიგნი დაბალი ასაკის ყმაწვილებისათვისაა განკუთვნილი.

სარეცენზიო კრებულის პირველ ღირსებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ იქ მოთავსებული ლექსები მსუბუქი ენით არის დაწერილი და ადვილად ასათვისებელია პატარა ბავშვისათვის. ლექსების თემატიკა აქტუალურია და მრავალფეროვანი. ისინი გამსჭვალულნი არიან საბჭოთა იდეურობით, ჩვენი თანადროულობა, საბჭოთა ბავშვების ნაცნობი გარემო მოსჩანს ამ ნაწარმოებებში. თუ რა ფართოა, მრავალმხრივი შინაარსი კრებულისა, ამის წარმოდგენას გვაძლევს უბრალო დასახელება თემების. პატარა მკითხველი აქ ეცნობა ლექსებს, სადაც ლაპარაკია შვიდი ნოემბრის დღესასწაულზე, დიდ ბელადზე, ამხანაგ ბერიაზე. კრებულში ასახულია ავრეთვე საბჭოთა სკოლის ცხოვრება, კოლმეურნეობის საქმიანობა, შინაური პიროტყვთა ჩვევები. ბავშვების გართობა-ცელქობანი, ბუნების სურათები, გარეულ ფრინველთა თვისება და სხვ.

დიდი უშუალობით არის გადმოცემული ჩვენი ბავშვების წრფელი სიყვარული ბელადისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსები: „მამუკას საყვედური“, „ყვავილების თაიგული“, „გურამის თხოვნა“ და განსაკუთრებით „წერილი ძია ბერიას“. საბჭოთა ბავშვების სწავლა და საქმიანობა სკოლასა და სკოლის გარეთ, მიმზიდველი და რომანტიული ფერებითაა გადმოცემული პოეტურ ეპისტოლეში, რომელსაც ქართველი პიონერი უძღვნის დიდი ბელადის სახელოვან მოწაფესა და თანამებრძოლს, ამხანაგ ლ. ბერიას.

კრებულში თვალსაჩინო ლექსებად უნდა იქნენ მიჩნეულნი: „ვეებერთელა საზამთრო“, „დიდგულა და თავნება“, „ჩემი ციცუნია“, „მატყუარა ცუგრია“ და სხვ. დიდი უშუალობით არის გადმოცემული პატარა ბავშვის წრფელი და უმწიკლო გრძნობები ლექსში „ჩემო ბები“. ავტორი ხშირად მსუბუქი იუმორით აცხოველებს თავის ლექსებს. ასეთებია „მშიშარა ფიდო“, „მატყუარა ცუგრია“ და სხვ.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობითაა გამსჭვალული კრებულში წარმოდგენილი ლექსები.

ავტორი თავის პატარა მკითხველებს უნერგავს გულში სამშობლოს ერთგულებას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი სიყვარულს („გოგიას წიგნი". წერილი ძია ბერიას". „ვეებერთელა საზამთრო" და სხვ.).

ზემოჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად კრებულს ახლავს ზოგიერთი ნაკლოვანებაც. ჩვენი ვალია მივუთითოთ ავტორს ამ ნაკლოვან მხარეებზე, რომ შემდგომ მუშაობაში შესძლოს მათი თავიდან აცილება.

საბავშვო ლექსებს, განსაკუთრებით უმცროსი ასაკისათვის, უნდა ახასიათებდეს თემის გარკვეულობა და ზედმიწევნილი სისადავე გადმოცემისა, რომ პატარა მკითხველისათვის ყველაფერი ნათელი და გასაგები იყოს ნაწარმოებში. ასეთი თვალნათლივობა არ ახლავს, სამწუხაროდ, კრებულში წარმოდგენილ ზოგიერთ ლექსს. ასე, მაგალითად, ლექსში „ჩვენი დღესასწაული" ავტორს, ჩვენის ფიქრით, ხაზი უნდა გაესვა ოქტომბრის დღესასწაულის არა მარტო გარეგანი, საზეიმო მხარის „ლქძასაკ-ს ბავშვის ცნობიერებაში, არამედ უნდა მოენახა გარკვეული პოეტური საშუალებანი ამ დღესასწაულის ღრმა იდეური შინაარსის კადმოსაცემად. ცხადია, ბავშვს შეგნებისათვის მისაწვდომ და დასაძლევ ფორმებში. სხვაგვარად რით უნდა განასხვავოს ბავშვმა ოქტომბრის დღესასწაული, ვთქვათ, პირველ მაისის დღესასწაულისაგან? გარეგანი მხარე ამ ორი საზეიმო თარიღის აღნიშვნისა ხომ დაახლოებით ერთგვარი სახით არის უკუფენილი ბავშვის შემეცნებაში? გაუგებარია ლექსიც „ეკას ბეკეკა". იგი ასე იწყება:

ტელეფონი რეკავს, რეკავს...
— ალბათ რეკავს ისევ ეკა.
წინათაც ხომ მან დარეკა;
— რა მინდაო, რატომ რეკავს?.
— რძე უნდაო ჩვენს ბეკეკას?
— რძე ვის ვთხოვოთ ასე გვიან?
— ბეკეკას ხომ ძალზე შია?

ავტორს ალბად ვერც კი წარმოუდგენია, რა რთულ ამოცანას აძლევს ამ ლექსით თავს პატარა მკითხველს, რა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს იგი იმ უფროსს ადამიანსაც, ვთქვათ ამ შემთხვევაში დედას, რომელიც თავის შვილს უკითხავს ამ ლექსს და იძულებულია პასუხი გასცეს ბავშვის ცნობისმოყვარე შეკითხვებზე. — ვინ არის ეკა? — იკითხავს ბავშვი. — ალბათ ფარეხის გამგეა, რადგან მისთვის თიკანი ჩაუბარებიათ, — უპასუხებს დედა. კარგი. — თუ ბეკეკას მოშივდა, რატომ რეკავენ სხვაგან? — იმიტომ, რომ. — უპასუხებს გაჭირვებაში ჩავარდნილი მშობელი, — ბეკეკას დედ-ა არა ჰყავს. — მაშ ვისა სთხოვენ ძისთვის რძეს? — ჩავიკითხოთ და გავიგებთ, — უპასუხებს დედა და განაგრძობს ლექსს:

მივუტანოთ ძროხას ჩალა,
შეიცოდოს ჩვენი ლალა.
— ჩალას შეახრამუნებს,
ხახას ჩაიტკბარუნებს.
— რძით გაივსებს ჯიქანსა,
ჩვენც გაგვივსებს ჭიქასა.
— რძეს მივუტანთ ბეკეკას.
გავახარებთ ჩვენს ეკას.

— ხედავ, ძროხისთვის უთხოვნიათ რძე, რომ ბეკეკას დაალევინონ, — ეუბნება შვილს გახარებული დედა. მაგრამ მისი სიხარული ნაადრევია. — განა პატარა ბეკეკას ძროხის რძით ჰკვებავენ? — ხელახლა კითხულობს ბავშვი. — როცა საკუთარი დედა — მეწველი თხა არა ჰყავს, მაშ რა ჰქნან, ისევ ძროხას უნდა მიმართონ, — არის პასუხი. ბავშვი ცოტახანს დაფიქრებულია, მერე ისევ მიმართავს დედას: — რას ნიშნავს ლალა? — ლალა გამზრდელს ნიშნავს, პატარებს რომ უვლის. — კი მაგრამ, ბეკეკა ხომ პატარაა, მას თავათ უვლის ეკა, მაშ რატომ არის ნათქვამი ამ ლექსში ბეკეკაზე: ჩვენი ლალაო? ამაზე ჩვენ უკვე აღარ ვიცით, რას უპასუხებს დედა თავის შვილს. ვფიქრობთ, ამ დროს იგი ძალიან უმადურად მოიხსენიებს თავის გულში ლექსის ავტორს, რომელმაც ამდენი გონებრივი ჯაფა გააწევინა თავის მკითხველებს.

საბავშვო ნაწარმოების ავტორს ისევე, როგორც ყველა ავტორს, მოეთხოვება ზედმიწევნით ნათელ და გასაგებ ფორმებში ჩამოაყალიბოს თავისი აზრები. პატარა მკითხველისათვის უფროსის დაუხმარებლადაც მისახვედრი უნდა იყოს წაკითხულის შინაარსი და იდეა.

ცალკეული შენიშვნები გვინდა გავაკეთოთ ზოგი სხვა ლექსის გამოც. ასე, მაგალითად, ლექსი „პეპელა" იწყება სტრიქონებით:

პაწაწინა პეპელა
ვილზე დაფრენს ნელ-ნელა,
ხან ყვავილებს შეხედავს,
ხან ბალახზე დაჯდება.

პეპლების ჩვევა რომ ვიცით, ვფიქრობთ, რომ ის ავტორს არ დაუჯერებს და უფრო სწორად მოიქცევა: ბალახებს გვერდს აუვლის და ყვავილებს ისტომრება. ლექსში „პატარა დურგალი" ავტორს ხელოსნად გამოჰყავს პატარა გოგონა. დურგლობა უფრო „ბიჭური" საქმეა და ვფიქრობთ, გოგო არ შეუდგებოდა თავისთვის შეუფერებელ ხელობას.

კრებულში მოთავსებულია სამი შედარებით მოზრდილი, სუქეტიანი ლექსი: „ურიგო ზურიკო“, „მტირალა ილა“ და „რატომ ვერ აგებს ჩხიკვი კარგ ბუდეს“. პირველ ორ ნაწარმოებში ავტორს დიდაქტიკური აზრი პირდაპირი, შიშველი სახით აქვს მოცემული. უდისციპლინო, ზარმაცი და ცელქი ბავშვის უსაქციელობათა აღწერით ავტორი ცდილობს დაარწმუნოს ბავშვები სწავლის, შრომისა და წესრიგის უპირატესობაში. ასეთ ლექსებს თავიანთი ნეგატიური მხარე ახლავთ. ჩვეულებრივ ისინი ორლესულ მახვილს წარმოადგენენ. ზოგჯერ ავტორის მიერ პოეტურად აღწერილი უსაქციელობანი ბავშვის შემეცნებაში რომანტიულ ფერადებით ისახებიან და მისაბაძ მაგალითად იქცევიან. ამგვარად დიდაქტიკური ნაწარმოები თავის საწინააღმდეგო ეფექტს აღწევს. ავტორს იმის ალღო უნდა ჰქონდეს ჩამოთვლილი ცოდვები პატარა მკითხველს მიაწოდოს საამუგო და საძრახის ნაკლოვანებათა სახით.

ასეთ ლექსებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სახალისო სუქეტსაც. ჩვენი რჩევაა, სარიცენზიო კრებულის ავტორმა, თავის შემდგომ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სუქეტის უფრო საინტერესოდ დამუშავების საკითხს.

რამდენიმე სიტყვა ილუსტრაციების გამო. კრებულს ტექსტში ახლავს ოთხი სურათი. (მხატვარი მ. დაუშვილი) პირველი სურათი ასახავს პატარა მოსწავლის სამუშაო ოთახს. არ შეიძლება თვალში არ გეცეთ წიგნის კარადა. დატვირთული დიდტანიანი და თანაბარი ზომის, ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი, ენციკლოპედიის ტიპის წიგნებით. ცხადია, იგი სრულებით არ წააგავს მოწაფის კარადას. ჩანებულია საქანელას სურათი, ზედ გამოხატული ორი საუცხო ბავშვით. სამაგიეროდ ნაჩქარევი მუშაობის შთაბეჭდილებას სტოვებს სურათი „მტირალა ილა“. იგი შეიცავს სოგიერთ შეუსაბამობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ მხატვარს დაკვირვებით არ წაუკითხავს ავტორის ტექსტი. ასე, მაგალითად, ლექსი იწყება სტრიქონით: „ჭავჭავაძის ქუჩის თავში ცხოვრობს ერთი ცუდი ბავშვი“. ამბავი ხდება ქალაქში. მხატვარი კი სურათზე იძლევა არა ქალაქის, არამედ სოფლის ეზოს და სოფლისავე პეიზაჟს. ავტორი წერს: „მორბის ტურა, მორბის მელაო“, მხატვარს ორივე მხეცი ერთად დასკუპული გამოუსახავს. მტირალა ილას დანახვაზე იცინიანო, წერს ავტორი, სურათზე კი ტურა და მელა არც კი უცქერიან ილას. „უკან მოსდევს დათვის ბელი, გაუყრია თხისთვის ხელიო“, — მხატვარს ბელის ნაცვლად უზარმაზარი დათვი დაუხატავს. ხელი მას კი არ გაუყრია თხისათვის, არამედ პირიქით, თხა მოსდევს ხელგაყრილი. „მამლაყინწა ფრთას შემოკრავს და ხმა მაღლა ყივის, ყვირისო“, — ვკითხულობთ ტექსტში, — მამლაყინწას მაგიერ სურათზე ვხედავთ უცნაურ, კისერწაგრძელებულ ფრინველს რომელიც ჰაერში ჩამოკიდებულსა და ჩამომხჩავალს უფრო ჰგავს, ვიდრე ცოცხალსა და მიწაზე მდგომარეს. ამასთან ერთად ეს „მამალი“ სურათზე სანახევროდ არის მოცემული და ისიც ფრთებშეჭრილი.

საბავშვო წიგნის დასურათებას სჭირდება დიდი ყურადღება მხატვრის მხრივ. მ. დაუშვილი, ეტყობა, ნიჭიერი მხატვარია, მით უმეტეს მეტი დაკვირვება მოეთხოვება მას თავის მუშაობაში.

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ნ. ჩაჩავას საბავშვო ლექსთა კრებული თავის დიდ ნაწილში საინტერესო და მიმზიდველ საკითხავ წიგნად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ბავშვებისათვის.

ლევან ასათიანი.

ნარკვევი გმირ ქალიშვილზე

☆

დავით შამათავას ნარკვევი „ზღვისპირელი ქალიშვილები“ მხატვრულ ფორმებში მოკვითხრობს გუდაუთის რაიონის სოფელი აბგარ ჰუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის წარმატებებზე, კერძოდ ზინა ბაგათელიას ახალგაზრდული ბრიგადის მამაცურ შრომაზე. ბუნებრივია, ავტორი ახალგაზრდობის საგმირო საქმეებს გადმოგვცემს კოლმეურნეობის, მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიული მნიშვნელობით სავსე მჩქეფარე ცხოვრებასთან ორგანიულ კავშირში. ეს პატარა წიგნი მკაფიოდ გვიჩვენებს თუ როგორ შეუცვალა სოფელს სახე საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ, როგორ დამკვიდრა სოფლად ბედნიერი ცხოვრება, როგორ გარდაქმნა გლეხის სულიერი სამყარო. იგი მოგვითხრობს ჩვენს ბედნიერ ეპოქაში აღზრდილ ადამიანებზე. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებზე, სამშობლოს დიდებისათვის მათ გმირულ ბრძოლაზე.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებია, პირსისხლიანი ფაშისტი დამპყრობლები მოადგნენ ამიერკავკასიას, მიუხედავად უდიდეს დანაკარგისა წინ მოძვრებიან, ფრონტი მიუახლოვდა აფხაზეთს, ქვემეხების გრიალის ხმა ისმის გუდაუთის რაიონის შორეულ სოფელში, აბგარჰუკში. მიუხედავად მოახლოვებული საშიშროებისა კოლმეურნეები იმედს არ ჰკარგავენ, ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მტერი განადგურებული იქნება, რომ იგი ვერ იხილავს მზიურ საქართველოს. ვაჟკაცები ომში წავიდნენ, იარაღით იცავენ სამშობლოს თავისუფლებას, სოფელში დარჩენილი მოხუცები, ქალები, მოზარდები თავდადებულად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს პლანტაციებში, უვლიან პირუტყვს, ყველაფერს აკეთებენ ფრონტისათვის, მშობლიური არმიისათვის დასახმარებლად, თავდადებული შრომით სჭედენ მტერზე გამარჯვებას. კომკავშირელებს ზინა ბაგათელიას, ლუბა შამბას, სათბეი აბაშიძეს და სხვებს, სამშობლოს ბედით დადარდიანებულებს, გული ფრონტისაკენ მიუწევთ, მაგრამ ისინი ჯერ ხომ მოზარდები არიან, ვინ გაუშვებს მათ იქ სადაც სასტიკი ბრძოლებია? მაგრამ ზურგში ხომ არის მათთვის საქმე, აქ მაინც ხომ შეუძლიათ გააკეთონ რაიმე, რითაც შეუძლიათ, არმიას, სახელმწიფოს დახმარება გაუწიონ ამ მძიმე დღეებში? და ახალგაზრდები ძალ-ღონის დაუშურებლად შრომობენ ყანებსა და პლანტაციებში. როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებენ, მებრძოლებისათვის საჩუქრებს ამზადებენ და ფრონტზე გზავნიან, ჰოსპიტალში დაჭრილებისათვის კონცერტებს აწყობენ, წიგნებს აგროვებენ. ავტორი მიმზიდველად მოგვითხრობს აბგარჰუკელი ქალიშვილების შრომითს წარმატებაზე. ჰოსპიტალში მყოფ მებრძოლებთან მათ მეგობრობაზე.

ზინა ბაგათელიამ, რომელსაც სოფელში „ციცქნა გოგოს“ ეძახიან თავისი სიბეჯითით, მუყაითი შრომით კოლმეურნეთა ყურადღება მიიპყრო. მალე მას მთელი ბრიგადის ხელმძღვანელობა დააკისრეს. ზოგიერთი ეჭვობდა კიდეც. შეიძლება ეს დიდი მოვალეობა ახალგაზრდა გოგონამ ვერ შეასრულოსო. მაგრამ ბევრს, მათ შორის ხანდაზმულ კოლმეურნეებსაც იმედი ჰქონდათ, რომ იგი საქმეს თავს გაართმევდა. თვითონ ზინა თავდადებული შრომის მაგალითებს იძლეოდა, ბრიგადის წევრები მტკიცედ დარაზმა სამუშაოთა საუკეთესოდ შესრულებისათვის, გამოცდილ კოლმეურნეებს რჩევა-დარიგებას თხოვდა, კოლმეურნეობის აგრონომს, გიორგი ოსიას მითითებებს მტკიცედ ასრულებდა, თვითონაც ბევრს კითხულობდა აგრონომიულ წიგნებს. საკეურნეო წელი ბაგათელიას ბრიგადამ საუკეთესოდ დაასრულა.

მთელი ჩვენი ქვეყნის შრომელებთან ერთად აბგარჰუკელებმაც იზეიმეს ვერაგ მტერზე გამარჯვება. კოლმეურნეობას დაუბრუნდნენ ნაომარი ვაჟკაცები, რომლებიც მძვიდობიან შემოქმედებით შრომას შეუდგნენ.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი საბრძოლო ამოცანა დასახეს სოფლის მეურნეობის წინაშე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებები კოლმეურნე გლეხობამ თავის სამოქმედო პროგრამად მიიღო. 1947 წლის აპრილში აბგარჰუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გულდასმით განიხილეს თებერვლის პლენუმის დადგენილება, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვით გამოვიდა ზინა ბაგათელია და თვისი ბრიგადის სახელით ვალდებულება აიღო, რომ მისი ბრიგადისათვის მიჩენილი ნაკვეთის ექვსი ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე სამოცდაათ ცენტნერ სიმინდს მოიყვანდა, ხოლო დანარჩენ ფართობზეც გეგმას გადააჭარბებდა. ასეთი მაღალი მოსავალი წინათ არავის მოუწევია. არა თუ სოფელ აბგარჰუკში, არამედ გუდაუთის რაიონშიაც. ყველას გაუკვირდა ზინა ბაგათელიას მიერ ასეთი დიდი ვალდებულების აღება. უკვირს მოხუც აფხაზს პაპა დარაფეისაც. მაგრამ კოლმეურნეებმა იციან, რომ ზინა თავის სიტყვას გაამართლებს.

იწყება შეუპოვარი ბრძოლა მაღალი მოსავლისათვის, დიდი ბელადისადმი მიცემული პირობის შესრულებისათვის. მწერალი ფართოდ აღწერს ზინა ბაგათელიას ბრიგადის წევრთა მამაცურ შრომას სიმინდის ყანებში.

ზინა ბაგათელიასთვის საკოლმეურნეო, საქვეყნო საქმე განუყოფელია პირადი საქმისაგან პირადი ცხოვრებისაგან. მას ღრმად აქვს შეგნებული სამშობლოს წინაშე მაღალი მოვალეობა, მან მთელი თავისი პირადი ინტერესები შეგნებულად დაუმორჩილა საზოგადოებრივ ინტერესებს. იგი დღისით თუ ღამით, სახლში თუ საკოლმეურნეო ფართობზე ყოველთვის იმაზე ფიქრობს, იმაზე ზრუნავს, თუ როგორ ასახელოს სამშობლო, როგორ ამრავლოს საკოლმეურნეო დოვლათი, ეს არის მისი მისწრაფება, მისი ოცნება.

დადგა 1947 წლის ნანატრი შემოდგომა. ბაგათელიას ბრიგადა ადრევე მოემზადა მოსავლის აღებისათვის ორგანიზებულად შეუდგა სიმინდის ტეხვას. შემოდგომამ დაანახვა ყველას, რომ ზინა ბაგათელიას თავდადებული

შრომა წარმატებით დაგვირგვინდა მისმა ბრიგადამ სასახელოდ შეასრულა ბელადისადმი მიცემული პირობა, ნაცვლად ვალდებულებათ საკიარი 70 ცენტნერისა მან ჰექტარზე საშუალოდ 75, 97 ცენტნერი სიმინდი მოიწია. კომკავშირელ გოგონას, მის ბრიგადას, მთელ კოლმეურნეობას დიდად ახარებდა ეს გამარჯვება. უსაზღვრო იყო მათი სიხარული მაშინ, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის თებერვლის ბრძანებულებით ზინა ბაგათელიას, ლუბა შამბას და სხვებს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ, ხოლო ბევრი კოლმეურნე ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოებული.

მალე პატარა აბგარჰუკი და მისი სახელოვანი ქალიშვილები საქვეყნოდ ცნობილნი გახდნენ. მათი გმირობის ამბები, მათი სურათები გაზეთებმა მთელს ჩვენს ქვეყანას მოფინეს. ათეულობით წერილებს ღებულობდა ყოველდღიურად ზინა ბაგათელია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან. მისი შრომითი მამაცობით აღფრთოვანებულნი საბჭოთა ადამიანები მას სულით და გულით ულოცავდნენ წარმატებას, ბევრი რჩევა-დარიგებასაც თხოვდა, მისი გამოცდილებაً აინტერესებდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლი, რომელიც აქვს ნარკვევს. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია და ამას თვით ავტორიც ამბობს თავის წიგნში, რომ ზინა ბაგათელია საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანია. მაგრამ ნარკვევში არ ჩანს თუ როგორ მუშაობს კომკავშირული ორგანიზაცია, როგორ რაზმავს იგი ახალგაზრდობას უხვი მოსავლისათვის, როგორ მოაწყო მან კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, და სხვ. მკითხველი ვერც კი გაიგებდა, რომ ბაგათელია კომკავშირული კომიტეტის მდივანია, ავტორს შემდეგი სიტყვები რომ არ ეთქვა: „ყოჩაღია ჩვენი კომკავშირის კომიტეტის მდივანი.—გააცნო ხანაგუამ ზინა რაიკომის თანამშრომელს“. ეს სიტყვები არაფერს არ ამბობს იმის შესახებ თუ როგორ მუშაობს კომკავშირული კომიტეტი. ზინა ბაგათელია საქართველოს ალკკ XVII ყრილობისა და საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატი იყო, XI ყრილობაზე იგი არჩეულ იქნა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ბაგათელიას კომკავშირული მუშაობის გამოცდილების შესახებაც, რომ რაიმე დაეწერა ავტორს, პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კომკავშირული აქტივი დიდად დაუმადლებდნენ მას.

შემდეგ, წიგნის 45-ე გვერდზე სწერია: „მარტის ერთ თბილ საღამოს მთელი ორი კვირის გაზეთების დასტა შემოარბენინა აქაქანებულმა ლუბა შამბამ ოდაში და წინ დაუყარა ზინას მაგიდაზე“. გამოდის, რომ ზინა ბაგათელია გაზეთს არ კითხულობს, ყოველ — შემთხვევაში ორი კვირის განმავლობაში არ წაუკითხავს იგი და ახლა ერთიად მოურბენინა მას მამიდაშვილმა. ძალიან ძნელი დასაჯერებელია ის, რომ სოფლის მოწინავე გოგონა გაზეთს არ კითხულობდა, მით უმეტეს, ბრიგადირი და კომკავშირული კომიტეტის მდივანი. ვფიქრობთ, რომ ეს ავტორის ერთგვარი უყურადღებობის შედეგია.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა ამ წიგნს ცხოველი ინტერესით წაიკითხავს მკითხველი, განსაკუთრებით კოლმეურნე ახალგაზრდობა. აღნიშნული წიგნი ნათლად გვიჩვენებს, რომ ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „შეიძლება თურმე პატარა აბგარჰუკში იცხოვროს კაცმა და პატიოსანი შრომით საქვეყნო სახელი და პატივი მოიპოვოს“.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის საპატიო ჯილდოების გადაცემისას ზინა ბაგათელიამ თავის პატარა, მაგრამ უაღრესად საგულისხმო სიტყვაში თქვა:

„...ჩემი და ჩემი მეგობრების ოცნება ახდა. ჩვენ ბედნიერი ვართ! არც ჩვენი სოფელი ყოფილა წინათ ოდესმე ცნობილი, არც ჩვენი მამაპაპანი. მუდამ შრომობდნენ, ოფლს ღვრიდნენ. შრომისათვის მაშინ ჯილდო ვის გაეგონა, — ასე მოგვითხრობს ახლაც ჩვენი სოფლელი პაპა დარაფეი... რაც უნდა სახელოვანი მეურნე და მონადირე ყოფილიყო აბგარჰუკელი, მისი სახელი ბზიფს და კოდორს არ გასცდებოდაო... ჩემი მეგობრები და მეც ყოველდღე მოლოცვას ვღებულობთ ხაბაროვსკიდან, რიგიდან, სამარყანდიდან და კიდევ ვინ იცის, საიდან. ვის უნდა ვწირავდე მადლობას აფხაზი ქალიშვილი ჩემი შრომის ასე მაღალი დაფასებისათვის?! მხოლოდ ჩვენს დიდ მამასა და ბელადს დიდ, სტალინს, ჩემს საყვარელ ქვეყანას. ცოცხლობდეს მუდამ ჩვენი მზრუნველი მამა და მასწავლებელი!“

ზინა ბაგათელიას ამ სიტყვებში გამოთქმულია მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის აზრი. მთელი ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება დიდი სტალინისადმი. დიახ, დიდ სტალინს უმადლის ზინა ბაგათელია მისი შრომის ასე მაღალი დაფასებისათვის.

დიდ სტალინს უმადლის მთელი საბჭოთა ხალხი თავის ბედნიერი ცხოვრებისათვის, კიდევ უკეთესი მომავლისათვის.

გ. ფირცხალავა